

თეატრი  
და

$\frac{1}{2013}$

ცხოვრება



# თეატრი

## და ცხოვრება

მთავარი რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:  
ნოდარ გურაბანიძე,  
დავით დოიაშვილი,  
ვასილ კიკნაძე,  
გიორგი როინიშვილი,  
ირაკლი სამსონაძე,  
გიორგი სიხარულიძე,  
რობერტ სტურუა,  
ნათელა ურუშაძე,  
თემურ ჩხეიძე

1  
—  
2013  
  
იანვარი  
თებერვალი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“  
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

ქართული თეატრის დღე - 2013 -----	3
საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში (კამათი კანონპროექტის ირგვლივ) -----	4
<b>თამა ჩხარტიშვილი -</b> თეატრალური წელი — 2012 -----	9
<b>სპეციალური</b>	
ლია მირიანაშვილი — სანდრო ახმეტელის სამუდამო სავანე -----	12
მაკო გოჩაშვილი — „როგორც გენებოთ“-----	13
ვასილ კიკნაძე — ტრაგიკული მონოლოგი -----	17
მაკა ვასაძე — რადგან... რადგან... რადგან -----	19
მერი გურგენიძე — კალიბანის რისხვა -----	24
თამა ჩხარტიშვილი — ზოგჯერ გულწრფელი, მაგრამ ზედაპირული -----	30
ნინო კენჭაძე — „ჩემი ჰამლეტი“ -----	32
<b>ძარღული თეატრი საერთაშორისო</b>	
<b>სპეციალური</b>	
„როგორც გენებოთ“ -----	34
1956 წლიდან დღემდე -----	35
<b>თეორია</b>	
ლევან ხეთაგური — დავტირით კრიტიკის გარდაცვალებას -----	37
<b>იუგილა</b>	
მარიამ ლიფონავა — სენაკის თეატრის ბერმუხა -----	39
ნანა ანჩაბაძე — ფაზტი ფულარიანი -----	40
ნოდარ გურაბანიძე — სამყარო თეატრალის თვალით -----	41
<b>დისკუსია</b>	
თამარ ქუთათელაძე — პოსტსაბჭოური თეატრალური ნოვაციები -----	47
<b>ახალი თიბნები</b>	
გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი -----	51
<b>ცერილები</b>	
ნინო მაჭავარიანი — „ჰამლეტი“ თანამედროვე ქართულ სცენაზე -----	52
მერი მაცაბერიძე — უცნობი მასალები მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ ფარდის შესახებ -----	61
<b>დიალოგი</b>	
საბავშვო თეატრში ახალი პერიოდი დაიწყო საბავშვო თეატრის მმართველს და სამხატვრო ხელმძღვანელს, დიმიტრი ხვთისაშვილს ესაუბრება თეატრმცოდნე თამარ ქუთათელაძე -----	70
<b>ისტორია</b>	
ლამარა ღონდაძე — ერის უკეთეს შვილთა ნაოცნებარი -----	74
მარინე ცხომელიძე — მსოფლიოს ხალხები ერთად -----	81
<b>გამოთხოვება</b>	
გურამ სალარაძე -----	83
ნათელა ურუშაძე -----	85

The Day of Georgian Theatre – 2013 -----	3
In the Society of Georgian Theatre (Debate about the Bill)-----	4
<b>Lasha Chkartishvili –</b> Theatrical Year – 2012 -----	9

**PERFORMANCES**

<b>Lia MirianaSvili</b> – Sandro Akhmeteli's Eternal Refuge -----	12
<b>Mako Gochashvili</b> - 'As You Like It' -----	13
<b>Vasil Kiknadze</b> – Tragical Monologue -----	17
<b>Maka Vasadze</b> – Because... Because... Because... -----	19
<b>Mary Gurgenidze</b> – Calliban's Wrath -----	24
<b>Lasha Chkartishvili</b> – Sometimes Sincere, but Superficial -----	30
<b>Nino Kenchadze</b> – 'My Hamlet' -----	32

**GEORGIAN THEATER IN THE NATIONAL SPHERE**

'As You Like It' -----	34
From 1956 Till Today -----	35
<b>Levan Khetaguri</b> – We Mourn Over The Death Of Critics -----	37

**ANNIVERSARY**

<b>Mariam Liphonava</b> – The Old Leading Figure Of Senaki Theatre -----	39
<b>Nana Anchabadze</b> – Pati Pulariani -----	40
<b>Nodar Gurabaniidze</b> - The World in the Sight of a Theatre-Goer -----	41

**DISCUSSION**

<b>Tamar Khutateladze</b> – The Postsoviet Theatrical Novations -----	47
NEW BOOKS	
'Giorgi Eristavi And Georgian Theatre' -----	51

**LETTERS**

<b>Nino Machavariani</b> - 'Hamlet' on the Contemporary Georgian Stage -----	52
<b>Mary Matsaberidze</b> – Unknown Materials About The Curtain of Moscow Liberty Theatre -----	61

**DIALOGUE**

A New Period in the Children's Theatre -----	70
--	----

**HISTORY**

<b>Lamara Gongadze</b> – The Dreems of the Best Generation of Georgia -----	74
<b>Marine Tskhomelidze</b> – The Peoples of the World – Together -----	81

**OBITUARY**

Guram Sagaradze -----	83
Natela Urushadze -----	85

# ქართული თეატრის წლი - 2013

საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობა ქართული პროფესიული თეატრის დაარსების 163-ე წლისთავის — ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში შეიკრიბა.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ. ბ-ნმა **გიორგი ძავთარაძემ** დამსწრეთ მიულოცა შობა-ახალი წელი, ქართული თეატრის დღე.

გ. ქავთარაძემ ტრადიციულად მიმოიხილა გასული წლის თეატრალური სეზონი. „ხანდახა-ან ციფრები უფრო ემოციური დატვირთვის მატარებელია, ვიდრე წარმატებების აღნიშვნა“, აღნიშნა მან და ილიას უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, გაგვაცნო თეატრების პრემიერების, მსახიობთა მიერ ნათამაშები როლების რაოდენობა გა-სულ სეზონზე. შემდგომ ისაუბრა თეატრალური საზოგადოების მუშაობის ირგვლივ და საიუ-ბილეო თარიღები მიულოცა ღვანწლმოსილ მსახიობებს.

— სულ მალე — ამბობს გ. ქავთარაძე — ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, საბოლოოდ აღდგენილი მსახიობის სახლი მოემსახურება არა მხოლოდ რეგიონალურ თეატრებს და ახალ-გაზრდა რეჟისორებს, არამედ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერ-სიტეტს, რომლის საუკეთესო საკურსო და სადიალომო ნამუშევრები მსახიობის სახლის თეატ-რის რეპერტუარშიც კი შეიძლება იქნას შეტანილი.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის მე-რიას მატერიალური მხარდაჭერისათვის. მან აღნიშნა, რომ მერია უკვე ყოველწლიურად უდ-გას მხარში თეატრალურ საზოგადოებას და ეს ურთიერთობა ერთგვარ ტრადიციად დამკვი-დრდა.

საღამოს დამაგვირგვინებელ აკორდად იქცა მსახიობთა და რეჟისორთა დაჯილდოების ცერემონიალი.

**ცელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის  
სახელობითი პრეზიდენტი მიანიჭა:**

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია — მსახიობ გიორგი პირიძე პირიძე პირიძე,

სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია — რეჟისორ გიორგი პაპანაძეს — რუსთავისა და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრებში ბოლო წლებში განხორციელებული სპექტაკლებისათვის,

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია — მსახიობ ნინელი ჭანკვეტაძეს,

აკაკი ხორავას სახელობის პრემია — მსახიობ რომან მელვილეთუხუცესს,

პეტრე ოცხელის სახელობის პრემია — მხატვარ თემურ ნინუას — სათეატრო მხატვრობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ქართული თეატრის დღის ზემინი მუსიკალურად გააფორმა ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა დირიჟორ ავთანდილ მამაცაშვილის დირიჟორობით.

## კამათი კანონპროექტის ირგვლივ

14 თებერვალს უურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ მოაწყო მრგვალი მაგიდა „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ: საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სთს პრეზიდიუმის წევრი ალექსანდრე ქანთარია, ამავე კომიტეტის ნაძვევანი სპეციალისტი ქეთევან ტომარაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატე“ თაგმჯდომარე მარინა აბულაძე, რეჟისორები: სახდომ მრევლიშვილი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის თეატრის მმართველი გიორგი სიხარულიძე, გიორგი შალუტაშვილი, თეატრმცოდნებები: პროფესიონი გიორგი ცეკიტიშვილი, ბაკა ვასაძე, ლამა ჩხარტიშვილი, ირინა ლოლოძერიძე, ნინო მაჭავარიანი და სხვ.

**გურამ გათიაშვილი:** გმადლობთ მობრძანებისათვის. შეგანუხეთ იმისათვის, რომ ვიმჯელოთ კანონპროექტის ავ-კარგზე. ამ კანონის უმთავრესი ლიონება არის ის, რომ თეატრში პირველი პირი არის მეზოქმედი ადამიანი, რაც ნინი გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. ეს პროექტი ძალაში შესვლის შემდეგ დაარეგულირებს ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს. ჩვენმა უურნალმა მოგინვიათ მრგვალ მაგიდასთან სწორედ ამ საკითხის ირგვლივ სასაუბროდ. გთხოვთ გულახდილად და ობიექტურად ვისაუბროთ კანონპროექტის გარემო, ამით ჩვენ მის დახვენას შევუწყობთ ხელს. სწორედ ამით გახლდათ განპირობებული, რომ ჩვენ ორი კვირის ნინ გამოგიგზავნეთ კანონპროექტის ტექსტი, რათა გულდასმით შეგესნავლათ.



**ალექსანდრე ეათიარაძე:** ჩვენმა კომიტეტმა იმუშავა საფუძვლიანად, შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ყველა კანონი, რომელიც მოდიოდა თეატრის კანონთან შესაბამისობაში. ერთადერთი სურვილი ამ ცვლილებებისა იყო ის, რომ თეატრში მთავარ პირად დაგვებრუნებინა შეზოქმედებითი რგოლი — სამხატვრო ხელმძღვანელი, გაგვეთვალისწინებინა თითოეული თეატრის მდგომარეობა, რომ გაზრდოდათ შემოქმედებითი ასპარეზი ახალგაზრდა დამწყებ შსახიობების, გაუმჯობესებულიყო რეგიონალური თეატრების შდგომარეობაც. ვიფიქრეთ ფუნქციების დანაწილებაზეც, რომ სამხატვრო ხელმძღვანელს არ ეფიქრა თეატრის ტექნიკურ მხარეებზე. ჩვენ შესაძლოა, რაიმე გამოგვიჩინოთ და აქ იმისთვის შევირიბეთ, რომ მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები და სურვილები თეატრის კანონში შესატანი ცვლილებების ირგვლივ. პრიციპი კი, გავიმეორებ, არის ის, რომ შემოქმედებით ორგანიზაციას, უზდა უხელმძღვანელოს შემოქმედა.

**გიორგი ეათიარაძე:** ჩემი აზრით, სრულიად ბუნებრივია, რომ თეატრის ხელმძღვანელი იყოს სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, მმართველი კი დაინიშნოს მისი ხარდგინებით.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** მინდა ალვინიშვილი, რომ კანონპროექტში გათვალისწინებულია „სამუშაო ჯგუფების“ თითქმის ყველა შენიშვნა და მადლობას გიხდით ამისთვის.



**სანდრო მრევლიშვილი:** მკვეთრად არ გაიწერა, ვის რა ევალება. ჩემი აზრით, იმისთვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას კულონიზები, ჩვენ უნდა მივცეთ სახელმწიფო თეატრების შემთხვევაში ხელმძღვანელებს, და კერძო თეატრების შემთხვევაში — მესაკუთრეებს უფლება, გამომდინარე კონკრეტული თეატრის საკუთრების უფლებების ფარგლებში, ადგილმდებარებიდან, ტრადიციებიდან გაკეთდეს მათი უფლებების დელეგირება.

**ეათიარაძე ტომარაძე:** ეს ალნიშნულია კანონში.

**სანდრო მრევლიშვილი:** თუკი ადამიანი ნიჭიერია და შეუძლია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა, მას გარკვეული საორგანიზაციო ნიჭიც უნდა ჰქონდეს, რათა გაუძღვეს თეატრს. ხაზგასმულია ხელშეკრულებების მომენტიც, რომ მასში ზუსტად გაინეროს კველათერი სამხატვრო ხელმძღვანელისა და დასის წევრთა შორის. ხელშეკრულებაში ჩაინტეროს რამდენ სპექტაკლს დადგამს თეატრი წელიწადში.

**ალექსანდრე ეათიარაძე:** ეს მხოლოდ სამხატვრო ხელმძღვანელზე არ არის დამოკიდებული. ეს არის დამოკიდებული ბიუჯეტის შესაძლებლობებზე და ამდენად კანონში არ შეიძლება ჩაინტეროს.

**სანდრო მრევლიშვილი:** კანონში — არა, მაგრამ ხელშეკრულებაში უნდა აისახოს შემოქმედებითი ვალდებულებები.

**გიორგი ცეიტიშვილი:** ეჭვგარეშეა, რომ თეატრში მთავარი არის შემოქმედებითი პროცესების მიმდინარეობა და მისი წარმართველი სამხატვრო ხელმძღვანელი. წინა კანონისგან განსხვავებით, მისი ფუნქციები გაზრდილია და მეჩვენება, რომ მეორე უკიდურესობაში ვვარდებით — თეატრის დირექტორი თუ მმართველი გადაეცემულია მის ხელზე მოსამსახურედ. კანონში პირდაპირ წერია — „ასრულებს სამხატვრო ხელმძღვანელის დავალებებს“. მე ვფიქრობ, რომ დამდგმელი ოჯახისორი და მით უფრო სამხატვრო ხელმძღვანელი არ უნდა ფიქრობდეს ლურსმანსა და დეკორაციაზე. ხებისშიერ დაწესებულებაში ერთი ადამიანი უნდა აწერდეს ხელს ბრძანებას. ამ ბრძანებაში შედის, როგორც შრომითი ხელშეკრულების დადგება, ისე საფინანსო და სხვა სახის დოკუმენტაცია. თუ სამხატვრო ხელმძღვანელს ვაკისრებთ ამ ფუნქციას, მაშინ ის კყველაფერს უნდა გაუძლვეს. თეატრი, ყველა დონის შეხვედრაზე უნდა ნარმოადგინოს სამხატვრო ხელმძღვანელმა, მაგრამ მისი ადმინისტრირება შეიძლება დაევალოს მეორე პირს. ეს უფლებამოვალეობანი მკაფიოდ უნდა გაინეროს კანონში, თორემ მეორე უკიდურესობაში ვვარდებით — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის უფლება-ვალდებულებები კანონში ორ გვერდს მოიცავს, თეატრის დირექტორისა კი — სულ რამდენიმე სტრიქონის...



**ალექსანდრე ჩანთარია:** (კითხულობს კანონის მუხლს დირექტორის უფლება-მოვალეობების შესახებ და უხსნის გამომსვლელს, რომ თეატრის შიგნით მოხდება დელეგირება ფუნქციებისა, რომელსაც გაანანილებენ სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრის მმართველი.) ქველი კანონის მიხედვით, მმართველი ინვევდა რეჟისორებს და თუკი ისინი ვერ დგამდნენ სპექტაკლებს სათანადო მხატვრულ დონეზე, ის არ იღებდა ამაზე პასუხისმგებლობას, დღვევანდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა კი ეს პროცესები ისე უნდა ნარმართოს, როგორც შეეფერება მისი თეატრის შემოქმედებით სახეს. ის ვალდებული უნდა იყოს და უნდა შეძლოს კიდეც ეს, თავისი და სხვისი სპექტაკლების ჩათვლით. ამიტომ ვანიჭებთ მას უფლებას, რომ მოიყვანოს თავისი კადრი და ასევე მისივე წარდგინებით დაინიშნოს დირექტორი. თუ ის თვლის, რომ ორივეს ფუნქციების შეთავსება შეუძლია, არაც ეს არის პრობლემა.

**ჩაპა ვასაძე:** შე ვთვლი, რომ არ არის ნათლად გამიჯვული ფუნქციები დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელს შორის. ერთგან წერია, რომ სამხატვრო ხელმძღვანელია პასუხისმგებელი თეატრის, როგორც შემოქმედებით ისე, ადმინისტრაციულ მხარეზე, შემდეგ კი ვკითხულობთ, რომ... კარგი იქნებოდა უფრო ნათლად ჩამოყალიბებული სამხატვრო ხელმძღვანელის და დირექტორის ფუნქციები. სამხატვრო ხელმძღვანელი თეატრის დირექტორთან ერთად წყვეტს ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს.

**ირინა ლომიშვილე:** ვფიქრობ, უნდა მოხდეს მკვეთრი გამიჯვნა, თუნდაც ფინანსური ვალდებულებების მხრივ. ვინ აწერს ხელს ფინანსურ დოკუმენტაციას? ეს უნდა აბსოლუტურად ზუსტად და კონკრეტულად განისაზღვროს...



**გიორგი ცეიტიშვილი:** ჩემი აზრით, კანონში პირდაპირ უნდა ეწეროს, რომ საფინანსო საქმეზე, უშუალოდ მმართველი, დირექტორია პასუხისმგებელი. რატომ უნდა ავკიდოვ ეს მძიმე ტვირთი სამხატვრო ხელმძღვანელს?

**ირინა ლომიშვილე:** ან თუნდაც დელეგირების დროს რომელიმე ფინანსურ უზუსტობაზე შემოქმედი ადამიანი არ უნდა აგებდეს ვასესს.

**სანდრო მრევლიშვილი:** პასუხისმგებლობისგან არ უნდა იყოს განთავისუფლებული თეატრის ხელმძღვანელი. ლუარასაბ თათქარიძე ხომ არ არის მხარ-თეძოზე წამონალილი?! — ის უნდა ერკვეოდეს ფინანსურ საკითხებში, ტექნიკურ საქმიანობაში და თუ აქამდე არ ერკვეოდა, კეთილი ინხებოს და შეისწავლოს. ბანკში ფორმდება სამი ფაქსიმილია: ერთი არის პირველი პირის, მეორე — მმართველის, შესამე — მთავარი ბუღალტერის.

**გიორგი ცეიტიშვილი:** საფინანსო დოკუმენტაციაზე ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი არ ანერეს ხელს. აწერს კანცლერი და მთავარი ბუღალტერი.

**გიორგი შალუტაშვილი:** პრობლემა ამ საკითხით არ შემოიფარგლება. რასაც ბ-ნი სანდრო ამბობს, არავინ არის ამის წინააღმდეგი.

**ალექსანდრე ჩანთარია:** თუ ვამბირთ „პირველი პირი“, მაშინ ის ყველაფერზე იღებს პასუხისმგებლობას, მაგრამ თუკი მისი შერჩეული კადრი დანაშაულს ჩაიდეს, მან უნდა აიღოს მორალური პასუხისმგებლობა. თუკი დამზადებს როიალი სახლში წაიღო, რაიმე ღირებული დაამტკრია, რა თქმა უნდა, მას დაიჭერენ და არა სამხატვრო ხელმძღვანელს.

**ჩაპა ვასაძე:** ჩვენ ვმსჯელობთ კანონზე, რომელიც წლების მანძილზე სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა იყოს თეატრებისთვის.

**გიორგი ცეიტიშვილი:** მე ვფიქრობ, რომ კანონი არ უნდა იძლეოდეს ლავირების საშუალე-

ბას. ის უნდა იყოს მკაფიო. აი, მაგალითად, ვერ გავიგე, რა ფუნქციები ეკისრება, ამ კანონის მიხედვით, მთავარ რეჟისორს.

### **ალექსანდრე ქანთარიძე: სარეპერტუარო ფუნქცია.**

**ლაშა ჩხარტიშვილი:** პირველად ძემოთავაზებულ ვარიანტთან დაკავშირებით, ეს კანონი უფრო დახვეწილა, სრულყოფილი და მრავლის მომცველია. მომწონის ის, რომ კანონის ქვია



„პროფესიული თეატრების შესახებ“ და არა მხოლოდ „სახელმწიფო თეატრების შესახებ“. ეს კარგია იმიტომ, რომ იგი ყველა სახის თეატრს დაარეგულირებს. ასევე კარგია, რომ დაემატა განმარტებები. არანაირი შენიშვნა არ მაქვს, გარდა იმისა, რომ დაემატოს სახალხო თეატრების შესახებ ასეთი სახის განსაზღვრება — არაპროფესიული თეატრი, რომელსაც ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობა და სტატუსს ანიჭებს კულტურის სამინისტრო.

**ილინა ღოლოგრეჩიძე:** კანონში უნდა დავაზუსტოთ ტერმინები „სახალხო“ და „არაპროფესიული“ თეატრები. გაკეთდეს კანონში შენიშვნა ან დამატება, ამას იურისტი გადაწყვეტს, ან იმავე გვერდზე ჩამოტახილი შენიშვნა თუ სქოლით — არაპროფესიულია თეატრი... და განვსაზღვროთ ის, რომ მისი 60-70% უნდა შეადგენდეს არაპროფესიონალ მსახიობებს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. სკოლასთან არსებული ერთი საბავშვო თეატრის ხელმძღვანელი აკეთებს მაგისტრატურას, რათა საბოლოოდ დამკვიდროს პროფესიონალ რეჟისორის სტატუსი. მისი თეატრი ვერასოდეს გახდება პროფესიული თეატრი. მაგრამ მას ამის პრეტენზია აქვს. ასევე მე-10 მუხლში „პროფესიული თეატრების“ ნაცვლად ენდა ენეროს „სახელმწიფო და მუნიციპალური პროფესიული თეატრების სტრუქტურა და მართვა“. ასევე გადასახედია 10.2 კონტრაქტების ვადების შესახებ.

**გიორგი ცერიტიშვილი:** კანონი ეხება პროფესიულ თეატრებს. ვერ გამოყოფ არაპროფესიულ თეატრის ვერც სამხატვრო ხელმძღვანელს, ვერც მმართველს და ა.შ. მათ თავიანთი სტრუქტურა თავად უნდა დაარეგულირონ.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ეს არის სამხატვრო საბჭო, რომელიც თითქოსდა სავალდებულო იყო ყველა თეატრში. ასეთი ინსტიტუტის არსებობა თეატრში თუ მას სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს, საჭიროდ არ მიშაჩნია. უფუნქციოა. ვფიქრობ, თეატრმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ჰქონდეს თუ არა ის.

### **ქეთევან ტომარაძე:** კანონში ეს არის აღინიშნული.

**ილინა ღოლოგრეჩიძე:** ალპათ, პროფესიულ თეატრში 80% მაინც უნდა იყოს პროფესიული დასი. რეგიონულ თეატრში — 60-70%.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** მაშინ ფოთის თეატრი ვერ იქნება პროფესიული თეატრი, რადგან პროფესიონალების პროცენტულ მაჩვენებელს ვერ აგროვებს. იგივე მდგომარეობაა ზუგდიდში, სენაკში.

**ალექსანდრე ქანთარიძე:** ეს საკითხი შეეხება არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ კერძო თეატრებსაც.

**სანდო მრევლიშვილი:** გიგა ჯაფარიძეს ონში ჰქონდა სახალხო თეატრი, რომლის მაღალი პროფესიული დონე ეჭვს არ ვევდა.



**ილინა ღოლოგრეჩიძე:** სიტყვა — „ხელმისანვდომობა და თეატრალური პროპულარიზაციის ხელმენყობა“ რა მნიშვნელობით არის ნახმარი კანონში? სახელმწიფო დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს ხომ არ იღებს ამით. მაგალითად, თეატრებმა რომ მოთხოვონ რეკლამის განთვალსება?

**ქეთევან ტომარაძე:** ჩვენ ვგულისხმობთ სტუდენტებისთვის შეღავთან ფასებში სპექტაკლებზე დასწრებას.

**სანდო მრევლიშვილი:** სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს შორის უფლებამოსილების დელეგირება ხდება დამფუძნებელთან შეთანხმებით.

**გიორგი გალუტაშვილი:** ეს კანონი არის ძალიან კარგი იმით, რომ იძლევა ლავირების საშუალებას. ვთვლი, რომ ყველაზე პრობლემური საკითხი გადადის კულტურის სამინისტროში — ვინ იქნება სარეკომენდაციო საბჭოს წევრი და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ყველა თეატრალური ორგანიზაციისთვის: ეს იქნება თეატრალური საზოგადოება, კრიტიკოსთა ასოციაცია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი თუ თეატრის გილდია. ყველა მათგანიდან უნდა იყოს წარმოდგენილი ამ საბჭოში. ასევე მინდა თქვენი კურატორება მივმართო თეატრმცოდნების საზით, რომ ისინი იყვნენ ჩართული ამ საბჭოს მუშაობაში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიტყვა „თეატრალური“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „სათეატრო“. ეს არის სათეატრო ხელოვნება და კანონშიც ასე უნდა იყოს მოხსენებული.

**სანდო მრევლიშვილი:** „სათეატრო ხელოვნება“ — ასეთი ცნება არ არსებობს. არსებობს „თეატრის ხელოვნება“.

### **გიორგი გალუტაშვილი:** ჯერ-ჯერობით სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული მოსაზ-



**რება — დეცენტრალიზაცია დაიწყება თუ პირიქით, ცენტრალიზაციის პროცესი. ვისაც ურთიერთობა გვაქვს თეატრებთან, ვიცით, რომ ისინი ითხოვენ შემოქმედებით ცენტრალიზაციას. ლაპარაკია შუნიციპალურ, სახელმწიფო თეატრებზე. გუბერნია აფინანსებს თეატრს. ეს ცალკე უნდა გაიწეროს კანონში თუ არა? მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ ყველა გუბერნიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი თეატრი. მაგალითად იძერეთს — ქუთაისისა, ხოლო ჭიათურასა და ზესტაფონში კი უნდა იყოს მუნიციპალური თეატრები. შესაბამისად, სამეგრელოში - ზუგდი-ცის თეატრი უნდა იყოს აუცილებლად სამხარეო, ფოთისა და სენაკის თეატრები, შეიძლება იყოს მუნიციპალური, ბათუმის თეატრი უნდა იყოს სამხარეო და ა.შ. ეს იქნებოდა იდეალური სტრუქტურა. მცხეთა-მთიანეთის გარდა, ყველა რეგიონში გვაქვს თეატრები.**

**ალექსანდრე ქართარია:** გუბერნიას თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია თეატრის დაფინანსება. ჩვენ ამ საკითხებს კანონში ვერ გავითვალისწინებთ. ცოტა დღრო გავა, კანონი ამუშავდება და მივხდებით, რა ცვლილებების შეტახა დაგვჭირდება მასში.

**გიორგი შალუტაშვილი:** გთავაზობთ, რომ ამ კანონში შევიტანოთ ეროვნული უმცირესობების საკითხი. ეროვნული კულტურის განვითარებასთან ერთად ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარებასაც ჩვენს ქვეყანაში.

**ქავევან ტომარაძე:** რა თქმა უნდა, ხელი უნდა შევუწყოთ მათ კულტურის განვითარებას, მაგრამ კანონში ამას ვერ ჩავწერთ. ეს იქნება ზოლიტიკური ნონსენსი.

**ნინო მაჩავარიანი:** თუკი ეროვნულის ხაცვლად ჩავწერთ სახელმწიფოებრივ განვითარებას?

**გიორგი შალუტაშვილი:** ეს არის სრობლებმა, რომელიც ხვალ და ზეგ გადასაწყვეტია და კიდევ ერთი — როდესაც ვსაუბრობთ თეატრის უმრავლესობაზე გადასაწყვეტი საკითხების მიგვარების დროს, როგორ უმრავლესობას გულისხმობს კანონი. 2/3-ს თუ 50+1?

**სანდრო მრავლიშვილი:** აბსოლუტურ უმრავლესობას.

**გიორგი შალუტაშვილი:** მაშინ ჩავწეროთ დასის აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 2/3.

ვინ შეიმუშავებს წესდებას თეატრში?

**გიორგი ცეკიტიშვილი:** ადრე, კულტურის სამინისტროში შეიმუშავებდნენ ტიპიურ წესდებას და ურიგებდნენ თეატრებს თავიათო შენიშვნების შესატანად.

**გიორგი შალუტაშვილი:** ახლა ვის ევალება წესდების შემუშავება?

**ალექსანდრე ქართარია:** დებულება მუშავდება სამინისტროში, წესდება — თეატრში, ხოლო თეატრის შინაგანანეს ადგენს თავად თეატრის ხელმძღვანელობა. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი გაიწეროს კანონში. რაც შეეხმა სამხატვრო საბჭოს, მისი არსებობა თეატრის გადასაწყვეტია, უნდა ეყოლება და უნდა — არა.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** ვინ ქმნის სამხატვრო საბჭოს დებულებას და რა უფლებები აქვს მას. თუ სამხატვრო ხელმძღვანელია თეატრში, საბჭოს ფუნქციას ვეღარ ვხედავ.

**სანდრო მრავლიშვილი:** ვერ დაგეთანხმებით. მე, როგორც თეატრის ხელმძღვანელს, ის მქიდებოდა — ვიკრიბებობით. მოსაზრებებს მიზიარებდნენ, ვკავათობდით და ერთობლივად მივიღებდით საერთო მოსაზრებამდე.

**ილინა ღოლოგარიძე:** სარეკომენდაციო საბჭო ამ კანონში გაწერილი არ არის. ეს რჩება კულტურის სამინისტროს პრეროგატივად.

**სანდრო მრავლიშვილი:** მე ვფიქრობ, ეს საბჭო კულტურის სამინისტროში სრულიად არ არის საკითხო.


**გურამ გათიაშვილი:** საბჭოსთან დაკავშირებით მინდა გითხრათ ორიოდე სიცყვა: ვეთანხმები სანდრო მრევლიშვილს. ჩვენ ვექმით ზედეგი რგოლს, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი: არსებობს შემოქმედებითი ორგანიზაცია — თეატრალური საზოგადოება, რომლის პრეზიდიუმის წევრები არიან ქართული თეატრის წამყვანი მოღვაწენი. სწორედ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება...

**ლაშა ჩხარტიშვილი:** სთა არის არასამთავრობო ორგანიზაცია: ასე მეც მაქეს არასამთავრობო ორგანიზაცია და საერთოდ უამრავი თეატრალური გაერთიანება არსებობს.

**ალექსანდრე ქართარია:** კერძო სამართლის იურიდიულ პირს ვერ ექნება ასეთი კონტაქტი სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** სარეკომენდაციო საბჭოში იქნება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი, თითო-თითო წარმომადგენელი ყველა არასამთავრობო ორგანიზაციიდან და ასევე თეატრმცოდნები.

**ალექსანდრე ქართარია:** მე ვფიქრობ, რეჟისორიც არ უნდა იყოს ამ საბჭოში, რათა მხოლოდ მინისტრსა და მასთან დაახლოებულ პირებს არ ჰქონდეთ არჩევანის საშუალება, საბჭოში უნდა გაერთიანდნენ თეატრის მიერ ან სხვა ორგანიზაციების მოწოდებული პიროვნებები. გავუგზავნოთ თეატრებს 15-20 პიროვნების კანდიდატურა, რათა თავად შეარჩიონ. შესაძლოა მათგან დაარჩეს მხოლოდ შვილი, მაგრამ თეატრს უკვე აღარ ექნება პრეტეზია, ვინაიდან მათ მონაწილ-



ეობა ექნებათ მიღებული შერჩევაში.

**დაპა ჩხარტიზვილი:** ვიზიარებ ბატონი ალექსანდრეს მოსაზრებას, რეუსისორებმა სპექტაკლები უნდა დადგან და არა უიურებში და საბჭოებში ყოფნას შეალიონ ენერგია.

**ირინა ლოლოგერიძე:** ბ-ნო ალექსანდრე, თქვენ არ შეგიცვლიათ და კანონში დატოვეთ ოთხი თეატრალური სეზონი ნაცვლად ორისა, სამხატვრო ხელმძღვანელისთვის. როთ იყო ეს განპირობებული?

**ალექსანდრე ქანთარია:** ჩემი, როგორც რეუსისორის გამოცდილებით, სამხატვრო ხელმძღვანელს სჭირდება ვადა მუშაობის და თუნდაც შეცდომის დაშვების. ორ წელინადში ის ვერაფერს მოასწორებს.

**ირინა ლოლოგერიძე:** ახლახან ჩამოვედი საფრანგეთიდან. ყველგან ვსვამდი კითხვას პრემიერების შესახებ. იქ ყველა დიდ თეატრის იმდენივე პრემიერა აქვს წელინადში, რამდენიც ჩვენს თეატრებს. თუ რომელიმე სპექტაკლი ჩავარდება, მას ცვლიან სხვა წარმოდგენით, რომელიც მართლაც, სწრაფად მშადედება.

**ალექსანდრე ქანთარია:** რაც შეეხება რიგითი რეუსისორის საკითხს, კანონში ესეც გათვალისწინებულია. სამხატვრო ხელმძღვანელს ევალება როგორც მსახიობების, ასევე რეუსისორების მოწვევა. მას უნდა მივცეთ შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის სამუალება. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მან უნდა ჩამონეროს დასადამშენებელი სპექტაკლების ნუსხა, მაგრამ უნდა წარმოადგინოს თავისი ზოგადი კონკრეტცია — როგორი თეატრი სურს, ფისქოლოგიური, ეროვნულ დრამატურგია, თუ სხვ.

**გიორგი შალუტაშვილი:** ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ოთხწლიანი, ოლონდ ორ საფეხურად. ორი წლის შემდეგ უნდა ხდებოდეს მისი მუშაობის შეჯერება და ვადა ავტომატურად უგრძელებოდეს.

**ალექსანდრე ქანთარია:** ერთი წლის შემდეგ სარეკომენდაციო საბჭო მიდის თეატრში, ნაცულობს სპექტაკლებს და თუკი ამ პერიოდში რეუსისორმა ვერაფერი გააკეთა ან რაიმე დააშავა, უნდა განთავისუფლდეს.

**სანდრო მრევლიშვილი:** სამინისტრომ დამიდოს ხელშეარულება და თუ ვერ შევასრულდებ, მოითხოვოს პასუხი. თორემ ადრე რა გამოილოდა. არავინ აკონტროლებდა რეუსისორის ნამუშევარს, არც სპექტაკლების დადგმის რაოდენობისა და არც მათი ხარისხის შერივ.



**გიორგი სიხარულიშვილი:** მე მაქს არი შეკითხვა. პირველი — თეატრების სტატუსთან დაკავშირებით და მეორე — მსახიობთა კატეგორიების შესახებ. ეს უკანასკნელი ძალიან მტკიცებულ თემად იქცა თეატრში და ძალიან აქტუალურია დღეს. მაინტერესებს, რას ვაკეთებთ ამასთან დაკავშირებით.

**ალექსანდრე ქანთარია:** გეთანხმებით, რომ ორივე საკითხი აქტუალურია. მაგრამ დღეს სტატუსის შესახებ საკითხის ნამოჭრა ბევრად გაართულებს მდგომარეობას. ვფიქრობ, რომ იგი შორის განვითარება უნდა დარეგულირდეს. რაც შეეხება კატეგორიებს, ვფიქრობ, ეს პრობლემა თეატრების წესდების გზით უნდა მოგვარდეს.

**ლაპა ჩხარტიზვილი:** უმაღლესი კატეგორიის მსახიობმა შესაძლოა, რამდენიმე წელი არაფერი ითამაშოს. ახალგაზრდა მსახიობმა კი სრული დატვირთვით იმუშაოს და მასზე გევრად ნაკლები ანაზღაურება აიღოს, რაც არასამართლიანია.

**ალექსანდრე ქანთარია:** ეს ყველაფერი თეატრმა თავად უნდა განსაზღვროს. როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელი მიდის თეატრში და მსახიობებს უდებს ხელშეარულებას, ჩვენ ისინი ასე უნდა განვსაზღვროთ: არის უკალი მათვის, ვინც ამ თეატრისთვის განს წარმოადგენს. მაგრამ ეს კანიდაბტურები შეანხმებული იქნება კულტურის სამინისტროსთან და მცირერიცხოვნებით. მსახიობთა ბირთვი, ორმეტიც ძირითად შემადგენლობად მოიაზრება, იქნება ხუთი, ოთხი ან ერთწლიანი ხელშეარულებით.

**სანდრო მრევლიშვილი:** გავფრთხობილდეთ, რომ არ მოვიდეს ეს კანონი შრომის საერთო კანონთან შეუსაბამობაში.



**ეთევან ტომარაძე:** თეატრის კანონი გადამოწმებულია და მასში არაფერია ისეთი, რაც შეიძლება შესაბამისობაში არ მოვიდეს შრომის კანონთან. ხელშეარულებები იდება არანაკლებ 1 წლისა და არა უმეტეს 5 წლისა.

**ალექსანდრე ქანთარია:** მინდა გარევეული სიახლეებიც დაინერგოს. იყოს შეკვეთები კულტურის სამინისტროდან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, მაგალითად, დაიდგას ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები სკენაზე.

**ეთევან ტომარაძე:** თქვენ ვერ შეამჩნიეთ ერთი რამ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მსახიობი ამ კანონით არის საკმაოდ დაცული, ასევე რეუსისორიც. სამხატვრო ხელმძღვანელი ერთპიროვნული მმართველი კი არ არის, არამედ იგი გარკვეულ დემოკრატიულ პრინციპებს ემყარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მე ვფიქრობ, ამას ხაზი უნდა გაესვას. ეს არის პრინციპულად ახალი მიღობა.

**გურამ გათიაზვილი:** მინდა გულითადი მადლობა გითხრათ არა მხოლოდ მობრძანებისა და კამათში მონაწილეობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ გულისყურით მოეკიდეთ ამ საკითხს. აკარგად შეისწავლეთ იგი.

გმადლობა!

# 2012 - თავათლის წელი

## ლაშა ჩხარტიშვილი

კვლევა, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა განახორციელა, ეფუძვნება საქართველოში მოქმედი 30-ზე მეტი თეატრის (სახელმწიფო, დამოუკიდებელი, რეგიონალური) 2012 წლის მონაცემებს.

კვლევა მომზადებულია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით და ის არ ასახავს სპექტაკლებისა და მსახიობთა მიერ შესრულებული როლებს მხატვრულ ხარისხს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წელს საქართველოში სხვადასხვა ტიპის, მიმართულების და სტატუსის თეატრში დაიდგა 148 სპექტაკლი, ამათგან თანამედროვე ქართველი ავტორის (დრამატურგის) - 58, უცხოელი ავტორის - 48 და კლასიკური (ქართული და უცხოური) - 38, რაც პროცენტებში ასე გამოიხატება: თანამედროვე ქართული - 39,44%; უცხოური - 33%, 80%; კლასიკა (ქართული, უცხოური) - 26, 76%.

2012 წელს 33 თეატრში დაიდგა 148 სპექტაკლი. ამათგან:

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში - 17,

მარჯანიშვილის თეატრში - 13,

რუსთაველის თეატრში - 8,

**დამოუკიდებელ თეატრებში:**

თავისუფალ თეატრში - 7,

სამეფო უბნის თეატრში - 3,

**რეგიონალურ თეატრებში:**

მესხეთის თეატრში - 8,

გორის თეატრში - 7,

ქუთაისის თეატრში - 6,

**საერთაშორისო გასტროლი, მონაწილეობა ფესტივალებში:**

საქართველოს მასშტაბით 32 თეატრიდან საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 11 თეატრს. მათ შორის, 17 რეგიონული თეატრიდან მხოლოდ აჭარის თეატრებმა (ბათუმის დრამატული - 1, ბათუმის თოჯინების - 3, ხულოს - 1), შესაბამისად საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტჯერ საერთაშორისო ფესტივალში (ბიენალეში, ფორუმში) მონაწილეობა მიიღო:

მარჯანიშვილის თეატრმა - 5,

თავისუფალმა თეატრმა - 4,

მუსიკისა და დრამის, ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრებმა - 3

დედაქალაქის 10 სახელმწიფო თეატრიდან საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ექვსმა თეატრმა, მათგან ყველაზე მეტი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰქონდათ:

მარჯანიშვილის თეატრს - 5,

მუსიკისა და დრამის თეატრს - 3,

თუმანიშვილის თეატრს - 2,

ოთხი დამოუკიდებელი თეატრიდან საერთაშორისო გასტროლი განახორციელა სამმა თეატრმა: თავისუფალმა — 4, სამეფო უბნის თეატრმა — 1, თეატრმა ათონელზე — 1.

რეგიონალური თეატრებიდან 2012 წელს მხოლოდ აჭარის თეატრებმა შეძლეს თავიანთი სპექტაკლების ჩენენება საერთაშორისო ფესტივალებზე:

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა - 3,

ბათუმის დრამატულმა თეატრმა - 1,

ხულოს თეატრმა - 1.

**შემოქმედებითად ყველაზე აქტიური რეჟისორების ტიტულს ინაწილებენ:**

პირველ ეტაპზე გორჩა კაპანაძე და გიორგი შალუტაშვილი 6-6 დადგმით.

მეორე ეტაპზე დიმიტრი ხვთისიაშვილი და ვანო ხუციშვილი 4-4 დადგმით.

რეგიონის თეატრებში, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში ყველაზე მეტი დადგმა ეკუთვნის სოსო ნემსაძეს (გორის თეატრი) 4 დადგმით, ხოლო დედაქალაქის თეატრებიდან - ლევან წულაძეს (მარჯანიშვილის თეატრი) 3 დადგმით.

დამოუკიდებელ რეჟისორთაგან, რომელმაც 2012 წელს მხოლოდ ერთ თეატრში განახორციელეს ყველაზე მეტი დადგმა. ლიდერის პოზიცია უჭირავთ დედაქალაქიდან: ვანო ხუციშ-

ვილს (თავისუფალი თეატრი, 3 დადგმა) რეგიონებიდან ასევე 3-3 დადგმით ვახტანგ ქორიძეს (ახალციხის თოჯინების თეატრი) და მზია ქირიას (სენაკის თეატრი).

### **რაც შეეხება, მსახიობ ქალებს:**

ერთ თეატრში მოღვაწე მსახიობ ქალთაგან ყველაზე მეტ სპექტაკლში იყო დაკავებული:

ნინო კიკაჩევილი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი) - 8-ჯერ,

მანანა ბერიძე (მესხეთის თეატრი) - 7-ჯერ,

ცირა ტაბატაძე (მესხეთის თეატრი) - 5-ჯერ,

ქეთევან შუბითიძე (მესხეთის თეატრი) - 5-ჯერ,

რუსულან შიოლაშვილი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი) - 5-ჯერ.

მამაკაცთაგან ერთ თეატრში ყველაზე მეტ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ზაზა გოგუაძემ (7-ჯერ), რომელსაც 6-6 როლით მოსდევს ლაშა ბუტულაშვილი (მესხეთის თეატრი), რაუდენ კერვალიშვილი და დენ ხლიბოვი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი).

### **მსახიობი, რომელიც მიწვეულია ყველაზე მეტ თეატრში:**

აკაკი ხიდაშელი (მარჯანიშვილის თეატრი, კინომსახიობთა თეატრი, ახმეტელის თეატრი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი)

სხვადასხვა თეატრში ყველაზე ხშირად მიწვეული თავისუფალი მსახიობები:

ანა წერეთელი (სამეფო უბნის თეატრი) 5-ჯერ, 4-4 - ჯერ ასევე სამეფო უბნის თეატრის მსახიობები: ნატუკა კახიძე, იაკო ჭილაძა, მაგდა ლებანიძე.

მამაკაც მსახიობთაგან ყველაზე მეტჯერ მიწვეული მსახიობი არის პაატა ინაური (სამეფო უბნის თეატრი) 5-ჯერ და შაკო მირიანაშვილი (თავისუფალი თეატრი) 4-ჯერ.

### **თეატრების მიხედვით მსახიობთა რეიტინგი ასე გამოიყურება:**

რუსთაველის თეატრი - ქეთი სვანიძე (3), ლევან ხურცია (3), ირაკლი სანაია (3),

მარჯანიშვილის თეატრი - ქეთი ცხაკია (3), მანანა კოზაკოვა (3), ზაზა გოგუაძე (7), როლანდ ოქროპირიძე (4), ზურაბ ბერიკაშვილი (4), ონისე ონიანი (3), დავით ხურცილავა (3),

მუსიკისა და დრამის თეატრი - გიგი ქარსელაძე (3), გიორგი ტორიაშვილი (3),

გრიბოედოვის თეატრი - მიხეილ ანჯაფარიძე (3),

ახმეტელის თეატრი - ანდრო სარიშვილი (3),

სამეფო უბნის თეატრი - პაატა ინაური (3),

ბათუმის თეატრი - ქეთევან ეგუტიძე (3), დავით ჯაყელი (3), ლევან თედორაძე (3)

ქუთაისის თეატრი - ნუცა სულაბერიძე (3), ნანა ცხვარიაშვილი (3), დავით როინიშვილი (3), გიორგი ჩახანიძე (3).

სენაკის თეატრი - ცირა ადამია (4), ლალი გაბელაია (4), ზურაბ ზურაბაშვილი (3), ზვიად ზურაბაშვილი (3),

ჭიათურის თეატრი - თამარ ჯაჯანაშვილი (3), გოჩა აბაშიძე (3)

ზესტაფონის თეატრი - ნინო აბესაძე (3), მზია არევაძე (3), მარეზი აბესაძე (3), თემურ კიქნაველიძე (4), ბადრი ტაბატაძე (4),

გორის თეატრი - ნათია მელაძე (4), თათია ტატულაშვილი (3),

რუსთავის თეატრი - ნათია არბოლაშვილი (3), ზურა ფიროსმანაშვილი (3),

თელავის თეატრი - ნინა ხუბარაშვილი (4), ვენერა ფეიქრიშვილი (3), მალხაზ ჩიდრაშვილი (4), ვანო იანტბელიძე, ლექსო რაზმაძე და ზურაბ ლომიძე (3)

### **მსახიობებთა მიწვევის ინსტიტუტი:**

მსახიობების მიწვევის ინსტიტუტი არსებობს 20 თეატრში.

მსახიობებს არ იწვევს 12 თეატრი.

4 თეატრის (ილიაურის თეატრი, თავისუფალი თეატრი, სამეფო უბნის თეატრი, ახალი თეატრი) დასი 100%-ით ეფუძნება მსახიობთა მოწვევის სისტემას.

2012 წლის ყველაზე პოპულარული დრამატურგი:

1. ლაშა ბულაძე - 4 პიესა (რუსთაველის, მარჯანიშვილის, მუსიკისა და დრამის, ახმეტელის თეატრები)

### **მეორე ადგილს 2-2 დადგმით ინაწილებენ:**

ლაშა თაბუკაშვილი (მესხეთის, თავისუფალი თეატრები), გურამ ბათიაშვილი (მესხეთის, მარჯანიშვილის თეატრები), ნინო სადლობელაშვილი (თავისუფალი თეატრი), ვანო ჩხიტავაძე (გორის თეატრი)

### **კომენტარი:**

სტატისტიკური კვლევა, რომლის შედეგებიც გამოხატულია მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებელში და ის არ გამოხატავს თვისობრიობას და მხატვრულ ხარისხს, 2012 წლის მაგალითზე ავლენს შემდეგ ტენდენციებს:

• ქართულ თეატრში ყველაზე ხშირად იდგმება თანამედროვე ქართველი ავტორების პიესები, რაც განპირობებულია თემების აქტუალობით (განსაკუთრებით სოციალური თემატიკით და მწვავე პოლიტიკური მოტივით) და უანრობრიობით. ქართველ რეჟისორთა უმრავლესობა 2012 წელს ყველაზე ხშირად კომედიებს დგამდა, როგორც ჩანს, მაყურებლის მოზიდვის მიზნით.

• კვლევამ აჩვენა ისიც, რომ თეატრის პიუჯეტი ნაკლებად განსაზღვრავს თეატრის მუშაობის ეფექტურობას. ზოგ შემთხვევაში კი თეატრი ორიენტირებულია არა ხარისხზე, არამედ მეტი ახალი თეატრალური პროდუქტის შექმნასა და მის გაყიდვაზე.

• 2012 წლის მიხედვით, თეატრების უმრავლესობამ (70%) ვერ მოახერხს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, რაც განპირობებულია: საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობით, საგასტროლო თანხების არქონით. რეგიონების თეატრებიდან მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის (აჭარის) თეატრებმა მოახერხეს საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა. ასევე გასათვალისწინებელია არასაბიუჯეტო თეატრის — თავისუფალი თეატრის — საგასტროლო მაჩვენებელი. მისი მენეჯმენტი ისეა აწყობილი, რომ ის ახერხებს დაფინანსების მოძიებას საგასტროლო ხარჯების დასაფარად.

• კვლევამ გამოკვეთა ისიც, რომ შემოქმედებითად გაცილებით აქტიურები არიან ის რეზისორები, რომლებიც არ მოღვაწეობენ ერთ რომელიმე კონკრეტულ თეატრში.

რეიტინგები თეატრების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში ვებ გვერდზე [www.tbcartarea.ge](http://tbcartarea.ge)

კვლევის შედეგების გამოყენება რაიმე ფორმით კვლევის ავტორის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი) მითითების გარეშე აკრძალულია.

კვლევის „2012 თეატრალური წელი“ პრეზენტაცია შედგა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია „ლიგამუშში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის ხელმძღვანელმა ირინა ლოლობერიძემ, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარებ ნიკა წულუკიძემ, თეატრმცოდნებმა და კრიტიკოსებმა მაკა ვასაძემ, თამარ ქუთათელაძემ, ნერონ აბულაძემ, გულიკო კაკაბაძემ, გიორგი ყაჯრიშვილმა და სხვ. კვლევის პრეზენტაციის შემდეგ რამდენიმე მათგან-მა გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები.

**ირინა ღოღობარიძე, თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის ხელმძღვანელი:** ვფიქრობ, კვლევამ ნათლად გამოკვეთა თეატრების რეიტინგი და დახატა მათი აქტივობის სურათი, მსახიობების დაკავება ვინ სად, როგორ შეიძლება ცოტა არაადეკვატური გვეჩვენოს, მაგრამ გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომ რეგიონული თეატრები უფრო აქტიურად მოღვაწეობენ. როგორც ჩანს, ისინი უფრო ინტენსიურად მუშაობენ ახალ დადგმებზე. ასეთი კვლევა ობიექტურ სურათს ხატავს, ვიდრე კრიტიკოსის მიერ შეფასებული, როგორი აბიექტურიც არ უნდა იყოს კრიტიკოსი და პროფესიონალი თეატრისა, მანიც სუბიექტური აზრია, აქ მხოლოდ სტატისტიკაა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ ციფრობრივ მონაცემებს. გამაკვირვა გასტროლების სიმწირემ, რაც არ გამომდინარეობს თეატრების პასიურობიდან, საერთაშორისო გასტროლების განხორციელება არ არის მხოლოდ თეატრების ბრალი, ეს არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყვდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, საერთაშორისო ინსტიტუტების მომძლავრებით და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებით. რაც შეეხება მოწვევის ინსტიტუტს, ეს საკითხი ჩვენი, კრიტიკოსების კამათის ობიექტია. იმ თეატრების, რომლებიც ეროვნულ თეატრებს წარმოადგენს, უნდა ჰქონდეთ უფლება ჰყავდეთ მუდმივმოქმედი დასი. ასეთი, მაქსიმუმ, ხუთი თეატრი უნდა იყოს, რომლებსაც ავიყვანთ ეროვნული თეატრების რანგში, როგორც ეს არის მთელ მსოფლიოში და უნდა იყოს მთლიან სახელმწიფო დოტაციაზე, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ სხვა თეატრებს არ ჰქონდეთ სახელმწიფო ბიუჯეტი და დახმარება მისგან. ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა გაკეთდა და იმედია არ იქნება უკანასკნელი. ვფიქრობ, კვლევა სრული სახით უნდა გამოქვეყნდეს, რათა თეატრებს ჰქონდეთ ინფორმაცია. კარგი იქნება ცალკე გამოიცეს - ბიულეტენის ფორმით, რომელიც თეატრებს დაეგზავნებათ.

**ნიკა ჭულუპაძე, თეატრმცოდნე, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარე -** თეატრმცოდნებს ხშირად გვგონია, რომ კარგად ვიცნობთ თეატრალურ პროცესებს. უნდა გითხროთ, რომ ამ კვლევამ სრულიად შეცვალა კონკრეტული მოვლენებისადმი ჩემი დამოკიდებულება. ამ რამდენიმე ფურცელმა დაგვანახახა ქართული თეატრის აქტივობა დრამატურგიასთან, საერთაშორისო გასტროლებთან მიმართებაში, რამდენად სწორად ნაწილდება პიესები, რამდენად სწორად იჩჩევა მასალა რეჟისორის მიერ და ვინ არიან ყველაზე უფრო აქტიურები დღეს. მე სანინაალმდეგო არ მაქს გარკვეული მსახიობების მიმართ, რომლებიც რეიტინგში მოხვდნენ, მაგრამ ვინც ნამდვილად უნდა იდგეს სცენაზე და თამაშობდეს, მათ არ

ეძლევათ შესაძლებლობა სპეცტაკლებში თამაშის, ამ კვლევამ ეს ტენდენციაც გამოავლინა. კვლევამ, რომელმაც ქართული თეატრის ერთი წელი დახატა, საინტერესო იქნება ისტორიისთვის შესადარებლად. იმედი მაქვს, დადგება ისეთი დროც, როცა სტატისტიკა და შემოქმედებითობა თანხვედრაშიც იქნება ერთმანეთთან.

შპაპ ვასაძე, თეატრმცოდნების, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრის“ ხელმძღვანელი: „თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის“ განხორციელებული შრომა: — 2012 წლის საქართველოს თეატრალური სეზონის შეჯამება, სტატისტიკური თვალსაზრისით, ერთობ საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია. უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა, თუ რა ინტენსივობით მუძაობს დღეს ქართული თეატრი. დედაქალაქსა თუ რეგიონებში დადგმული სპექტაკლების (პრემიერების) რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით (33 თეატრში 144 ახალი სპექტაკლი), ძალიან პრეგი შედეგი გვაქვს. მართალია, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკა, კვლევა არ არის ხარისხის მაჩვენებელი, მაგრამ, ჩემი აზრით, 2012 წლის თეატრალური სეზონი შემოქმედებითი თვალსაზრისითაც ძალიან ნაყოფიერი გახდათ. მაგალითისთვის რამდენიმე სპექტაკლს დავასახელებ: დავით დორიაშვილის „(შუა)ზაფხულის ღამის სიზმარი“, ლევან წულაძის „როგორც გენებოთ“, გორგა კაპანძის „გუშინდელნი“ (მართალია, პრემიერა 2011 წ. დეკემბრის მეორე ნახევარში შედგა, მაგრამ მაინც ალბათ 2012 წლის სეზონში შეიძლება მოვიაზროთ), დათა თავაძის „ფრეკვენ უიული“, ნიკა თავაძის „სტრიპტიზი“, მაკა ნაცვლიშვილის „ფსიქოზი“, სოსო ნემასძის „საქსოფონი“ და სხვ. მეორეც, რაც ყველაზე სასიხარულოა, ამ სეზონში აშკარად გამოიკვეთა ახალგაზრდა რეჟისორების და მსახიობების შემოქმედებითი ნარმატივები.

მისასალმებელია, რომ დადგმული სპექტაკლების თითქმის 40% ქართულ თანამედროვე დრამატურგიას, ხოლო 26%-ზე ცოტა მეტი ქართულ კლასიკურ დრამატურგიას ეყრდნობა.

კვლევამ გამოავლინა ის ფაქტიც, რომ რეგიონული თეატრებიდან საერთაშორისო ფესტივალებზე, ბიენალებსა, გასტროლებსა თუ ფორუმებში მონაწილეობდა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამი თეატრი. ე. ი. ევროინტეგრაციის მხრივ რეგიონალურ თეატრებს სერიოზული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი. ამას ყოველ წელს ადასტურებს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ქართული შოუქეისის ფარგლებში, რეგიონული (და არა მხოლოდ, დედაქალაქის) თეატრები, დილის შეხვედრებზე, სადაც უცხოელი პროდიუსერები და მენეჯერები მოდიან ქართული თეატრალური „პროდუქციის“ დასათვალიერებლად და „შესაძნად“, ვერ ახერხებენ საკუთარი სპექტაკლების სათანადო დონეზე „შეფუთვას“ და წარდგინებას. თანამედროვე სათეატრო სივრცეში, ეს მართლაც, სერიოზული, აუცილებლად გადასახედი პრობლემაა.

შიმანია, რომ „თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა“ ძალიან შრომატევ-ადი და ამავდროულად საჭირო სამუშაო შექასრულა. კარგი იქნება, თუ ასეთი სახის კვლევას მომავალშიც გააგრძელებენ.

სანდორო ასმეტელის „სამუდამო საკანე“

2012 წლის გვარი შემოღვომის ერთ თბილ დღეს, 4 ნოემბერს, კახეთის მშენებელი სოფლის ახა-  
გის მოსახლეობამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ამ სოფლის შეიღი, დიდი ქართველი რეჟისორი სახირო  
ახმეტელი. ცტორუე ამ დღეს მისი სახლ-მუზეუმის ქაშმი დაკრძალეს სახიროს გვარ ჯიმშერ ახმეტელი.  
ეს მუზეუმი მდებარეობს ახაგის ცენტრში, სადაც სახირო ახმეტელმა სტუდენტობის პერიოდში დადგა  
თავისი ზორველი საქართველო „აღალატი“, ამიტომც ახაგის ქართველი თეატრალური ცხოვრების ისტო-  
რიაში განსაკუთრებული ადგილი უკირავს. მუზეუმს დარწევიდან დღემდე ერთგულად ქმისახურება ლია  
კარაშიაშვილი.

# სპექტაკლები



„როგორც ჩენებოთ...“

მაკო გოჩაშვილი

უკვე გასული 2012 წლიდან, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ დარბაზში შეკრებილ მაყურებელს უილიამ შექსპირის უსასრულო თეატრალურ სამყაროში სამოგზაუროდ გვიხმობენ ცნობილი ქართველი მსახიობები. სპექტაკლის დასაწყისი თითქოსდა ქაოტური და დამაბნეველია, მაგრამ სულ მაღლე ვხვდებით, რომ ორმაგ თეატრალურ სამყაროში მოვხვდით. ამ ყველაფერს შეგვიძლია ვუწოდოთ „თეატრი თეატრში“ ანდა, უბრალოდ, „როგორც გენებოთ“.

ჩვენ თვალწინ იხსნება სცენაზე განლაგებული, საგულდაგულოდ ჩაკეტილი ყუთები და ინუება წინასასპექტაკლო ფუსფუსი, პანიკა, ჩეუბი, კამათი, ტექსტის გამეორება, კოსტიუმების მორგება, დეკორაციისა და მუსიკალური საკრავების განლაგება — ყველაფერი, რისგანაც რეპეტიცია შედგება. მსახიობები, სცენაზე გამოსვლის მოლოდინში, ბანქოსა და ჭადრაკის თამაშით ირთობენ თავს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის წამიერი ცვლილებაა, რასაც თითოეული მსახიობი განიცდის, როდესაც ყველა პირად გრძნობას სცენის მიღმა ტოვებს და მოქმედი პირის შინაგანი თუ გარეგნული თვისებებით იმოსება.

როგორც ჩანს, სპექტაკლის მაყურებელი არა მარტო დარბაზში მსხდომი საზოგა-

დოებაა, არამედ თვითონ მსახიობთა დასიც, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, მარჯანიშვილის თეატრის დიდ დარბაზში არსებულ თეატრალურ სამყაროს კიდევ ერთი, ამჯერად ღია კულისებიანი შექსპირისეული პატარა სცენა დაამშვენებს. სწორედ ეს გაორმაგებული თეატრალურობა მატებს ხიბლს და ინტერესს რეჟისორ ლევან წულაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს „როგორც გენებოთ“.

ცოტათი უცნაური ამბავი, რასაც შექსპირი გვიამბობს, სავსეა გრძნობათა მრავალფეროვნებით. ეს ის ადამიანური გრძნობებია, რასაც თითოეული პიროვნება განიცდის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე: მეგობრობა, სიყვარული, მტრობა, შური, მარტობა, ბრძოლა. სამყარო, რომელიც შექსპირისთვის დამახასიათებელი და ახლობელია, ძალიან კარგადაა გააზრებული და გათავისებული ქართველი მსახიობების მიერ. შექსპირის ეს რომანტიკული კომედია იმდენად კარგადაა გააზრებული, რომ ადაპტირებული ტექსტიც კი სასიამოვნოდ ჩაესმის მაყურებელს, იქნება ეს პროზად ნათქვამი, თუ ლექსად.

მომწონს ფერები, რომლებიც დომინირებს სპექტაკლში დეკორაციისა და კოსტიუმების სახით. არაჩვეულებრივი სინთეზი იქმნება სცენაზე უხვად დაყრილ შემოდგომის გახუნებულ ფოთლებთან, რაც უფრო სასიამოვნოსა და შთამბეჭდავს ხდის მსახიობებისა და მაყურებლის მოგზაურობას, „არდენის ტყეში“. თუმცა, მანამდე უზურპატორი მეფის სასახლეში გამოკეტილი პიესის გმირები გაგვანდობენ თავიანთ ფიქრებს.

კონფლიქტი, რასაც სპექტაკლის დასაწყისში ვხვდებით, ზოგადად შექსპირის გმირებისთვისაა დამახასიათებელი — ბრძოლა ძალაუფლებისა და გვირგვინისათვის. ახლანდელი უზურპატორი მეფის, ფრედერიკის როლს ასრულებს ბესო ბარათაშვილი. მისი მეფე ერთდროულად დამაჯერებელიც არის და სასაცილოც. როგორც ჩანს, სახელისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად მან სამეფოდან გააძევა საკუთარი ძმა და ახლა არც მდისწულის განდევნა მიაჩნია დიდ დანაკლისად. მერერა, რომ მასთან ერთად საკუთარ შვილსაც ჰყარგავს. უზომოდ სასაცილოა სცენა, როდესაც ბესო ბარათაშვილის გმირ მსახიობს, რომელიც მეფე ფრედერიკს განასახიერებს, ვითომ ჩუმად კარნაბობენ ტექსტს. ეს სცენა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მსახიობები, რომლებიც შექსპირის პიესის პერსონაჟების როლებს ირგებენ, სრულიად არაპროფესიონალი თეატრალური

დასის წევრები არიან. მათი განსახიერება კი ჩვენთვის კარგად ცნობილ ქართველ მსახიობებს უწევთ.

სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი გმირია განდევნილი ჰერცოგის შვილი – როზალინდა, რომელსაც თითქოს შთამომავლობით გადაეცემა სამეფოდან განდევნილის სტატუსი. მისი გმირი სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ გვევლინება. ის მზადაა, საკუთარი ცხოვრება თეატრალურ სამყაროდ გარდაქმნას, ბიჭის როლი შეითავსოს და თამამი ნაბიჯებით იაროს არდენის ტყეში. ქეთევან შათირიშვილის როზალინდა არ არის ერთ-ფეროვანი, მოსანწყენი გმირი. თუ სპექტაკლის დასაწყისში სრულიად უსუსურ, დროსა და სივრცეში გაშეშებულ არსებად გვევლინება, სპექტაკლის მეორე მოქმედებაში ძლიერი, გამბედავი, სიტყვაუხვი ჭაბუკია, რომელიც არდენის ტყეში მოხეტიალე მწყემსებისა თუ დიდებულების ბედნიერებაზე ზრუნავს. როზალინდა ქალისა და კაცის როლის თამაშით, იცავს საკუთარ თავს და განუყრელ ბიძაშვილს – სელიას და ასევე ცდის ორლანდოსა და თავის სიყვარულს. ქეთევან შათირიშვილის შესრულების მანერა ძალიან მსუბუქი, პაეროვანიდამაყურებლისთვის სასიამოვნოა. როზალინდა სპექტაკლის უმნიშვნელოვანესი პერსონაჟია. ის არის მამოძრავებელი ღერძი, რაც ყველაზე მეტად კულმინაციურ მომენტში ჩანს, როდესაც ხვალინდელი ბედნიერი დღის გეგმებს აწყობს. შთამბეჭდავია წუთები, როდესაც დარბაზში გამეფებულ დუმილს სცენაზე გამეფებული დუმილიც ემატება. ეს არის წამები, როდესაც სასიყვარულო ძაფები იძმება როზალინდასა და ორლანდოს შორის. აშკარად ვგრძნობთ, რომ მათთვის დრო გაჩერდა და ველარაფერს ხედავენ ერთმანეთის გარდა. ასეთი რომანტიკული სცენები, რა თქმა უნდა, უფრო სასიამოვნოს ხდის შექსპირის ამ პიესას. ქეთევან შათირიშვილი ამასთანავე ქმნის შეყვარებული ქალის სახეს, რომლისთვისაც „სიყვარული სიგიჟეა და მეტი არაფერი.“ ის ახერხებს იყოს როგორც მოსიყვარულე და ვნებიანი, ისე ეჭვიანი და მტკიცე ქალი. სწორედ ხასიათის ამგვარი ცვლილებების დანახვით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ქეთევან შათირიშვილი კარგად გრძნობს იმას, რასაც თამაშობს.

როზალინდას სატრფოს, ორლანდოს როლს ასრულებს ნიკა კუჭავა, რომელიც სპექტაკლის დასაწყისში ხმაურითა და ჩხუბით იქცევს ყურადღებას. მან მონაწილეობა უნდა მიიღოს ჭიდაობაში, რომელსაც მეფის

გარდა, მისი შვილი და ძმისწული დაესწრებიან. ჭიდაობის სცენას თან სდევს ქართული ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის ელემენტები, რაც მეტად საინტერესოა ინგლისური და ქართული ხელოვნების შერწყმის თვალსაზრისით. აქაც, ისევე როგორც სხვა უამრავ სცენაში, თავს იჩენს კომიკური ელემენტი. ამჯერად, სცენაზე ვხედავთ დიდ თოჯინას, რომელიც ორლანდოს მეტოქეს ცვლის. როზალინდას სიყვარულით აღსავსე და გამარჯვების უინით შეპყრობილი ორლანდო კი, ულმობლად სცემს და ამარცხებს მოპაერეს.

ნიკა კუჭავას მიერ განსახიერებული ორლანდო სუსტი, ცოტათი პესიმისტი, მარტო-სული, რომანტიკული ხასიათის მქონე პერსონაჟია. უფროს ძმასთნ, ოლივერთან ჩხუბის შემდეგ, რომლის როლსაც ნიკა თავაძე ასრულებს, ისიც არდენის ტყეში გადაიხვენება თავის ერთგულ მსახურთან ერთად. არდენის ტყე მისთვის არის იმედი, რომ დაივიწყოს განდევნილი სატრფო, მძიმე წარსული და დაიწყოს ცხოვრება თავიდან. ძალიან ლამაზია სცენა, როდესაც ფოთლებით სავსე სცენაზე თეთრი ბუშტებით ხელში გამოდის ნიკა კუჭავა. როზალინდა და სელია კი რიგრიგობით უშვებენ ბუშტებს ჰაერში. ისინი, როგორც ჩანს, იმ ხეებს წარმოადგენენ, რომლებზეც ორლანდო სასიყვარულო ლექსებს წერს. ბუშტები იმ ოცნებების სიმბოლოა, რომლებიც არდენის ტყეში მოხეტიალე ადამიანების გულებში ცოცხლობენ და ნატრობენ, იყვნენ ისეთი ფაფუქები, რომ მათაც შეძლონ ზეცისაკენ ფრენა.

მეორეხარისხოვანი და ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაჟია უზურპატორი მეფის ასული – სელია, რომლის როლსაც ნატო კახიძე ასრულებს. ის სრულიად სამართლიანად იმსახურებს მაყურებლის უდიდეს სითბოსა და სიყვარულს იმ ერთგულების, ლოიალურობისა და თავდადების გამო, რასაც საკუთარი ბიძაშვილის, როზალინდას მიმართ ამჟღავნებს. ნატო კახიძე, სცენაზე გამოჩენის პირველივე წუთებიდან, იჩენს თავს მკაფიო მეტყველებით. ერთი შეხედვით, როზალინდასავით სუსტი და უსუსური სელია, მასზე არანაკლებ თამაში აღმოჩნდება. ბიძაშვილის სიყვარულის გამო, უარს ამბობს სამეფო პატივზე და მასთან ერთად გარბის ტყეში, სადაც ყველას „ელოდება თავისუფლება“.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ბიძაშვილები ენდობიან და თავიანთ საიდუმლოს უმხელენ, არის მასხარა თაჩისთოუნი. არლეკინის სამოსის ელემენტებით განყობილი

კოსტიუმის მორგება მაღაზაზ აბულაძეს ხვდა ნილად. მისი მასხარა აქტიური, ჭკუამახვილი და ენამოსნრებულია. ის ყოველთვის ცდილობს გამოამჟღავნოს ცინიზმი, რისთვისაც ხშირად აღვირასნილ იუმორსაც კი იყენებს. თავისი თონბაზური საქციელებით ცდილობს გააცუროს სოფლელი გოგონა ოდრი, რომელსაც დაქორწინებას ჰპირდება. ამ როლს განასახიერებს მანანა კოზაკოვა. ქორწინების იმედით შეპყრობილი მანანა კოზაკოვას გმირის მიერ გამოხატული ემოციები იმდენად მართალი და სუფთაა, რომ მაყურებელი ცოტათი იბნევა კიდეც. ის სრულ პანიკაშია. მისი ტექსტი: „გავთხოვდი! მეშველა!“ აყრუებს მაყურებელს. მისი მჩქეფარე ენერგია აღუწერელ სიხარულს იტევს. ამგვარ განწყობას პერსონაჟის ფერადი კოსტიუმებიც უწყობს ხელს. ოდრი ერთგვარი მასხარაა, რომლის საქციელშიც აშკარად იკვეთება გროტესკის ელემენტები.

მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ნატა მურვანიძის პერსონაჟს – ქაქს. ის ნარმოგვიდგება როგორც მელანქოლიური, პესიმისტი ადამიანი, რომელიც საკუთარი მონოლოგით სევდას ჰგვრის მაყურებელს. ნატა მურვანიძის ქაქი, თავისი ხასიათითა და საუბრის მძიმე კილოთი, სრულიად განსხვავებულია სპექტაკლის სხვა პერსონაჟებისაგან. მისი კოსტიუმიც მუქ ფერებშია გადაწყვეტილი. ეს სცენური გმირი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სრული მარტოობისთვისაა შექმნილი და მისთვის მთელი სამყარო საკუთარი თავი და არდენის ტყეა. როლის შესრულებისა და შესაბამისად თავისი ვალის მოხდის შემდეგ, სათითაოდ ულოცავს გზას არდენის ტყეში მოხეტიალე გზაბნეულ ადამიანებს. თვითონ კი სცენაზე მდგომ ერთ-ერთ ყუთში იკეტება. მისი სიტყვები „მთელი სამყარო სცენაა“ უფრო მეტად აღრმავებს დარბაზში გამეფებულ იდუმალებას და ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ, რომ „უკლებლივ ყველა, კაციც და ქალიც, ამ სცენაზე თამაშობს.“

შეუძლებელია, აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ ზურაბ ბერიკაშვილისა და თამარ ბუხნიკაშვილის წყვილი, რომლებიც მწყემს სილვიუსასა და ფეხებს განასახიერებენ. ზურაბ ბერიკაშვილის პერსონაჟი დანახვისთანავე იწვევს სიცილს მაყურებელში თავისი დგომის, სიარულისა თუ საუბრის მანერით. გაუაზრებელი საქციელებითა და დაუფიქრებელი სიტყვების წამორომვით კომედიას მეტ სიხალისეს ანიჭებს. ის უგონოდა შეყვარებული



ფეხზე, რომელსაც ბიჭის სამოსში გამოწყობილი როზალინდა უყვარდება. თუმცა, როზალინდასთვის მიცემული პირობის თანახმად, ის იღებს სილვიუსის სიყვარულს მას შემდეგ, რაც ნათელი გახდება, რომ როზალინდა ნამდვილი მეფის ასულია.

შეყვარებულ წყვილთა რამდენიმე სახის ჩვენება, მრავალფეროვანს ხდის შექსპირის მიერ მოთხოვნილ ამბავს. აქ, სერიოზულის გვერდით კომიკურ ურთიერთობებსაც ვხვდებით, რისი მაგალითიცა მწყემსებისა და მასხარების სიყვარული. სპექტაკლის დასასრულს, თავს იყრის ოთხი ბედნიერების მომლოდინე წყვილი, რომელთა მომავალსაც ნამდვილი, არდენის ტყეში მოხეტიალე, სტატუსდაბრუნებული მეფე დალოცავს. საქორწინო მარშის მაგივრად კი ხმებში გაშლილი ულამაზესი მელოდია გაიჟღერებს ტექსტით: „როგორც გენებოთ“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მსახიობებისა, სპექტაკლში არანაკლებ მნიშვნელოვან და საინტერესო სახეებს ქმნიან: ნიკოლოზ თავაძე, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ქეთევან ცხაკაია, დავით ხურცილავა.

ნიკოლოზ თავაძე ორლანდოს უფროს ძმად და მის მჩქევრელად გვევლინება. მათ შორის არსებული კონფლიქტი ჩხუბითა და სახლის დაწვით მთავრდება. თუმცა, რა იქნებოდა სპექტაკლის ბედნიერი დასასრული ბოროტების დავინწყების გარეშე?! ძმასთან კიდევ ერთი დაპირისპირების შემდეგ, ოლივერი სრულიად საპირისპირ პიროვნების

გრძნობებითა და თვისებებით ივსება. დანახვისთანავე უყვარდება სელია და სპექტაკლის დასასრულს მათი სიყვარულიც ჯვრისწერით გვირგვინდება.

ონისე ონიანი ძალიან ართობს მაყურებელს თავისი ონბაზური საქციელებით, იქნება ეს სანთლის ალზე ბუტერბორდის გამოცხობა, საუბრის დაუკეტელი სურვილი თუ სასაცილო ფრანგულით საუპარი.

როლანდ ოქროპირიძე ასრულებს როგორც მოჭიდავის, ასევე განდევნილი ჰერცოგის თანმხლები დიდებულის როლს, რომელიც ტყეში სიმღერით ირთობს თავს.

ქეთევან ცხაკაია კი ორლანდოს ერთგული მსახურის, ადამის როლს ირგებს. სიყვარულისა და მეგობრობის ნიშნად, მასთან ერთად მიდის ტყეში. უზომოდ დაღლილსა და სიარულისაგან ძალაგამოცლილს მეფის ამაღლავაშით უმასპინძლდება. სრულიად ნათელია, რომ ამ სცენას სიმბოლური დატვირთვა აქვს: ვაშლი — როგორც სიცოცხლის სიმბოლო; არდენის ტყე — როგორც ედემის ბაღი და ადამი — როგორც პირველი ადამიანი.

დავით ხურცილავას მწყემსი კორინი კი არდენის ტყის ბინადართაგან ერთ-ერთია, რომელიც გზას უკვლევს აქ მოხვედრილ ადამიანებს. სპექტაკლის უკანასკნელ სცენაში კი მღვდლის სამოსას იცვამს, რათა ღვთის სახელით აკურთხოს შეყვარებულ წყვილთა მომავალი.

მინდა ალვინიშნო კიდევ ერთი სიმბოლო, რასაც პირობითად არდენის ტყე ჰქვია. ეს არის ადგილი, სადაც იმედგაცრუებული ადამიანები იმკვიდრებენ თავს. ადგილი, სადაც თითოეული ადამიანი თავისუფლების უსარულობაში იძირება და აკეთებს იმას, რაც გულით სურს. იქნება ეს ხეებზე სასიყვარულო ლექსების წერა, სტრესისგან გათავისუფლება, მამაკაცის როლის მორგება თუ სხვა. არდენის ტყე არის ეგზოტიკური სამყარო, სადაც სრული ჰარმონია და სიკეთე მეფობს და სადაც შეუძლებელია თავი უბედურად იგრძნო.

სპექტაკლში, ისევე როგორც პიესაში, ძალიან ხშირად იცვლება სცენები და, შესაბამისად, ხასიათებიც. სწორედ ამგვარი ცვლილებები იძლევა იმის საფუძველს, რომ სცენის ირგვლივ არსებულმა სივრცემ გააოცოს, გაამხიარულოს, დააბნიოს, ცრემლი მოჰვაროს, დააფიქროს და ამოგზაუ-

როს თითოეული მაყურებელი ერთ, საერთო სამყაროში. სამყაროში, რომელსაც ჯადოსნური ძალა აქვს და რომელსაც თეატრს ვეძახით.

ვახტანგ კახიძის მუსიკა და გიორგი მარლანიას ქორეოგრაფია წარმოდგენას უფრო ჰაეროვანს ხდის. როგორც ანტრაქტის, ისე სპექტაკლის დასაწყისსა და დასასრულს, მსახიობების მიერ შესრულებული პატარა მუსიკალური ეტიუდი „როგორც გენებოთ“ ერთგვარი რიტუალის ხასიათს ატარებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმოდგენის გამართვა. ამას ემატება ქარის ხმა და ჩიტების ჭიკჭიკი, რომლებსაც მსახიობები გამოსცემენ, რითაც რეჟისორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თეატრალური სამყაროს უსასრულო ფანტაზიას.

სპექტაკლი „როგორც გენებოთ“ მთლიანობაში ერთი დიდი ზეიმია, რომელიც უთვალავი ნიუანსისაგან შედგება. მასში მონაწილე თოთხმეტი მსახიობიდან ყველა გამორჩეულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეს ქმნის. თითოეული მათგანი სპექტაკლს უდიდეს სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს. სერიოზულ სცენებს სანახაობრივად სახალისო ეპიზოდები მოსდევს, იქნება ეს თევზაობისა თუ ცხვრის წველის სცენა. ეს ყველაფერი იმდენად კარგადაა შეკრული და გაერთიანებული, რომ შეუძლებელია მაყურებელმა დაღლა იგრძნოს. მიიტანო მაყურებლამდე დრამატურგის სათქმელი, შეიგრძნო პერსონაჟების გრძნობათა ბუნება, გაითავისო პიესის სტილური თავისებურება, შექმნა ურთიერთობათა კანონზომიერების ჯაჭვი, გახადო ის ყველა-სათვის გასაგები და სასიამოვნო, როგორც რეჟისორის, ასევე მსახიობთა დასის მთავარი მიზანი, მთავარი ამოცანაა.



# ტრაგიკული მონოლოგი



გიორგი სიხარულიძე მუდამ სიახლეს ეძებს, არაორდინალურია კლასიკური ნაწარმოების მისეული ტრანსფორმაციები. მდიდარია სასცენო ლექსიკა, სცენაზე ყველაფერი მოძრაობს და ცოცხლობს, რათა მიღწეული იქნას მსახიობისა და მაყურებლის თანაზიარობა. მისთვის კარგად არის ცნობილი პოსტმოდერნისტული მონტაჟის ფრაგმენტაციისა თუ პოეტური იდეათა აბსტრაგირების „აქილევსის ქუსლი“, მაგრამ რეჟისორი ოსტატურად ფლობს სიტყვის ქმედითი ბუნების საიდუმლოებას და იცის როგორ დაუქვემდებაროს თავის კონცეფციას ნარმოდების მთელი სტრუქტურა, სადაც ბევრი რამ ბენვის ხიდზე გასავლელი. საკითხი ეხება გენიალური ბალადის თეატრის ენაზე გარდაქმნას და მის ინტერპრეტაციას.

რეჟისორი მიმართავს გამომსახველობითი მოძრაობების განსხვავებულ სტილს, ნაღვლიან ფერთა მონაცვლეობას, რიტმის ცვალებადობას, რეალურისა და სიზმრისეულის ერთდროულობისა და განცალკევების მრავალსახოვან პლასტებს. ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს რეჟისორს როდენივით, მართლაც დიდი სალი კლდე უდევს და ზედმეტებს აცლის, რომ გამოაქანდაკოს „ვეფხისა და მოყმის“ მონოლიტური სახე.

„ვეფხისა და მოყმის“ ბალადის სცენური

ვერსია დამდგმელი ჯგუფის დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ჯგუფისა, რომელიც კარგად გრძნობს პოეზიის მადლს, აზრის სიღრმეს, ტრაგიზმის ბუნებას და ჰუმანიზმის ეროვნულ ხასიათს.

ასე გაერთიანდა დამდგმელი ჯგუფი რეჟისორის ირგვლივ. იდეის ავტორი და მხატვარია ზურაბ გოგორიკაძე, პროექტის აღმასრულებელი პროდიუსერი ანდრო კლებანსკი, მუსიკალური გამფორმებლები: გიორგი სიხარულიძე და ანა მურდულია, პლასტიკა ვეკა პირმისაშვილისა და ნათია მეტრეველისა, მხატვარი-კონსტრუქტორი ვლადიმერ სტურუა, კოსტუმის შემქმნელი — ხანა ანდრიაძე.

მზია არაბული გამოცდილი ოსტატის ხელით „მართავს“ ნარმოდგენის რიტმს და მის ტრაგიკულ ბუნებას. განზოგადოებულია მოყმის დიდი ტრაგიკული სახე, თითქოს კაუში დაფარული ნაპერნ კლებივითაა მოყმის დედის შინაგანი გულისწვა და ბორგვა, რომელიც განსხვავებულად მკაცრსა და თავშეკავებულ სცენურ ფორმებში ვლინდება. მისი ყოველი უესტი და მოძრაობა ფსიქოლოგიურად მოტივირებულია, არაფერი ზედმეტი არ არის. ტექსტის დანაწევრების სარისკო ფორმაც სპექტაკლის ესთეტიკის ორგანული ნაწილია.

ქართველი ხალხის პოეტურმა გენიამ იდა უძლვნა ქართველი დედის ჰუმანიზმს, შექმნა მისი მონუმენტური, სიმბოლური სახე. ასე მგონია, რომ ბალადა თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ორგანული ნაწილივითაა, რომელიც სულისშემძვრელი ტრაგიზმით გადმოსცემს ვეფხვთან ტარიელივით შეჭიდებული მოყმის (გ. შენგელაია) გმირულ სულს.

მოყმის დედისა და ვეფხვის დედის (ანა მატუშვილი) ურთიერთობა, მათი ყოველი სიტყვა ღრმა ემოციით არის დამუხტყული. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მათი შეხვედრა, როცა მზია არაბულის დედა მისი შვილის მკვლელის დედას მიმართავს, რომ შენ შვილსაც ექნების ბრალიო, ანას რეაქცია არის ფსიქოლოგიურად ზუსტი.

სპექტაკლში ფუნქციონალურია ყოველი მსახიობის ადგილი. ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რეჟისორი როგორც დირიჟორი როგორ მართავს ორკესტრს ანუ წარმოდგენის ანსამბლს. მოქმედი პირები ბალადის სტრიქონებივით ორგანულად არიან ერთ მთლიან გადაწყვეტაში შერწყმულნი.

რეჟისორმა სპექტაკლს საწყის პერიოდშივე ზუსტი ფორმა მოუძებნა. ქართული ფოლკლორის უკვდავი სტრიქონები „მზეო,

ამოდი, ამოდი „... ვეფხვებთან მეომარი ჭაბუკის დაბადების მეტაფორულ სახედ აქცია. თამამ რეჟისორულ ჩანაფიქრს ადეკვატური გამართლება მოუძებნა. გაჩნდა პირველი კომპოზიციური კვანძი, რომელსაც მომდევნო სცენა აგრძელებს და ისე ენყობა შინაგანი სტრუქტურა, როგორც სახლის თაღი - „როცა ერთი ქვა ამაგრებს მეორეს“ (სენეკა), თუმცა, იგი ერთობ ძნელად მისაღწევი იყო, რადგან ბალადის ორი განვენილობა აქვს, - „რეალური“ და „სიზმრისეული“. ისინი ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან, მაყურებლისაგან მოითხოვენ გარკვეულ შემეცნებით დონეს, - ბალადის შინაარსის გახსენებას, რათა სიზმრისეულისა და რეალურის შერწყმამ ნათლად წარმოაჩინოს ბალადის სიუჟეტური განვენილობა.

რეჟისორი გრძნობს ბალადის უანრის სირთულეს, ზოგჯერ ბენვის ხიდზე გადის, დიდია რისკის ფაქტორი, მაგრამ ოსტატურად ფლობს სცენას, მთელ აქტიორულ ანსამბლს, მათ პლასტიკურ შესაძლებლობებს, გრძნობს შინაგან რიტმს და ბალადა ყოველ ახალ მონაკვეთში ახალ გონებამახვილ სიურპრიზებს გვთავაზობს. ამ მხრივ დიდ ეფექტს ახდენს ორი დედის, ორი აკვნის სიმბოლური ხატი, აკვნის რჩევის პირობითი უესტი შინაგანი ემოციით არის სავსე, ფაქიზად შესრულებულ პატარა ეტიუდში დიდი შინაარსი იყითხება.

წარმოდგენის წინამძღოლი ქოროვეტები, მ. არაბულის მოყმის დედა, ა. მატუაშვილის ვეფხვის დედა მოქმედებენ კარგად ორგანიზებული ქოროს (ვ. პირმისაშვილი, ნ. მეტრეველი, ნ. კუპატაძე, ნ. იაშვილი, ა. გურგენიშვილი, ს. ფიდიძე, ს. ცუხიშვილი, გ. ენუქიძე, დ. ზუროშვილი) ფონზე. ქორო თავისი პლასტიკით და რიტმით, მოვლენებზე რეაქციის სიზუსტით ანტიკური ტრაგედიის ასოციაციებს იწვევს. გარკვეულად მიგვანიშნებს ანტიკურ ტრაგედიასთან ბალადის სიახლოვეზე. გმირული საწყისის შორეული გამოძახილი მხოლოდ პარალელია, რადგან ტრაგიკული ოდა ღრმად ქართულ ეროვნულ ეთნოგენურ ფენომენს ეფუძნება და მითოსურ განზოგადობებებს იძენს.

ბალადის დადგმა სხვა კრიტერიუმებსა და ფასეულობებს გულისხმობს, ვერც ერთი სტანდარტული ნორმა ვერ გამოდგება, ყველაფერი თავიდან იქმნება და ექსკლუზურია. მისთვის ორგანულია თვით გმირების - მოყმისა (გ. შენგელაია) და ვეფხვის (გ. კახიანი) მდუმარე მოქმედება მათი თითოეული უესტი და მოძრაობა. აქ ყველაფერი ერთ


მთლიანობას, მონოცენტრისტულ პოზიციას ეყიდვა მიუხედავად მრავალი მოქმედი გმირისა.

მ. თუმანიშვილის თეატრში „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“ ტრიადის ორგანული ნაწილია. ნ. ლორთქიფანიძის და ქ. დოლიძის სპექტაკლების ციკლს („ნუთისოფელი“, ვაჟა-ფშაველას, „რატომ არ მოველ წვიმადა“) კრავს გ. სიხარულიძის ნარმოდგენა, სადაც ნათლად იკვეთება თეატრის ეროვნული პოზიცია.

ქართული ხალხური პოეზიის შედევრი სცენაზე განსხვეულდა ფოლკლორის პირველებილი სილამაზით. ჯვრის ფორმის დეკორაციულ ფიცარგანზე (ვ. სტურუა) გამოიხატა ქრისტიანული ჰუმანიზმის უნივერსალობის იდეა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო წარმოდგენის მუსიკალური გადაწყვეტა — ერთმანეთს ერწყმის მუსიკის ემოციური ფონი და მსახიობთა მოთქმითი სევდიანი ინტონაციები. წარმოდგენაში ყველაფერი ჰარმონიულად არის გამოთლიანებული, თანამედროვე გაუცხოებულ მაყურებელსაც აერთიანებს და ლირსების გრძნობას ულვიძებს, პატივისცემით განაწყობს თავისი ეროვნული ფასეულობებისადმი, ეს არის სპექტაკლში მთავარი, სხვა ყველაფერი კი მეორადია...





## მაკა ვასაძე

2012 წლის ბოლო ოთხი თვე თბილისელი თეატრის მოყვარულებისათვის ერთობ ნაყოფიერი გახდათ. სექტემბრიდან მოყოლებული მაყურებელს მრავალი, უცხოური თუ ქართული სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა მიეცა რიგით მეოთხე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. ოქტომბრის ბოლოს კი თბილის ენვიო მოსკოვის თეატრი „Et Cetera“ რობერტ სტურუას მიერ დადგმული ორი შედევრით. საგასტროლო რეპერტუარში იყო შექსპირის „ქარიშხალი“ და ტარიკ ნუის „კარგი ადგილი კი მოგინახავთ ძალების გამოსაკვებად“. 14 დეკემბერს დავით დოიაშვილმა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში, არაორდინარული, ახლებური, ორიგინალური კონცეფციის სპექტაკლი, შექსპირის „(შუა) ზაფხულის დამის სიზმარი“ წარმოადგინა. ერთი შეხედვით, თითქოს პარადოქსია, მაშინ როდესაც, ქვეყანაში სოციო-პოლიტიკური ვითარება ძალიან მძაფრი, უკიდურესად დაძაბულია და, შეიძლება ითქვას, „ბენზის ძაფზე“ ჰქიდია, შემოქმედებითი აქტივობა მკეთრად, ხარისხის მისამართი გაიზარდა. მეორე მხრივ, ვერავითარ პარადოქსის მე ამაში ვერ ვხედავ. კაცობრიობის ისტორიაზე თვალის ერთი გადავლებით აღმოჩნდება, რომ თითქმის ყოველი საუკუნის ბოლო და დასაწყისი, დიდი სოციო-პოლიტიკური ძვრების და, იმავდროულად, ხელოვნების სხვადასხვა დარგში შემოქმედებითი აღზევების, ახალი მიმდინარეობების შექმნის ხანაა. როგორც ამბობენ, ისტორიის ბორბალი ბრუნავს, ყველაფერი წრეზე ტრიალებს, მეორდება, მაგრამ ვითარდება სპირალისებრი წრე-

ბრუნვის ხარჯზე...

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“... შექსპირის 66-ე სონეტის პირველი სტრიქონით იწყებს რეჟისორი დავით დოიაშვილი თავის „(შუა) ზაფხულის დამის სიზმარს“ და 66-ე სონეტითვე ასრულებს. მხოლოდ ფინალში არ უდერს შექსპირის ბოლო სტრიქონი: „მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ბოლად რომ დამრჩეს“. რეჟისორი ტრაგი-ფარსს ტრაგიულად ასრულებს — სიტყვებზე: „ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ“ სპექტაკლის ერთ-ერთი პერსონაჟი გაუსაძლის ცხოვრებას თვითმკვლელობით ამთავრებს... შეიძლება ითქვას, რომ შექსპირის ეს სონეტი დავით დოიაშვილის დადგმის კონცეფციაა. წარმოადგინის „ფინალური აკორდი“ (პიესის მსგავსად) კი მაყურებლისადმი ინტელექტუალური პაკის მიმართვა: „თუკი რამეზე დაგწყვიტეთ გული, თუ ეს გართობა არ იყო სრული და გაგიცრუეთ იმედი მწარედ, მაშინ ეს თხოვნაც მიიღეთ ბარებ: ჩამოგეძინათ სკამებზე თითქოს და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყო!“. შექსპირის შემოქმედებაში „ცხოვრება-თეატრის“, „ცხოვრება-სიზმრის“ პრობლემატიკას დიდი ადგილი ეთმობა. სწორედ ეს წამოსწინა წინა პლანზე დავით დოიაშვილმა. სპექტაკლი რეალურის თუ ირეალურის, სიზმრისა თუ ცხადის ზღვარზე მიმდინარეობს... წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი ცნობიერში ამოტივტივდება და დიდხანს გაგყვება მიძინებული კითხვები — რა არის ცხოვრებაში სიზმრისეული და რა — რეალური? ცხოვრება თამაშია?

ოთხ საუკუნეზე მეტია შექსპიროლოგები იკვლევენ და კამათობენ ერთ-ერთი ყველაზე პოეტური, ფერიული, საიდუმლოებებით აღსავსე, სერიოზული, კომიკური, შიგადაშიგ სარკასატული ელემენტებით გაჯერებული „ზაფხულის დამის სიზმრის“ თაობაზე. პიესას შექსპირის დრამატურგიული მოღვაწეობის პირველ პერიოდს მიაკუთვნებენ. წერის სტილიდან, მანერიდან გამომდინარე დრამატული წანარმოების შექმნის თარიღი 1594-1595 წლებს შორის მერყეობს. სუუკების და პერსონაჟთა წყაროებად სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა აუტორები სახელდება: პლუტარქე, ოვიდიუსი, ჯ. ჩიოსერი და სხვ. ითვლება, რომ ეს პიესა „რომეო და ჯულიეტას“ გენეტიკურად ენათესავება, ამის მიზეზად კი სახელდება: სიყვარულის თემა, ოჯახებს, გვარებს შორის მტრობა, შულლი. მხოლოდ, პირველ შემთხვევაში, შექსპირმა ტრაგედია შეთხზა, მეორეში — ტრაგიული ელემენტებით გაჯერებული კომედიური ფერია. მკვლევართა აზრით, დრამატურგმა ამ პიესაში, ხელოვნების ახალი სფერო შექმნა, მიანიჭა რაფანტასტიკურ არსებებს მძლავრი დრამატული

1 შექსპირი უ. „ზაფხულის დამის სიზმარი“. თხულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. „ხელოვნება“ გ. II. 1985. გვ. 190.

ცხოვრება, რისი მაგალითებიც მანამდე ლიტერატურაში არ არსებობდა.

ორიგინალში პიესის სათაურია „A Midsummer Night's Dream”, სწორედ აქედან გამომდინარე, დავით დოიაშვილმა სპექტაკლს „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი” უწოდა. საბაზისოდ რეჟისორმა „ზაფხულის ღამის სიზმრის” ვაზტანგ ჭელიძისეული თარგმანი აიღო და ადაპტირება ქალბატონ მანანა ახთაქსთან ერთად გააკეთა. ადაპტირების ავტორებმა ტექსტი შეამოკლეს, გადამამონტაჟეს, ფერია-ნიმფები ამოაგდეს, მათი ზოგიერთი ტექსტი პაკის პერსონაჟს გადაულოცეს; როგორც ზევით აღვნიშნე, პიესის პროლოგსა და ეპილოგს, შექსპირის 66-ე სონეტი დაუმატეს და გაათამაშეს. მცირედენი რეპლიკები ჩაამატეს, ესეც მაყურებელთან ინტერაქტუალურობის გამო. სპექტაკლი თითქმის სამი საათი გრძელდება, მაგრამ ქმედება იმდენად რიტმული და დინამიკურია, რომ მაყურებელი დროის მდინარებას ვერ გრძნობს და, რაც მთავარია, შექსპირის კომედიად წოდებული პიესა, რეჟისორმა ტრაგი-ფარსად აქცია, უფრო სწორად კი, გროტესკულ ტრაგედიად, კომიკურ-ფარსული ელემენტებით. რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობას შექსპირის გენიალური პიესა იძლევა. უდიდესმა დრამატურგმა ამ ნანარმოებში რთული, არაერთგვაროვანი ადამიანური ურთიერთობები ხატოვნად, რომანტიკულად, თითქოს მსუბუქად, ადამიანთა ფსიქოლოგიის სიღრმისეული ცოდნით გადმოსცა. შექსპიროლოგთა აზრით, იგი კომედიიდან დრამისკენ გარდამავალ პიესათა ტიტოს კი განეკუთვნება, მაგრამ ფსიქოლოგიური ეფექტების ნათელი გამოსახვით, უკვე ნამდვილ „დრამად“ გვევლინება.

რეჟისორი დავით დოიაშვილი, ამ შემთხვევაში, „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმრის” სრულუფლებიანი ავტორია — რეჟისორია, ტექსტის ადაპტაცია (მანანა ანთაქსთან ერთად), სცენოგრაფია მასში ჩართული თანამედროვე აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიებით, მუსიკალური გაფორმება — ეს ყველაფერი მას ეკუთვნის. თანამედროვედ სტილიზებული კოსტიუმების შემქმნელი კი ანანო მოსიძე გახლავთ. ფანტასმაგორიული ფერიის შექმნაში რეჟისორს გვერდში ამოუდგნენ: ქორეოგრაფი — კოტეფურცელაძე, განათების მხატვარი — ია ნადირაშვილი, ვიდეოინიუნერი — მამუკა გაბინაშვილი, ხმის რეჟისორი — ემზარ ბეგაიაშვილი, სტუდია „ზებრა“ (ვიდეოპროექცია), სტუდია „ოპიონ“ (ანიმაციური ვიდეო). სპექტაკლში ძირითადად ახალგაზრდა მსახიობები არაან დაკავებული.

ამფითეატრის მსგავს დარბაზში შესვლისას მაყურებელს მუქ ფერში გადაწყვეტილი, მერთალად განათებული სცენა ხვდება. რეჟისორის ჩანაფიქრით, სცენოგრაფია სადა და მოქნილია. ე. ნ. სცენაზე არაფერი ზედმეტი არ არის. სამი ბებად დაყოფილი რომ მოქავი კედელი სხ-

ვადასხვა ეპიზოდში, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს — ხან კედლის, ხან ფიცარნაგის, ხან ლაბირინთის და ხან კი ეკრანისა, რომელზეც პროექტორის მეშვეობით ვიდეოგამოსახულება აისახება. უმუალოდ ეკრანი მხოლოდ მეორე მოქმედებაში არის გამოყენებული. მარჯვენა მხარეს მიკროფონი და მანეკენი-სავარძელი დგას. მისტიკური და მოულოდნელი პროლოგი შემოგვთავაზა რეჟისორმა. წარმოდგენის დასაწყისის მაუწყებელი მესამე ზარის დარეკვის შემდგომ, მარჯვენა მხრიდან შავებში ჩაცმული, მრგვალი შავი მზის სათვალეებით, მსახიობი არჩილ სოლოდაშვილი შემოდის, იღებს მიკროფონს, ჯდება მანეკენ-სავარძელში და შექსპირის 66-ე სონეტის კითხვას იჩყებს:

### „ყველაფერით დალლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,“

რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,  
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა...  
რადგან...

შავ კედელზე ვიდეოგამოსახულება ჩნდება: მთვარიანი ღამე, ვირი ყელზე გამობმული თოკით, რომლის ბოლოზე მომხიბვლელი ქალბატონი ხელებით არის დაძმული. გამოსახულებაზე წარწერა გამოიკვეთება: William Shakespeare „A Midsummer Night's Dream“. შავი კედლის მარცხენა მხრიდან „სცენაზე“ თეზევსი (კახა კინწურაშვილი) შემოდის თოკით ხელში, უხეშად ქაჩაქს იპოლიტას (ბუბა გოგორიშვილი) და ამგვარად შემოათრევს სცენაზე სიტყვებით: „ქორნილი, აგერ, კარს მოგვადგა, ჩემო ლამაზო, ოთხი დღე კიდევ და დაგვხედავს ახალი მთვარე...“. მსახიობის მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა, ისევე როგორც მოძრაობა, მუქარის ტონის შემცველა. ამ დროს სცენაზე ეგეოსი (დავით ბერიტაშვილი), ჰერმია (ანა წერეთელი), ლისანდრე (ლევან კახელი) და ელენე (ანა ალექსიშვილი) მანეკენ-სავარძლებში მოთავსებულები შემოსრიალდებიან და სწორ ხაზზე განლაგდებიან. ფილოსტრატე (არჩილ სოლოდაშვილი) მათ წარუდგენს მაყურებლს, ისე, როგორც სატელევიზიო „თოქშოუებშია“ მიღებული. თეზევს-კინწურაშვილი კი აგრძელებს დესპოტი მამაკაცი-მმართველის როლის თამაშს. — „მე ხომ მახვილით მოგიბოვე; გული გატკინე...“ — სიტყვებზე, იპოლიტას ძირს დაანაცხებებს დაზედ დაანვება.

რეჟისორის ჩანაფიქრით, კახა კინწურაშვილის თეზევსი-ობერონი „პატრიარქატის ლირსეული“ წარმომადგენელია, უხეში მამაკაცური საწყისის მატარებელი, რომლისთვისაც არც სიყვარულია უცხო და არც ეჭვიანობა. ბუბა გოგორიშვილის იპოლიტა-ტიტანია თუმცა თვითმაყოფილი, მაგრამ მაინც ქალია, რომელიც გულუბრყვილოდ იჯერებს მამაკაცის წარმოთქმულ სასიყვარულო-სახოგძო სიტყვებს. არჩილ სოლოდაშვილის ინტერაქტუალური ფილოსტრატე-პაკი — „შავი ანგელოზი“,

„პანი“, ობერონის „ეშმაკუნა“ მსახური — სპექტაკლის ერთგვარი შემკვრელი და წამყვანია. დავით დოიაშვილმა შექსპირის პიესაში „რეალურ“ და „ირეალურ“ სამყაროში არსებული პროტოტიპი პერსონაჟები — თეზევსი-ობერონი, იპლიტა-ტიტანია, ფილოსტრატეპაკი — ერთსადამიავე მსახიობებს განასახიერებინა. პერსონაჟთა კოსტიუმები, ისევე როგორც სცენოგრაფია, დროის ფარგლებს შიღმაა. სადა, ლამაზი, ინტერმედიებში ფერადოვანი კოსტიუმები პერსონაჟთა ხასიათის მიმნიშნებელია. ის, რაც სცენაზე ხდება, ის, რის შესახებაც რეჟისორი გვესაუბრება, ყველა დროსა და ეპოქაში აქტუალური პრობლემებია. ქალის და მამაკაცის, ამ ორი საპიროსპირო სქესის რთული ფსიქოლოგიური, სულიერი თუ ფიზიკური ჭიდილი, ჭეშმარიტი ფასეულობები და საზოგადოებაში გამეფებული სიცრუე, სიყალბე, უსამართლობა, მრუშობა, გაუტანლობა, მეგობრის დალატი, უვიცობა, ბოროტება... ეს ის თემებია, რომლებიც დავით დოიაშვილმა და სპექტაკლის შემქმნელებმა წინა პლანზე წამოსწიეს და მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანეს.

სპექტაკლის სიუჟეტური ხაზი თითქმის უცვლელად მიჰყევს პიესას, უბრალოდ, რეუსისორმა გააკეთა კუპიურები, ზოგიერთი სცენა გააერთიანა, ზოგი შეამოკლა, პროლიგსა და ეპილოგს, როგორც უკვე აღვნიშნე, ხე-ე სონეტი დაუმატა, მაგრამ ეს ყველაფერი ისე შეკრა და ქმედება ისეთ რიტმი მოაქცია, რომ შექსპირის ხუთმოქმედებიანი პიესა დაახლოებით სამ საათში ჩაატარა. თანაც იმდენად სანახაობრივია ეს ყველაფერი, რომ მაყურებელი მთლიანად ჩართულია სცენაზე მიმდინარე ქმედებაში. რეუსისორმა თანამედროვე ტექნოლოგიები და მოხმარების საგნები გამოაყენებინა სპექტაკლის გმირებს. მაგალითად, პირველივე ეპიზოდში, როდესაც ლისანდრესა და ჰერმიას ბედი წყდება, ჰერმია სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს (ეგეოსი ყოველ ახალ მოკიდებულ სიგარეტს ართმევს და უქრობს, როგორც ჭეშმარიტი მზრუნველი მამა), ელენესა და ჰერმიას ვიდეოტელეფონით საუბარი, ტელეფონის ჯიხური, შავი როიალი, ფერიების დედოფალი ტიტანია კი ობერონთან „ჩხების“ დროს ჰეროინს შეიყონასაც „ნერვების დასამშვიდებლად“. ამ შტრიხებით რეჟისორი პარალელს ავლებს წარსულსა და აწმყოს შორის, უფრო სწორად, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სპექტაკლში მონაწილე პერსონაჟები ყველა დროის წარმომადგენლები არიან.

სპექტაკლის, ისევე როგორც პიესის, ქმედების უმეტესი წანილი ობერონისა და ტიტანიას სამფლობელოში, ფერიებისა და წიმფების მიერ მოჯადოებულ ტყეში, „ირეალურ“ სამყაროში ვითარდება. ამ ტყეში აღმოჩნდებიან შეყვარებული ჰერმია და ლისანდრე, როდესაც ეგეოსის (ჰერმიას მამის) უაზრო, „მამაკაცური



ახირების“ გამო მათ სიყვარულს საფრთხე დაემუქრება. ეგეოსის „დაუინებული“ სურვილია თავისი ერთადერთი ქალიშვილი დემეტრიოსს გააყოლოს ცოლად. რატომ აიჩემა დემეტრიოსი, მგონი, თავად არ იცის, ვინაიდან ლისანდრე არაფრით: არც ოჯახით, არც გვარიშვილობით, არც სიმდიდრით ტოლს არ უდებს ეგეოსის „რჩეულს“. უბრალოდ, მას ასე სურს და მორჩა! ეს მისი უფლებაა, ვინაიდან იმ ქალაქში, პირობითად „ათენში“ (ქალაქს სახელწოდებას არც პიესაში და არც სპექტაკლში განმსაზღვრელი მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული), ვიღაცას ოდესაც ასეთი კანონები დაუმკვიდრებია, რომლის მიხედვითაც ქალი აბსოლუტურად უუფლებოა. აკი ეუბნება კიდეც თეზევსი ჰერმიას: „ლმერთად უნდა დასახო მამა, მან გაგაჩინა ასე კარგი, ასე ლამაზი, შენ მისთვის სანთლის თოჯინა ხარ, მან გამოგძერნა და მის ხელთა შენი ბედი: უნდა დაგტოვებს, უნდა — დაგშლის და გაქცევს ისევ არარაობად“.<sup>2</sup> რაღაც მომენტში თავად თეზევსი შეახეთქებს ამ უაზრო „კოდექსების კრებულს“ კედელს, რაღაც მომენტში კი ფეხითაც ჩანიხლავს. ჰერმიას ბავშვობის მეგობარი, დემეტრიოსზე „გონების დაკარგვამდე“ შეყვარებული ელენე, თავისი ტროფობის სუბიექტს, ჰერმიასა და ლისანდრეს გაქცევის ამბავს ატყობინებს. მშვენივრად იცის ელენემ, რომ დემეტრიოსი ჰერმიას კვალდაკვალ გაჰყვება. თავისი ალოგიკურ საქციელს კი უიმედოდ შეყვარებული ადამიანის ლოგიკით ხსნის: ამ შიკრიკობა-მსტოვრობის სანაცვლოდ, დემეტრიოსის სამადლობელ სიტყვებს ელის და თან „ადევნებას“ აპირებს, რათა „ფარული ჭვრეტით“ ჩაიკლას „მასთან ყოფნის ჟინი უშრეტი“. რეჟისორის ჩანაფიქრით, ლევან კახელის ლისანდრე მორიცებული, ქალთან მიმართებაში უინიციატივით ტიპაჟია. ჰერმიასა და ლისანდრეს სასიყვარულო ურთიერთობაში წამყვანი როლი ანა წერეთლის ჰერმიას აქვს მინიჭებული. დავით დოიაშვილმა აქ ხაზი გაუსგა ქალისა

<sup>2</sup> შექსპირი უ. „ზაფხულის დამის სიზმარი“. თხულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. თბ. „ხელოვნება“ ტ. II. 1985. გვ. 158.

და მამაკაცის თანამედროვე ურთიერთობების მოდელს — აქტიური ქალი და პასიური მამაკაცი. ლისანდრე მხოლოდ მაშინ ხდება ე. წ. „მაჩი“, როდესაც პაკი შეცდომით ქუთუთოებზე დააპატურებს ყვავილისგან დამზადებულ „სიყვარულის ნექტარს“. სპექტაკლში ლისანდრეს ელენე აღვიძებს. მაგის ძალით სწორედ მისადმი აენთება ლისანდრეს სიყვარულის ვნებიანი ცეცხლი და დაეუფლება კიდეც ელენეს.

რეჟისორის ჩანაფიქრით, უხეში სქესობრივი კავშირი მყარდება ჰერმიასა და დემეტრიოს შორისაც. შავი კედელი იხსნება და ფიცარნაგზე შავი როიალი შემოგორდება. როიალს დემეტრიოსი უზის და შოპენს ასრულებს. როიალის თავზე ჰერმია მოთავსებულა. დავით დოიაშვილმა ორივე ჰერსონაჟი „არაფხიზელ“ მდგომარეობაში ჩააყენა. მთელი ამ ეპიზოდის განმავლობაში ისინი სვამენ, „ნარკოტიკულ აბებს“ ყლაპავენ. ე. წ. „გაბრუებული მდგომარეობა“ თითქოს გაუსაძლისი ტკივილის გაყუჩებაში ეხმარებათ. ამავე დროს მაყურებელში „ზიზლის“ გრძნობას იწევეს, ამ „გაბრუებულ“ მდგომარეობაში როიალზე გათამაშებული სქესობრივი კავშირი. ორივე შემთხვევაში ქალები ენინალმდეგებიან მამაკაცებს, მაგრამ საბოლოოდ უთმობენ ძლიერ სქესს.

ინტერმედიების უმეტესი ნაწილიც ამ მოჯადობულ ტყეში თამაძლება. იუმორი, სისხარტე, რაღაც მომენტებში ტრაგიკულობა აისახება დავით დოიაშვილის გადაწყვეტით ე. წ. მსახიობთა ეპიზოდებში. ამასთანავე, რეჟისორმა მათ რეალური სამყაროდან ირეალურში, და პირიქით, გადამყვანთა ფუნქცია დააკისრა. მაგალითად, გავიხსენოთ მსახიობთა გამორჩის პირველი ეპიზოდი. ლისანდრესა და ჰერმიას „გაპარვას“ დაამთხვია რეჟისორმა ქმედებაში მსახიობების შემოყვანა. თამაშება ეპიზოდი „ჩემოდნებით“. ნახევრად ჩანელებულ სცენაზე, სილრეში შავი კედელია ნახევარტონებით განათებული, რაც მაყურებელზე ბურუსის შთაბეჭდილებას ახდენს. ჰერმიას და ლისანდრეს ჩემოდნები უჭირავთ ხელში, ამ დროს კედლის გასწროვ შავ, ხელოსნების სამუშაო კომბინიზონების მსგავს უნიფორმებში გამოწყობილი ჰერსონაჟები ჩამნკრივდებიან, მათ შორის არის შეყვარებული წყვილიც. რიტმულად, მუსიკის თანხლებით, განმეორების ეფექტით ისინი ერთმანეთს აწვდიან ჩემოდნებს. ლისანდრე და ჰერმია უჩინარდებიან. შავებში გამოწყობილი ჰერსონაჟები კი მაყურებელს ნარუდგენენ საკუთარ თავს: კომშა-დურგალი (ტატო ჩახუნაშვილი), პირამოსისა და თისიბეს ტრაგიკული სიყვარულის შესახებ ე. წ. „სპექტაკლის“ რეჟისორი; კოჭა-ხურო (ბადრი ბეგალიშვილი) პირამოსის როლის შემსრულებელი; სტვირამესაბერვლე (ალეკო ბეგალიშვილი) თისიბეს განასახიერებს; კოხტაპრუნა-ხურო (ნატა ბერეჟიანი) ლომს ნარმოაჩენს; კნაჭა-თერძი (გიორ-



გი ტორიაშვილი) მთვარეა; დრუნჩა-თოქმაჩი (გიორგი ბახუტაშვილი) კი კედელს ნარმოადგენს. თეზევსისა და იპოლიტას ქორწინების დღისთვის ემზადებიან ხელოსანი-მსახიობები სპექტაკლის გასათამაშებლად. ჰერსონაჟთა შემსრულებელი მსახიობების თამაში, როგორც უკვე აღვნიშნე, რეჟისორის ჩანაფიქრით, კომიკურისა და ტრაგიკულის ზღვარზეა. მსახიობებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დასახულ ამოცნას. მთელი სპექტაკლის განმავლობაში თვალ-ყურს ადევნებ „შემოქმედებითი წვით“ აღვსილ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ხელოვნება, თეატრი. თავად ქმნიან პიესებს, თავად დგამენ და თამაშობენ. დავით დოიაშვილმა ტრაგიზმის ელემენტისა და მაგიურობის გასამდაფრებლად ერთი შტრიზი დაამატა. გიორგი ბახუტაშვილის დრუნჩა ფიზიკურად უნარშეზღუდულ, დაგრდომილის ეტლს მიკაჭვულ, ჰერსონაჟად აქცია. მსახიობების მიერ ტყეში რეპეტიციის დაწყებას პაკი ადევნებს თვალს. სწორედ მისი ჯაფოსნობით დრუნჩა ფიზიკურად ნორმალურ ადამიანად გარდაიქმნება, ხოლო ნარმოდგენის დასრულებისას, ფინალისკენ, როდესაც ხელოსანი-მსახიობები, მექორწილეების წინაშე სპექტაკლს გაითამაშებენ, საცოდავი დრუნჩა, რომელიც, რეჟისორის ჩანაფიქრით, დრამატურგიც გახლავთ, კვლავ ეტლს მიეკაჭვება, ირეალურიდან რეალურ სამყაროს უბრუნდება. ხელოსანი მსახიობები ღონეს არ იშურებენ, რომ თეზევსის ქორწინების საზიომონილში ღირსეულად ნარსდგნენ სასახლის კარის წინაშე, ვინაიდან ნარმატება მათი შემოქმედებითი მომავლის გარანტია. არაჩვეულებრივად გაართვეს თავი ახალგაზრდა მსახიობებმა რეჟისორის ჩაფიქრებული ინტერმედიების კონცეფციისა. მაყურებლის მხრიდან მათ ე. წ. „ჰერმერული“ სიცილიც და, იმავდროულად, თანაგრძნობაც დაიმსახურებს. შექსპირის პიესა არის „თეატრი თეატრში“. დავით დოიაშვილის ჩანაფიქრით, კი, ეს არის სპექტაკლი „თეატრში თეატრზე“. თავისი კონცეფციის ნათლად ნარმოსაჩენად რეჟისორი მინიმალურ შტრიხებს მიმართავს. მაგალითად, კედელზე ვიდეოპროექტორის მეშვეობით შექსპირის ორიგინალ-

ური ტექსტის გაშვება, მანეკენ-სავარძელზე წიგნის მიმაგრება (რომელსაც მაყურებელი შექსპირის ერთ-ერთ ტომად აღიქვამს); კომშა, ე. ნ. „სპექტაკლის“ რეჟისორი, რაღაც მომენტში „მსახიობთა“ ვერ დამორჩილებით გაბრაზებული, სიტყვებზე - „ამას მანიც ეციო პატივი“, „უნიფორმაზე“ ელვას გაიხსნის, მაყურებელი კი მის მაისურზე შექსპირის ცნობილ პორტრეტს ხედავს.

შეუძლებელია არ აღინიშნოს სპექტაკლში ელენეს როლის შემსრულებლის ანა ალექსიშვილის წარმატება. ახალგაზრდა მსახიობმა შეძლო თავისი პერსონაჟის სულიერი და ფიზიკური სიღრმეების გადმოცემა, თანაც მსუბუქად, ყოველგვარი ძალადატანების გარეშე შეასხა ხორცი თავის პერსონაჟს. გმირის შინაგან განცდას რამდენიმე გარეგნული შტრიხი მიუმატა. მაგალითად, მისი ხასიათის გამომხატველი, ინტონაციისა და ბეგერების შეწყობით, მაღალ რეგისტრებში წარმოთქმული „ჰო“. ეს ის შტრიხია, რომელიც მაყურებელს, წლების შემდგომაც, მუდამ გაახსენდება. აქვე მინდა აღვინიშნო თეზევსის დღესასწაულის გამგებელის და პაკის როლის შემსრულებლის, არჩილ სოლადაშვილის შემოქმედებითი წარმატება. იუმორი, სევდა, ტრაგიზმი ერთდროულად ჩანს მის თამაშში. თანაც, როგორც უკვე აღვინიშნე, იგი სპექტაკლის მამოძრავებელი ძალაა, მაყურებელთან დაილოგის წარმმართველი, სპექტაკლის ე. ნ. „მექვრელი“.

„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“ — ტრაგიფარსი, დავით დოიაშვილმა, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულად დაასრულა. დასრულდა თეზევსის კარზე გამართული წარმოდგენა. ფიცარნაგი იხსნება. აქ „მსახიობებმა“ პირამოსისა და თისიძეს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია გაითამაშეს, რომელიც პირამოსის თვითმკვლელობით „დაგვირგვინდა“. შავებში გამოწყობილი ფილოსტრატე, შავი სათვალით, საკუთარ მანეკენ-სავარძელში ზის, რომელზეც, სხვა ნივთებთან ერთად, ნიგნია მიმაგრებული. ისევე როგორც პროლოგში, ხელში კვლავ მიკროფონი უჭირავს. ფიცარნაგზე, გახსნილი „ორმოს“ ნინ ეგეოსია „კანონების წიგნით“ ხელში. დასრულდა ყველაფერი. თეზევსმა — იპოლიტაზე, ჰერმიამ — ლისანდრეზე, ელენემ — დემეტრისზე იქორნინეს. ეგეოსი სასონარკვეთილია. ყველაფერი, რისიც სჯეროდა, გაცამტვერდა, დაიმსხვრა. ამიტომაც, თვითმკვლელობის გარდა, არაფერი დარჩენია. თავის ცხოვრებას კი 66-ე სონეტით ასრულებს: „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“. „რადგან“ — ბანს აძლევს ფილოსტრატე — „მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“, „რადგან“ — „არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა“, „რადგან“ — „სიცრუუ ერთგულების გახდა თვისება“, „რადგან“ — „უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა“, „რადგან“ — „მრუშობით

შელახულა უმანკოება“, „რადგან“ — „დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს“, „რადგან“ — „ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ“, „რადგან“ — „უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს“, „რადგან“ — უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად“, „რადგან“ — „სიმართლე სისულე-ლედ ითვლება ახლა“, „რადგან“ — სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა“. „ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ“. რადგან, რადგან, რადგან... ჰერსონაჟი, რომელიც დავით დოიაშვილის სპექტაკლში თავს იკლავს, არ არის მხოლოდ უაზრო ახირების მსხვერპლი ეგეოსი. ეს პერსონაჟი ყოველი ჩვენგანის სულის ყივილია... რადგან... თანამედროვე ყოფაში, ცხოვრებაში იმდენი კითხვის ნიშანი ჩნდება... რადგან... იპოლიტა-ტიტანია არ არის საბოლოოდ დარწმუნებული თეზევსი-ობერონი უყვარს თუ ვირისყურება კოჭა; რადგან... ჰერმიას, ლისანდრეს, ელენესა და დემეტრიოს საცემები დრღნით. რადგან... თეზევს-ობერონსაც უერ გაურკვევია, საბოლოოდ რა უნდა... ცხოვრებაზე ე. ნ. „ქილიკი“, თუ „ჭეშმარიტი“ სიყვარული. რადგან... ამ ყველაფრის ავან-ჩავანი, ბატონ-ატრონი, წარმმართველი ბოროტი ძალა ფილოსტრატე-პაკია, რომელიც ხან ჯადოქარია, ხან საყვარელი „პანია“, ხან მაყურებელთან კავშირის, დიალოგის დამამყარებელი „სასაციოლო“ ჰერსონაჟია... სინამდვილეში, იქნებ, ადამიანთა „სულთამპყრობელი“ ბოროტი ძალაა???

P.S. მოგეხსენებათ, ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრს სცენა და დარბაზი არა აქვს. დაახლოებით 20 წლის წინ დაწყებული რემონტი ჯერაც არ დასრულებულა. თავისუფალი საქართველოს ვერცერთმა მთავრობამ სახსრები ვერ გამონახა, ყოველ მათგანს „უფრო მნიშვნელოვანი“ პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი... დავით დოიაშვილმა ამ რამდენიმე წლის წინ გამოსავალი მონახა და სცენაც და დარბაზიც თეატრის ფოიეში განათავსა. და, ასე, ფოიეში თამაშობენ დღემდე სპექტაკლებს. ეს, რა თემა უნდა, ბევრ პრობლემას ქმნის, წინა პლაზე აკუსტიკის პრობლემა დგას. ფოიეში, როცა საუბრობ, ექოსებრი აკუსტიკის გამო, ე. ნ. გუგუნის ხმაა. ამიტომაც, მსახიობთა მეტყველების თითქმის 80% პროცენტი „იყლაპება“ და არ ისმის. მით უმეტეს, თუ ამფითეატრის მსგავს მაყურებელთა დარბაზში, გვერდითა ნანილში მოგინია ჯდომა, ჩათვალე, რომ პიესა, ტექსტი თუ არ იცი, სპექტაკლი ისე დამთავრდება, რომ ვერაფერს გაიგებ... ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სანახაობა, როგორიცაა (შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“ კუსტარულად გაკეთებულ დარბაზში თამაშდება.

# კალიგრანის რისხები



მერი გურგენიძე

„მეცხრამეტე საუკუნის სიძულვილი რეალიზმისადმი კალიბანის რისხება იმის გამო, რომ საკუთარ სახეს ხედავს სარკეში. მეცხრამეტე საუკუნის სიძულვილი რომანტიზმისადმი კალიბანის რისხება იმის გამო, რომ საკუთარ თავს ვერ ხედავს სარკეში“ — ოსკარ უალდე.

რას დაინახავდა დღეს კალიბანი თავის სარკეში, როდესაც სიძულვილი რეალიზმისადმი ჩვენ არ გავვაჩინია, ჩვენ საერთოდ არ გაგვაჩინია რეალისტური გამომსახველობა, არც რომანტიზმით ვსარგებლობთ დიდად და წარსულში არ ვიქექებით ელემენტარული მიზეზის გამო — ჩვენ ხომ წარსულს მხოლოდ წარსულის, უკვე ჩავლილის გამო ვიწონებთ და ვეგუებით.

იყო დრო, ვამბობთ ასე, მაგრამ ეს დრო როდის იყო, მე ნამდვილად არ მახსოვს. მახსოვს, რომ მუდმივად ვამბობ — იყო დრო და უბრალოდ ისტორიას ვენდობი. ისტორიას, რომელსაც ახსოვს ქართული თეატრი, ქართული რომ იყო. ისტორიას, რომელსაც ახსოვს, თეატრი თეატრი რომ იყო და ისტორიას, რომელსაც ახსოვს, რისთვის იყო თეატრი, რომელიც ნამდვილად იყო.

დღეს კი...

ვწერ იშვიათად იმიტომ, რომ ხშირად უარყოფითს ვწერ, რადგან იშვიათად ვნახულობ სპექტაკლს, რომელზეც დადგებითს დავწერ. მე კი არ მინდა ვწერო იმიტომ, რომ ვწერო და ისიც უარყოფითი. ერთმა კრიტიკოსმა პირად საუბარში გამიმხილა — ამ ბოლო დროს სპექტაკ-

ლებზე იშვიათად დავდივარ, რადგან ხშირად სპექტაკლებს ვერ ვნახულობო. მართლაც, აღარ მახსოვს, როდის ვნახე სპექტაკლი კარგი? არა, სპექტაკლი როდის ვნახე, აღარ მახსოვს, კარგსა და ცუდზე არაფერს ვამბობ. სპექტაკლი თავისი სათქმელით, იდეით, მსახიობთა პროფესიული თამაშით და არა ტაშფანდურობით, პრობლემით, მოქმედების ლოგიკური განვითარებით, ამბით, კონფლიქტით, დასაწყისით და დასასრულით.

მიდიხარ და იწყება სულის და ხორცის განწვალება სცენასა თუ მაყურებელთა დარბაზში. იწყება სრული გაუგებრობა. ადრე თუ ვფიქრობდი, რომ ვიღაცევებისთვის არსებობდა მზა თარგი, რომლის მიხედვითაც ერთნაირ სპექტაკლებს ჭრიდნენ, სადაც მხოლოდ ავტორთა, მსახიობებისაც კი არა, სახელები იცვლებოდა, სხვა დანარჩენი უცვლელი მუდმივობა რჩებოდა. დღეს, ჩემდა საუბედუროდ, ვფიქრობ, რომ ეს თარგიც აღარ არსებობს და სრულ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე.

ასეთი სრული შემთხვევითობა დამხვდა სპექტაკლ „ჰამლეტში“ მარჯანიშვილის დიდ სცენაზე. დიდ სცენას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგან აქაც თუ ესეც სერიოზული გაუგებრობაა. არ მესმის და ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო სპექტაკლის დიდ სცენაზე წარმოდგენა, თუ სპექტაკლის სცენოგრაფიით (ლევან წულაძე) ის პატარა სცენის სივრცეშიც მშვენივრად გაიმართებოდა.

ჰო, „შევენივრად“ ცოტა უადგილო სიტყვაა, მესმის, მაგრამ ეს სპექტაკლის შეფასებას ნამდვილად არ ეხება.

ცხვირწინ, ოღონდ პირდაპირი მნიშვნელობით, სადაც იმის იქით ვერაფერს ხედავ, არ ჩანს, რადგან არ არის არაფერი. შავ კუბში, ესეც პირდაპირი მნიშვნელობით და აურაცხელ ბოლში, ნისლის სახით წარმოდგენილში, ხარ მოქცეული და უყურებ ტრაგედიას უგმიროდ. ლორთქიფანიძისეული გაგებით არა, გმირის გარეშე არსებულ ტრაგედიას. მაგრამ ტრაგედიას ნამდვილად უყურებ. ლონდ შექსპირისეულს არა, უყურებ ქართული თეატრის ტრაგედიას. მსახიობებს ამ გაუგებრობაში მოხვედრილებს, უყურებ შექსპირს გაუგებრად გაგებულს და ფიქრობ, როგორ გაექცე ამ გაუგებრობას.

გასაქცევი არსით არის. მისჯილი გაქვს ჯდომა სცენაზე? დარბაზში? თუ სად?

შედიხარ სპექტაკლზე კულისების მხრიდან? დარბაზში? სცენაზე?

ირგვლივ ბოლია, ყელში გიჭერს, თვალები გენვის და ნისლში ხედავ ელსინორას?

ნისლში მოჩანს წყლის ნაპირი, სადაც რეზინისჩექმებიანი ორი მეთევზე (კ. კილაძე, ნ. დოლონაძე) ბოთლში ქაღალდგარილ წერილს კითხულობენ. ის, რომ რეზინის ჩექმებია ჰამლეტში, კარგი, წყლის სანაპიროა და სადაც სანაპიროა, იქ მეთევზეცაა. ის, რომ ბოთლში ნაპოვნ წერილს კითხულობენ, ესეც გავამართოთ და ვთქვათ, რომ რადგან სანაპიროა და რადგან მეთევზები არიან, ეს ბანალური ხერხი რეზისორის ფანტაზიის ნაყოფია. ის, რომ წერილი აუცილებლად წყალში უნდა ცურავდეს, ვთქვათ, რომ ჰამლეტის ბოლო ფრაზამ უბიძგა რეზისორს ამ გადაწყვეტილების გადაწყვეტილიც სიკვდილის წინ მისი ისტორიის მოყოლას თხოვს ჰორაციუსა. თუ თხოვს, რატომაც არა, ის აუცილებლად ბოთლში უნდა ჩაიდოს და წყლის ტალღებზე იცუროს, რომ შემდგომ რომელიმე ნაპირზე გამორიყული მეთევზებმა ქვეყნიერებას საიდუმლოება ამცნოს. მაგრამ როდის? იმავე დღეს, იმავე ნუთს და იმავე წამს იდება ბოთლში და წყალში ეშვება ჰამლეტის ამბავი? ვთქვათ, სპექტაკლის ეს დასაწყისი ამბის დასაწყისია და ეს გაურკვეველი რეზინისჩექმებიანი მეთევზები უკვე მომხდარ ამბავს გვიყვებიან, ე.ი. ჩვენს თვალწინ ტრაგედიას წარმოგვიდგენენ, სადაც თავად მაყურებელთა ან მსმენელთა რანგში გამოდიან, უფრო სწორედ, უნდა გამოდიოდნენ, მაგრამ მთელი სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე ისინი რომ მხოლოდ მყითხველი, ამბის მთხოვობელნი, მსმენელნი, მაყურებელნი არ არიან და უფრო მეტიც თავად რომ გილდერსტენის, როზენკრანცის, მესაფლავის როლებს და ტექსტს კითხულობენ. თამაშობენო ვერ ვიტყვი ვერანაირად. ეს როგორ აქესნა, როგორ გავამართლო, რომ მესაფლავეა რეზინისჩექმებიანი მეთევზე, რომ როზენკრაცი და გილდერსტენი, რომლებიც საერთოდ არ არსებობენ სპექტაკლში, ამ მეთევზებს ჩაუნაცვლებიათ. თუმც ჩანაცვლებაც არ ეთქმის, საერთოდ, ვინ არიან, რა უნდათ ამ მეთევზებს, რატომ დაბოდიალობენ ამ სანაპიროზე და რატომ არიან ასე ახლოს რეზინისჩექმებიანი უბრალო მეთევზები დანის პრინციპან ან ხელმწიფესთან ან დედოფალთან. იერარქიულ პრობლემას და მის საფეხურებს როდი ვითვლი და ვეხები. იდეურ და აზრობრივ პრობლემაზე ვსაუბრობ. მართლაც, რა არის ეს. ახალი ხედვა, ახალი ინტერპრეტაცია?

კალიბანის რისხვამ, როგორც ჩანს ჩემზე იჩინა თავი და მთელი ძალით ამოქმედდა სპექტაკლის მსვლელობის და მისი დამთავრების შემდეგ. მაგრამ მაინც არ ვფიქრობდი ჰამლეტზე წერილის დანერას, თუ არა მარჯანიშვილის სხ-

ვენზე წარმოდგენილი სოხუმის თეატრის ახალი სპექტაკლი „კინკასის უცნაური გარდაცვალება“.

საინტერესო რეზისურას, იდეას, სათქმელს, დეტალურად დამუშავებულ და წვრილმან ნიუანსებში გააზრებულ თითოეულ სახეს წილად ხვდა ჰატარა სივრცე, რომელიც მართლა ჰატარა ამ სპექტაკლისთვის, ამ სათქმელისთვის, ამ რეზისურისთვის მაშინ, როდესაც დაპატარავებულ დიდ სცენაზე „ჰამლეტის“ განწვალებას უთმობენ ადგილს. არა, ეს პროტესტის გრძნობა ნამდვილად არ გამიჩნდებოდა ჰამლეტი თუ არა, ბოლოს და ბოლოს დიდი სცენა მაინც რომ მეხილა. თუმცა რაც ვნახე, იმას რა ეთქმის, ესეც არ ვიცი. სამაგიეროდ ვიცი, რომ სოხუმის თეატრი, ამდენი წელია შენობის გარეშე არსებული. იბრძვის საკუთარი თეატრის გადასარჩენად და ხან რომელ სივრცეში და ხან რომელში მაინც ახერხებს სპექტაკლის ჩვენებას. შეიძლება ყველას ერთნაირი ხარისხისას არა, მაგრამ ინარჩუნებს სწორ მიდგომას თეატრის მიმართ.

არც ამჯერად შეუცვლია თეატრს თავისი მიდგომა და გოგა თავაძის ამ სპექტაკლით კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია. მსჯელობა იმაზე, თუ რა დანიშნულება აქვს თეატრს, ვიცი, რომ ძალიან შორს წამიყვანს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა და მაინც უნდა ვიკითხო — თუ კალიბანის რისხვა რეალიზმისადმი სიძულვილია მხოლოდ საკუთარ თავთან მსგავსების გამო, ხოლო რომანტიზმთან — მიუმსგავსებლობის გამო, პოსტმოდერნიზმის ხახვისას კანიბალს რა დაემართობოდა?

მერწმუნეთ, სარკე გაიბზარებოდა სირცევილისაგან.

თურმე პოსტმოდერნიზმია, რომ მიხეილ თუმანიშვილი მოკვდა, ხოლო „რობერტ სტურუა კუს ნაბიჯებით ვითარდება“. პოსტმოდერნიზმია, რომ თეატრის დანიშნულება რაოდენობრიობაშია და არა ხარისხში. პოსტმოდერნიზმია, რომ დარბაზი სავსეა, მერე რა თუ სპექტაკლში არაფერია სათქმელი და სპექტაკლიც არაფერია. ბოლოს და ბოლოს არაფერიც ხომფერია, ესეც პოსტმოდერნიზმია. დამანც...

გარდა იმ პროტესტის გრძნობისა, რაც მარჯანიშვილთა სპექტაკლმა წარმოშვა ჩემში და ეს პროტესტი, პირველ ყოვლისა, სპექტაკლის რეზისორული გადაწყვეტილი იყო გამოწვეული, მე რეზისორის მიმართ მაინც ყველაზე ნაკლებად მიჩნდება კალიბანისეული რისხვა. არსებობს მოარული აზრი თეატრალურ სივრცეში — ყველა მსახიობს ჰავნია, რომ ჰამლეტს ითამაშებს. როგორც ჩანს, დღეს ამ აზრის ახალ ფორმულირებასთან გვაქს საქმე — ყველა რე-

ჟისორნს ჰეგონია, რომ, ჰამლეტს დადგამს. გას-  
აგებია, რომ ეს ხუმრობაა, რომელიც ნაწილო-  
ბრივ სიმართლეს შეიცავს, გასაგებია, რომ ეს  
ოცნებაა და ისიც გასაგებია, რომ ოცნებს კაცი  
არ მოუკლავს. მაგრამ სანამ სხვები სხვებს ფუჭი  
ოცნებების ახდენაში ეხმარებიან, იქნებ რეალ-  
ური მეოცნებებ ხალხისთვის მიგვეხედა? ბოლოს  
და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ გავპედოთ  
და ვუთხრათ და ვთქვათ სიმართლე. გავპედოთ  
და ვთქვათ, რომ კოჭლი კოჭლია და ბალეტის  
ცეკვას ვერასდროს შეძლებს და რომ სიცოცხ-  
ლე არ სრულდება მისთვის და რომ არსებობს  
სფეროები, სივრცეები, სადაც საკუთარ ოცნე-  
ბაში უფრო თავისუფლად ინაგარდებენ. იქნებ  
ადამიანურობის თამაშს ხანდახან, თუ ხშირად  
არა, საქმისთვის მიგვეხედა, თორემ დაგვექცა  
თეატრი თავზე და სხვათა შორის აკადემიური  
თეატრი.

ვიცი, უფრო სწორედ შეიძლება სასწრაფოდ  
მოიძებნოს, ამას კი არც დიდი დრო სჭირდება  
და არც დიდი ძალისხმევა, ოპონენტები და არ-  
გუმენტები, რომლებიც ასევე ყოველგვრი ძა-  
ლისხმევის გარეშე დამინერუნ, ჩამომითვლიან  
ციფრებს გაყიდული ბილეთების შესახებ, ანშ-  
ლაგით ჩატარებულ სპეციალურებს.

მესმის, ვიცი, გამიგია, მაგრამ ასევე მეს-  
მის, ვიცი და გამიგია, რომ თუ საქართველოში  
ყველაზე რეიტინგული „პროფილია“, სპექტაკ-  
ლზე დასწრების ოეტინგიც ამ მაყურებელთა  
რაოდენობით განისაზღვრება? მაშინ მე ვიცი,  
რადგან ჩემთვის ასევე უსწავლებიათ, რომ ხე-  
ლოვნებაში და არა მხოლოდ ხელოვნებაში მთა-  
ვარია ხარისხი და არა რაოდენობა. მთავარია  
როგორ? და არა რამდენი? ყველასთვის გასაგე-  
ბი და ყველასთვის მისაღები შეიძლება იქცეს  
ხელოვნების ნიმუშად?

რაც შეეხება საერთაშორისო წარმატებებს, გასატროლებს, სტატიიებს სასიქადულოს, ხოტ-ბაშესხმულებს. ევროპის აღფრთოვანება და აღტაცება თუ ისეთივეა როგორც მისი აღშფოთება და შეშფოთება, რომელიც საბოლოოდ არაფერს ცვლის და არაფერს მიცვლის ჩემს სამშობლოში, მაშინ მე ვიტყოდი, რომ მე ვარ აღშფოთებული და შეშფოთებული მათი აღტაცებით ისევე, როგორც ისინი არიან საკუთარი შემშვიდებით აღფრთოვანებულები.

შეიძლება ამტკიცონ და მიმტკიცონ, რომ  
მხატვარი სპექტაკლში მხოლოდ კოსტუმების  
შემქმნელია და სპექტაკლის სცენოგრაფია  
რეჟისორის (და არა რეჟისურის) პროფესიის  
შემადგენელი არა, აუცილებელი და პირდაპირი  
პროფილია. შეიძლება ამტკიცონ, მაგრამ შეუ-  
ძლიათ? შესაძლებელია ამის მტკიცება?

ყველა იმ ჩამოთვლილ მიზეზებს და პრობლემებს იქით, რომელმაც ამ სტატიის დაწერა გადამანყვეტინა, არის კიდევ ერთი პრობლემა-თაგანი — ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ თეატრის რეპერტუარი მეტყველებს მის სახეზე და არა მხოლოდ სახეზე, მის სათემელზეც. ამ ორი სპექტაკლის მაგალითზე ეს ჭეშმარიტება მის ბანალურობაზე მეტყველებს თუ არ არ ვიცი, მაგრამ ჭეშმარიტებას რომ ნამდვილად წარმოადგენს, ეს ნამდვილად ვიცი. ისიც ვიცი, „ჰამლეტი“ რომ ყველას გვაქვს წაკითხული და არა მარტო წაკითხული, თითქმის ზეპირად ვიცით. კიდევ კარგი, რომ ვიცით, თორემ სპექტაკლის შემხედვაზე ვერაფერს გავიგებდით. მაგრამ რამდენადაც კარგად ვიცით და ისიც ზეპირად, იმდენად ზუსტად ვხვდებით, რომ შექსპირთან ვერ ვხვდებით. მაშინ სად ვხვდებით და საერთოდ, გისთან ან რასთან გრაქვს საქმე.

ყველა ნაკითხულს, ყველა ნანახს და მოსმენილს შორის, რაც „ჰამლეტის“ გარშემო გამიგია მამის აჩრდილთან დაკავშირებით, აჩრდილი ყველა გაგონილში, ნაკითხულში, მოსმენილში თუ ნანახში — აჩრდილია, მამის აჩრდილი. სადაო, საინტერპრეტაციო, ნოვატორული და ახალი, სხვა რამ შეიძლება რომ იყოს, არის და იქნება მამის აჩრდილთან დაკავშირებით.

მამის აჩრდილი, მამის აჩრდილია. მერე რა, რომ ჰამლეტი ჰქვია. და სწორედ იმიტომ, რომ ჰამლეტი ჰქვია და სწორედ იმიტომ, რომ მამის აჩრდილია, სწორედ ეს განაპირობებს იმ შექსპირისეულ სიღრმეს, მის ფილოსოფიურ აზრს და კონტექსტს, შვილი-ჰამლეტის ფსიქოანალიტიკურ ხაზსაც. არათუ უნდა, აუცილებელია მამის აჩრდილი თავის ადგილას და აჩრდილად დარჩეს პიესაში. მაგრამ, რადგან ბევრი რამ არის ამ ქვეყანაზე საკვირველი, რომელიც „ფილოსოფოსებს სიზმრადაც კი არ დასიზმრებიათ“, თურმე ნუ იტყვით და მართლაც არ დასიზმრებიათ. არა, შექსპირი მართლა გენიოსია. თორემ აბა სხვაგვარად როგორ გამართლდებოდა და ჰამლეტი-მამის აჩრდილის ჰამლეტი-შვილის ორეულად ქცევა თუ გადაქცევა მარჯანიშვილის დიდ სცენაზე. დიდ სცენას კიდევ ერთხელ ფუსვამ ხაზს. ჰამლეტი მამა უგულვებელვყავით, უარი ვთქვით მამაზე, თუნდაც აჩრდილის სახით არსებულზე. სამაგიეროდ ჰამლეტი გავაორეთ, ორად გავხლიჩეთ, გაუგებრობა წარმოვჭით — ერთი ჰამლეტი იორად არსებული თუ ორი ერთში — ტკიქში?

და დადის ორი ჰამლეტი (რონიშვილი, პაპუაშვილი) სცენაზე ხანდახან მრავლობით პირში მოლაპარაკე. სუპერთანამედროვე ჩაცმულობით — თეთრი პერანგით, ზემოდან ქილე-

ტით, ჩამოგდებული „პადიაშვებით“, ჩექმებში ჩატანებული უბერამოგდებული შარვლით ე.ნ. „ჩაჩებით“. ერთი შავი „ლენონები“ აკლია თვალებზე და თბილისის ქუჩებიდან გადმოსული „სიმპატიური ტიპი“ იქნებოდა ჩვენი ჰამლეტი.

პარალელი ვისოცყისთან — მას ჯინსები და შავი სვიტერი ეცვა ლუბიმოვის სპექტაკლში, მაგრამ ის იმ ეპოქის ჰამლეტი იყო, იმ თაობის ტკივილით და სათქმელით. დღეს მე ნაკლებად ვხედავ ქალაქის ქუჩებში ზოგადად, ჰამლეტს და თან ასეთი ტიპის ჰამლეტს, საუბედუროდ. და რომ იყოს და რომც დადიოდეს და მე ვერ ვხედავდე, მას თავისი სათქმელი და ტკივილი უნდა ჰქონდეს, რომ მოჰქონდეს. სპექტაკლში სრული გაუგებრობაა და ვის რა ამოცანა და ფუნქცია აქვს, ვერაფრით გაიგებ, ვინ რისთვის იღვწის და რისთვის იხარჯება ბოლომდე, გაუგებარი რჩება.

რატომ დატანტალებს (ზუსტი სიტყვაა) ჰერტრუდა (ეკა ჩხეიძე) ფეხშიშველი, იმიტომ რომ სანაპიროა? რატომ შიშვლდება წელს ზევით, თუნდაც ზურგით? ეს აუცილებლობაა? მაგრამ რატომა აუცილებლობა, თუკი ეს აუცილებლობა სპექტაკლში არ იყვეთება, არ იკითხება? დღეს აუცილებლობაა, სცენაზე ერთი მსახიობი ნაწილობრივ მაინც შიშვლდებოდეს სცენაზე? ეს თანამედროვე თეატრის მოთხოვნაა? თანამედროვეობა სიშიშვლეშია? თუ სიშიშვლეა, უკვე თანამედროვეობაა? ან რატომ ესწრება ჰერტრუდა, თუმც დასაწყისში, კლავდიუსის ბოროტ ჩანაფიქრს მისი შვილის მოკვლის თაობაზე? ეს ჰერტრუდაა თუ ლედი მაყბეტი? პიესები ან როლები ხომ არ აგვერია შემთხვევით? ან ეს წყალი რა უბედურებაა თავზე რომ ესხმება ჰერტრუდას შვილთან საუბრის სცენაში. ცივი წყლით განუწული (ეჭვი მეპარება, თბილ წყალს ასხამდნენ, ეკა ჩხეიძის შეფასებებიდან გამომდინარე) აკანკალებული, ჭექა-ქუხილის ქვეშ ხელოვნურად წარმოშობილი დრამატიზმია? ან რატომ კლავს ჰერტრუდა ოფელიას? რამდენიც არ უნდა მიმტკიცონ ჩემი არასწორი ხედვის შესახებ — ფაქტი ფაქტია! მაშინ, როდესაც გაგისული ოფელია სცენის სილრმისკენ (სიღრმე აქაც პირობითადაა ნახსენები, თორემ სად არის სიღრმე ან სივრცე) მიემართება, ჰერტრუდა, სავარაუდოდ, მისი მოსასხამით დაჭერას ცდილობს, მაგრამ სწორედ ამ მცდელობის შედეგად ოფელიას მოსასხამი ჰერტრუდას ხელში რჩება, ოფელია კი წყალში ხვდება. ხოოო! ჩანაფიქრში ესალბათ ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ სპექტაკლში ეს მიზანსცენა ისე ვითარდება, ჰერტრუდას ხელის კვრას უფრო ემსაგვესება, ვიდრე მის მოსასხამზე ჩაბლაუჭებას. თუმცა, ეს

მოსასხამიც რა ჯანდაბაში უნდოდა ჰერტრუდას, ამასაც ვერ ვხვდები?

ბოლოს და ბოლოს — ამაზე ვინმე პასუხს გამცემს?

ბოლოს და ბოლოს — ამაზე ვინმე პასუხს აგებს?

ალეკო მახარობლიშვილს (პოლონიუსი) და მახო აბულაძეს (კლავდიუსი) პირადად მე ვუხდი ბოდიშს, რადგან უხერხულია ჩემთვის, მათი შემოქმედებიდან გამომდინარე, ამ ჭრილში მათი როლების განხილვა.

ყველა იმ „ახალი“ ინტერპეტაციის მიღმა თუ გვერდით, ჰამლეტის ყველა „ნოვატორული“ მიგნებების მიღმა თუ გვერდით, ჩემთვის ამ სპექტაკლით საკმაოდ საგულისხმო რამ გამოკვეთა საბოლოოდ.

როგორც არ უნდა ვიცავდეთ ფარდობითობის თეორიას და კვანტური ფიზიკის მიმდევრები ვიყოთ, სამყაროში მაინც „რაღაც“ მოქმედებს, რომლის გამომწვევ მიზეზებსაც შეიძლება ვერ ვხვდებით, მაგრამ შედეგი, ფაქტია, რომ არ აყოვნებს.

შედეგი კი ის არის, რომ „ჰამლეტში“ მამა არ არის და რატომ არ არის მამა — აი ეს არის საგულისხმო ჩემთვის.

შემთხვევითია თუ კანონზომიერი?

შემთხვევითია, რომ სოხუმის თეატრის სპექტაკლი სწორედ ამ ჭრილში, ამ სათქმელით, ამ პრობლემით განიხილება, სადაც კინკასი მამის განზოგადოებული სახეა.

შემთხვევითია, რომ ეს ორი სპექტაკლი დღეს თავის სათქმელს, თავის პოზიციას, თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს მამის, როგორც ისტორიის მიმართ.

პირველის შემთხვევაში თუ ადამიანისთვის სიამოვნების მინიჭება, მხნეობის შთაბერვა პირდაპირი მნიშვნელობითაა გაგებული (იქვე გახსნილი რესტორანიც რომ არ მივათვალოთ, სადაც სიამოვნებაც დიდი დოზითაა და მხნეობაც) — შემთხვევითი სიკვდილია მამის მკვლელობა, მამის არარსებობა თუ კანონზომიერება?

უმამოდ დარჩენილი ჰამლეტი, მამის აჩრდილსაც დაშორებული გაორებული, მეორე „მეს“ იმედად დარჩენილი, სრულ გაუგებრობაზია ალმოჩენილი.

რა ფასეულობები მოაქვს უმამოს, რა სურს, რა უნდა, რისთვის იპრდვის, თუკი იპრდვის საერთოდ. უპოზიციობის პოზიციაა? შემთხვევითობა? კანონზომიერება? თუ როგორც გენებოთ — სრული თავისუფლება.

სოხუმის თეატრის სცენაზე კი კინკასი წყალია ოხერი (მ.ბრეკაშვილი) გარდაიცვალა. მისი

გარდაცვალება უცნაურია თავისი დაუდგენელი ფრონის, გარემოების და განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. კინკასი იგივე ჟოაკინ სოარეს დე კუნია — ყოფილი კანტორის ყოფილი წესიერი თანამშრომელი, ერთ დღეს ტოვებს წესიერ ცხოვრებას — სამსახურს, ოჯახს, შვილს, შვილიშვილებს, სიძეს ე.ნ. კეთილდღეობას და მიღის იქ, სადაც უსასარულობის სასრულია თავქარიანობა, თავანყვეტილი ღრეობაა თავის არსებობა. იქ, სადაც არაყი „კშასა“ მუდმივი საძებნია, მაგრამ მუდმივად ნაპოვნია მისგან მიღებული სიამოვნება. იქ სადაც თეძოგანიერი კიტერია (ჯ. პაკელიანი) სიყვარულზე მეტია და საყვარელზე ნაკლები, სადაც მარია-ქლარას (ლ. კაცია) ნამღერი სამბა ზღვის ტალღებზე ხმაურიანია და ენერგიული, სადაც მანანნალა ლოთებისთვის — კურიოსთვის (პ.კიკვაძე), მეტისისთვის (გ. გასვიანი), კაპრალი მარტინისთვის (ვ. მოსიძე), სოლიტერისთვის (ზ. ასანიშვილი) მამა ღმერთად ქცეული თუ ღმერთია — მიწაზე კაცად განსხვეულებული.

სწორედ ამ მამა-ღმერთის ცხედართან მუხლდამხობილი, თავჩაქინდრული და თვალდახუჭული მანანნალები სრული მედიტაციის მოლოდინში ცდილობენ აღავლინონ ლოცვა, რომელიც, თურმე, არ იციან. პირველად უხერხებდა და სასაცილო სიტუაციაში მყოფი ათას სისულელებს როშავენ ლოცვის მაგივრად. მაგრამ სურვილი თავად ლოცვისა, თავად სურვილი ლოცვისა ჭეშმარიტ სიტყვებს წარმოათქმევინებთ. ვინ არის მათთვის კინკასი — გუშინ ძონძებიანი ფილოსოფოსი, ბაიელ მანანნალათა მეფე, მაგრამ ცოცხალი. დღეს კი მკვდარი და ისიც ახალ კოსტუმში და ფეხსაცმელში გამოწყობილი. დაუჯერებელია მათთვის მამის სიკვდილი. უფრო მეტიც, დაუჯერებელია მისი ასეთი სახეცვლილება, ასე ვთქვათ მეტამორფოზა — ძონძებიდან კოსტუმამდე. მამა არ კვდება, არ უნდა კვდებოდნენ ღმერთები მათ ესე იციან და ასე სწამთ. სწამთ რამეთუ იციან, ხოლო ისეთი სწამთ როგორიც იციან — კინკასი ძონძებიანი ფილოსოფოსია, მანანნალა მამა მანანნალათათვის. სწორედ ამიტომ ხდის კოსტუმს ვ. მოსიძის კაპრალი მარტინი, ხოლო ფეხსაცმელს — პ. კიკვაძის კურიო. სწორედ ასეთი მამის ხსოვნას უნდა სცენ პატივი და სწორედ ამ ხსოვნას უნდა სცენ პატივი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მიცვალებულის განძარცვა მისივე ხსოვნის და სიყვარულის დასამტკიცებლად მისივე ნივთების თუ ტანსაცმლის ტარების მიზნით. ეგ კიდევ არაფერი. მამის სიკვდილის დაუჯერებლობას ლოთი მანანნალები მის ცოცხლად გამოცხადებაში ხედავ-



**ეპა არჩაია - ოფასილია  
მერაბ ბრეჩაშვილი - „კინკასი ცყალია ოხერი“**

ენ. არა, ტყუილის თქმას სულაც არ ფიქრობენ, უბრალოდ მკვდარ კინკასას, როგორც ცოცხალს ისე ექცევიან და იმავე ცხოვრებით აცხოვრებენ. ზოგი მის ძონძებიანი ცხედრის სანოლზე (რამეთუ უკვე გახადეს) ჩამომჯდარი, ზოგი კი მის თავთან მდგარი სანთლების გვერდით მკვდარ კინკას, როგორც ცოცხალს სასმელის დალევას ისე სთავაზობენ. მკვდარი ბრეკაშვილის კინკასი, გულზეხელებდანყობილი სასმელს უკან ამოასხამს და შეასხამს მის „მრევლს“. „მრევლიც“ ჩათვლის, რომ არათუ სიკვდილის, უბრალოდ პოზის ბრალია და მკვდარ კინკასას როგორც ცოცხალს, სანოლზე წამოაჯენს. და ზის თავჩაქინდრული ბრეკაშვილიც მათთვის მადლიერი და მათთვის მადლიერი და მორჩილად იღებს მისი მორჩილების გაღებულ მადლს და სიკეთეს. მაგრამ, „ცოცხალი“ კინკასისთვის მხოლოდ ასეთი ბიპემური სიამოვნება სიკვდილის ტოლფასია. კინკასი უფრო მეტი თავდავინყების მოყვარულია, სწორედ ისეთის, სადაც სიცოცხლე სიკვდილის ტოლფასია. მანანნალების მხარზე გადებული მკვდარი ბრეკაშვილის სხეული, იატაკზე ფეხების თრევით სიცოცხლეში განვლილი გზის გამეორებას იწყებს.

მკვდარს უცეავებენ და აცეავებენ სამჩას. მკვდარს მიუყვანენ თეძოგანიერ კიტერიას, რომელიც ცოცხლებისთვის დამახასიათებელი საყვეფურებით ავსებს. მკვდარ მთვრალს, ოღონდ მათვის მთვრალს და არა მკვდარს წონასწორობის შენარჩუნებას ურჩევენ, უზონადობაში მყოფს კი იქვე კედელთან მიაყუდებენ, იქვე იატაჟზე დაგდებულს გადააბიჯებენ, ოღონდ როგორც კი წილის დარტყმას ვინმე ბაზრის პოეტი (დ. ბერაძე) შეკადრებს, უმაღლანდვით და გინებით გაისტუმრებენ.

მიყუდებული მთვრალი და არა მკვდარი იატაჟზე დაცემით ასრულებს თავისი სიცოცხლის მისტერიას. მას შემდეგ არავის უნახავს იგი, მხოლოდ თვალი მოკრეს მანანალებმა მის სხულს ზღვის ტალღებზე მონავარდეს და ესეც მისი წინასწარმეტყველების ნაწილად შერაცხეს. ყველა და ყველაფერი — ჭექა-ქუხილიც, ზღვის აბობოქებაც, ნავის ამოყირავებაც ზეციურ ნიშნად მიიღეს და კინკასი მითიურ დროს და სივრცეს გადააბარეს.

როდის კედება მამა ჩვენში ან როდის და რატომ ვკვლავთ ჩვენში მამებს. როდის ვასალებთ მკვდრებს ცოცხლებში ან ცოცხლებს მკვდრად რატომ ვაცხადებთ?

კინკასის შვილი ვანდა (ნ. შავგულიძე) შავებში ჩაცმული თავისი წესიერი ქმრის (დ. ველიჯანაშვილი), მამიდის (მარინა სოლომონია) და ბიძის (ნ. კონსტანტინოვი) თანხლებით კინკასის თავშესაფარს ესტუმრებიან. მათვის სახლიდან წასული კინკასი დიდი ხანია მკვდრადაა შერაცხული. ცოცხალი დიდი ხანია მკვდრადაა გასალებული და რატომ? რატომ არ ტირის ვანდა და რატომ არ იქცევა ისე, როგორც ეს წმინდანთა ხატებით მოვაჭრემ (ნ. წერედიანი) წარმოიდგინა, ხოლო ვანდამ უბრალოდ მოვაჭრეს წარმოდგენა წარმოგვიდგინა. რატომ უბრუნდება ვანდა თავის საწყის მდგომარეობას დიდი ხნის უნახავის და თან მკვდარის დანახვისას, რატომ ბრუნდება კადრი უკან და მოვაჭრის წარმოდგენა რეალურად ვანდას სიცივით, გულგრილობით რატომ სრულდება? ის უბრალოდ მაინც მამა ყოფილა თურმე მისი, მანც მამა, რომლის წინაშეც, როგორც შვილს, მხოლოდ ერთი მოვალეობა აკისრია — ღირსეულად დაასაფლავოს მისთვის უღირსი მამა. უღირსი მამის ღირსეული შვილი — ვანდა უკვე გარდაცვლილს, დიდი ხნის წინ დასაფლავებულ მამას თავის ხსოვნაში და მოგონებებში რეალურად და რეალური მკვდარისთვის აღარ აქვს ადგილი.

და მაინც რისთვის, რატომ ან როდის მოკვდა მამა ვანდაში, ისევე როგორც ვანდა მოკვდა მამაში.

მაშინ როდესაც ოცნებები მათი გაიყო. მამას ოცნება ჰქონდა — შეუძლებლობის შასაძლებლობა, ვანდას კი — შესაძლებელის შეუძლებლობა.

მამამ შეუძლებლობა შესაძლებელ სიცოცხლის ხალისზე, უანგარო სიყვარულზე, უსაზღრო ნეტარებაზე გავლით შეძლო და მიიღო, მაშინ როდესაც ვანდამ საყვარელი ადამიანის — ქმრის გვერდით ცხოვრება შეუძლებელ ბეჭინერებად გადაიქცია.

როდის კვდება მამა ჩვენში, როდის ვიქცევით მამისმეტყვლებად, როდის დავარბენინებთ ქუჩა-ქუჩა მკვდარი მამის ხატებას, როდის?

იქნებ მაშინ, როდესაც ოცნებას ჩავთვლით თავად შეუძლებლობად ან იქნებ მაშინ, როდესაც შეუძლებლობაა თავად ოცნების არსებობა.

იქნებ მაშინ, საკუთარ უსუსურობას მამას რომ ვაბრალებთ. ან იქნებ მაშინ, ცოცხლებს მკვდრებს რომ ვამჯობინებთ და ვკლავთ ცოცხალთ, რამეთუ მკვდარნი ვაცოცხლოთ დიდხანს.

როდის ვქმნით მითებს, ლეგენდებს, კულტებს? იქნებ მაშინ, როდესაც მამას ვკლავთ ჩვენში, მამას, როგორც შეუძლებლობას ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე. ან იქნებ, ჩვენს შესაძლებლობას ვკლავთ ჩვენში და სწორედ ამიტომ მამას, როგორც შეუძლებლობას ისე წარმოვიდგენთ.

„მთავარია რამეს შეცადო, თუნდაც ეს რამე შეუძლებლობა იყოს“. ცხოვრება ხომ ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი შესაძლებლობაა.

და დგას ბრეკაშვილი ბრაზილიაში აღმართული ხელეგაშლილი ქრისტეს ქანდაკების პოზაში. მაგრამ ეს პოზა წინ უსწრებს მის საბოლოო გარდაცვალებას, გაუჩინარებას თუ მარადიული სიცოცხლის დასაწყისს.

ასე არ ასრულებს რეჟისორი გ. თავაძე თავის სპექტაკლს, მაგრამ ასე სრულდება და ასე იკვრება ჩემი აზრი ამ ორი სპექტაკლიდან გამომდინარე — მამა უნდა მოკვდეს შვილში, რომ შვილი მამად იქცეს. მამა უნდა მოკვდეს და არა ეცვას ჯვარს. მამა უნდა მოკვდეს და არა უარი ვთქვათ მასზე. მამა შვილში უნდა განსხეულდეს.

P.S. რას დაინახავდა კალიბანი დღეს თავის სარკეში — იქნებ, ოდიპოსს?

# ზოგჯერ

## გულწრფელი, მაგრამ ზედაპირული

### ლაშა ჩხარტიშვილი

უნდობლობა და ტრადიციული „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი აღმოჩნდა ყველაზე აქტუალური პრობლემა და მტკიცებული თემა შექსპირის „ჰამლეტიდან“ ახალგაზრდა რეჟისორ თემურ კუპრავასთვის. სპექტაკლი, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე, მაგრამ საგანგებოდ ამ სპექტაკლისთვის „დაპატარავებულ“ სივრცეში დაიდგა, ახალგაზრდა რეჟისორის პირველი დამუკიდებელი ნამუშევარია, ფაქტიურად რეჟისორული დებიუტი.

მანამდე თემურ კუპრავა ლევან წულაძის სპექტაკლის „ჟოლო“ (თანამედროვე იაპონელი დრამატურგის კოკი მიტანის „სიცილის აკადემიის“ მიხედვით) აფიშაზე გამოჩნდა. „ჟოლო“ დიდ დარბაზის პარტერში საგანგებოდ მოწყობილ ფიცარნაგზე გათამაშდა. ორი მსახიობის ნატა მურვანიძის და ნიკა კუჭავას გულწრფელ და საინტერესო საშემსრულებლო ხელოვნებას მაყურებელი სცენიდან საგანგებოდ აშ სპექტაკლისთვის შექმნილი ამფითეატრიდან ადევნებდა თვალს. თემურ კუპრავა ალნიშნულ სპექტაკლში ფაქტიურად რეჟისორის ასისტენტის ფუნქციას ასრულებდა. ვფიქრობ, ლევან წულაძესთან ერთად ამ სპექტაკლზე მუშაობა რეჟისორის ოსტატობის საინტერესო გაკვეთილები იყო ახალგაზრდა და ჯერ კიდევ გამოუცდელი თემურ კუპრავასათვის.

თემურ კუპრავას პირველ დამოუკიდებელ ნამუშევარს ეტყობა კიდეც ლევან წულაძესთან გავლილი გაკვეთილების ავალი, თუნდაც სცენური სივრცის გადაწყვეტის თვალსაზრისით (თანაც სპექტაკლის მხატვარი ლევან წულაძე). რა შეიცვალა ამ მხრივ ამ ორ სპექტაკლს შორის ფორმისა და სივრცის თვალსაზრისით? ფაქტიურად არაფერი, გარდა იმისა, რომ სპექტაკლის მიმდინარეობისას მაყურებელიც და მსახიობებიც სცენაზე არიან. ასე რეჟისორი შეეცადა ინტიმური ურთიერთობის დამყარებას და შემდგომ შენარჩუნებას მაყურებელსა და სცენაზე გათამაშებულ მოვლენებთან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი მოქმედება თითქმის ორ საათს გრძელდება, ძნელია მაყურებელსა და მსახიობებს შორის მოქმედების დასრულებამდე იდეალური და უწყვეტი კონტაქტის დამყარება, თუმცა, სპექტაკლი მონაწილე მსახიობები დინამიკურობის შენარჩუნებას მაქსიმალუ-

რად ცდილობენ და ხშირ შემთხვევაში, აღნენ კიდეც.

დებიუტისთვის არც მეტი არც ნაკლები შექსპირის „ჰამლეტის“ შერჩევა ახალგაზრდა რეჟისორისთვის დიდ რისკთან და გამბედა-ამბასთან არის დაკავშირებული, თანაც იმ სცენაზე, სადაც სცენის ოსტატები და ქართული თეატრის ლეგენდები თამაშობდნენ. სითამამე რადიკალიზმით გამორჩეული ახალგაზრდა შემოქმედისთვის დადებითი თვისებაც კი არის, რომელიც უფრო ნათლად აჩენს დაშეგებულ შეცდომებს მომავალში გასათვალისწინებლად. შექსპირის „ჰამლეტი“, ისე როგორც მისი სხვა პიესები, ამ მხრივ უნიკალური მასალაა, ერთგვარი სასწავლო სახელმძღვანელოც კი. ამავდროულად, „ჰამლეტი“ შექსპირის პიესათაგან ქართულ სცენაზე ყველაზე ხშირად დაგდებული ტრაგედია. შესაბამისად, ჩვენს ეროვნულ თეატრი ამ პიესის სცენური ინტერპრეტაციის მდიდარი ტრადიცია და ისტორია არსებობს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით კიდევ უფრო რთულია დააღწიო ტრადიციის გავლენას თავი, მით უმეტეს, როცა ქართული თეატრის თანამედროვე რეპერტუარშიც კი არსებობს ამ პიესის რამდენიმე წარმატებული თეატრალური ვერსია.

თემურ კუპრავას სპექტაკლი შესაძლოა ბევრი თვალსაზრისით იძლეოდეს კამათის საშუალებას, მაგრამ რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ტრადიციის გავლენას აშკარად დაალწია თავი და ამას მიაღწია არა მხოლოდ სცენური სივრცის შექმნით, არამედ გარკვეულ პერსონაჟთა მისეული გააზრებით. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემია, რომ თემურ კუპრავას „ჰამლეტი“ მოკლებულია ყოველგვარ პათეტიკურობას (რაც ამცირებს სიყალბის ფაქტორს), თეატრალიზირებულ მორალსა და ზეანებულობას. რეჟისორი შაქსემალურად ცდილობს თეატრის ხერხებით დახატოს ჩვენი თანამედროვე რეალური, ყოფითი პერსონაჟები.

რა არის თანამედროვე „ჰამლეტის“ სცენური ინტერპრეტაციის თემურ კუპრავა-სეული კონცეფციის მთავარი ვათოსი? მარადიული დილემის საკითხი „ყოფნა-არყოფნა“ და ნდობის გაქრიბა თვით „მართალი სიმართლის“ მთემელთა მიმართაც კი. ამ ორ საკითხზე სვამს აქცენტს ახალგაზრდა რეჟისორი, თუმცა, მისი ხედვა თანამედროვე სამყაროზე ბოლომდე არ არის ნათელი და გააზრებული. თანამედროვე თეატრში ხშირია შემთხვევა, როცა კალასიკური დრამატურგიის ისეთ ცნობილ ნაწარმოებებს, როგორიც „ჰამლეტია“ რეჟისორები კონცეფციის გარეშეც კი დგამზნ, მათი მთავარი ყურადღება ორიენტირებულია ამბის თხრობა-გადმოცემაზე. მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც კორშუნოვასისა და ნეკრომიუსის სპექტაკლები, სადაც დარღვეულია სურათების თანმიმდევრობა, აქცენტირებულია ტრაგედიის გარკვეული ეპიზოდები და მთლიანად ორიგინალურია ამ სპექტაკლების ფორმა.

თემურ კუპრავასა სპექტაკლშიც აქცენტი უფრო სპექტაკლის ფორმაზე, სცენურ ეფექტებზეა გადატანილი, ვიდრე „ჰამლეტის“ ფილოსოფიური კონცეფციის ახლებური გადაწყვეტაზე, რასაც ჯერ დიდი გამოცდილების შეძენა და მისი გამოყენების უნარი სჭირდება. დებიუტანტი რეჟისორი, ბუნებრივია, გაიტაცა ფორმის ძიებამ, რაც არ გამოვლინდა მხოლოდ იმაში, რომ მაყურებელი სცენაზეა განთავსებული, არც იმაში, როცა სცენაზე ტბის ან თუნდაც წვიმის ასოციაცია იქმნება, არამედ იმაში, როცა მსახიობები კლასიკურ, ჰათეტიკურ ტექსტს ინტონაციებით ათანამედროვებენ. ეს განსაკუთრებით მაღაზ აბულაძის (კლავდიუსი), ალექს მახარობლივილის (პოლონეუსი) და ეკა ჩხეიძის (გერტრუდა) შესრულებას ეხება. სამივე მსახიობი რეალური, ყოფილი პერსონაჟები არიან, მიუხედავად მათი სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობისა. სწორედ მათი შესრულების წყალობით მაყურებელი თვალს ადგვნებს ლამის გაზეპირებული სიუჟეტის განვითარებას და მის მიმდინარეობას. სად ჩაიკარგა თავად ჰამლეტი-პიესის და სპექტაკლის მთავარი გმირი?

ჰამლეტის როლს ახალგაზრდა, სრულიად გამოუცდელი მსახიობი კოკო როინიშვილი ასრულებს. მსახიობის პროფესიული გამოუცდელობა და დაუღვინებლობა (რაც მის ასაკში ბუნებრივია) სპექტაკლში შემოთავაზებული ჰამლეტის დამახასიათებელი შტრიხიც კი გახდა. ახალგაზრდა მსახიობი კოკო როინიშვილი-ჰამლეტი დიალოგებისას გულწრფელია, ნორჩი და თითქოს გულუბრიყვილოც კი, მაგრამ როცა ის პირისპირ რჩება მაყურებელთან საკმაოდ ვრცელი მონოლოგების დროს, მისი როგორც მსახიობის პროფესიული გამოუცდელობა იჩენს თავს. მაგალითად ცნობილი მონოლოგის „რად არ მეშლება ეს სხეული...“ კითხვისას კოკო როინიშვილს ხელოვნურობის უფექტი დაჭრავს, ის თითქოს საგანგებოდ ემზადება ამ მონოლოგისთვის, რითაც სტილისტიკით მხატვრული კითხვის უარნის უაღმოვდება. აქ მსახიობს ის უშუალობა აკლიია, რომელიც მას ბევრ სხვა სცენაზი აქვს. ამკარაა, რომ ჰამლეტის როლი მისთვის საკმაოდ რთული მასალა აღმოჩნდა, იმდენად რთული, რომ მას ზოგჯერ ხმის დიაპაზონიც კი ღალატობს გააგონის ტექსტი ისედაც ახლოს მყოფ მაყურებელს. როცა ის დაბალ ტონალობაში საუბრობს მის მიერ ნაკრძალული ტექსტი მთლიანად შესაბამისობაში მოქმედებასთან, ხოლო როცა ხმის ტემბრს აძლიერებს ლოგიკური თანახვედრობა იკარგება. კოკო როინიშვილის ჰამლეტი ნამდვილი უნვერ-ულვაშო ყმანვილია, რომელსაც ჯერ სიბრძნე და გამოცდილება აკლია, ის ხმირად წიგნით ხელში გვხვდება, ანუ შემეცნების პროცესშია და მისი ქმედებები სპექტაკლში აჩრდილის მითითებებითა და ინტუიციითა ნაკარნახევი. ჰამლეტის მიზანი ხომ სიმართლის გამოაშეკარავებაა და სპექტაკლში ეს მიღწეულია კიდეც. გარკვეულ ეპიზოდებში (კლავდიუსთან და გერტრუდას-

თან, ასევე პოლონიუსთან) კოკო როინიშვილი დანიის ნამდვილ პრინცად გვევლინება. მსახიობი დახვეზილი შესტიკულაციით და სწორი ინტონაციით ნარმართავს დაალოგს (პოლემიკას) პერსონაუებთან. ხმის ვიწრო დაზიანებობი გამოავლინა (ყოველ შემთხვევაში ამ სპექტაკლის მაგალითზე) აჩრდილის როლის შემსრულებელმა პაატა პატუაშვილმა. აჩრდილი თემურ კუპრავას სპექტაკლში ჰამლეტის ალტერ ეგოა, იგივე ჰამლეტი (პიესაშიც ხომ ორივეს მამასა და შვილს ჰამლეტი ქვია). ეს კონცეფცია სპექტაკლში პლასტიკური პარტიტურით არის გამოხატული, რომელიც ნათლად იყითხება. მსახიობებს ერთნაირი კოსტიუმები აცვიათ, ერთნაირ მოძრაობები, თოთქოს ხმის ტემპრიც ერთნაირი აქვთ. ორიგინალურადაა გადაწყვეტილი ჰამლეტის აჩრდილობა შეხვედრის იმოველი სცენა.

თემურ კუპრავა საგანვებოდ აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ „რაღაც დალაპა ამ სამეცნიერებოში...“ ჰამლეტის ეს ფრაზა ძესაძლოა, ყოველთვის აქტუალურად ულერდეს ნებისმიერ გარემოში, მაგრამ დღეს ამ ფრაზამ მეტი აქტუალობა და მნიშვნელობა შეიძინა ჩვენში... თემურ კუპრავა ამ სპექტაკლით ეთხოვება ძველ, ტრადიციულ მიდგომას შექსპირის ტრაგედიასთან, ცდილობს მაქსიმალურად თანამედროვე გახადოს კოსტიუმები, გარემო, რომელშიც მსახიობები მოქმედებენ. სცენოგრაფიის ავტორად თვით ლევან წულაძე გვევლინება, რომელმაც „ჰამლეტის“ გათამაშებისთვის სანაპირო შემოგვთავაზა, რომელიც ხშირად ტრანსფორმირდება ხან სასახლედ, ხან სამუშაო ოთახად და ხანაც სამეფოს ცენტრალურ ქუჩად. რეჟისორი ცხობილი სტიქიები-ბიდან სპექტაკლში წყალს იყენებს, სანაპირო აქ მაქსიმალურად გაცოცხლებულია და რეალურს მიმსგავსებული, სცენის ერთ ნაწილში მართლა წყალი დგას, რომელშიც ტივი ტივიტივებს. თემურ კუპრავამ წვიმის ეფექტის შემოტანაც სცადა სპექტაკლში, სცენის ზემოდან, მართლაც წვიმდება, მაგრამ ეს პასაჟი მხოლოდ ეფექტად რჩება, მას რაიმე განსაკუთრებული დაგერითვა არ აქვს.

საბოლოო ჯამში რეჟისორს აქვს პერსპექტივა შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების. დებიუტისთვის მისი კოლეგების უმრავლესობა სიუჟეტის თხრობასაც კი ვერ ახერხებენ და ვერც მსახიობებთან მუშაობენ. ამ სპექტაკლში კი ჩანს სერიოზული ფიქრის კვალი, ახლის შემოტანის ძლიერობა, მსახიობებთან გმირის ხასიათების გამოკვეთაზე მუშაობა.

კიდევ ერთი ახალი „ჰამლეტის“ გამოჩენამ თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარში ჩვენი, როგორც ერთს თვისება - რადგანიზმი და მაქსიმალისტურობა გამოავლინა. ქართველი ყოველთვის ილტვის ტრაგიზმისკენ, ამიტომაც არის, რომ კველაზე მეტად ქართულ სცენაზე „ჰამლეტი“ და „რომელ და ჯულიეტა“ იდგმება.

# „ჩემი ჰამლეტი“

ნინო კერძაძე

მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“ ბესო კუპრეიშვილი მაყურებელს საინტერესო გამოწვევას სთავაზობს. ინტრიგა აფიში-დანვე იწყება. შექსპირის „ჰამლეტი“, მაგრამ არა უბრალოდ ჰამლეტი, ჩემი ჰამლეტი. თანაც ჰამლეტი ქალია. ეს, ალბათ, კლასიკური ნაწარმოების ყველაზე უჩვეულო, გამომწვევი და საინტერესო დადგმაა თანამე-დროვე ქართულ სცენაზე. თითების თეატრის რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი არ შეუშინდა არც შესაძლო კრიტიკას, არც შექსპირისეულ სირთულეებს და საკმაოდ თამამ და ქართველი მაყურებლისათვის ახლებურ რეჟისორულ გადაწყვეტას მიმართა. მისი „ჰამლეტი“ ძალიან სადა და უბრალოა, ზედმეტი ხელოვნური ტრაგიზმისა და მოკაზმულობის გარეშე. ეს არის სპექტაკლი უბედურ პრინცზე, ადამიანურ ტრაგედიაზე, სადაც ჰამლეტის სულიერი ორთაბრძოლა, ტრაგედია და ტანჯვა ყველაზე ადამიანური, ერთი შეხედვით, მარტივი, თუმცა, ძალიან ემოციური ხერხებითაა გადმოცემული. ჩვენს თანამედროვეობაში, ალბათ, აღარ იქნება საინტერესო ნებისმიერი კლასიკური ნაწარმოების დადგმა, მათ შორის „ჰამლეტისაც“ იგივე გამომსახველობით ხერხებისა და ფორმების საშუალებით, როგორც ეს დადგა, მაგალითად, კოტე მარჯანიშვილმა. ამაზე არავინ დავობს, რომ თავის დროზე ამ დიდი რეჟისორის „ჰამლეტი“ ნამდვილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ სცენაზე, თუმცა, ეს უკვე ნარსულშია. ახლა თეატრს სჭირდება ახალი ფორმები, ახალი გამომსახველობითი საშუალებანი, ცოცხალი სული. ამ შემთხვევაში, ბესო კუპრეიშვილის მოკრძალებული „ჰამლეტი“ არ შედის იმ თანამედროვე სპექტაკლების ნუსხაში, რომელიც ლამის სამუზეუმო ექსპონატებადაა ქცეული, სადაც იგივე პრინციპით იგება დეკორაცია, როგორც ეს წლების ნინ იყო, სადაც კოსტიუმებსა და სცენოგრაფიაზე უფრო გულმოდგინებითაა ნამუშევარი, ვიდრე იდეურ ჩანაფიქრსა და მსახიობის ოსტატობაზე. კუპრეიშვილის ჰამ-

ლეტის ახალი სიცოცხლე ეხმაურება თანამე-დროვეობას. რეჟისორი არღვევს ჩარჩოებს და იწყებს ახლის ძიებას. ჰამლეტს აძლევს ახალ სულს და გვაგრძნობინებს მის პრობლემას უფრო ახლებურად, რომელიც თანამე-დროვე ადამიანისთვის უფრო გასაგები და ახლობელია. სპექტაკლის კამერულობიდან და ფორმიდან გამომდინარე, კუპრეიშვილის ჰამლეტი უფრო ახლობელი ხდება მაყურებლისათვის. ის ჩვეულებრივი ადამიანია, არ არის განცენებული, ჰეროიკული პერსონაჟი, ის ჩვენს გვერდითაა, ჩვენთან ერთად ცხოვრობს და განიცდის ისევე, როგორც ჩვენ.

თეატრის საგრიმიორო სცენაზე... რეჟისორი მაყურებელს არ არწმუნებს, რომ გათამაშებული ამბავი სინამდვილეა, პირიქით — მაყურებელს უნდა ახსოვდეს, რომ ის თეატრშია. გათამაშებული სცენები კი მხოლოდ უბედური დამლაგებელი ქალის წარმოსახვაა, რომელიც ჩაბნელებულ საგრიმიოროში გარდაიქმნება დანის პრინცად. მაყურებელს ნინ დიდი სიამოვნება ელის. ჰამლეტი — ქეთი ცხაკაია მარტოა სცენაზე, თუმცა არც მთლად მარტო. მას პარტნიორობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, თოჯინები უწევენ. ცხაკაია ფაქტიურად თავის თავთან შედის დიალოგში. ხმის ტემპრის გასაოცარი ცვალებადობით იგი ახმოვანებს თოჯინებს - ხელმწიფეს, დელოფალს, ლაერტს, ოფელისა, პოლონიუსს და სხვებს. თითოეული პერსონაჟის ინტრაცია სრულიად განსხვავებული და დამაჯერებელია, მათი ემოციები კი — სრულიად გასაგები. ქეთი ცხაკაია ფაქტობრივად სამსახიობო ოსტატობის მნვერვალს გვიჩვენებს, როდესაც ერთნაირი დამაჯერებლობით, ერთდროულად თამაშობს რამდენიმე პერსონაჟს. მისი ჰამლეტი კი სულაც არ არის უცნაური იმ მიზეზის გამო, რომ ქალია. იგი დაცლილია სქესობრივი შინაარსისებან, რადგან ჰამლეტი უნივერსალურია, მას სქესი არ გააჩნია. ის ფენომენია, უბრალოდ ჰამლეტია. ჰამლეტი, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია. კამერულ სპექტაკლში ტექსტი, რა თქმა უნდა, შემოკლებულია, მაგრამ არა შეცვლილი. სპექტაკლში ყველა ის საკვანძო სცენაა, რაც დინამიკურად მოგვითხრობს ჰამლეტის ამბავს და უფრო მეტად გვამოგზაურებს მის შინაგან სამყაროში, მის განცდებში, ფიქრებში. ჰამლეტი მარტოა სცენაზე და ეს მარტობა კიდევ უფრო ამძაფრებს მის სულიერ ტრაგედიას. იმ ადამიანის ტრაგედიას, რომელიც განსირულია მარტობისა და დაღუპვისთვის. სპექტაკლში გაცილებით

უფრო უმნიშვნელოა ყველა სხვა პერსონაჟი თუ მოვლენა, რაც პიესაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. დანარჩენი პერსონაჟები ანუ თოჯინები მხოლოდ ჰამლეტის სახის შექმნას, მისი განწყობის და დამოკიდებულების გადმოცემას ემსახურებიან. ამიტომ, ჩემი აზრით, აქ ჰამლეტი უფრო ღრმაა, უფრო მეტი ფიქრის საშუალებას იძლევა, მთლიანად უშვებს მაყურებელს, რომ შეაღწიოს მისი სულის სიღრმეებში.

მონოსპექტაკლის წარმატების უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, მსახიობზეა დამოკიდებული, მისი შესრულების ხარისხში, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს სპექტაკლი ამ კუთხითაც გამორჩეულია, რადგან აქ ფაქტობრივად მთელი წარმოდგენა მსახიობის ოსტატობაზე დგას, რამეთუ ქეთი ცხაკაია ერთი წამითაც არ დუნდება. მას ერთდროულად რამდენიმე პერსონაჟის ხაზის შექმნა უნევს, მის ემოციურ დიალოგებსა თუ მონოლოგზე კი სპექტაკლის მთელი ხიბლია დამყარებული. არაჩეცულებრივია ჰამლეტის მონოლოგი, სადაც ცხაკაიას განათების საშუალებით მხოლოდ სახე და ხელის მტკვნები უჩანს. მაყურებელი ხედავს მხოლოდ მის სახეს და შესაძლებლობა აქვს მაქსიმალურად დააკვირდეს მის მიმიკას, გამომეტყველებასა და უფრო ღრმად იგრძნოს ჰამლეტის განწირულობა. ქეთი ცხაკაიას ჰამლეტი, რომელსაც „ეს შევენიერი ქმნილება დედამინა ხრიოკ კლდედლა მიაჩნია,“ კიდევ უფრო მარტოსული და ეულია, ვიდრე შექსპირის. ალბათ, ისევე, როგორც თანამედროვე ადამიანი, მრავალი შესაძლებლობის მქონე, უამრავ ხალხსა და ხმაურში ჩაძირული, თუმცა, ხშირად მაინც ხელმოცარული და მარტოსული. აქ მას ერთგული შეგობარი ჰორაციოც კი არ ჰყავს. თითქოს მისი სულის უმცირეს ნაწილსაც კი არ სცალია სიყვარულისთვის, თუმცა კი ის განიცდის ოფელიას სიკვდილს და გულში იხუტებს მკვდარ დედას, რომელსაც მანამდე მთელი გულით სწყევლიდა.

დეკორაცია მინიმალური, სადა და გემოვნებიანია. მუქი ფერის საგრიმიოროს მაგიდა, რეინის კონსტრუქცია და ერთი შავი ყუთი. დამლაგებლის გარდასახვის შემდეგ, საგრიმიოროს მაგიდა იშლება და გადაიქცევა დანიის სამეფოდ. სცენოგრაფიის თითოეული დეტალი, მისი ფერი ხაზს უსვამს ჰამლეტის შინაგან განწყობას, მის ტანჯვას. მაგიდა ხან თეატრის პარტერად და ხანაც ჰამლეტის მიერ გათამაშებულ სპექტაკლის სცენად გვევლინება, სადაც სხვათა შორის საინტერესოა,

რომ ხელმწიფე და დედოფალი რეჟისორს ვირთხების სახით ჰყავს წარმოჩენილი. მაგიდის უჯრები ხან საიდუმლოების საცავია, ხანაც — კუბო.

სპექტაკლის დასასრულს, ჰამლეტი საბოლოო სიტყვებთან ერთად ალაგებს სცენას. უჯრებს, სადაც მოთავსებულია გარდაცვლილი პერსონაჟები (თოჯინები), აპრუნებს თავის ადგილას, დაშლილ მაგიდას აერთებს, რომელიც კვლავ საგრიმიოროს მაგიდად იქცევა. ყველაფერი თავდაპირველ სახეს დებულობს. დამლაგებელი გამოდის როლიდან, თუმცა, მაყურებლის გარეშე გამართული სპექტაკლი დასამთავრებელია... ჰამლეტი უნდა მოკვდეს. იგი წვეპა მაგიდაზე და ზეალმართული თითოთ, რომელიც ხაზს უსვამს მისი სიტყვების სიმკაცრეს და გარდაუვალობას, ასრულებს სპექტაკლს: „სხვა რაღა დამრჩენია? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“... მის გვამს ირეკლავს ჩაბეჭელებული სარკე, რომელიც რაღაც შემზარავი და უიმედო სილუეტით, კიდევ უფრო ამძაფრებს დასასრულს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს განათება, რომელიც ასევე დიდ როლს თამაშობს სპექტაკლში. განათების ცვალებადობის საშუალებით, იცვლება სცენის სივრცე და მოქმედების ადგილი. იოსებ ბარდანაშვილის სწორად შერჩეული მუსიკაც ასევე ამძაფრებს ემოციურ ფონს.

როგორც უკვე აღვნიშნე, სპექტაკლის სახელწოდება თავისითავად უკვე დამაინტრიგებელია. „ჩემი ჰამლეტი!“ რატომ ჩემი? ან რატომ ჰამლეტის როლში ქალი? შესაძლოა, ეს რეჟისორის მიერ მიგნებული მომგებიანი სვლა და კიდევ ერთი გამოწვევაა, თუმცა, იქნებ იმიტომ, რომ ჰამლეტი მართლაც, რომ ყოველ ჩვენგანშია. ის არ არის მხოლოდ შექსპირის სენტიმენტალური და ტრაგიკული გმირი, რომლის სულიერი ტრაგედიაც შორსაა ჩვეულებრივი ყოფიერებისგან. იქნებ, სწორედაც, რომ თითოეულ ჩვენგანს გვყავს საკუთარი ჰამლეტი. ჰამლეტი, როგორც პერსონაჟი, უკვდავია თავისი გლობალური და ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე. „ყოფნა არ ყოფნა“, ეს უკვდავი და უკვე ბანალობადაც ქცეული სიტყვები ჩვენშია. პასუხებაუცემელი კითხვაა, ბრძოლა. იქნებ, სწორედაც, რომ თითოეულ ჩვენგანს გვყავს საკუთარი ჰამლეტი. შესაძლოა, ვცდები და ჩემი ჩანაფიქრი შემაქვს რეჟისორის მიერ უკვე ინტერპრეტირებულ გმირში, თუმცა, სპექტაკლმა კიდევ ერთხელ დამაფიქრა ჰამლეტისეულ უკვდავ და უნივერსალურ ადამიანურ პრობლემაზე.

# ქართული თეატრი საერთაშორისო სარბიელზე

## „როგორც გენებოთ...“

თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი წარმოდგენის - „როგორც გენებოთ“ - დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა (თუმცა, მაყურებელთა ერთი ნაწილი მანამდეც ფეხზე იდგა) და დასას ასე მოუწყო ოვაცია. მის მიერ წარმოდგენილი არდენის ტყე გახლავთ მომცრო, სახელდახელო სცენა - თეატრი თეატრში. მთელი წარმოდგენის მსვლელობაში მსახიობები კულისებიდანაც მოჩანან: ხედავ მათს მეგობრულ საუბრებს, საჭადრაკო პარტიებს, კინკლაობასა თუ ბაქიობას. ეს თან გხიბლავს და თან არც უადგილოა, რადგან „როგორც გენებოთ“ ნაწილობრივ არის რეალობისთვის თავის დაღნევის ცდა, როგორც თვითშეცნობის საშუალება.

ნინო სურგულაძის კოსტიუმები დაუდევრად მდიდრულია და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მდიდარი ფანტაზიის პატრონმა მექუდემ საქმე ისე მოაწყო, რომ უქუდოდ არც ერთი თავი არ დარჩენილიყო. ლე ბო (ონისე ონიანი) ყველაზე მოხდენილია. მას ახურავს ჩალის ქუდი, აცვია კრემისფერი გეტრები, უკეთია რქისჩარჩოიანი სათვალე და მოწითალო პიჯაკის შიდა ჯიბეში ტომატის წვენის ბოთლს ინახავს. დროდადრო, როცა ლუკმა გადაყლაპულიც არა აქვს, ის ფრანგულად ლაპარაკობს.

ლევან წულაძის დადგმა ჭეშმარიტად ჩეხოვისებურია - მას გულთან ახლოს მიაქვს ცოდვილი კაცობრიობის პრობლემები. და განსაკუთრებით შთამბეჭდავი ის არის, რომ ინგლისური სიტყვების არარსებობის პირობებშიც კი, ესოდენ ცხადად წარმოჩინდება შექსპირისეული სიბრძნე. მკაფიოდ დავინახე, რამდენად დიდი დატყიორთვა ენიჭება ამ პიესაში ტემპერამენტს: ნათელი სულის მქონე მძიმე ყოფასაც კი დღესასწაულად აქცევს, ხოლო ის, ვისი გულიც მელანქოლიამ შეიძებრო, განწირულია მოთქმა-კვენესისთვის.

ამის დასტურია ნატა მურვანიძის უბადლო უაკი. ქართული ენა ძალიან უხდება მელანქოლიურობას და ეს უკანასკნელი პირდაპირ იფურჩქნება მურვანიძის ხმაში. მაგრამ რა წუთშიც დამთავრდება მისი სევდიანი ბორიალი, უაკი ამოხეთქილ შადრევნად დაეყრება შემოდგომის ფოთლები - ბუნება თითქოს დასცინის მის ჯიუტ კაეშანს. ეს ბრნყინვალე კომიკური აქცენტია. შესანიშნავები არიან როზალინდი (ქეთევან შათირიშვილი) და სელიაც (ნატო კახიძე), მუქმწვანეშარფიანი ანცი სილფიდები, რომლებიც ზოგჯერ ისე სხაპასხუპით მეტყველებენ, სწრაფად გადახვეული ფირი გეგონებათ. ოდრი (მანანა კოზაკოვა) უაღრესად სასაცილო და ერთობ შთამბეჭდავი მწყემსი ქალია, რომელიც უხამსად წველის თავის პლასტმასის ცხვარს და, ალისფერ კაბაში გამოწყობილი, სცენაზე დასაქორწინებლად შემოვარდება. წარმოდგენაში, რომელშიც აქცენტი გონებამახვილურ დეტალებზე კეთდება, დიდად მომხიბლა სასოწარკვეთილი სუფლიორის კომიკურობამ, ადამიანის ზომის ნაჭრის თოჯინამ საჭიდაო პაერობაში და იმ ჯადოსნურმა მომენტმა, როცა დასი, კულისებიდან, ჩიტების ჭიკჭიკის იმიტაციას ახდენს, რაც თანდათან გადაიქცევა ქართულ დილის საგალობლად - და ზაფხულის დილად არდენში.

(გაზეთი „გარდიანი“, 22 მაისი 2012)

„თეატრი და ცერმონება“

## 1956 წლიდან დღემდე...

2012 წლის „თეატრი და ცხოვრების“ № 4-ში დაიბეჭდა ინტერვიუ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორ, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილთან და მის სამსახიობო ჯგუფთან, რომელმაც ლონდონის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც სპორტული ოლიმპიადის პროგრამაში იყო ჩასმული, ოლიმპიადის რვა პრიზიდან სამი მოიპოვა. ამ დღიდ წარმატებას ინგლისელი კრიტიკოსები გამოეხმაურნენ. ამჟამად ვძეჭდავთ ენდორიუ ჰეიდონის რეცენზიას ჩვენს სტუდენტურ სპექტაკლზე.

1956 წელს ქალაქ ბრისტოლში გაიმართა პირველი ეროვნული სტუდენტური ფესტივალი, სადაც ხუთი თეატრალური დასი იბრძოდა ერთადერთი ჯილდოსთვის. ტიმოტი ვესტის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ჩვენი ქალაქი“ გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა მსახიობი – კლაივ ვოლფი, რომელმაც მოიპოვა კიდეც „სანდი ტაიმსის“ მიერ დაწესებული პრიზი.

ფესტივალის ახალბედა მონაწილეთა საყურადღებოდ ვიტყვი, რომ კლაივი დღეს NSDF-ის პრეზიდენტია და სწორედ მისი თაოსნობით წარმატებით იმართება ეს ფესტივალი 1968 წლიდან დღემდე.

იმავე 1956 წელს საბჭოთა ტანკებმა გადათელეს ბუდაპეშტში „უნგრული რევოლუცია“. საქართველო მაშინ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო.

ყველა ეს მოვლენა თავს იყრის იმ სპექტაკლის გარშემო, რომელიც შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიმა წარმოადგინა საქართველოდან, თავს იყრის, იმიტომ რომ „ჩვენი ქალაქი“ პიესაა დროის მსვლელობასა და მარადისობაზე, წარსულსა და ან-მყოზე.

გიორგი შალუტაშვილის ქართულ ვერსიაში პიესის ტექსტი საკმაოდ შემცირებულია და სამსაათიანი პიესა ქართველებმა საათსა და ორ-მოცდახუთ წუთში წარმოადგინეს (იხ. შენიშვნა სტატიის ბოლოს).

რეჟისორის ასისტენტი, როგორც პერსონაჟი, ჩანაცვლებულია ორი მანანნალით, რომლებსაც სუსხიან ღამეს ქალაქის გარეუბანში ჩაეძინებათ და თავის ხილვებში იწყებენ ამერიკული პატარა ქალაქის და თავიანთი წარსულის გახსნებას, ხვდებან გროვერს-კორნერსის მაცხოვრებლებს, შედიან მათ ოჯახებში და გვიყვებიან ახალგაზრდა წყვილის – ჯორჯის და ემილის მომხიბლებლი და ამაღლებებლი სიყვარულის ისტორიას.

ძნელია წარმოადგინო ამ პიესის უკეთესი ან უფრო დინამიკური დადგმა. სპექტაკლში ყოველი სცენა თამაშდება მსუბუქად და ძალდაუტანებლად, არც ერთი ფრაგ-

მენტი არ არის დაუმუშავებელი ან გაუაზრებელი. შეუძლებელია მსახიობთა თამაშის სიტყვით გადმოცემა. სპექტაკლი დაძაბულად და დინამიკურად ვითარდება და იმავდროულად არსებობს სილალისა და სიხალისის საოცარი განცდა. დასას თითოეულმა მსახიობმა ზუსტად იცის, თუ რას აკეთებს სცენაზე, როგორ რეაგირებს პარტნიორის ქცევაზე. ეს უკლებლივ ყველას ეხება – თამაზ გახარის მიერ განსახიერებულ სევდიანსა და დარღით ალსავსე ჯო სტოპ- არტს თუ მარიამ ნადირაძის მომაჯადოებლად კეკლუც ემილის, გიორგი მახარაძის მომხიბვლელ და იმავდროულად მორიდებულ ჯორჯს. უსიტყვო ეპიზოდების დროსაც მსახიობები ისეთი ოსტატობით, ისეთი ქარიზმატულობით და სრულყოფილებით, იმდენად შთამბეჭდავად გადმოსცემდნენ სცენურ სათქმელს, რომ რამის დამატება შეუძლებელია.

საოცარ სამსახიობო შესრულებასთან ერთად საოცრად შთამბეჭდავი იყო სპექტაკლის შესანიშნავი, ბრწყინვალე რეჟისურა. სცენურ სივრცეს ავსებდა რამოდენიმე სკამი, ორი ლობე, ოვალური სახლი სცენის სილრმეში და ფერადი ვიტრაჟი. ავანსცენაზე გახსნილი იყო ხუთი ღიობი. კოსტიუმები ოდნავ ექსცენტრიკული დიზაინით იყო გადაწყვეტილი ამერიკულ სტილში, კუბოკურული ქსოვილებით, ფართო-ტოტებიანი შარვლებით და მოტკეცილი შორტებით. ამ ფონზე საქორნინო კაბა ზედმეტად ტრადიციული ჩანდა.



ლრმა და სერიოზულ ემოციას და ფიქრებს აღძრავს.

არსებობდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი (ვგულისხმობთ სუბტიტრებს და განათებას), თუმც ყველა ეს ხარვეზი მყისიერად იფარებოდა მაღალი სამსახიობო ოსტატობის და მკაფიოდ და ცხადი დადგმის ხარჯზე.

ჩემთვის დიდი პატივი იყო ვმჯდარიყავი 56 წლის შემდეგ იმავე დარბაზში, სადაც იჯდა კლაივ ვოლფი NSDF-ის პირველი სპექტაკლის შემდეგ და შემედარებინა ჩანაწერები წარმოდგენის შემდეგ. ეს იყო სიცოცხლის განცდით ალსავსე ყველაზე განუმეორებელი საღამო, რაც კი ოდესმე თეატრში გამიტარებია. ვფიქრობ, რომ ოდნავადაც ვერ შევძელი ჩემი შთაბეჭდილების გადმოცემა.

ამგვარი საღამოები გვაფიქრებინებს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა ამქვეყნად ნამდვილად შესაძლებელია.

ენდრიუ ჰეიდონი, თავისუფალი კრიტიკოსი, წერს გამოცემებისთვის „ფაინენშლ ტაიმსი“, „გარდიანი“, „ტაიმ-აუტი“ და ა.შ. ფესტივალის აღმანახის რედაქტორი და გამომცემელი.



## თეორია

# დაცვის პრინციპის გარდაცვალება!

(ვაჟა-პეტრე პრინციპის, მაგრამ ამ შემთხვევაში სათვაზო პრინციპის გამჭვილება)

### ლევან ხეთაგური

ეს წერილი არ ეხება „ვინმეს“, რადგანაც მთელი მისი არსი სწორედ რომ ობიექტის გარაცვალების შესახებაა.

რამდენად შეეცვალა კრიტიკოსი საკუთარი თავის გარდაცვალებას, რათა დაიმარხოს სტერეოტიპებთან ერთად, მაგრამ აღსდგეს ახალი მოვალეობანით, რომელსაც თავად ეს პროფესია აკისრებს. ნებისმიერი პროფესია ცოდნას გულისხმობს: მიღებულს, შეძნილს, გამომუშავებულს, ცოდნა, რომელიც ადამიანს განათლების ჰიროზონტს უფართოვებს (ქართულ ენაში არაჩვეულებრივადაა სიტყვა განათლება აზრობრივად - ნათელთან, გაბრნეინებასთან, განათებასთან - დასავლური ცივილიზაციის ეზოთერულ ცოდნასთან გაიგივებული - განათლება აზრობრივად თითქმის განდობასთანაა მიახლოებული) და მას ანალიტიკური უნარჩვევების განვითარებაში ეხმარება.

დღეს დეფიციტი კრიტიკისთვის, ისევე როგორც და საერთოდ, გამართულ და ლოგიკურ ანალიზშია.

ჩვენ გვიყვარს აღნერები, მაგრამ მოვიკოჭლებთ ანალიზში.

ანალიზი კი პროფესიონალის, დღეს პოპულარული დეფინიციით - „ექსპერტის“ მთავარი იარაღი უნდა იყოს, რაც პირდაპირ პროპორციულია ინდივიდის ცოდნისა და განათლებისა (ინფორმაციის მუდმივ გაანალიზებასთან). ანალიზი ხშირად გვიქირს. მსჯელობის ლოგიკა შესუსტებულია, არგუმენტები — სუსტი.

როცა ანალიზს ვერ ახერხებ, არგუმენტები ვერ მოგყავს - ირჩევ ძალადობის გზას.

ე.ი. ცოდნისა და განათლების გარეშე ინდივიდი იოლად შეიძლება ძალადობის გზას დაადგეს იმის გამო, რომ ცოდნაც და განათლებაც საზოგადოებრივი დეფიციტია.

საზოგადოება უმრავლეს შემთხვევაში ინდივიდთა და ხელოვანთა მიმართ მოძალადეა!

ღმერთის სიკვდილის /ნიკშე/ აღმოჩენის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა, რომ ავტორის სიკვდილიც /როლან ბარტი/ აღმოგვეჩინა.

ავტორის სიკვდილი კი იწვევს კრიტიკოსის /ტრადიციული გაგებით/ სიკვდილსაც.

კლასიკური გაგებით, კრიტიკოსი უნდა

შეიცვალოს მოაზროვნე ანალიტიკოსად. სწობურ პოზიას ამოფარებული კრიტიკოსი, რომელიც ხშირად „მესადლეგრძელოვ“ მგოსნად იქცევიდა ხოლმე, ისტორიას ბარდება. ყოველ შემთხვევაში, ვის აინტერესებს დღეს „სახელოვნებო სადლეგრძელოები“ კრიტიკოსების მხრიდან, რომელიც თავიდან გვიყვებიან ნაწარმოებებს და მათ შორის თავად შემქმნელთ კეკლუცად აღუნერენ მათ მიერვე შექმნილ საჭერტაკლებს. მაგრამ ვერ სინიან, ვერ ავლებენ პარალელს სათვაზო ტექსტსა და პირველყაროს შორის.

შინაარსის მოყოლის შემდეგ კი, საუკეთესო შემთხვევაში, ინყება კომპლიმენტების ცვენა, მოხიბლული კეკლუცი კრიტიკოსი ვერ მაღავს თავის აღტაცებას და აღაუდაუებული ლოგიტითა და თვალების მინაბვით დასძენს კიდევაც აღბათ, რომ მსგავსი საოცრება არ უნახავს, თუმცა არავინ იცის რა უნახავს მას თვითდანსტატების გზაზე /თუმცა მეორე გზის შემთხვევაშიც, თუკი ლანდლების გზას აირჩევენ, არგუმენტების ძებნას არც მაშინ ეცდებიან/.

კრიტიკოსი მეგზურია. იგი ყველა შემთხვევაში უნდა ეხმარებოდეს თეატრსაც და მაყურებელსაც, მისი ფუნქცია მედიატორობაა პირველ რიგში, შემდეგ კი — მოვალეობა ანალიტიკოსბისა.

კრიტიკოსი, როგორც მაყურებლის მეგზური - შუამავალია თეატრსა და აუდიტორიას შორის. კრიტიკოსის ერთ-ერთი მოვალეობაა დაახლოვოს ხელოვანი და აუდიტორია /ასე ფიქრობდა გორდონ კრეგი თითქმის ასი წლის ნინ/, ეს ფუნქცია კიდევ უფრო ძლიერდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ თავად თანამედროვე სამყაროში ხელოვანის ტრადიციული გაგებაც გადაფასებულია.

მსახიობის ცუდი თამაშის დროს, მაყურებლის მხრიდან სტერეოტიკის ტრადიტორიას ბრიტანეთში კრეგი განიცდიდა და რა უნდა ვუყოთ კრიტიკოსს არაპროფესიული პუბლიკის, ანდა უფრო უარესი — ტექსტის აზრის, იდეის ქურდობის შემთხვევაში დასტვენა რომ არ ეყოფა, ცხადია, მაგრამ თუ ასეთი ქურდობისათვის დაჯილდოვეს კიდევაც, ეს ხომ

საერთოდ განსაკუთრებული შემთხვევაა, რაც თურმე ხდება ხოლმე ჩვენს რეალობაში.

ვის სჯერა სტერეოტიპის?

გამნარებული, ცხოვრებაზე გაბრაზებული კრიტიკოსი თეატრში მიდის იმისთვის, რათა რამე ცუდი იპოვოს და შემდეგ მაყურებლის წინაშე გამოაჭენოს.

ვის სჯერა ამის?

მანიაკალური სინდრომით შეპყრობილი კრიტიკოსისა?

რატომ უნდა უნდოდეს კრიტიკოსს დაბალი პროფესიონალიზმისა და მდარე ხარისხის ხილვა თეატრში? თუ ეს სტერეოტიპი თავად უნიჭო თეატრებისა და ხელოვანთა მონაგონია, რათა თავიანთი უნიათობა კრიტიკოსთა ბოროტ მანიაკალურ თვისებებზე გადაამისამართონ?

ძნელი წარმოსადგენია სადო-მაზოხიზმით შეპყრობილი კრიტიკოსი, რომელიც დღე და ღამეს ასწორებს იმის ცდაში, რომ ცუდი წარმოდგენა იხილოს და შემდეგ ლანძლოს - პირდაპირ საშინელებათა ფილმების სერიული მკვლელის იდეალური სახე, დანის მაგივრად ხელში კალმით, ანდა მომარჯვებული თითებით კომპიუტერთან. ვის ჭირდება ასეთი სტერეოტიპი - შეუმდგარ რეჟისორებს, ორნახევარი სპექტაკლების შემქმნელ ფსევდონიტელექტუალებს და პროფესიაზე დარდით დამძიმებულ ონავრებს, სხვათა პროგრესის შესაჩერებლად ძალლონებს რომ არ იშურებენ, თუ მდივან „მე-მანქანებს“, რომლებიც უფროსის გულის მოსაგებად წერისას ფსევდონიმის გამოყენებით, რომ უძლვინან საქებარ იდებს.

კრიტიკოსს სჭირდება საინტერესო ხელოვნება, ნებისმიერი ფორმა და პიროვნული თვითგამოხატვის ნებისმიერი გამოვლინება.

კრიტიკოსი ცხოვრებისეული და სახელოვნებო პროცესების ანალიზითა და გამოვლინებებით უნდა ცხოვრობდეს და მაშინ ის საკუთარ ფუნქციას - სახელოვნებო მოვლენის ადგილის განსაზღვრას - პატიოსნად აღსრულდება.

კრიტიკოსი, თუ ის თეორიების შემქმნელი არ ხდება კონკრეტულ ნაწარმოებზე ან ნაწარმოებებზე საუბრის დროს საკუთარ თეორიებს არ უნდა ახვევდეს გარე სამყაროს.

ქართული გამოთქმა: „სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო“ - უნივერსალურ მეტაფორად შეიძლება მივიღოთ - კრიტიკოსმა ყოველთვის იმ „ქუდზე“ უნდა ისაუბროს, რომელსაც კონკრეტული ნაწარმოები სთავაზობს იმ წესებიდან და პირობებიდან გამომდინარე, რითაც ეს ქუდია შექმნილი. ჩვენ ჯერ ერთ ენაზე უნდა შევთანხმდეთ და მერე ვიკამათოთ ამ ენაში დაშვებულ შეცდომებსა და მიღწევებზე.

ვის უხარისა ყალბი ქება?

ძალიან უნდა გქონდეს საკუთარი თავი მო-

ძულებული, ტყუილ-მაქებარა რომ მოგწონდეს, რომელიც ვერ აანალიზებს შეს ნაწარმოებს, მაგრამ აქებს და აქებს, რადგანაც სხვანაირად არ შეუძლია, სხვანაირად არ იცის.

მე ყოველთვის ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ავტორმა და მკითხველმა გაცილებით მეტი შეიძლება მიიღოს კრიტიკოსის ანალიტიკური კრიტიკისაგან, ვიდრე საქებარი-სადლე-გრძელებისაგან, რომელიც თქმასთან ერთად საპნის ბუშტივით ქრება.

რა გვინდა დღევანდელი კრიტიკოსისაგან?

დღევანდელი კრიტიკოსისაგან უბრალოდ მოვლენის შესახებ ინფორმირება საკმარისი აღარაა, ამას რეპორტაჟის სახითაც მოახერხებენ უურნალისტები, რომლებიც თეატრმცოდნეების ნიღაბს ამოფარებულნი. საკმარი მომრავლებულნი არიან.

კრიტიკოსს კვლევა მოეთხოვება და მის შედეგად ანალიზი, ხანდახან პროგნოზირებაც კი.

რას იკვლევს კრიტიკოსი?

- ცხოვრებისეულ პროცესს /კონტექსტში/
- სახელოვნებო პროცესს /გლობალური - ლოკალური/

- დრამატურგიული ტექსტის /ლიტერატურის, იდეის, სცენარის /გადატანა, გარდაქმნას სათეატრო ტექსტად;

- სათეატრო ტექსტის ანალიზის შედეგად მისი ადგილის განსაზღვრას სახელოვნებო პროცესში.

ჭირდება თუ არა სათეატრო ნაწარმოებს მოყოლა ან თხრობა?

- შეიძლება მოკლედ თავშივე, ანუ ექსპოზიციაშივე და არა მთელი რეცენზია - კვლევის განმავლობაში ჭირდება თუ არა მას აღწერა?

- დანიშნულების მიხედვით, ანალიზის დასადასტურებლად და არა უაზრო ილუსტრაციისათვის არაადეკვატური თხრობით.

უნდა გააცნობიეროს თუ არა კრიტიკოსმა-თეატრმცოდნემ, რომ სპექტაკლის შენახვა მისი ფუნქცია აღარაა, ამას კვლევისა და მომავალი თაობებისთვის ციფრული ტექნოლოგიები უკეთ მოახერხებენ.

კრიტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს ახალ ტექნოლოგიებში, მის ყოველდღიურ მოხმარებაში. მან უნდა იცოდეს, რომ დღეს ციტატა არა მხოლოდ ბეჭდვითი წყაროა, არამედ ციფრული ნაწყვეტებიც. დას, თქვენ რეცენზიის წერის დროს პირდაპირ შეგიძლიათ „youtube“-ის ლინკის მიცემა. სწორედ ეს გარემოება თქვენს ზედმეტ თხრობას უადგილოს ხდის...

„კრიტიკოსის“ გარდაცვალებაზე ტირილის გაგრძელების მცდელობით, პანაშვიდების - დისურსის გაგრძელება შესაძლებელია...

## იუბილე

# სენაკის თეატრის პერმუსა

მარიამ ლიჭონავა

სენაკის თეატრში ნახევარ საუკუნეზე მეტია მოღვაწეობს ჩუმი, უპრეტენზიო, კეთილშობილი ადამიანი, ნიჭიერი მსახიობი, შესანიშნავი მეულლე, მამა და ბაბუა, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება ბატონი უორა დამენია. ეს ხელოვანი თავდავინებითაა შეყვარებული თავის პროფესიაზე, სენაკისა და სენაკელებზე. ბატონი უორა ჩვენი თეატრის დიდი მოამაგე, ერთგული თანამშრომელი და მისაბაძი თეატრალია. მან ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ თეატრი მისთვის მარტო სამუშაო ადგილი კი არა, სიცოცხლის საწყისია, ცხოვრების წყაროა, ბეწვის ხიდია რეალობასა და ოცნებას შორის გადებული. იგი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ეს ბეწვის ხიდი რიგიანად გაიარა. უორა დამენია მალე 80 წლის გახდება, მაგრამ წლების სიმრავლე რას დააკლებს ბობოქარი სულის მსახიობს, იგი ჩვეული მხნეობით, ვაჟაცობით, საქმისადმი ერთგულებითა და დიდი მონდომებით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ბატონი უორა არა მარტო ნიჭიერი მსახიობი და შემოქმედია, არამედ ერთგული თანამშრომელი, საუკეთესო მეგობარი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. კაცი, რომელსაც გული შესტკივა თეატრზე, თავდავინებით უყვარს იგი, მისი სიხარულითა და ტკივილით ცხოვრობს, მისი მაჯისიცემა საკუთარ გულისცემად მიაჩნია. მსახიობისათვის არ არსებობს დიდი და მცირე როლი. არსებობენ საინტერესოდ და უნიჭოდ განსახიერებული გმირები. თითოეულ პერსონაჟს თავისებური ხიბლი გააჩნია, ეს კარგად აქვს გააზრებული მსახიობს და ამიტომაცაა, რომ იგი ყოველთვის უპრეტენზიოდ თანხმდება ნებისმიერ როლზე და დიდი მონდომებით მუშაობს თითოეულ მათგანზე. ექებს ხასიათს, ცდილობს ჩაწვდეს გმირის შინაგან სამყაროს, გაითავისოს იგი და შემდეგ მართალი და უტყუარი პერსონაჟით წარსდგეს მაყურებლის წინაშე. უორა დამენიას 60-მდე როლი აქვს განსახიერებული. მაყურებელი მის ყოველ გამოჩენას სცენაზე ტაშითა და ოვაციებით ხვდება. ბა-



ტონი უორა უყვართ სენაკელებს არა მარტო, როგორც მსახიობი, არამედ როგორც კაცური კაცი, ნალდი სენაკელი. იგი ღირსეულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა და ამიტომაც ყველა ძალიან გაგვახარა მისი ღირსების ორდენით დაჯილდოებამ. ვულოცავთ ჩვენს საყვარელ ადამიანს, თეატრის ბერმუხას, უორა დამენიას, ღირსეულ ჯილდოს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას, ვაჟაცობურ შემართებას და უამრავ საინტერესო როლს ვუსურვებთ.

ბატონო უორა, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი მონინებით ქედს გიხრით, გეფერებით.

# ფატი ფულარიანი

ნანა ანჩაბაძე

საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალბატონი ფატი ფულარიანი 2013 წელს იუბილარია - 80 წელი უსრულდება. 47 წელი საყვარელ პროფესიას უანგაროდ ემსახურა. ამ ხნის მანძილზე ქალბატონი ფატი უშურველად იხარჯებოდა ქართული თეატრის სიყვარულით. სწორედ ის 113 როლი, რომელიც მსახიობმა გორის თეატრის სცენაზე განასახიერა ამ ფაქტის დადასტურებაა. 32 წელი იყო გორის თეატრის წამყვანი მსახიობი. ფორტუნა ყველას არ სწყალობს. ბევრი კლდემამოსილი ადამიანი, საკუთარი პიროვნების მიმართ რაღაცნაირი დაუკმაყოფილებლიერი გრძნობითაა შეპყრობილი. ბევრია უნიჭო, მაგრამ პუბლიკას თავისი ნაცოდვილარის გამომზეურებისას პრეტეზზიას უყენებს მიიღონ, აღიარონ. მსახიობი ფატი ფულარიანი ინტელიგენტი, დახვეწილი, პასუხისმგებლობით საგსე, ერთგული და მოყვარული ადამიანია და ხმირად მისი გმირებიც ასე გამოიყურებიან სცენაზე.

„დევიდების ოჯახი“, „მედეა“, „კუკარაჩა“, „ეზოში ავი ძაღლია“, „ანა ფრანკის დღიური“... გარდა თავისი პროფესიისა, საზოგადოებრივ საქმიანობასაც ჩვეული პასუხისმგებლობითა და უზღვავი ენერგიით ემსახურება. ფ. ფულარიანი — „მედეა“ კოლორიტული სახეა. მისი კოლხი ასული ამაყია. ამავე დროს სასონარკვეთილი. ხან უსულო ქვად იქცევა, ხან სიშმაგეს ვერ ფარავს დამცირებისას, მისი შინაგანი სამყარო ვერ ეგუება მტრის გამარჯვებას. რადიკალურად განსხვავებულია მარგარიტა („ფიროსმანი“). თავისუფლებისმოყვარე ქალისთვის ძნელია მხატვრის გრძნობის გაზიარება. რა ჰქნას მარგარიტამ თუ ვერ უგებს ფიროსმანს როგორც პიროვნებას და ვერც როგორც მხატვარს. ბიჭუნას დედის როლში („კარლსონი“) ფულარიანი წესიერი შვილის მეაცრი აღმზრდელი, პუბლიკასაც თავის ხასიათზე განაწყობს. თითქოს რაღაცას სწავლობს, თან გებინია არ ჩაიჭრა. ასეთი სახეა ანიკოც („კუკარაჩა“). ჯემალ ინჯიას ოსტატურად აქვს დაჭერილი „ის ცხოვრებისეული სიმართლე დედა-შვილური ურთიერთობის ოსტატურად გადმოცემისას“ რომ გამოიყენა თამაზის დედამ (ფ. ფულარიანი), რაც ყოველ ქალში უნდა იყოს. არც ფულარიანის მზრუნველობისა და სათნოების დანახვა გამორჩა მწერლის მახვილ თვალს (გაზ. „გამარჯვება“ 18.05.82წ.). ქალბატონი ფატი იმ ბედნიერ მსახიობთა პლეადას ეკუთვნის, ვისაც წილად ხვდა დიდი ვერიკო ანჯაფარიძისა და ტარიელ საყვარელიძის პარტნიორობა სპექტაკლში „ლალატი“ (1966წ. 8-9, 10), საქართველოს ულამაზეს ქალბატონ ემდეა ჯაფარიძის პარტნიორობა სპექტაკლში „ანა ფრანკის დღიური“ (1969წ.).

მსახიობი ფატი ფულარიანი თავისი უანგარო შემოქმედებითა დაკანლისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით — ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის (1990წ.). მიღებული აქვს საპატიო სიგელი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა, გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. ეს ჯილდო გორის თეატრის საიუბილეო — 100 წლისთავზე მიიღო.

გარდა პროფესიული ვალდებულებისა, ფატი ფულარიანი, არც სამშობლოში განვითარებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური პროცესების მიღმა დგას. 1989წ. მძიმე დარტყმა იყო საქართველოსათვის და არა მხოლოდ. ამ პერიოდიდან იწყებს ლპობას სსრკ-ის დამყაყებული რეჟიმი. ერთგული დედა, უღალატო მეგობარი, მსახიობი, თავისი სამსახურს ეროვნულ მოძრაობას უკავშირებს. ქალბატონი ფატი ფულარიანი როგორც სცენაზე, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ერთგული ჯარისკაცია. „გიორგი სააკაძე“, „განკიცხულინი“, „გარიუქაუზი აქ წყარი იცის“, „მაცი ხვიტა“, „დები უერარი“. ჰენრიეტას უდიდესი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე თამაშობდა. სწორედ ვერიკოს აღფრთვანება გამოუწვევია ფატი ფულარიანის შექმნილ სახეს (ჰენრიეტა). ქალბატონ ვერიკოს თავისი გმირის ფულარიანისეულმა სახემ, საოცარი სითბო და კეთილგანწყობა დაუფიქსირებია. ქალბატონი ფატის არქივში მრავლად მოიპოვება მადლიერი მაყურებლის წერილები. რეცენზიები თეატრმცოდნე ნათელა არველაძის, კორა წერეთლის, კირა კვეიძის, ქეთევან ხუციშვილის, ჯემალ ინჯიას, გ. ქელბატიანის, ვ. რევაზიშვილისა და უამრავი ამ დარგის პროფესიონალის ხოტბით სავსე საგაზითო წერილები თუ პუბლიკაციები. ერთმა გულშემატყვარმა ლექსიც კი მიუძღვნა ფატის. უპირველესად, მისი სათნოებისა და სილამაზისთვის, რაც ესოდენ აუცილებელია ჭეშმარიტი არტისტისათვის.

ეს პატარა წერილი მხციობანი მსახიობის პორტრეტის მოკრძალებული შტროხია, მის ესოდენ ღრმა და შინაარსიან ცხოვრებაში. უფალმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ფატი ფულარიანის მსგავსი თავმდაბლი, თბილი, სცენის ერთგული და მოამაგე ჭეშმარიტი დამსახურებული არტისტები.



# სამყარო თეატრალის თვალით

ნოდარ გურაბანიძე

## „Чтобы так шагал как Марк Шагал“ (ელ. მაია კოვაშვილი)

მარკ შაგალის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი დაიბადა თითქმის მკვდრადშობილი (ქ. ვიტებსკი, 1889.06.07), საშინელი ხანძრის დროს და პროვინციული, უპირატესად სის სახლები-ანი ქალაქი, მთლად გადაიბუგებოდა, უეცრად წამოსულ კოკისპირულ თავსხმას რომ არ ეშველა. ჩვილი შაგალი თვალს ვერ ახელდა და ბებიაქალმა, რომელსაც იგი ბრმადშობილი ეგონა, მას, მოსეი (მოსე) დაარქვა. ალბათ, თავის ამ გადაწყვეტილებას მძვინვარე ხანძარსა და წარლვნას უკავშირებდა. თავად შაგალი მსუბუქი ირონით იგონებდა ამ ფაქტს: „Родился я мёртвым... Я мёртворождённый“, შემდეგ მესამე პირში დასძებდა, არ უნდოდა სიცოცხლე „Как будто насмотрелся картин Шагала“ (Марк Шагал. „Моя жизнь“ гამ. „Азбука“ Санкт-Петербург. გვ. 213)

დიდი ხნის შემდეგ, უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი, რომელმაც გასული საუკუნის ოციან წლებში, ვიტებსკის ებრაული უბანი ლამის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრად აქცია, კაზიმირ მალევიჩთან ერთად, ამბობდა „სამყაროს განსაკუთრებული თვალით უნდა შეხედო, თითქოს ამ წამს დაიბადეო“.

„ამ წამს დაბადებული“ ბავშვის თვალებით იგი ხედავდა ჰაერში, ქალაქის თავზე მფრინავ ადამიანებს და შინაურ ცხოველებს, საგნებს, უჩვეულო პეიზაჟებს და ადამიანთა კიდევ უფრო უცნაურ ბლასტიკასა და ანატომიას. „ლენინმა ქვეყანა გადაატრიალა ისე, როგორც მე თავდაყირა დავაყენე ყველაფერი ჩემს სურათებში“ (გვ. 147). გიორგ პაოლინერი ამბობდა მის სურათებზე „ზებუნებრივიან“, თვითონ კი ამბობდა: „ტყუილია, თითქოს, ჩემი ხელოვნება ფანტასტიკურია. მე ვარ რეალისტი და მიყვარს მინა“, მაგრამ, მაინც, იშვიათად ნახავთ მისთვის ეგზომ „საყვარელ მინაზე“ მდგარ მის პერსონაჟებს. მიუხედავად ამისა, მან განსაცვიფრებელი გულწრფელობით, სიყვარულით და სწორედ ფანტასტიკურობით შექმნა ებრაელთა ყოფის დაუვინწყარი ფერული სურათები, ზედმინევნით ტიპიური ებრაული სახეები, მათი ყოფის, რიტუალების განუმეორებელი ატმოსფერო. მისი ფერწერა, აკვარელები, გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია (1931-1956წ.წ. შექმნა „ბიბლიის“ შესანიშნავი ილუსტრაციები) წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ისინი განსაკუთრებულ, ვიტყოდი, იღუმალ ძალას იძენენ „ნმინდა მინაზე“. აქ ნანახი მაქვს მისი ესკიზების მიხედვით დამზადებული გობელენების სერიები იერუსალიმში (ქნესეთისა (პარლამენტი) და მუნიციპალური საავადმყოფის ინტერიერები. ვიტრაჟი) და ფერწერული ტილოები თელ-ავივის გრანდიოზულ მუზეუმში და უფრო ღრმად განვიცადე მისი იშვიათი ხელოვნების მაგიურად მიმზიდველი ძალა. „ჩემი ფერწერა, ჩემი ლექსებიან“ — ამბობდა თვითონ.

1920 წელს იგი სამუდამოდ წავიდა რუსეთიდან (თუ არ ჩავთვლით 1973წ. მის მეტად ხანმოკლე ვიზიტს მოსკოვში. (სხვათა შორის, იგი მაშინ ეწვია ზურაბ წერეთელს სახელოსნოში). ქალაქ ვიტებ-



სკში ჩასვლაზე კი კატეგორიული უარი განაცხადა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეცნობიერებაში ლრმად ჩარჩა თავის დაბადების დღეს მოვლენილი „მეორედ მოსვლის“ კოშმარი, თანმხლები სტიქიებით — ცეცხლით და წყლით, თუმცა, რად გვინდა ვარაუდები, როცა თვით წერდა მეტუარებში: „როცა დავიბადე, ვიტებსკში ნამდვილი „იომ ქიფური“ („საშინელი სამსჯავროს დღე“) იყო.

## „მორცევი“ პრისტელი

ამსტერდამში, სამოცდაერთი წლის ასაკში, გარდაიცვალა სილვია კრისტელი, რომელმაც დიდ ეკრანზე პირველივე გამოჩენისათანავე საყოველთაო, შეიძლება ითქვას, ისტერიული პოპულარობა მოიპოვა კინოფილმში „ემანუელა“ მთავარი გმირის როლის შესრულებით. ახლა, როცა ეკრანი და ტელევიზია წალეკილია (და წარყვნილია) პორნო თუ ეროტიკული ფილმებით, ვფიქრობ, არავის ახსოვს არც სილვია კრისტელი და არც მისი „ემანუელა“. არადა, რეჟისორ უისტ ჟაკენის და კრისტელის ეს ნამუშევარი (1974წ.) მიჩნეულია ე.წ. „ეროტიკული უანრის“ ფილმების შედევრად და ფრანგი კინომცოდნები რეჟისორს მიიჩნევენ ამ ჟანრის კინოხელოვნების მამამთავრად (თუმცა, დღემდე გრძელდება დავა იმის შესახებ თუ, ბოლოს და ბოლოს, სად არის ის ზღვარი, რომელიც განაცალკევებს ამ ორი „უანრის“ ფილმებს).

ჩვიდმეტი წლის კრისტელმა დატოვა პოლანდია და პარიზს მიაშურა მსოფლიოს დასაპყრობად, როგორც ბალზაკის პროვინციელმა გმირებმა — პარიზს, საფრანგეთის დასაპყრობად. ოცდასამი წლისა იყო, როცა „ემანუელაში“ გადაიღეს და ამ ასაკში აისრულა კიდეც თავისი გაზირახვა. არაჩეულებრივად მიმზიდველი სხეული, პლასტიკური დახვენილობა, ვნებით და სურვილებით სავსე გამოხედვა, ქალური უკომპლექსობა მოუგერიებელს ხდიდა ეკრანზე. მისი ყოველი კუნთი სექსით თრთოდა და ინავლებოდა. პრეზიდენტმა შორუ პომპიდუმ ეს ფილმი აკრძალა (თავისუფალ საფრანგეთში). პომპიდუმ, შემდგენელი „ფორნგული პოზიის ანთოლოგიას“, „პომპიდუს ცენტრის“ დამაარსებელი, ახალგაზრდობიდანვე შარლ დე გოლის თანამოაზრე, ზნებრიობის ეტალონად ითვლებოდა, მანამდე, ვიდრე ნათელი არ მოეფინა პრეზიდენტის ერთ რომანულ თავგადასავალს. პრეზიდენტმა უისკარ დ'ესტენმა კი ფილმის აკრძალვა გააუქმა. რაც მოსალოდნელი იყო, რადგან უისკარი განთქმული მოარძიყე იყო (ამბობდნენ, ერთხანს, სილვიას ჰეკარობდა), როცა რომელიმე ბანოვანთან მიიპარებოდა, მდივანს უტოვებდა ბარათს ქალის ტელეფონის ნომრით და ბინის მისამართით.

სსკ-ში ეს ფილმი, რასაკვირველია, უმკაცრესად იყო ტაბუირებული. პირველად „ემანუელა“ „ბოინგ - 727“-ში ვნახე, როცა მოსკოვიდან მეხსკოში მივფრინავდი რუსთაველის თეატრის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში („სერვანტინ“) მონაწილეობის მისალებად (1975წ.). საბჭოთა თვითმფრინავი აეროპორტ შენობის (ირლანდია) ამერიკულმა „ბოინგმა“ შეცვალა. ამ საჰაერო ხომალდში ჩვენი დასის გარდა, მრავალი რუსი ტურისტიც იყო... ვერ აღვწერ, რა ხდებოდა სალონში ერთმანეთს ენაცვლებოდა აღტაცებისა და აღფრთვოვანების შეძახილები, ყვირილი, კვნესა, სიცილი, ისტერიკა (საბჭოეთში ხომ გვიმტკიცებდნენ რომ — „Секса у нас нет“-ო). ფილმი, მართლაც, ოსტატურად იყო გადაღებული, აგებული კარგად გამართულ სიუჟეტზე და „წარმტაც“ ეპიზოდებზე, სწორედ ამის წყალობით, იგი გადაიქცა განსაკუთრებულ მოვლენად, რომელმაც დააკანონა ეროტიზმი ეკრანზე (მალევე გამოვიდა „ემანუელა - 2“). ეს ფილმი საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში უჩვენეს, რასაც კომუნისტურ პრესაში დიდი აუიოტაჟი მოჰყვა, თუმცა, მალულად, ვიდეო მაგნიტოფონების მეშვეობით, უამრავ ადამიანს უკვე ნანახი ჰქონდა იგი.

ამის შემდეგ სილვია კიდევ ორმოცდაათ ფილმში გადაიღეს. კოლოსალური სიმდიდრე უკანასკნელმა ქმარმა, უნიჭო კინორეჟისორმა, ქარს გაატანა. რადგან ეს ქალი აფინანსებდა მეუღლის ნაცოდვილარს. სილვია გადაიღეს საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო აგენტის, მაღალი საზოგადოების სალონების თვალისწინის, მამაკაცთა გულთამპყრობლის, მზეთუნახავ მატა ჰარას (ესეც ჰოლანდიელი იყო) როლში. ფილმმა სასტიკი მარცხი განიცადა, სილვიას ცუდი თამაშის გამო. მანამდე მატა ხარა ეკრანზე განასახიერეს ისეთმა კინოვარსკვლავებმა, როგორებიც იყვნენ გრეტა გარბო და ჟანა მორო. ცხადია, მათ ფონზე სილვია კრისტალი არ ბრწყინავდა, მაშინ რატომ გახდა ეს ლამაზმანი ჩემი ეტიუდის გმირი?

სულ ერთი ფრაზის გამო!

ერთი უურნალისტი ეკითხება — ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ ხელიდან გაუშვით შანსი, რომ თეატრის ნამდვილი დრამატული ამპლუის მსახიობი გამხდარიყვათ?

სილვია ასე პასუხობდა:

— არა მგონია, რომ დრამატული თეატრის მსახიობი გაგხდარიყვა. ჯერ ერთი, მე ძალიან მორცხვი ვარ... „ნარმოგიდგენიათ, ამას ამბობდა ქალი, რომელსაც მრავალმილიონიანი აუდიტორია დედოშობილა ხედავდა სექსუალური ორგაზმის გამაოგონებელ კადრებში.

P.S. თავაშვებულმა ცხოვრებამ, გაუთავებელმა სექსუალურმა თავგადასავლებმა, ნარკოტიკებმა, ალკოჰოლმა, თამბაქომ გამოფიტეს და დააუძლურეს ერთ დროს ეს დაუცხრომელი და ულამაზესი ქალი. ჯერ ყელის კიბო დაუდგინეს ექიმებმა, შემდეგ ფილტვების... ერთხანს ამაოდ ეპრძოდა ამ მძიმე სენს...

## „მოსაკლავია მამაჩემი“

1965 წელს მოსკოვში, სასტუმრო „მოსკვას“ ვრცელ ვესტიბულში შევხვდი სერგო ზაქარიაძეს, რომელიც აღელვებული მეჩვენა. ბუნებრივია, წინა დღეს მან მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ჟიურის პრიზი მოიპოვა (რჩების „ჯარისკაცის მამა“, გიორგი მახარაშვილის როლი).

ურნალ „Teatr“-ში მიმეჩარებოდა, მაგრამ ბ-ნმა სერგომ შემაჩერა „მოიცა, პატარა ხანს — მითხრა მან — ახლა შენ საინტერესო ამბავს შეესწორები“. ამის თქმა იყო და დავინახე, რომ „მოსკვას“ ინტერიერის ფართოდ გაშლილ კიბეზე, ჩამორბის ულამაზესი ქალი, მსუბუქი, თეთრ-მავრიკლებიანი კაბის ფრიალით. უკაცრავად, კი



არ ჩამორბოდა, არამედ მთელი სივრცე მოჰქონდა თან. ქალურ პლასტიკასა და მომწუსხველობას შორს სცილდებოდა მისი ველური სილამაზე. მაგრამ მაინც, თხემით ტერფამდე ეს იყო ქალი, ოღონდ პანტერის თანდაყოლილი მოქნილობით და ძალით. ბ-ნმა სერგომ ვერც კი მოასწრო მის შესახვედრად ნაბიჯის გადადგმაც ისე მოულოდნელად აღმოჩნდა ჩვენს წინ ეს მშვენება... ეს ქალი გახლდათ ახალგაზრდა სოფი ლორენი, რომელმაც იმავე ფესტივალზე მიიღო პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ჯუზზე დე სანტისის „ქორწინება იტალიურად“. ფილუმენა მარტურანო). ბ-ნი სერგო — ეს დევივით ვაჟკაცი, პირდაპირ დადნა, სახეგაბრნინებული, აღელვებული, შეყვარებული ყმანვილის აღტაცებით შესციცინებდა თვალებმი, ყველა მამაკაცისთვის ეგზომ სასურველ ქალს. სოფი კი, ლალი, თავისუფალი, თავის მომხიბელელობაში დარწმუნებული და ამიტომაც, კიდევ უფრო მოუგერიებელი, ძველი ნაცნობივით მიესალმა ბ-ნ სერგოს და მომხიბლავი ღიმილით, იტალიურად, მოუბოლიშა დაგვიანების გამო. ბ-ნმა სერგომ, რატომდაც რუსულად დაუწყო ლაპარაკი ანუ უცხო ენაზე (ეს ჩვეულებრივი ინსტინქტია, როცა სხვა უცხო ენა არ იცი) და მერე, ორივენი, ჩქარი ნაბიჯით გაეშურნენ გასასვლელისაკენ (როგორც შემდეგ შევიტყვა, საზეიმო შევედრაზე აგვიანდებოდათ).

მეორე დღეს, უცხაური რამ მითხრა ბ-ნმა სერგომ: „მოსაკლავია მამაჩემი, რატომ არ დამადგა თავზე როზგით და ერთი უცხო ენა მაინც არ შემასწავლა“.

## „სცენის მთელ სივრცეზე პატონობდა“

მეოცე საუკუნის რუსული ბალეტის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მაია პლისეცკაია სოხუმში გავიცანი. ის და მისი მეუღლე, კომპოზიტორი და პიანისტი — როდიონ შჩედრინი აქისვენებდნენ, „კომპოზიტორის სახლში“. როდიონი წყლის თხილამურების დიდი მოყვარული იყო და შესანიშნავად სრიალებდა მღელვარე ზღვაშიც კი, ვერ ვიტყვი, რომ მაია განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა, მაგრამ მისი უაღრესად მეტყველი თვალები, ენერგიული პროფილი და პლასტიკური ძალზე მთამბეჭდავი იყო. როდიონ შჩედრინი, რომელიც თითქმის ყოველ საღამოს მართავდა იმპროვიზირებულ კონცერტებს სანატორიუმის ვრცელ დარბაზში, რატომდაც ძალზე აგრესიულად იყო განწყობილი კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის მიმართ (და აქტიურად უჭ-

ერდა მხარს მაია პლისეცეკაიაც). მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ამ ბეჭნიერ წყვილს, ჩვენი ფაახლოვება არ გამოვიდა ზემოთ ნათქვამი ამბის გამო. ამ დროისათვის მაია პლისეცეკაია მე უკვე ნანახი მყავდა ყველა მის მნიშვნელოვან პარტიაში. საქმე ისაა, რომ მოსკოვში, საკავშირო კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად, ერთი თვით, თავს უყრიდა მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრების პირველ მოადგილეებს დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების სიახლეების გასაცნობად. ასე რომ ათი-თერთმეტი სეზონის მანძილზე უამრავი სპექტაკლი მაქვს ნანახი, მათ შორის საზღვარგარეთიდან გასტროლებზე ჩამოსული თეატრებისაც. მაია პლისეცეკაიას შეუდარებელი ოსტატობით და ხელოვნებით ყოველთვის აღტაცებული ვიყვავი. შეიძლება იგი ჩამორჩებოდა გალინა ულანოვას (რომელიც დღემდე მიჩნეულია რუსული ბალეტის გენიალურ მოცეკვავედ) ლირიზმით და გმირის ფსიქოლოგიური სილრმის წარმოსახვით,

მაგრამ აჭარბებდა უჩვეულო პლასტიკური გამომსახველობით, ექსპრესითა და ძალმოსილებით (ამ თვალსაზრისით, იგი შეუდარებელი იყო ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სუიტაში“).

სოხუმში გამარცა მისმა „ჰაბიტუსა“: სცენაზე ეს მაღალი, ტანაშოლტილი, გრძელხელება და ფეხებაშევართული ქალი, სინამდვილეში არც ისეთი დიდი აღმოჩნდა. კარგა ხნის შემდეგ იგი მეორედ გავიცანი თეატრმცოდნე ეთერ გუგუშვილის მეშვეობით. ეთერიმ მოსკოვში დაამთავრა საკავშირო თეატრალური ინსტიტუტი, იქ კარგა ხანს ცხოვრობდა, აქვე დაიცვა საკანდიდატო ფისერტაცია და მ. პლისეცეკაიას თაყვანის მცემელთა არმიის ყველაზე თავგადაკლულთა გუნდს ეკუთვნიდა. მ. პლისეცეკაიას თბილისში გასტროლებისას (რაც სამწუხაროდ, არც ისე ხშირად ხდებოდა) ეთერი მისი მასპინძელი იყო და ბოლოს, ვარნებ, თავისი ქალიშვილიც კი მოანათვლინა ამ ეპრაელ ქალს. მაიას საპატივცემულოდ გამართულ წევულებაზე, ბესარიონ უდენტისა და ეთერის ოჯახში გამართულ ერთ წევულებაზე, ეთერის შევჩივლებაზე, ეს შენი მაია პლისეცეკაია ისე მეღაბარაკება, ვგრძნობ, ვერც მიცნო-მეტე. ეთერიმ გაიციხა და მითხრა — „შენ კი არა, თავისი რომანის მამაკაცებსაც ვერ ცნობსო“. მაია კი ამბობდა, თბილისში განსაკუთრებული მონდომებით ვცეკვავო (ეთაყვანებოდა ვახტანგ ჭაბუკიანს). სულ მიკვირდა, როგორ იცვლებოდა ასე რიგად სცენაზე ეს ბალეტრინა. ამის ბასუზი ვარვე პეტრებურგის მარინეს თეატრის ახალი პრიმას (როგორც ფრანგები ამბობენ „ეტუალის“ — ვარსკვლავის) ა. კონდაუროვას ერთ ინტერვიუში: „იგი ისე ცეკვავდა, უძვლო გეგონებოდათ. არ იყო მაღალი, სცენაზე კი დიდი ჩანდა, ეს იმიტომ, რომ მძლავრი იყო ფიზიკურად, გამოირჩებოდა მოძრაობის დიდი გაქნებით და სცენის მთელ სივრცეზე ბატონობდა“.



## „სიკვდილის ყველაზე ლამაზი სახეობა — თვითმავლელობაა“

ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო თავის მემუარებში („Из прошлого“) იხსენებს ა. ჩეხოვის იმ სიტყვებს, რომელიც მას შევი მელანქოლიის ერთ-ერთი შემოტევის დროს უთქვამს „ვწუხვარ, რომ არ არსებობს ისეთი ხამანწერი“ (Устрица), რომელიც შემჭამდა ჩემი ცოდვების გამო“.

ბედის ირონიით, გერმანიაში, ბადერვაილერში გარდაცვლილი დიდი მწერალი, რუსეთში ჩამოასვენეს მატარებლის იმ ვაგონით, რომელსაც დიდი ასოებით ენერგა — „Для устриц“.

ა. ჩეხოვის ზოგიერთი თანამედროვე ამ ფაქტს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა, უკიდურესად აღმფოთებული მაქსიმ გორკი კი წერდა: „რუსულ საზოგადოებას ვერასოდეს ვაპატიტებ „ვაგონს ხამანწერისათვის“. ამ ვაგონში რუსული ცხოვრების მთელი ის უხამობა, ის უკულტურობაა, რომელიც ყოველთვის ასე აღმფოთებდა მიცვალებულს“.

სხვათა შორის, ა. ჩეხოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ფრიად სააურადლებო ფაქტებისა და დეტალების საინტერესო ანალიზი გამოაქვეყნა ვალერი კოზლოვმა ურნალ „სოვერემენია დრამატურგიაში (2, 2012), სადაც იგი ვარაუდობს, რომ ჩეხოვმა თავი მოიკლაო (ა. ჩეხოვი დაავადე-

ბული იყო ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმით).

ცნობილია, რომ საწოლზე მიჯაჭვულმა ა.ჩეხოვმა შამპანური მოითხოვა, წამოიწია საწოლიდან, მთლიანად დაცალა მომცრი ბოკალი, საწყალობლად გაიღიმა, დაწვა, გადაბრუნდა და მშვიდად განუტევა სული. მნერლის თაყვანისმცემელთა შორის, ჩეხოვის ეს ლამაზი ჟესტი აღტაცებას იწვევდა „Антон Павлович сел и как-то значительно громко сказал доктору по-немецки „Ich sterbe...“ (ო. კინიპერ-ჩეხოვა). ა. ჩეხოვი პროფესიონი ექიმი იყო და კარგად იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. ვ. კოზლოვი მხოლოდ მიგვანიშნებს ამ ფაქტზე, მაგრამ ისე, რომ ამ მინიშნებაში თუ ქვეტექსტში, მაინც იკითხება ეჭვი თვითმკვლელობაზე.

თუ გადავხედავთ კრებულის, „ანტონ ჩეხოვი თანამედროვეთა მოგონებებში“ (რუსულ ენაზე), ვნახავთ, რომ აქ გამოქვეყნებული მოგონებების მიხედვით, ა. ჩეხოვი ხმირად საუბრობდა სიკვდილზე, ზოგჯერ კი შავი მელანქოლიით იყო დათრგუნული. ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოგონებებს ერთი ფრაგმენტი უკვე გავაცანი მყითხველს. ახლა ვნახოთ რას წერდა კ. სტანისლავსკი... ა. ჩეხოვის დაბადების დღეს, 1904 წლის 17 იანვარს, სამხატვრო თეატრში გაიმართა მისი ყველაზე სრულყოფილი პიესის „ალუბლის ბალის“ პრემიერა. ავადმყოფობის მიუხედავად, ა. ჩეხოვი იალტიდან სპეციალურად ჩავიდა მოსკოვში. კ. სტანისლავსკი: „იუბილე გამოვიდა საზეიმო, მაგრამ მან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა — საღამოს დაკრძალვის სამყლოვარო ელექტრი დაპკრავდა“. მართლაც, იმ საღამოს ა. ჩეხოვი ისე ცუდად იყო, რომ ჩანდა — დიდი დღე არ ეწერა მის სიცოცხლეს.

ა. ჩეხოვის მეუღლე ოლგა კინიპერ-ჩეხოვა, სამხატვრო თეატრის დიდი მსახიობი, იგონებს — როცა ცნობილმა ექიმმა შვერერმა გერმანიაში გასინჯა ჩეხოვი, „მან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ უნუგებოდ არჩეჩა მხრები, გამოგვემშვილობა და უსიტყვოდ გაგვეცალა. ჩეხოვმა ეს ყველაფერი აღიქვა ისე, როგორც მას სჩვეოდა, გულთბილი, განწილებული და დაბნეული კაცის ღიმილით“.

მნერლი გრიგორი ჩხარტიშვილი (იგივე, საყოველთაოდ ცნობილი, ბორის აკუნინი) თავის ნიგბი „მნერალი და თვითმკვლელობა“, რომელიც სულმოუთებელად და დიდი ინტერესით იკითხება (ისევე, როგორც მისი დეტექტიური რომანები) და, რომელიც, მოიცავს სუიციდის ისტორიას ანტიკური ეპოქიდან ჩვენს დრომდე (ისტორია, რელიგია, ფილოსოფია, თეორია, გეოგრაფია და სხვ.), მნერლობას „სახითათო პროფესიას“ უწოდებს. ამ თავში, აგრეთვე ქვეთავში „ლამაზი სიკვდილი“ ჩვენ შეგვიძლია ბევრ საგულისხმო რამ ამოვიკითხოთ საერთოდ ადამიანის, განსაკუთრებით მნერლის (მემოქმედის) უკანასკნელი, საბედისნერო მოქმედების ასახსნელად. იგი იმონებს რუსი ფილოსოფოსის, ბერდიავევის მოსაზრებას, რომ ადამიანზე ბატონობს ორგვარი შიში: „შიში სიცოცხლისა და შიში სიკვდილისა“. გ. ჩხარტიშვილის აზრით, „უმაღლესი თავისუფლება — ეს, უპირველესად, შიშისაგან განთავისუფლებაა“ (გვ. 300). ადამიანი მაშინ იკლავს თავს, როცა სიცოცხლის შიში სიკვდილის შიშე უფრო ძლიერია. ფრანც კაფუკას ბიოგრაფიი მ. ბლანში საგანგებოდ აღნიშნავს (ესსეიში „სიკვდილი როგორც შესაძლებლობა“) სიკვდილსა და შემოქმედებას შორის არსებულ დიალექტი კურ ერთიანობას, თუმცა გ. ჩხარტიშვილი ფაქტებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ექიმთა თვითმკვლელობა რაოდენობით ოდნავ ჩამორჩება მნერალთა თვითმკვლელობას. მართალია წიგნის ავტორი ა. ჩეხოვს არ ასახელებს, მაგრამ ხომ ვიციოთ, რომ ჩეხოვი მნერალიც იყო და ექიმიც. „მედიკოსი — მსჯელობას გ. ჩხარტიშვილი — მუდამ იმყოფება სხვისი ავადმყოფობისა და სიკვდილის სიახლოესი. ამის შედეგად მასში სუსტდება შიში და წარმოიქმნება სიკვდილთან გაუცხოება“. ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩეხოვმა დასძლია შიში სიკვდილისა, მაგრამ ვერ დასძლია შიში სიცოცხლისა.

იაბონური ენის, კულტურის, ფილოსოფიისა და ესთეტიკის სილრმეში ღრმად ჩახედული გ. ჩხარტიშვილი იშველიებს ამ ქვეყნის მოაზროვნეთა ცნობილ გამონათექვმის: „სიკვდილი ყველაზე ლამაზია, რაც ადამიანის ცხოვრებაში არსებობს“, „სიკვდილის ყველაზე ლამაზი სახეობა — თვითმკვლელობაა“ და დაასკვნის „Победа над страхом, болю и преходящем счастью — это, вероятно, и в самом деле красиво“ (გვ. 296) და ბოლოს „პოეტისათვის კარგი სიკვდილი უკანასკნელი კარგი ლექსია“ (გ. შატბერაშვილი, გალაკტიონის სიკვდილის გამო).

## ორი ვარსკვლავი

ულამაზესი და მუდამ კეთილგანწყობილი მედეა ჯაფარიძე და ლირსებით სავსე, ვაჟეაცური იერით და ერუდიციით გამორჩეული მისი მეუღლე, რეზო თაბუკაშვილი, სტუმრების რანგში მინერეულნი იყვნენ მოსკოვის საერთაშორისო კონფესიტივალზე (1964). აქ ისინი მსოფლიოს კინემატოგრაფიის მრავალ გამორჩენილ მოღვაწეს, მსახიობსა და რეჟისორს დაუახლოვდნენ. საერთოდ, მათი ოჯახი გამორჩეოდა დიდი გულითადობით, სტუმართმოყვარეობით და აქ ძალიან ხშირად ნახავდით სახელოვან ადამიანებს ხელოვნების ყველა სფეროდან.

...რუსთაველის გამზირზე, ე.ნ. „ცისფერი გალერეის“ წინ, რეზო თაბუკაშვილის ლურჯი „ვოლგა



— 21“ იდგა. ის იყო გამოვედი გალერეიდან (თუ მეხსიერება არ მღალატობს, ლადო გუდიაშვილის გამოფენა იყო), რომ ბ-ნმა რეზომ დამინახა — „ნოდარ, წამოდი ჩვენთან“. მანქანასთან რომ მივედი, დავინახე: უკანა სავარძელში იჯდა მედეა ჯაფარიძე, ჩემთვის უცნობი ერთი ქალი (მთარგმნელი აღმოჩნდა) და ძალზე ვაჟუცური იერის მამაკაცი. ხოლო წინ, ანუ მძღოლის (ე.ი. რ.თაბუკაშვილის)



გვერდით იშვიათი

სილამაზის ახალგაზრდა ქალი. უმალვე უკან დავიხიე, სად უნდა დავმჯდარიყავი, მანქანა უკვე სავსე იყო, მაგრამ ეს ქალი სწრაფად ჩაჩორჩდა ბ-ნი რეზომსაკენ და ადგილი გამინთავისუფლა. თავ-ბრუდამხვევი სურნელება იფრქვეოდა კაბინაში. მთელი სხეულით ვგრძნობდი ამ ქალის სიფრიფანა, თითქოს უძვლო სხეულის მხურვალებას. სულ ახლოდან ვხედავდი მის დახვეწილ პროფილს, რომელიც მიქელანჯელოს „პიეტას“ — მაგონებდა. მანქანიდან რომ გადმოვედით, მაშინ კი ვიცანი, ეს გახლდათ სახელგანთქმული კინოვარსკვლავი ლურია ბოზე — იტალიური ნეორეალიზმის „სახე“ — ფილმების: ჯუზეპე დე სანტისის „არ არის მშვიდობა ზეთისხილების ქვეშ“, „რომი, 11 საათი“, მიქელანჯელო ანტონიონის — „ერთი სიყვარულის ქრონიკის“, ხ.ა.ბარდემის „ველოსიპედისტის სიკვდილის“, ფედერიკო ფელინის „სატიროკონის“ მთავარი გმირების შემსრულებელი. ბ-ნმა რეზომ და ლურიამ უმაღ იტალიურად დაწყეს საუბარი. მე მანქანიდან ვადმოსულ მამაკაცს შევავლე თვალი. ეს იყო საშუალოზე ოდნავ მაღალი, ძალიან ვაჟუაცური გარევნობის ათლეტი, რომელსაც გაღელილი თეთრი პერანგიდან მძლავრი მკერდი მოუჩანდა. კაცმა ესპანურად დაუწყო ლაპარაკი მთარგმნელ ქალბატონს. ამასობაში კი ბ-ნმა რეზომ წარმადგინა სტუმრებთან, ლურიამ მხოლოდ მომხიბლავად გამილიმა და ხელი გამომიწოდა, ისეთი რბილი და მოქნილი თითებით, თითქოს ხელის მტევნებზე მრავალი სახსარი ჰქონდა (ასეთი ხელი აქვს ჩვენს სახელოვან პიანისტს ელისონ ვიოსალაძეს). ლურიამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ისედაც უნდა მეცნო, ხოლო მამაკაცმა მყაფიოდ თქვა — დომენგინი. უცებ გამინათდა გონება, ცოცხლად ვხედავდი ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ტორეროს, რომელშიც პირდაპირ შეყვარებული ვიყავი ერნესტ ჰემინგუის წარმტაც რომანის წაკითხვის შემდეგ და რომელიც, ადრე, იძვიათ ფოტოსურათზე ვნახე ტორეროს ფორმაში გადაღებული. უნდა გამოვტყდე — ჩემს თვალში იტალიელი მზეთუნახავის, ლურიას სახე ე.წ. „მეორე პლაზეზე“ გადავიდა მისი მეუღლის მზემოვიდებული და თითქოს პლასტიკური ხელოვნების ოსტატის საჭრეთელით გამოკვეთილი სახის პირისპირ. ამ მძლე ვაჟუაცმა უმაღ მომხიბლა თავისი განსაკუთრებული აურით და რაინდული ქცევებით. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ ამ კაცს კიდევ შევხვდებოდი. ეს მოხდა მადრიდში „ტავარომაქიის“ მუზეუმში, სადაც ლეგენდარული ტორეროს, მანოლეტოს შემდეგ, გამოფენის ყველაზე მნიშვნელოვანი „პერსონაჟი“ იყო (ფოტო, ფერწერა, ქანდაკება). მაგრამ, მოვერვათ „პლაცა დე ტოროს“ დიად გმირს და კიდევ ერთხელ შევავლოთ თვალი მის შშვენიერ მეუღლეს, რომელმაც ეჭვიანი და ტემპერამენტიანი ესპანელი კაბალეროს მოთხოვნით, შენყვიტა კინოკარიერა... თუ სოფი ლორენი მოუგერიბელ ვნებიანობას ასხივებდა და მამაკაცებს თავზარს სცემდა, ლურია ბოზე თავისი ღვთაებრივი სილამაზით (ტყუილად არ მიხსენებია „პიეტა“), თითქოს სპილოს ძვლისაგან ნაკვეთი სახის იერით, იტალიური რენესანსის ფერწერულ მადონებსაც ჰგავდა და უმაღ თაყვანის-ცემას აღძრავდა მხილველში, ვიდრე ვნებას.

# დისკუსია

## პოსტსაბჭოური თეატრალური ნოვაციები

თამარ ძუთათელაძე

პოსტსაბჭოურ პერიოდში განვითარებული მოვლენები და შესაბამისად თეატრალური პროცესები არსებითად იდენტურია. თუ საბჭოური პერიოდის დრამატურგია ექვემდებარებოდა იდეოლოგიურ ცენზურას, 1990 წლიდან ჩამოყალიბებული ახალი ტიპის „ფინანსური ცენზურის“ ზენოლის შედეგად ახალგაზრდა დრამატურგების ტექსტები იშვიათად იძექდებოდა და იდგმებოდა. ხელოვნურად შექმნილ ვაკუუმში პოსტსაბჭოური პერიოდის რეჟისორები კონცენტრირდნენ კომუნისტური ეპოქის რენის ფარდის მიღმა გადამალულაკრძალულ უცხოურ დრამაზე. პოპულარული გახდა აბსურდის პიესების წერა და დადგმა. დრამატურგია იქცა უშემოსავლო პროფესიად, „ჰობად“. ახალგაზრდებმა სხვადასხვა პროფესიებისა თუ სამუშაოების შეთავსების პარალელურად, საკუთარი ადგილი მოსინჯეს პოლიტიკაშიც და მიზნად დაისახეს თეატრალური ენის მასშტაბური განახლება.

ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესების შესაბამისად 90-იანი წლების რუსეთშიც მაყურებელი ძუნნად სტუმრობდა თეატრს. იდგმებოდა უმთავრესად პუბლიცისტური პიესები. ამ მხრივ, ალ. ოსტროვსკის „შმაგი ფულები“ გახდა პირველი იმპულსი, რომელმაც თეატრს დაუბრუნა მაყურებელი. XX საუკუნის დასაწყისის ამ პოპულარულმა დრამატურგმა საზოგადოებას შეახსენა ბურუჟაზიული ცხოვრების წესი და მისმა პიესებმა კვლავ დაიყორ რუსული სცენა. შემდეგ გაიხსენეს გორკი, ბოლოს კი — ჩეხოვი.

## თანამედროვე ქართული თეატრის შემოქმედებითი პრობლემები

მარკ ზახაროვისა და იური ლუბიმოვის მოვლანებით მთავრდება რუსული თეატრის რეფორმატორების სახელოვანი ეპოქა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოურ თეატრში წარმართული ნოვაციები ეხმანება გასული საუკუნის 70-იან წლებს. ი. ეფრემოვის მიერ XX საუკუნის 70-იან წლებში გატარებული თეატრალური რეფორმა აქტუალობას არ კარგავს XXI საუკუნის რუსეთშიც. ისევე, როგორც საბჭოური ეპოქის „სოვერემენნიკში“, კვლავაც პრინციპულად არღვევენ მეტყველების კულტურას, სცენიდან უჩვენებენ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებს, ყოფითსა და არასრულფასოვან საზოგადოებას. სტანისლავსკის თეატრალური ესთეტიკის რეანიმაციის მიზნით „მხატვი“ მინვეული ა. ეფროსის ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა და ი. ტაბაკოვმა განიზრახა სამხატვრო თეატრის მოდერნიზება, რაც წარმატებით განახორციელა კიდეც. მან უარყო აკადემიურობის პრინციპი და თეატრში მიიჩნია სხვადასხვა თეატრალური სკოლის ყველაზე ნიჭიერი მსახიობები: კ. ხაბენსკი, მ. პარეჩენკოვი, ე. მირონოვი. „მხატვი“ მეორე ჯგუფი დორონინას ხელმძღვანელობით კი, კვლავაც ტრადიციული სკოლის ადეპტი დარჩა და მხოლოდ კონსერვატორთა ძევლი თაობის მცირე მაყურებლის ჯგუფილა შერჩა. ამ მხრივ, გოგოლის თეატრში ჯერ კიდევ ძევლი ყაიდის აკადემიური დასია და ინერციით განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში მოღვანეობას, მაგრამ ამჯერად იქაც შესამჩნევია გარდაქმნის შეუქცევადი პროცესი.

დიდ თეატრებში განხორციელებული მოსაწყენი კლასიკა გართობის სფეროდ იქცა უმთავრესად უფროსი თაობის მაყურებლისთვის. ახალმა რეალობამ მოითხოვა ახალი ხედვები და აღწერის ახალი ხერხები. ახალმა ტექსტებმა - ახალი სივრცეები. ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ არ ღირს ფულის ხარჯვა მხოლოდ გართობაზე. XXI საუკუნის სახითათო რეალობა მათ აიძულებთ ეძებონ თავდაცვის ეფექტური მექანიზმები და თეატრისადმი აქვთ პრაგმატული მიდგომა. შავი იუმორი სინამდვილის უტყუარი ასახვის ფორმად იქცა და დროის თანახმიერი მძაფრი წარმოდგენები ხშირად იდგმება გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე. რუსეთის მოაზროვნე მაყურებლისათვის საუკეთესო სივრცეა სხვენი,

სხვადასხვა პლატფორმები, მიწისქვეშები და ყოფილი ქარხნები. მინდაუგას კარბაუსკისის ორიგინალურმა დადგმებმა: „ძია ვანო“, „ტალანტები და თავუანისმცემლები“ ინტელიგენტიაც დაუბრუნა თეატრს. იგი წარმოდგენებს დამადა საგრიმიოროში, ბუფეტში, ფოიეში. პოსტსაბჭოური პერიოდის რეჟისორები უკვე ღიად და თამამად ესაუბრებიან მაყურებელს კომუნისტური ეპოქის იდეოლოგთა მიერ გაყალბებულ წარსულსა და საეჭვო ანმყოზე. ისინი დასცინიან ხელისუფლებას, ნებოტიზმის მზარდ ფორმებს, კორუფციის თავანყვეტილ თარეშს, ფსევდოინტელიგენციის ჩვეულ, ამჯერად უკვე ყავლაგასულ ცინიკურ სენტენციებსა და მიმართავენ კლასიკური ტექსტების მოდიფიკაციებს.

2000 წლის დასაწყისში თეატრ „ДОГ“-ში დადგმულ პირველ დოკუმენტურ პიესებში მაყურებელმა სცენაზე იხილა პოსტსაბჭოური ხანის მსხვერპლად ქცეული უსახლკარო ახალგაზრდობა, თანამედროვე ეპოქის მარგინალური საზოგადოება. ახალგაზრდებისათვის თეატრი „ДОГ“ გახდა თავისუფლების საყრდენი. ამ თეატრალურ სივრცეში დრამატურგთა მიერ სცენური კანონების მაღალპროფესიულ ცოდნაზე პრიორიტეტული, ცხოვრების სიბრძნის სცენური ადაპტაციაა. ამიტომაც, 2011 წლის დეკემბრიდან, როდესაც მოსკოვში კვლავ განახლდა საპროტესტო აქციები, თეატრიც ისევ დაუბრუნდა პოლიტიკას.

**XI** საუკუნის რუსულ თეატრალურ რეჟისურაში წარმატებულია მსახიობისა და რეჟისორის ვლადიმერ მაშკოვის მოღვაწეობა. სპექტაკლმა „№ 13“ მას რუსეთის განედული რეჟისორის ავტორიტეტი მოუპოვა. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მისი „რევიზორიც“. თანამედროვე რუსული თეატრალური რეჟისურა წარმატებით ახორციელებს კლასიკური დრამატურგიის მოდიფიკაციებს. სერგეი არციბაშევის მიერ განხორციელებულ გოგოლის „ქორწინებაში“ მოქმედება თანამედროვე რუსეთში განვითარდა და შეიქმნა დიდი ტრაგედია. მასში მონაწილეობდნენ საუკეთესო მსახიობები: ივორ კასტილევსკი და ინა ულიანოვა. ოსტროვსკის „ტყეში“ რეჟისორმა კირილ სერებრენიკოვმა მოქმედება **XX** საუკუნის 70-იან წლებში წარმართა. წარმატებული იყო მისი „ადამიანი-ბალიშიც“, ხოლო გახმაურებულ სპექტაკლში „პლასტილინი“ ასახა თანამედროვე სასტიკი სამყარო და დაუცველი ადამიანი. ამ დადგმაში წარმოჩნდა პოსტსაბჭოურ ქვეწებში ჯერ კიდევ მრავლად შემორჩენილი კომუნისტური მენტალობის მონსტრ პედა-

გოგთა გუნდი. მათ მამაკაცები თამაშობდნენ და კაბის ქვეშ აბჯრისმაგვარი ქალის თეორეული ეცვათ. ასეთი აგრესიული გარემოს ტყვეობაში მყოფი დაბნეული, დაუცველი და სასონარკვეთილი მოზარდი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს.

პოსტსაბჭოურ რეჟისორში პოპულარული დიმა კრილოვის სპექტაკლებიდან გამორჩეული იყო „ოპუსი 7“. კონსტანტინ ბოგომოლოვის სპექტაკლები: „ცხვრები და ბაშვები“, „უფროსი ვაჟი“, „ვანდერლენდი“, „მუმიტროლი“ ასახავდა პოლიტიკასა და საზოგადოებაში წარმართულ ცვლილებებს. „ნიგნის“ წარმოდგენაზე მისული მაყურებელი დააბიჯებდა წიგნებით მოფენილ იატაკზე და საზოგადოებას განაცდევინებდა ფასეულობათა უკიდეგანო დევალვაციის მასშტაბს. „თოლიაში“ უფროსი თაობა კვლავ უხვად და ცინიკურად იხდიდა ბოდიშს საკუთარ დანაშაულებსა თუ შეცდომებზე, მაგრამ რეალურად მხოლოდ დრო გაცყავდა და არაფრის შეცვლას არ აპირებდა. კ. ბოგომოლოვის აგრესიული თეატრალური ესთეტიკის ნიმუშს წარმოადგენდა „მეფე ლიორიც“. ეს იყო წარმოდგენა-მეტაფორა ტირანზე, სადაც კიბოთი დაავადებული მოხუცი მამა მომავალს უმახინჯებდა ახალგაზრდებს. ოჯახისა და სახელმწიფოს უკურნებელ სენად ქცეული რუსი მეფე ლიორი ჯანმრთელი მომავლის, სიცოცხლისა და არსებობისათვის სახიფათო ძალას წარმოადგენდა. მისი მოკვეთა აუცილებელი იყო. წარმოდგენაში ორიგინალურად წარმოჩნდა კორდელიასა და ზარატუსტრას ტანდემიც.

ბელორუსიაში ახალი დრამის დაბადება 1990-იან წლებს უკავშირდება. მის მეტიონ სახეს წარმოადგენდა ყოველდღიური სინამდვილის შეულამაზებელ ასახვაზე ორიენტირებული პაველ პრიავეკოს დრამატურგია. პეტერბურგის თეატრ-ლაბორატორია „ОИ“-ში დადგმული მისი პიესა - ტექსტები თავისებური გამოწვევა იყო კონფორმისტული „მამების“ თეატრისადმი. კ. პრიავეკოს გმირების მეტყველება თანამედროვე ახალგაზრდების ურთიერთობის სტილია. იგი ასახავს გმირების კომუნიკაციის უზნარობას, სადაც იკვეთება მეტყველების გარდაცვალების აქტიცა და კომუნიკაციის აღდგენის საწყისი კონტურიც. რემარკა ქმნის არა მხოლოდ კომენტარს, არამედ გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას მოვლენისადმი. უახლესი „ახალი დრამის“ ავტორები უმთავრესად უარყოფენ პროფესიულ, დანერილ თუ დაუნერელ კანონებს, რომელიც მათი წმენით ხშირად გადაფარავს

ხოლმე საზრისას.

უკრაინისა და ლიტვის პოსტსაბჭოური დრამატურგიის ექსპერიმენტული ცენტრი ჩამოყალიბდა ჯერ ყირიმში, შემდეგ კიევში. 1990-იანი წლების კიევის სტუდია „მოძრაობაში“ გაცხადებულმა პიესების გულახდილმა თემებმა, უხამსმა და სექსუალურმა ელემენტებმა მოახდინა სკანდალის პროვოცირება. ასეთია ახალი თაობის მაქსიმალისტურად რეალისტური ხედვის სტილი. XXI საუკუნის დასაწყისის ხარკოვში შექმნილი არასამთავრობო თეატრების ფესტივალი „კურბალესია“ კი, თანამედროვე უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უანრის, - პიესების „ნაკითხვების“, „კითხვა-რეპეტიციებისა“ და „სპექტაკლ-მონახაზების“ ორგანიზატორი გახდა. დრამატურგმა ვლადიმირ კლიმენკომ (კლიმი) დაამსხვრია სტანდარტული მითები და განახორციელა ისტორიული თემებისა თუ გმირების ინტერპრეტირება. ახალმა თაობამ ეროვნულ მეხსიერებაში შემორჩენილი პიროვნებებისა და მოვლენების აღდგენით განიზრახა საბჭოთა რეჟიმის მამათა მიერ გაყალბებული ისტორიის კორექტირება. ყურადღება აქცენტირდა თავისისუფლების დაკარგვის პრობლემურ თემებზე, საბჭოურ ოკუპაციასა და მასიბრივ გაციმბირებებზე. დრამატურგები შეეცადნენ გაეაზრათ ადრეული და თანამედროვე ემიგრაციის მიზეზები და შედეგები, პიროვნების მსოფლმხედველობის ფორმირება, პიროვნებისა და საზოგადოების ტრაგიული შეჯახება. მათ თამამად წამოჭრეს მწვავე შეკითხვებიც: - „როგორ შევინარჩუნოთ ჰუმანურობა არაჰუმანურ გარემოში, სადაც სიცოცხლეს მეტი გამბედაობა სჭირდება, ვიდრე სიკვდილს?...“

კომუნისტური დიქტატურისაგან თავდასწილ საქართველოში რეჟისორის, დრამატურგისა და თავისი პროტაგონისტის როლს უცხოელ ლობისტთა მიერ განაფული პოლიტიკური ელიტა დაეპატრონა. მზარდი პრობლემებით დათრგუნული, ტოტალურ წყვდიადში მყოფი საზოგადოება დაიბნა.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლები ქართული თეატრისათვის ალორძინების ხანა აღმოჩნდა და თავისი გაბედული, შემტევი ენერგიით დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა მაყურებელში. თითქმის ყველა თეატრში დაიდგა თამამი სპექტაკლები: მიხ. თუმანიშვილის „ანტიგონე“ (რუსთაველის თეატრი 1968), რ. სტურუას „ყვარყყარე“ (რუსთაველის თეატრი 1974), თ. ჩეხიძის „ჰაკი აბა“ (მარჯანიშვილის თეატრი 1979), შ. განერელიას „რღვევა“ (ქა-

რთული მოზარდი 1980), მ. კუჭუხიძის „პროვინციული ამბავი“ (მარჯანიშვილის თეატრი 1981). თეატრი ქვეტექსტით წარმართავდა საზოგადოებასთან დალოგს ურთულეს და მწვავე თემებზე. იგი თამამად მიმართავდა ტოტალიტარული რეჟიმის მხილებასა და განგვირვებინებას. საბჭოური პერიოდის იდეოლოგიური ცენზურა „თავისუფლების ზონას“ უტოვებდა თეატრის მოღვაწეებს, რომ მეტაფორული აზროვნებითა თუ ინტონირებებით გაეფხიზლებინა და კრიტიკული აზროვნებისათვის განეწყო საზოგადოება. ადგილობრივი ხელისუფლებაც შეფარვით გამოხატავდა თეატრისადმი თანადგომას და პაროტესტებდა მეტრობოლიის პოლიტიკას, თანამედროვე ადამიანის გაუსაძლის ყოფას. XXI საუკუნის ქართულ თეატრში გამძაფრდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გაბატონებული გროტესკი, ადამიანის ტოტალური უმწეობის ასახვა, იმედგაცრუებით წარმოქმნილი სისასტიკე და დეპრესული განწყობა, გადაულახავი აპსურდის გააზრების, მისი დაძლევის სურვილი. გამეფდა თვითირონით გამსჭვალული ფარსი და კლოუნადა.

უძრაობის ხანის გასაყარზე წარმატებით განხორციელებული ირაკლი სამსონაძის „ბედნიერი ბილეთი“ (რეჟ. შ. განერელია, ქართული მოზარდი 1989), სიმბოლურად ასახავდა ახალი თაობის მსოფლებანცდას. სპექტაკლი აბსურდის უანრს უახლოვდებოდა. კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის ხანაში თეატრი უჩვენებდა თბილისელი ახალგაზრდების ხევდრს. 80-იანი წლების დედაქალაქში გავრცელებული „ბედნიერი ბილეთის“ „მირთმევის“ ჩევევაც, სიმბოლურადვე მიგვანიშნებდა საკუთარი ადგილის უშედეგო ძიებით ტანჯული თაობის უიმედო ყოფას, სამშობლოდან გაჭრის დაუთრგუნავ, ისტერიულ წადილს. თითქმის იმავე წლებში შექმნილმა მამუკა დოლიძის „მდგმურებმა“, რომლის მიხედვითაც დავით ჯანელიძემ 1989 წელს გადაიღო ამავე სახელწოდების ფილმი, ამხილა ქართულ საზოგადოებაში პროვინციული აგრესიის გაღვივება. შადიმან შამანაძის „ლია შუშაბანდი“ (თითქმის ერთდროულად დაიდგა კინომსახიობთა და რუსთაველის თეატრებში 1984) და „ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში“ (რეჟ. გოგი თოდაძე, მარჯანიშვილის თეატრი 1986) დოკუმენტური დრამის პრინციპით ქმნიდა ჩიხში შესული ქართული საზოგადოების უმწეო მდგომარეობას, მის ფუნქციადადაკარგულსა და უმიზნო ყოფას. ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი“ (რეჟ. რ. სტურუა,

რუსთაველის თეატრი 1997), ასახავდა ღირებულებათა უკიდეგანო დევალვაციით დათრგუნულ დეპრესიულ ახალგაზრდებს, თაობათა კონფლიქტსა და მათს უმწეო გაბრძოლებას თვითდამკიდრების, არსებული რეალობის გაჯანსაღებისათვის. ზაზა პაპუაშვილის ბაჩა სცენაზე წარმოსახავდა იმედგაცრუებული ნიჰილისატი თაობის პორტრეტს და თამამად კიცხავდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ პოლიტიკურ სპექტრს.

მცირე თეატრების აღმოცენებას ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში მიხეილ თუმანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დადგმულმა გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქამ“ (1963) მისცა დასაბამი. ალტერნატიული თეატრების შექმნის შესაძლებლობა კი, მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა. 1997 წლის 31 მარტს, საქინფორმის შენობის სარდაფში, რუსთაველის თეატრის იმუამად ახალგაზრდა რეჟისორების, - ა. ვარსიმაშვილის, ლ. წულაძის, მ. ეგაძის, კინომსახიობთა თეატრის რეჟისორის გ. მარგველაშვილის მიერ დაფუძნებული „სარდაფის თეატრის“ მიზანი გახდა თეატრალური პროცესის განახლება. 90-იან წლებში სარდაფის თეატრი მოძველებული აკადემიზმის წინააღმდეგ იშვა და უმოკლეს დროში შეძლო საზოგადოებაში დაემკვიდრებინა აქტიური თეატრის იმიჯი. თანამედროვე და კლასიკური, ეროვნული და უცხოური დრამატურგიისა თუ ინსცენირებების გაბედული გააზრებებით იგი მკაცრად და დაურიდებლად რეაგირებდა ყველა მნიშვნელოვან პრობლემატურ თემატიკაზე. მოგვიანებით „თეატრალურ სარდაფშივე“ დაფუძნდა „თეატრალური ორშაბათობები“, შემდგომ „ხუთშაბათობებიც“, სადაც იმართებოდა ახალი წიგნების პრეზენტაციები, გამოფენები, ახალგაზრდა დრამატურგთა პიესების კითხვა. სწორედ აქ დამკვიდრებულმა „პიესების კითხვის“ ტრადიციამ განაპირობა მრავალი ახალგაზრდა დრამატურგისა და მათ შორის, - ლაშა ბულაძის, დათო ტურაშვილის, ირაკლი სოლომონაშვილის, ბასა ჯანიკაშვილის, ნ. ბასილისა და სხვათა გამოვლინება, მხარდაჭერა და პოპულარიზაციაც.

სცენაზე პირველად სწორედ თეატრალურ სარდაფში დაიდგა ვაჟა-ფშაველას ნოველა „გველის-მჭამელი“ (რეჟ. ლევან წულაძე, ქორ. გია მარლანია, მუს. გაფ. ზურაბ გაგლოშვილის, მხატ. შოთა გლურჯიძე). ამ სპექტაკლით ახალმა თაობამ მკაფიოდ გააცხადა საკუთარი პიზიცია ქვეყნის მმართველის ფუნქციის თაობაზე. წარმოდგენაში მითიური სიუჟეტი გვიცხავდა დედაქალაქში, მეტროპოლიტენის

ბაქანზე განვითარდა და რეალობას მისტიკაშე ენაცვლა. დუტა სხირტლაძის თბილისელ ახალგაზრდა კაცში უეცრად მინდია იღვიძებდა. მაგიურ ნიჭის იგი კარგავდა ყოფით ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის გამო, მაგრამ აცნობიერებდა, რომ მხოლოდ თვითშენირვით იყო შესაძლებელი სამყაროსთან ჰარმონიული კავშირის აღდგენა და ახერხებდა კიდეც ამ ღვთაების ნიჭის დაბრუნებას.

წლის 31 მარტს, ა. ვარსიმაშვილმა დააფუძნა კერძო „თავისუფალი თეატრი“ და ამჯერად უკვე ორი ალტერნატიული თეატრის მძაფრი კონკურენციის რეჟიმში წარიმართა ბრძოლა ახალგაზრდული თეატრების მეაფიო პროფილის ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის.

ბოლო ხანს მამხილებლური პათოსით გამძაფრებული დადგმებით ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა „სამეფო უბნის თეატრი“ (1997). აქ განხორციელებულმა წარმოდგენებმა ლ. ბუღაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“ (რეჟ. გ. თავაძე), ი. მისიმას „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“ (რეჟ. დ. მღებრიშვილი), დ. გაბუნიას „სხვისი შვილები“ (რეჟ. დ. თავაძე), ს. მროვე-კის „სტრიპტიზი“ (რეჟ. ნ. თავაძე), ა. სტრინდბერგის „ფრეკენ უჟლი“ (რეჟ. დ. თავაძე), ვ. ფასინდერის „კაცელმახერი“ (რეჟ. მ. ჩარკვიანი) უმთავრესად უცხოური დრამატურგიის თამამი გააზრებებით, ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა და ინდივიდუალური აზროვნებით გამორჩეულ რეჟისორებზე ორიენტირის პრიორიტეტით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ეს ახალგაზრდული თეატრი გაბედულად ამხელს ახალი თაობის პრობლემებს, უახლესი პოლიტიკის მრავალნიშნა თამაშის წესებსა და ანტიდემოკრატიულ პროცესებს.

საუკუნის 10-იან წლებში შექმნილი „ფაუსტის“ პოსტმოდერნულ ვარიანტად გააზრებული ლაშა ბულაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი“ (2010) სამეფო უბნის თეატრში განხორციელებული ერთ-ერთი პირველი წარმატებული სპექტაკლი იყო, რომელმაც დიდი ავტორიტეტით შესძინა ახალგაზრდა თეატრს. სარკაზმის ზღვარზე მიმდინარე წარმოდგენაში წაიმალა ზღვარი რეალობასა და ჯოჯოხეთს შორის. კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში ხელმოცარული თვითმკვლელი ნიკა თავაძის ნუგზარი ასახავდა თანამედროვე თბილისელი მარტოხელა ახალგაზრდის სახეს. ზაალ ჩიქობავას მეფისტოფელთან შეხვედრა მას უქმნიდა ყველა ოცნების რეალიზაციის შანსს, მაგრამ სიხარულისა თუ ბედნიერების განცდა ხელოვნური იყო. ამ ფიქციის გაცნობიერების შემდეგ არარეალიზებადი ახალი თაობა

პირქუშ, ყალბსა და არაპროგნოზირებად სინამდვილეში არსებობას კვლავ სიკვდილს, რეალობისაგან განრიდებას ირჩევდა.

გაბუნიას „საპნის ოცუსი“ (რეჟ. მაკა ნაცვლიშვილი, რუსთაველის თეატრი, 2010) და „სხვისი შეიღები“ (რეჟ. დ. თავაძე, სამეფო უნივერსიტეტის თეატრი, 2011), იგავურად ასახვადა ქვეყანაში გამეფებულ პროვინციულ ფაშიზმს, დაუცველი ადამიანის ტრაგიულ ხვედრს, ჩვეულებრივი რიგით მოქალაქის ბედის გართობისა და ექსპერიმენტების ობიექტად ქცევის პრეცედენტებს. ქართველმაშვილის „ქაჭუცა ჩოლოყაშვილი“ (რეჟ. ლ. წულაძე, მარჯანიშვილის თეატრი 2007) ნარმოაჩენდა საქართველოში ბოლშევიზმის სისხლიანი დიქტატურის დამყარების წლებს, დამპყრობთა წინააღმდეგ ქართული არისტოკრატიის უთანასწორო ბრძოლასა და ტრადიციულ ღირებულებათა უკიდეგანო ნგრევის შემაშფოთებელ შედეგებს. გ. მგელაძის მიერ შეთხზულმა და რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელებულმა სპექტაკლმა „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ (2010), მძაფრად ასახა ახალი თაობის პრობლემებისა და სულიერი ტკივილებისადმი ხელისუფალთა ტოტალური სიყრუით თავზარდაცემული, უიმედობისაგან დეგრადირებული ახალგაზრდების ცხოვრების წესი.

თაობის დრამატურგებიც შეეხმარენ ახალგაზრდების მიერ გაუძლერებულ პრობლემებს. რეზონ კლდიაშვილის „ზარატუსტრას უამი“

ნიშილისტური ეპოქის დასასრულის, ფსევდოლირებულებათა აღსასრულის, გონიერი საზოგადოების გამოღვიძების მოღოდინშია. გურამ ბათიაშვილის „მარჯანიშვილი“ (რეჟ. წულაძე, დ. ხვთისიაშვილი, მარჯანიშვილის თეატრი 2012) უჩვენებს დიდი ქართველი რეჟისორისა და ქართული თეატრის რეფორმატორის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთერთ ყველაზე სახელოვანსა და დრამატულ ეპიზოდს. პიესასა და სპექტაკლშიც მკაფიო ასახვა პოვა თვითრეალიზაციისათვის განწყობილი მაღალი მარჯანიშვილი მსახიობების გამორჩეულად უკომპრომისო ხასიათმა, ხელისუფალთა მარად შეფარულმა აგრესიამ და დაეჭვებულმა პოზიციამ ინტელექტუალთა ღვაწლის, მაღალი ხელოვნებისა და კრიტიკული აზრისადმი.

ათასწლეულში მომრავლებული უფროსი, საშუალო თუ ახალი თაობის დრამატურგთა აქტიური მოღვაწეობის შედეგად შექმნილი არაერთი ორიგინალური დრამატურგიული თხზულების მიუხედავად, უახლესმა ქართულმა დრამამ ძირითადად ვერ შეძლო ადეკვატური სიმძაფრითა და სისავსით აესახა საქართველოში განვითარებული ტრაგიფარსული პროცესები. იმძლავრა თვითცენტურამ, იგავურმა აზროვნებამ. თეატრების სცენები კი, კვლავაც უკონცურენტოდ დაიპყრო ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში პოპულარულმა კლასიკური დრამატურგიის მოდიფიკაციებმა.

## ახალი წიგნები

### „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა რუბრიკით „ქართული თეატრის ილუსტრირებული ისტორია“ გამოსცა წიგნი „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“. კრებული შეადგინა მუზეუმის დირექტორმა, ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ. მასში ასახულია დრამატურგის ცხოვრებისა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. გარდა ავტორის, მისი ოჯახისა და თეატრალური დასის სურათებისა, წიგნში შესულია სპექტაკლების ილუსტრაციები, პიესების ხელნაწერები, ქეთევან მაღალაშვილის „გიორგი ერისთავის პორტრეტის“, ალ. ბერიძის „არტისტული წრის“ თეატრის ფარდის ესკიზის ფოტოები, თბილისის თეატრის ძველი შენობის პროექტები, გეგმა, ლოჟების, იარუსების მოხატულობა და სხვ.

წიგნის „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“ პრეზენტაცია გაიმართა თბილისის პირველ სკოლაში, კლასიკური გიმნაზიის სააქტორო დარბაზში, სადაც 1850 წელს პირველად აჩვენეს „გაყრა“. სიტყვით გამოვიდნენ: პროფ. ვ. კინაძე, ხათუნა ხუნდაძე, ნეკა სებისკვერაძე, ოძისის გ. ერისთავის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორი ამირან ჯამაგიძე და სხვ.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, გიორგი კალანდიამ წიგნები გადასცა დამსწრეთ და მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის.

# წერილები

## „ჰამლეტი“ თანამედროვე ქართულ სცენაზე

ინო მაჭავარიანი

(წერილი პირველი)

ყოველი კლასიკოსის შემოქმედება თავისი მარადიული პრობლემებით და მათი მხატვრული ასახვის სპეციფიკით, თანამედროვე ყოფის მაღალმხატვრულად ასახვის მიზნით, აუცილებელია იყოს თეატრის რეპერტუარში. და მით უფრო რეალურად მესახება ეს აზრი, როდესაც საუბარი შექსპირის შემოქმედებას ეხება.

ეპოქაში, როდესაც უილიამ შექსპირი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ადრეული ბურუუაზიული სამყაროს ინდივიდუალიზმი და ზეადამიანის ლიტერატურული ტიპი, რომელიც არავითარ მორალურ კოდექსს არ ცნობს და მხოლოდ საკუთარი შეგრძნებებითა და მსოფლმხედველობით ცხოვრობს, ნელინელ წარსულის კუთვნილება ხდებოდა, მაგრამ ახალმა ეპოქამ ჯერ კიდევ ვერ დასახა ახალი იდეალები. შექსპირის ინტერესი კი ტიტანური პიროვნებების მიმართ მაინც არ განელებულა. ნებისმიერ სიუჟეტში იგი ცენტრალურ გმირთა ღრმა, ფსიქოლოგიურ დახასიათებას იძლეოდა და მათ დიდ სოციალურ და ფილოსოფიურ დატვირთვას ანიჭებდა.

პირველი, რაც შექსპირის შესახებ საუბრისას გვახსენდება, არის „ჰამლეტი“. ამ დიდებული პიესის ხსენებისას კი პირველი, რაც უნდა ითქვას არის ის, რომ აღდგენილი ქართული თეატრიდან მოყოლებული, ქართულმა სცენამ ინგლისელი დრამატურგის შემოქმედება ლამის ეროვნულ რეპერტუარად წარმოიდგინა და ასეთი დაუწერელი კანონიც კი შექმნა — მსახიობთა ოსტატობის სასინჯი ქვად მიიჩნია მისი გმირების სცენური განსახიერება ქართულ სცენაზე. ვანო მაჩაბლის დიდებულმა თარგმანმა კი უფრო მაღალ მხატვრულ ხარისხში აიყვანა ქართული შექსპირიანა.

„ჰამლეტი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოებია არა მხოლოდ ფილოსოფიური პრობლემების, არამედ ტრაგიკულის შექსპირისეული გაგების თვალსაზრისითაც. თუკი შექსპირის ადრეულ პიესები ტრაგიკული კოლიზია სამყაროში არსებული ბოროტების გმირებზე თავს დატყვდომით აისახებოდა, XVII საუკუნის დასაწყისიდან, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში შექმნილ ტრაგედიებ-

ში ტრაგიკული, შექსპირის გაგებით, თავად გმირების შინაგან სამყაროშია მოქცეული, საზოგადოებრივი ბოროტება კი მხოლოდ მისი თანამდევი მოვლენაა, რომელიც ფონის ფუნქციასაც კისრულობს. დიდი პიროვნული პასუხისმგებლობა — საზოგადოებრივი მორალის პიროვნული შემეცნება — ეს ცნებები არა საზოგადოების, არამედ გმირის კომპეტენციაში გადადის.

ორი ეპოქის მიჯნაზე მდგომი სოციუმის წინაშე ყოველთვის დგება ადრინდელ ლირებულებათა გადაფასების მნვავე პრობლემა, წინაპლანზე გადმოდის საზოგადოებრივი მორალის, ადამიანის ფსიქოლოგის, მისი პიროვნული სიძლიერის მარადიული თემები და ეპოქა მათზე ახალი პასუხის გაცემის აუცილებლობას ითხოვს. სწორედ ორი ეპოქის მიჯნაზე მდგარი ჰამლეტია ამ პრობლემატიკის ამსახველი ყველაზე მაღალმხატვრული სცენური გმირი, რომელიც ძველ ლირებულებათა მსხვრევის პერიოდში ახალ ლირებულებებს ვერ ქმნის („დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“), ეს არის მისი პიროვნული ტრაგედიის პირველმიზეზი, მაგრამ გონებრივად და ფიზიკურად იბრძვის მის დასამკიდრებლად და ენირება კიდევ მას. ეს შედეგი კი ლოგიკურია, რადგან გარდამავალ პერიოდში პასუხები კითხვებზე, რა იქნება შემდგომ, მხოლოდ მომავალ დროს გააჩნია. ნებისმიერ ინტელექტუალს კი ვარაუდების გამოთქმა და პრობლემების დასმა ძალუძს მხოლოდ. ჰამლეტს მოქმედებებს და ქცევებს გარემო კანასხობს მამის აჩრდილის სახით, რომელიც უბრძანებს მას შურისძიებას, ბოროტი ძმის დასჯას. ეს უკვე გარემო და ფონი კი არა, პიროვნების გრძნობებზე თამაში და მისი მარიონეტად, დაქირავებულ ბოროტმოქმედად ქცევის პრობლემაა. ჰამლეტის ტრაგიკულ განცდებს დაგეგმილი მომავლის პერსპექტივაც ემატება. სხვა სიტყვებით, მისი მომავალი ფატალურად განსაზღვრულია, ის მამის ბრძანებით შურისძიებელი გმირის ნიღაბს ირგებს...


ჰამლეტის“ პრობლემა საქართველოში ყველაზე აქტუალურად გასული საუკუნის

90-იანი წლების დასაწყისში აუდერდა. ეს იყო გარდამავალი ეპოქა როგორც ფორმაციების ცვლის, ასევე პოლიტიკური თავისუფლების, მორალურ ღირებულებათა გადაფასების თვალსაზრისით. ამდენი „ჰამლეტი“ ქართულ სცენაზე, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე დაიდგა, მთელი მისი პროფესიული არსებობის მანძილზე არ დადგმულა. რატომ „ჰამლეტი“ და მაინცდამაინც შექსპირის ნაწარმოებები, რომლის რეპერტუარი რუსთაველის თეატრმა ამ წლებში შექსპირის მემორიალური თეატრის მსგავსად, ბოლომდე გადაიმეორა. „ჰამლეტი“ ჩვენი სამოქალაქო ობის დროს, „ჰამლეტი“ სარდაფის თეატრში, სტურუას „ჰამლეტი“ სატირიკონისა და რუსთაველის თეატრებში, რუსთავის, კინომსახიობის თეატრებში...

\* \* \*

რეჟისორ გიზო უორდანიას მიერ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე განხორციელებული „ჰამლეტი“ (გ. უორდანიას თეატრალური ინსტიტუტის ჯგუფის სპექტაკლი) უაღრესად აქტუალური აღმოჩნდა იმდროინდელი პოლიტიკური ყოფისათვის.

შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ჰამლეტიმერაბ ნინიძე სევდიანი, წყლიანი, თითქოს ნამტირალევი თვალებით, უმანკო, ტანჯული სახით გამოდიოდა ავანსცენაზე. შექსპირისეული მონოლოგის ყოველი მისეული ფრაზა გულში წვდებოდა მაყურებელს და უძლიერეს ემოციებს აღძრავდა მასში. ეს იყო დრო, როცა ე.ნ.



ჰამლეტი — გორგა კაპანაძე

ზვიადისტებისა და შევარდნაძის მომხრეთა არა მხოლოდ პოლიტიკური პაექტობა, არამედ ღია საზოგადოებრივი კონფლიქტები აშკარა სამოქალაქო ობის საფრთხის წინაშე აყენებდა ქვეყანას და ამდენად, ფრაზა „დროთა კავშირი დაირღვა“ წარსულში, დანიის სამეფოში კი არ გვისტუმრებდა, არამედ ისეთი საშინელი სასონარკვეთილებით და სისასტიკით უღერდა ქართულ სინამდვილეში, როგორც არასდროს და ჩვენც ჰამლეტივით გვეჩვენებოდა, რომ არასოდეს გავმთლიანდებით და ამაშია ჩვენი ტრაგედია. ჩვენივე საკუთარ წუხილს და გულისითქმას ვაქსოვდით ფრაზას „წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“ — დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენ ვერც ერთი ხელისუფლის ხელში ვერ მოვერეოდით ბოროტს — პირველი უთანასწორო ბრძოლას გვთავაზობდა, მეორე — დამოუკიდებლობის დაკარგვასა და ვასალობას, გადარჩენის მიზნით.

ამ წარმოდგენაში მნიშვნელოვანი სცენური სახეები შეიქმნა, რომელთა შორის ყურადღება მიიქცა ჰერტრუდამ. ნანა შონია კლავდიუსის მსხვერპლსა და შვილზე უზომდოდ შეყვარებულ დედას განასახიერებდა თეატრალურ სარდაფში წარმოდგენილი „ჰამლეტის“ ამავე გმირისაგან განსხვავებით. და რადგანაც უკვე ვახსენეთ, ჰერტრუდა რეჟისორ ა. ვარსიმაშვილისა და მსახიობ თათული დოლიძის გააზრებით საროსკიპოდან გამოქცეულ ლამაზ კახას ჰერტრუდა, რომელსაც გაუმართლა, მოინონეს და დედოფლის გვირგვინი დაადგეს თავზე.

\* \* \*

ა. ვარსიმაშვილის „ჰამლეტი“ მისი სხვა სპექტაკლების მსგავსად, ამ ნიჭიერი შემოქმედის აზროვნების თავისთვავადობით იყო დაღდასმული. ყველაზე ფასდებული მასში დროის მხატვრული მოაზრების პრინციპი და საზოგადოებაში არსებული პრობლემების აქტუალობის ნიშნით წინ წამოწევა იყო. სპექტაკლის შემოქლებული ვარიანტი რეჟისორმა სამ საათამდე დაიყვანა, მაგრამ მიუხედავად მისი სანგრძლივობისა, მაყურებელი დროს ვერ გრძნობდა, იმდენად აქტიურად ერთვებოდა თავისი გრძნობებითა და გონებით იმ მხატვრული სინამდვილის ჭვრეტაში, რომელიც ასე ალეგორიულად და მეტაფორულად, მისი დღევანდელი ყოფის ხატად იყო გადაქცეული.

თეატრალური სარდაფის წარმოდგენის ყველა გმირმა თუ პერსონაჟმა თავიდანვე იცოდა, რა მოხდა და ასევე, რა მოხდებოდა. ამაში იდო სპექტაკლის აქტუალობის გასაღები. ხდებოდა

ყველაფერი ის, რაც არ უნდა მომხდარიყო (ეს ფაქტი საოცრად ეხმიანებოდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ რეალობას) და ამდენად, აღარაფერს ჰქონდა აზრი. რეუსისორი ვერ ხედავდა დადებით გმირს სპექტაკულში, სადაც ყველანი დამნაშავებად ან პოტენციურ დამნაშავებად იყვნენ მოაზრებულნი, მკვლელებად ან პოტენციურ მკვლელებად, როსკიპებად ან პოტენციურ როსკიპებად. ნინო თარხან-მოურავის ოფელია ეშმაკუნა გოგონა იყო, რომელიც დედოფლობაზე ოცნებობდა. რეუსისორი ამ ოცნებას პარია მიზან-სცენით მოხაზავდა — ჰერტრუდას დატოვებულ ფეხსაცმელებს ოფელია ფეხზე ორგებდა და აღფრთოვანებული დასცექროდა. ჰამლეტ-გოჩა კაპანაძის უხეშ არშიყობაზე კი ეს უმანკო იფელია უარს არ ამბობდა და გახარებული კისკისებდა. რატომ იშლებოდა ჭკუაზე ნინო თარხან-მოურავის გმირი? ის საკუთარი მომავლის ნგრევას სასიყვარულო წერილების დაბრუნებაში უფრო ჭვრეტდა, ვიდრე მამის სიკვდილში. მას ჰამლეტის სიყვარულის დაკარგვა უკარგავდა სიცოცხლის საზრისს და საბოლოოდ აგიშებდა. თუკი შექსპირისეული ოფელია იმიტომ უნდა ნასულიყო საროსეკიპოში, რომ თავისი სინშინდე და გულუბრყვილობა ცხოვრებისეული ეშმაკობების ცოდნით ჩაენაცვლებინა, ნინო თარხან-მოურავის გმირს ეს არ სჭირდებოდა. ამდენად, გოჩა კაპანაძის ჰამლეტის მოთხოვნა საროსეკიპოში ნასვლის შესახებ პირდაპირი მნიშვნელობითაც კი შეიძლება გავიგოთ, რადგან ოფელია არა თავისი გულუბრყვილობით, არამედ ერთგვარი შიშით ემორჩილებოდა მამისა თუ მის ნებას. ამდენად, იგი უმანკო გონების პიროვნება კი არა, სუსტი ნებისყოფის მქონე შეშინებული გოგონა იყო, რომელსაც ხელისუფლება თავისი პიროვნული თავისუფლების დაბრუნებისათვის სჭირდებოდა.

გაუფერულდნენ დადებითი გმირები. მათ შორის ჰამლეტიც. დადებითი გმირის არყოფნამ კი ამ ნარმოდგენაში სხვა პრობლემები ნამოსწია ნინა პლანზე.

შემთხვევითი არ არის, რომ რეუსისორმა კლავდიუსის როლი კეთილშობილი იერის მქონე დიდებულ მსახიობს, გურამ სალარაძეს მიაკუთვნა. სალარაძემ ცოდვის სიმძიმით შენუხებული მონარქის ტანჯული სახე შექმნა, რომელსაც არც „სათაგურის“ სცენა სჭირდებოდა გამისააშკარავებლად და არც ნართაული დიალოგები. ის პირდაპირ ასხივებდა სინაულსა და სინდისის ქენჯნას. საღარაძის კლავდიუსი კი არ ზემობდა მმის მკვლელობას

და გამეფებას, არამედ სარკასტული სიცილო-თა თუ ბოლმანარევი დიალოგების მეშვეობით თვალნათლივ გვიჩვენებდა, რომ გასახარი არაფერი მომხდარა. ამდენად, რეუსისორმა და მსახიობმა ამ ტრაგიკული გმირისთვის სინაულის შემამსუბუქებელი ორეოლის მოვლით ბოროტების ხილვის ძლიერი განცდის შეგრძნება დაუკარგეს წარმოდგენას.

და რადგანაც ამ ნარმოდგენაში ყველამ ყველაფერი იცოდა, რა მოხდებოდა, ამ მხრივ გამონაკლისა არც თათული დოლიძის ჰერტრუდა ნარმოადგენდა, რომელიც, სულ მცირე, კლავდიუსის თანამზრახველი მაინც უნდა ყოფილიყო, თუ არა თანამზრანილები მკვლელობისა. ეს ჰერტრუდა თავად გრძნობდა თავის გაუმხელელ დანაშაულს და დუელის სცენაში საწამლავის ფიალას ცლიდა სიტყვებით: „მე უნდა დავლიო, ნუ ამიკრძალავ“. ის არ ემორჩილებოდა კლავდიუსის რჩევას ანუ იცოდა, რას მოიმოქმედებდა კლავდიუსი და მაინც ცლიდა ფიალას. რა არის ეს? ბედისწერის ტრაგედია თუ განგებამ მოგვისაჯა, ვიყოთ პასურები ან ბოროტები?

გოჩა კაპანაძის ჰამლეტს აღიზიანებდა კლავდიუსის მიერ შემოთავაზებული თამაშის დახურული ფორმა და ლია პროტესტს მიმართავდა. ის კლავდიუსის მიერ მოგზავნილ მეგობრებს აშკარა ირონით ისტუმრებდა. გავიხსენოთ ეპიზოდი, სადაც ჰამლეტ თავის მეგობრებს სალამურზე დაკვრას უბრძანებს. „ნუთუ მე ამ პატარა სალამურზე უფრო ადვილი დასაკრავი ვარ?.. თქვენ შეგიძლიათ მომკლათ... მაგრამ ჩემზე დაკვრას მაინც ვერ შეძლებთ“ — გოჩა კაპანაძის ჰამლეტის შინაგანი სევდა ამ ფრაზით თითქოს გარეთ იღვრებოდა და სულს გვიფორიაქებდა. ამ პანია ფრაზით ჩვენს ნინაშე იკვეთებოდა ადამიანი-მსხვერპლი, რომელიც წინ აღუდგა იმ ბოროტებას (ამ შემთხვევაში, ლამაზად შენილბულს), რამაც მთელი სამყარო აქცია უდაბნოდ და „რაღაც დაალპო დანიის სამეფოში“. რეუსისურა და სცენოგრაფია სპექტაკლში გმირების სათმელს თვალნათლივ წარმოგვიდგენენ — ჰამლეტი სცენაზე ერთ სწორ ხაზზე, უხილავ ბენვის ხილზე გამავალი ცალ ხელში ფიალით და მეორეში — ხმლით („ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი), ჰამლეტი მამის აჩრდილოთან შეხვედრისას (გამოყენებულია კინოს ეფექტი), ჰამლეტი ოფელიას საფლავთან თავის ქალით ხელში — ამ ეპიზოდების სცენოგრაფია შთამბეჭდავი იყო და მათი მეშვეობით მსახიობის ემოციურად დამუხტული მონოლოგები მეტ ეფექტს ახდენდა.

„იქ რა იქნება, იქ, საიდან-აც არც ერთი მგზავრი აღარ ბრუნდება? — არა ერთხელ კითხულობდა ეს ჰამლეტი მთელი წარმოდგენის მანძილზე. „ყველა საქმე ამ წუთისოფლისა როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული“ — ამბობდა ის საფინალო სცენაში. რა იქნება ამქვეყნად მომავალში და იქ, საიქოში, არავინ უწყის, მაგრამ ჰამლეტის ამქვეყნიური ღალადის ეპოქა დასრულდა. „საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“ სახიერად ამ გმირის მიერ ჩვენს წინ არარაობის შავი ფარდის თვალნინ აფარებით გამოისახა. ასე დასრულდა ამ წარმოდგენაში ბოროტების სამყაროს სიტყვიერი და ვიზუალური ჩვენება.

ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლის პესიმიზმი დროის კონტექსტით იყო დალდასმული. რეჟისორი მთელი წარმოდგენის მანძილზე არც ფორტინბრას ახსენებდა და საფინალო სცენაში არც ჰამლეტის ანდერძს ახმიანებდა. ბოროტება თუ დამარცხდა, მას სიკეთეც მიჰყვა თან, თუმცა ამ წარმოდგენაში არც ბოროტებას ერქვა ბოროტება და არც სიკეთეს — სიკეთე. ჰამლეტისა და კლავდიუსის ბრძოლას მასში სიკეთისა და ბოროტების მუდმივი ჭიდილის აზრი არ ჰქონდა მინიჭებული. სიკეთე-ჰამლეტი გაბოროტებული იყო მამის მკვლელობითა და დედის უზნეობით, ხოლო ბოროტება-კლავდიუსი სინანულის ელფერის გამო კეთილშობილების შარავანდედს ივლებდა გარს. კლავდიუსი თავად უწვდიდა ხმალს ჰამლეტს, რომელიც უყოყმანოდ კლავდა მამისმკვლელს.

ეს იყო ჩვენი სამყაროს ჰამლეტი — ასე ნაცნობი და ასე ახლობელი 90-იანი წლებისათვის.

ბოროტებას ბოროტებით ვერ აღმოფხვრი. მამისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა ამ ქცევით შეუძლებელია. „არა კაც ჰელათ!“ — ეს არის ავთანდილ ვარსიმაშვილის წარმოდგენის იდეური კრედო, რომელიც იმდროინდელ საქართველოში ერთგვარ მონოდებად და მხატვრული სახით მოწვდილ რჩევად გაისმა.

\*\*\*

„ჰამლეტი“ ამ წლებში გენიალურმა რობერტ სტურუამ ორ დიდ სცენაზე — რუსთაველის თეატრსა და მოსკოვის „სატიროკონში“ განახორციელა. შემთხვევითი არ იყო იმდროინდელი პრესის არაერთგვაროვანი გამოხმაურება ამ თემაზე. „როდესაც ცნობილი გახდა,



## ჰამლეტი — ზაზა პაპუაშვილი

რომ რუსთაველის თეატრის სცენაზე „ჰამლეტი“ უნდა დადგმულიყო, უკვე თითქმის ყველამ იცოდა ან ვარაუდობდა, რომ რობერტ სტურუა აუცილებლად გააკეთებდა რაღაცას „სხვანაირად“ და ეს რაღაცა აუცილებლად პირველხარისხს იქნებოდა.<sup>1</sup> რეცენზენტ მარიამ ჩუბინიძის აზრით, ეს ჰამლეტი აღარ წარმოადგენდა იმ სამყაროს ცენტრს, რომელიც ასეთი საინტერესო იყო მანამ, სანამ სწორედ ამ გმირის გარშემო ტრიალებდა. მისი კრიტიკა სპექტაკლის ყველა მხარეს და ყველა ჰერსონაჟს შეეხო. ეს კრიტიკული გამოხმაურება და აზრი, რომელიც მაყურებელთა გარკვეულმა ნანილმა ჩამოიყალიბა სპექტაკლის ირგვლივ, მათ მიერ ამ პიესის გმირთა შესახებ შექმნილი საკუთარი სტერეოტიპები-საგან განსხვავებული აღმოჩნდა. ის, რომ ჰამლეტის მამის აჩრდილი ლამაზი და წარმოსადეგი არ იყო (მსახ. დ. გოცირიძე) და არ ჰელათ ჰამლეტის მიერ აღწერილ დიდებულ მეფეს, სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ რეჟისორს არ ჰქონდა უფლება ის პერსონაჟისეული შინაგანი სამყაროს მხატვრულ ადეპტად წარმოედგინა. ნოდარ გურაბანიძე სტატიაში „ჰამლეტ — მამა ჰამლეტისა“ იხსენებდა მამა-ჰამლეტის ცოდვებს, რომელიც სიცოცხლე-შივე ანვალებდა მას და მათ მონანიებას ცდილობდა, თუმც არ დასცალდა. „დღე ცეცხლში ვიწვი, იქ ვმარხულობ და ცეცხლითვე ვწმენდ, რაც სიცოცხლეში მე ცოდვები მიმოქმედნია“. იგი ასკვნიდა, რომ მამა ჰამლეტ არც იდეალური მეუღლე, არც იდეალური ხელმწიფე არ ყოფილა (2). გავაგრძელებ ამ აზრს და ვიტყვი, როგორი იდეალური მამაც აღმოჩნდა, ეს ცხადდება დედამინაზე დაობლებული პატარა ჰამლეტისთვის ნაბრძანები შურისძიების


სურვილითაც, რაც ამ უკანასკნელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მოკლული ადამიანი ანუ მსხვერპლი თავისთავად შეწყალებული უნდა იყოს ღვთისაგან და რა ცოდვები უნდა ჰქონდეს ჩადენილი მამა ჰამლეტს ამქვეყნად, რომ მისი სული დედამიწაზე დაეხეტება და საკუთარ ჯოჯოხეთურ ტანჯვაზე უყვება თავის მემკვიდრეს? ამ ცოდვებს გარდაცვლილი მამისგან შვილი ჰამლეტისთვის „შეკვეთილი“ ხელმწიფე-ბიძის მკვლელობაც ემატება.

ზაზა ჰაპუაშვილის მოტყუებული და პესიმისტი გმირი შეგნებულად ერიდებოდა მრავალისტყვაობას სცენაზე. უფრო მეტიც რობერტ სტურუამ მაყურებელს იმედები გაუცრუა, რადგან „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი, რომელიც ჰამლეტ-ზაზა ჰაპუაშვილს ფურცელზე დაწერილი მიაწოდეს, არ ნააკითხა მას. ჰამლეტ მხოლოდ მონოლოგის საწყის ფრაზას ახსენებდა და უსიამოვნოდ გვერდზე მოისროდა. ამ ჰამლეტის მიზანი არ შეესატყვისებოდა მისეულ შინაგან სამყაროს. ის მონამლული იყო ჯერ ყოფისა და შემდეგ, ჯოჯოხეთიდან მოსული სულის სამყაროთ. დანია საპყრობილეა და სასახლე – ცოდვის კერა. ამ სასახლეში დედოფლა ჰერტრუდას პირთან ფიალა უფრო ადრე მიუტანია, ვიდრე მასში კლავდიუსი სანამლავს ჩაასხამდა. ნინო კასრაძის მთვრალი გმირის ბარბაცი და უაზრო ყოფა მისი არსებობის ტრაგიზმით იყო დაღდასმული. რაც შეეხება ია სუხიტაშვილის ოფელიას, ის გარეგნულად ნაზი, მაგრამ შინაგანი პროტესტით აღსავს ე გოგონა იყო, რომელსაც სასახლის უდაბნოში სუნთქვა ჰქონდა გაძნელებული და სიცოცხლის აზრის გარკვევისათვის მთელი თავისი ძალებით ანუ სუსტად, მაგრამ მაინც იბრძოდა.

რობერტ სტურუას „ჰამლეტის“ პესიმისტური ულერა და გმირთა ხაზგასმული შინაგანი აგრესია, რამაც მსგავსი ემოცია დაბადა მაყურებელთა ნანილში, კვლავ დროის კონტექსტში უნდა იქნეს მოაზრებული. დიდი რეჟისორი მხატვრულად ასახავდა იმ პროტესტს, რაც უხმოდ იყო ჩაბუდებული ყოველ ჩვენგანში და გარეთ გამოხეთქვას ლამობდა. ამ სპექტაკლში სწორედ ჩვენი შინაგანი ბუნტი, აგრესია იყო გამოხატული, რასაც ვხედავდით ამ სპექტაკლის გმირებშიც.

რ. სტურუას „ჰამლეტი“ სატირიკონის თეატრში მისეული „მეფე ლირის“ მსგავსად აპოკალიპსის პირმშო იყო. რეჟისორმა „ლირში“ უკვე იწინასწარმეტყველა სამყაროს ნგრევა, რომელიც, მისი აზრით, დაიწყო მაშინ, როდესაც ქამლეტი და დამატებით აღმართა. სტუ-

რუასათვის საინტერესო არ იყო, ვინ იყო მართალი და ვინ — მტყუანი. მისთვის ედმუნდიც და ედგარიც ერთნარი დამნაშავები იყვნენ. და თუკი შექსპირის უკვდავ პიესებში აპოკალიპსი გმირთა შინაგანი სამყაროდან გარეგან სამყაროშიც ინაცვლებდა (მაგ. ქარიშხლის სცენა, როგორც ლირის შინაგანი ძრწოლის ვიზუალური გამოხატულება), სტურუამ ამ პრინციპით ააგო „ლირი“, სადაც ქმათა დუელის შემდეგ იგი სამყაროს ნგრევით — ატომური აფეთქებით გამოხატა. სამყარო დაინგრა მას შემდეგ, რაც ქმამ ქმაზე ხელი აღმართა — ეს იყო სტურუა-მოქალაქის პასუხი თანამედროვე სამოქალაქი ბრძოლაზე. ასე გაცხადდა შექსპირისეულ გმირთა სულიერი რლვევის და დაცემის აქტი „ლირში“, რაც გააგრძელა სტურუას სატირიკონისეულმა „ჰამლეტმა“. — კლავდიუსის მიერ ქმის მკვლელობას არც დანიაში და ქმათა მკვლელობას არც იმდროინდელ საქართველოში არავითარი ქარიშხალი ან სხვა მოვლენა არ მოჰყოლია. მან, უბრალოდ, დაადასტურა იმ საზოგადოების სულიერი დეგრადაცია, რომელმაც იხილა ეს ბოროტმოქმედება და მიიღო იგი თავისი ლოგიური შედეგითურთ. ამგვარი ფაქტი საზოგადოების თვითეული წევრის სულიერების გაქრობის მანიშნებელია. იმ ადგილს კი, სადაც სული კარგავენ და იტანჯვებიან, ჯოჯოხეთი ენოდება. ამ წარმოდგენაში ავანსკენის გარშემო დიდ წრეზე კოცონის პანია ნაკვერჩხლებივით შემოუწყვიათ მომცრო ზომის, წითელშუქიანი პროჟექტორები. წრის შიგნით მყოფ პერსონაჟებს კი ისე სცენებით, თითქოს ჯოჯოხეთის ქვაბში იხარშებოდნენ. ამ ცეცხლის დამნთები გარდაცვლილი მეფე ჰამლეტი (მსახ. ა. ფილიპენკო). ის შავ ტანსაცმელსა და წითელ



ჰამლეტი — კონსტანტინე რაიკინი

მოსასხამში გახვეული, მდუმარედ შემოდის სცენაზე. მსახიობი ცეცხლისმფრქვეველი დრაკონივით კლანჭავს ხელებს, ქშინავს და ითურთხება — განა მისი ბაგერებიდან ამოფრქვეულმა ბრძანებამ არ დაატრიალა მომავალი ტრაგედია? ამ ჯოჯოხეთში მხურვალება მხოლოდ მაღლიდან — რამდენიმე მზრივად დანთებული პროექტორებიდან მოდის. ისინი ინთებიან მაშინ, როდესაც ჰამლეტს რაღაც უხარია — მისი მეგობრების პირველი ხილვით გამოწვეული სიხარულისას, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, პირველად. შემდეგი შეხვედრებისას ეს შუქი უფრეულდება და ქრება.

მამა-ჰამლეტისა და კლავდიუსის, გილ-ფერნსტერნისა და ოსრიკის (მსახ. ვ. ბოლ-შვი), როზენკრანცისა და მესაფლავის (მსახ. ა. იაკუბოვი), მსახიობ ლუციანუსისა და ფორტინბრასის (მსახ. გ. სიატვინდა) პერსონაჟების გაერთიანებით რეჟისორმა ერთმანეთს შეუთავსა სიკეთისა და ბოროტების, მეგობრობისა და გაუტანლობის, ძალაუფლებისა და მისი ნამდვილი გამოვლინების ცნებათა ანტაგონისტური შინაარსები ისე, რომ რ დააზიანა დრამატურგიული ქსოვილი და პირიქით, შეძლო მისი ახალი, საინტერესო, ფილოსოფიური კუთხით წარმოჩენა.

კ. რაიკინის ჰამლეტი სიყვარულისა და სიძულვილის ამბივალენტური გრძნობით არის შეპყრობილი ჰერტოუდასა და ოფელიას მიმართ. მამა-ჰამლეტისა და კლავდიუსის სახეთა გაერთიანებით სტურუამ მოხსნა ამ სპექტაკლში სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების თემა. ამ ორი პერსონაჟის ერთ სახედ წარმოდგენით მან გვიჩვენა არა მსხვერპლი და მკვლელი, არამედ ორი მკვლელი, რომელთაგან ერთი — ძმისმევლელი და მხოლოდ ეს განასხვავებს მათ. ჰამლეტის გენეტიკური კოდიც შურისძიებაა. მამისა და ბიძის მაგალითი „...აიძულებს მას იყოს ის, ვინც არ უნდა იყოს...“ — ეს ფრაზა მისი პირველი მონოლოგიდანაა. და რადგან პირველი მონოლოგი ვახსენეთ, გავიხსენოთ მისი პირველი გამოჩენა სცენაზე — სცენაზე დაგებული ლიანდაგი მაყურებლისაკენ რკალურად მიემართება. მასზე ვაგონეტი დგას, რომელიც მოგორავს სცენის სიღრმიდან და მაყურებლის თვალინი ჩერდება. მასში პრინც ჰამლეტის სძინავს. ის იღვიძებს — ჯერ გამლილთითებიანი ორი ხელი ამოვარდება ვაგონეტიდან, შემდეგ ასევე — ფეხები. ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ იგი იბადება ამ ბინძურ სამყაროში. „უმანკო ჩვილი“ გავეპული დგება თავისი „აკვნიდან“, რადგან დააობლეს, დედის სარეცელი

შეუგინეს... შავებში ჩაცმული ჰამლეტი არას-დროს მოგვევლინება გვირგვინით თავზე, თუმც ერთ ეპიზოდში, როდესაც ის შეცდომით კლავს პოლონიუსს, აღაფრთოვანებს კლავდიუსს, რომელიც თავიდან გვირგვინს იხსნის და მას ადგამს — ჰამლეტ ნამდვილი გვირგვინისანივით მოიქცა, კლავდიუსი ჩვილივით უმანკო პოლონიოუსთან მიმართებაში ანუ კლავდიუსი ჰამლეტის პატარა ვაგონეტიში გაბრნყინებული სახით ჯდება! მაშასადამე, ცოდვილ სამყაროში დაიბადა არსება, რომელიც აპირებდა პროტესტის გამოხატვას მის მიმართ, მაგრამ საპოლონოდ ერთ-ერთი იმათგანი გახდა — რაიკინის ჰამლეტი არც ნარკოტიკზე ამბობს უარს, არც სინანულს გრძნობს მკვლელობის გამო. „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!... — უძლურია გადმოსცეს სამყაროს ვერშეცნობის ტრაგიკული მომენტისეული სასონარკვეთა. ეს ტრაგიკულად აფეთქებული, ტანჯული და მტანჯველი, ჭირისუფალი და მკვლელი, მშვენიერი და აუტანელი, ცინიკოსი და მგრძნობიარე გულის მქონე ჰამლეტი-კ. რაიკინი არა ერთ მონოლოგში დაამახსოვრებს თავს მაყურებელს, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ყოფნა-არყოფნის“ ცნობილი მონოლოგი. სცენის ცენტრში მდგარ დიდებულ სავარდელში მჯდომი ჰამლეტი როყიოდ, ზერელედ წარმოთქვამს ფრაზებს, რომელიც ამ წუთს ეკუთვნის არა პრინცს, არამედ პირვენებას, რომელიც ჩაწვდა ყოფის ყველაზე ბინძურ და აუტანელ ნიუანსებს, გაეცნო ადამიანური ცხოვრების ყველაზე უზნეო მხარებს. ამიტომაა, რომ რაიკინის გმირი მონოლოგის წარმოთქმისას ნელა იხდის ფეხსაცმელებს და აქეთ-იქით აგდებს, იხდის წინდებს, ყნოსავს და გულარძნით მოისვრის გვერდზე, მერე თავისუფლად გაიშოტება სავარდელში და მსჯელობს ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე. დიახ, ეს არარომანტიკული, „დამინებული“, იდეალებისაგან დაცლილი ჰამლეტია, რადგან მის თანამედროვე სამყაროში დაკარგულია სისუფთავის, სიწმინდის, სიკეთის, მშვენიერების ცნებები. შურისძიება ამოძრავებს გარდაცვლილ მამას, ძველი ცოდვის სიმძიმე არ უშლის ხელს გვირგვინოსან ბიძას, ჩაიდინოს აახალი ცოდვები, ორცეცხლშუა მყოფი დედოფალი სასმელს მიძალებია და ქუჩის მეძავს დამგვანებია. გვირგვინოსნები და უგვირგვინონ ერთმანეთში ვეღარ ირჩევიან — რადგან პირველთ ჰერალდიკა შინაგან სამყაროს ვერ უცვლით. როსკიძებსა და მკვლელებს ჩაუვარდათ ხელში სამეფო! „რაღაცა დალპა დანიის სახელმწი-

ფოში... თუ დანია საპყრობილეა, მაშინ ყველა სხვა ქვეყანაც საპყრობილე ყოფილა! — ყველგან საპყრობილეა, სადაც ერთმმართველობა და ტირანია სუფეს.

სად არის სიწმინდე? სად არის ის ნავთ-საყუდელი, სადაც ამქვეყნიური არარაობის-გან დაღლილი გმირი თავს შეაფარებს? ოფელია-ნ. ვდოვინა ლაერტთან (მსახ.ა. უურმანი) თამაშით გართული, კისკისით შემოიჭრება სცენაზე. ეს მხიარული ნოტები კონტრასტს ქმნიან ელსინორის სასახლის პირქუშ ყოფას-თან. ოფელიას უყვარს პრინცი — ის შემთხვევით ნაპოვნ ჰამლეტის შარფს სათუთად ეალერსება და ყელზე იხვეს. შემდეგ მზრუნველად ევლინება მას — ფეხიდან ხინჯს უღებს. ეს „დახმარება“ ოფელია პრინცისთვის — რეჟისორის ირონია ცხადი ხდება. ნუთუ ოფელია მეტს არაფერს ნიშნავს ჰამლეტისთვის? მაშინ აზრი ეკარგება ჰამლეტ-რაიკინის მგზნებარე ტირადას ოფელიას საფლავთან — მსახიობი გადამდები ემოციურობით ატარებს ამ მღელვარე სცენას. ოფელიას სურდა ყვარებოდა და თავადაც ყოფილიყო სიყვარულის საგანი. ამქვეყნიურ ჯოგოხეთს გონებრივად ჩამოშორებულმა თავისი სიყვარული არარსებულ პერსონაჟს — რობინს მიუძღვნა. ოფელია-ვდოვინა ავანსცენაზე დაწვა და ყველას თანდასწრებით, სატრფოს სიყვარულით შეძრული, ვნებიანად აკრუსუნდა.

ამ წარმოდგენის მთავარი მხატვრული პრინციპი კონტრასტულობაა. ის არის მოხმობილი პერსონაჟთა მხატვრული დახასიათებისას. ოფელიას სიგიჟის სცენას მის ყველაზე მძიმე გამოვლენაში ტკბილი, ქართული საგალობელის საკრალური ულერა ახასიათებს. ამ მელოდიით დაეშვიდობა ეს წარმოდგენა რეალობაში არსებულ ერთადერთ სიწმინდეს. და რადგანაც მუსიკალური თემა ვახსენეთ, აღსანიშავია, რომ საკუთარი მუსიკალური თემა აქვს მამა-ჰამლეტს. „ის მოდის“ — ამბობენ, ვერ ხედავენ და მორჩილებენ ქვეშვერდომები.

**ჰერტრუდა-ლ.** ნიფონტოვა და ჰერტრუდან. ესარაძე ცხოვრების სიმძიმილით გადაღლილ ქალბატონებს წარმოადგენენ, რომლებიც სასმელში კლავენ უსაზღვრო დარდს. ლ. ნიფონტოვას გმირი პირდაპირ სცენაზე (როგორც ვხვდებით) იკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას. „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ — რეჟისორი სახიერად გვიჩვენებს შექსპირისეული ამ ფრაზის მხატვრულ ადექვატს. ეს გმირი რეჟისორმა ქართულმა სცენაზეც იგივე ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა. ჰამლეტი და მხოლოდ ჰამლე-

ტი ხედავს მამას, რომელიც მეუღლეს ეხვევა, ალერსით აბრუნებს შვილთან და უკრძალავს მას დედის შეურაცხყოფას. დედა ვერ ხედავს აჩრდილს და საბოლოოდ რჩმუნდება შვილის სიგიჟეში.

ფილიპენკოს კლავდიუსი ცინიკოსი არის-ტოკრატია, რომელმაც გვირგვინის მოსაპოვებლად კაენის ცოდვა იტვირთა და სინაული, თავადაც იცის, დაგვიანებულია. ის ერთადერთი გმირია, ყოველგვარი გრძნობისაგან დაცლილი და მას მელოდია ამ სპექტაკლში არ აქვს. „ნუთუ ზეცას არ ყოფინის წვიმა, რომ მომბანოს ეს სისხლი!“ — ტანჯვით შეღალადებს ზეცას ეს გმირი. ზეცას იქნებ კიდევ ჰქონდეს ამგვარი წვიმა, მაგრამ ის დედამინაზე არ მოდის. ამიტომ არ პატიებს კ. რაიკინის ჰამლეტ დანაშაულს არც დედას, არც ოფელიას და არც კლავდიუსს, რომელსაც ყველაზე მეტად — ხელისუფლებითა და გვირგვინით სჯის, რადგან ეს ყველაზე კარგი ჯოჯოხეთია ცოდვილ სულთათვის სატანჯველად გამოყოფილი. ამონვდილ ხანჯალს ძირს უშვებს ჰამლეტი: „კიდევ იმეფე, კლავდიუს!“

რ. სტურუას „ჰამლეტი“ არ არის ტრაგედია. თანამედროვე სამყარომ დიდი ხანია დაკარგა ტრაგიულობის დიდებული შეგრძნება. ტრაგედიას ტიტანური ვნების ადამიანები განიცდიან, რომლებიც, არისტოტელესული განმარტებით, უდანაშაულონი უნდა იყვნენ. უდანაშაულობის პრეზუმიცია ჰამლეტისეულ სამყაროში არ არსებობს. აქ ყველა დამნაშავეა და ამდენად, თავისთავად მოხსნილია ტრაგედიის უანრული განსაზღვრების აუცილებლობა.

რ. სტურუასათვის არ არსებობს ცნება — კეთილი გვირგვინოსანი. გვირგვინი უკვე ნიშნავს ერთმმართველობას, ტირანიას ანუ მმართველობის იმ ფორმას, რომელიც არ შეეფერება ინტელექტუალური საზოგადოების ცხოვრების პრინციპებს. ასე გაერთმნიშვნელიანდა ჰამლეტ-მამა, კლავდიუსი და ფორტინბრასი ერთი სახელით სახელით ამ სპექტაკლში — დანის შეფე. ა. ფილიპენკოსა კლავდიუსა არ სურს ჰამლეტისა და ლაერტის დუელი. ის პოლონიუსის მკვლელობის დაბრალებასაც კი აპირებს მის შესაჩერებლად (უაღრესად ორიგინალური და თამამი გადაწყვეტაა რეჟისორის მხრიდან), მაგრამ შემდგომ გადაწყვეტს, მოხდეს, რაც მოსახდენია.

მ. სიათვინდას ფორტინბრასი მეომარი მეფეა. ის თანამედროვე ჯარისკაცულ ფარაჯაში გამოწყობილი, ჩექმებზე მტვერწაყრილი, ბრძოლით დაღლილი მოდის, ჯდება ჰამლეტი-

ვით დიდ სავარძელში და ნაცვლად ფილოსოფიური მსჯელობისა, მოქმედებებზე გადადის — ბრძანებს, დამარხონ პრინცი სათანადო პატივით, გაიტანონ გვამები... აშკარაა, ის გააკეთებს იმას, რაც ვერ შეძლო ჰამლეტმა, რასაც აკეთებდნენ მამა-ჰამლეტი და კლავდიუსი — ის იმედებს.

კ. რაიკინი სტურუას შესახებ აღნიშნავდა, რომ ის პოეტია, უყვარს გაზვიადება, უკიდურესობები. ყველა მისი სპექტაკლი წარმოგვიჩენს ადამიანისა და სამყაროს მეტაფიზიკას. ე სარის თეატრი, რომელიც თავს აღწევს ჩვეულ ცხოვრებისეულ პეიზაჟებს და მაღლდება ყოველდღიურ რეალობაზე. შეიძლება შევეკამათოთ ამ აზრში დიდ მსახიობს. სატირიკონის „ჰამლეტი“ არ მაღლდებოდა ყოველდღიურ რეალობაზე. ის ამ რეალობის ბრწყინვალე მხატვრულ ადექვატს გვთავაზობდა და ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გვიჩვენებდა ჩვენი უფრთო ცხოვრების იმ პანია ჰორიზონტებს, საიქიოდან სააქაოზე გამავალი პატარა ვაგონეტით რომ შემოიფარგლებოდა. რეჟისორი გვარწმუნებდა, რომ ადამიანები ამ სამყაროში უმანკონი მოდიან და იმდენად გაბოროტებული ტრვებენ მას, რომ ჩვენი სამყაროს მიღმაც კი გაისმის მათი შურისძიების ყიუინის ექო. ეს ყიუინა ჩრდილად ეცემა ჩვენს ისედაც ცოდვილ და გაუბედურებულ მინას. სად არის ქრისტე? სად არის მიტევება და შეწყალება? სიყვარულის ღმერთს სამუდამოდ მიუტოვებია ჩვენი ამქვეყნიური ჯოჯოხეთი და ზეცაში გველოდება, სადაც ყველანი — უკლებლივ ცოდვილები, უზნეონი, სულიერად დაცუმული და დაჩაგრულნი წარვდგებით მის წინაშე. ამ სამყაროში ხომ უმანკო ადამიანიც, თუ ის ბრძოლას გადაწყვეტს, მკვლელად უნდა ჩამოყალიბდეს. ცოდვილ მინაზე ბოროტება ზეობს. ამიტომ უნდა დაიღუპოს ჰამლეტი და დარჩეს ფორტინბრასი, რომელმაც უნდა იმედოს.

რ. სტურუამ კიდევ ერთხელ, შექსპირისეული პერსონაჟების მეშვეობით დიდებულად იმსჯელა ყოფიერებაზე და საზოგადოების მართვის მარადიულ პრობლემებზე.

\*\*\*

ყოფიერების საიდუმლოს ჭვრეტა შექსპირის ამ გმირის მეშვეობით განიზრახა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ, რომელმაც რუსთავის თეატრში დადგა „ჰამლეტი“. ზურაბ ინგოროვას ჰამლეტი ჩვენი თაობის ახალგაზრდაა. მისთვისაც „დროთა კავშირი დაირღვა და წყულმა ბედმა მას არგუნა მისი შეკვრა“, სტრესში მყოფს, უარესის მომლოდინეს, დაბნეულს,



**ჰამლეტი — ზურაბ ინგოროვა,  
პერსონაჟი — ზვიად დოლიძე**

სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქაში უხდება ცხოვრება და ნაადრევი დაბრძენება და რადგანაც ეს გარკვეულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალებს მოითხოვს, მარცხდება და ნადგურდება. გ. ქავთარაძისეულ ჰამლეტს და ოფელიას ეკლის გვირგვინები აქვთ შემორტყმული ყელზე (ჰამლეტი) და წელზე (ოფელია). პერსონაჟები ხან სცენაზე დგანან და ხანაც დარბაზში ჩადიან და უჩინარდებიან — დარბაზიც სცენის ნაწილია და „სამყაროც თეატრია.“ ჰამლეტის პრობლემაც მარადიულია და რადგანაც მარადიულია, სპირალური განვითარების თანახმად, მრავალჯერად და განმეორებად აქტს წარმოადგენს. ასე, რომ რუსთაველთა „ჰამლეტი“, ინტელექტუალური დრამის მსგავსად, მისეული პროლოგით იწყება. მაყურებელთა დარბაზში რეჟისორის მაგიდა და დგას, სადაც მორიგეობით მიღიან პორაციო, მამა-ჰამლეტის აჩრდილი, კლავდიუსი, პერტრუდა და სხვ. ისინი ხელმძღვანელობენ იმ სცენებს, რომელთა განმახორციელებლებიც არიან სცენურ რეალობაში. სპექტაკლის პირველი სცენა რეპეტიცია — თამაშდება „ჰამლეტი“, სადაც მსახიობი (აჩრდილი, მექაფლავე, პირველი აქტიორი — გ. ტყეშველაშვილი) პორაციოსგან შენიშვნას იღებს. ამ წარმოდგენაში პორაციო ჰამლეტის ორეულად არის მოაზრებული. ის ჰამლეტის გვერდითაა, თანაბრად ინანილებს მის მონოლოგებს, ფიქრებს და ოცნებებს. ჰამლეტის გაორება ვიზუალურად „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგის კითხვისას ძლიერდება. ჰამლეტი-ზ. ინგოროვა და პორაციო-ზ. დოლიძე ინანილებენ ამ

მონოლოგს, თითქოს ედავებიან ერთმანეთს, კამათობენ ჭეშმარიტების დასადგენად.

ამბივალენტური განცდებით არის სავსე ჰამლეტი დედასთან შეხვედრისას. ის თავდაპირველად ხელგაშლილი ეგებება და ბავშვურად უვარდება მკლავებში, მერე კი მის ქალად აღქმას იწყებს და არცთუ სახარპილო ქალის ტიპი წარმოუდგება თვალწინ. „თუ სათხო არ ხარ, სათხო სახე მაინც მიიღე“ — ეუბნება ის ნითელდეკოლტიანი კაბითა და ბედნიერი ღიმილით გაცისკროვნებულ ახლადდაქვრივებულ და ახლად გათხოვილ დედას. ჰერტრუდა-ხ. იოსელიანი შეურაცხყოფილია, რადგან თავს დამანამავედ არ ცნობს. ის კლავდიუსისა და პოლონიუსის თამაშში ნებაყოფლობითაა ჩართული და თუ შეთქმულების წევრი არა, თანამგრძნობი მაინც არის. რაც შეეხება ოფელიას, ის ჰამლეტის ოპოზიციას უფრო ჩამოჰყავს, ვიდრე მასზე შეეყვარებულ სატრფოს. ამ ოფელიას არაფერი აქვს საერთო სცენაზე დარჩენილი ვერცხლისფერი ქოშის მხატვრულ მეტაფორასთან, მაგრამ მას აქვს ის აზროვნება, რომ შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი ამ სამყაროში.

თუკი ქართული თეატრის ისტორიას გავიხსენებთ, კოტე მარჯანიშვილის მიერ მესაფლავების ქართული ხასიათებითა და ეროვნული დიალექტებით დახასიათებას უარყოფითად გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. გ.ქავთარაძე არ შეუშინდა ისტორიის ამ გაკვეთილს და ეროვნული ხაზი კიდევ უფრო გაამკვეთრა სპექტაკლში და განსაკუთრებით ამ ეპიზოდში. მესაფლავები თავიანთ განცდებს გლეხური ფილოსოფიით გამოხატავენ, არისტოკრატი ჭაბუკები მათთან საუბრით იქცევენ თავს. ამ ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი კი მათ გალაქტიონის „მესაფლავის“ კითხვისკენ უბიძებთ, რომლის უკვდავი სტრიქონებით მხატვრულად სრულყოფილად ხასიათდება მოცემული ეპიზოდის ფილოსოფიური სილრმე. ლექსის კითხვისას პერსონაჟთა წყვილებს შორის ამაღლებულისა და მიწიერის ისეთი ისეთი მძაფრი კონტრასტი იქმნება, როგორიც იყვეთება პიესაში ჰამლეტის სტრიქონებსა და მესაფლავეთა უაზრო ლაქლაქს შორის. სპექტაკლი რომ ქართულ ხასიათში მოიაზრება, ამას მონმობს მრავალი სცენა, რომელსაც ეროვნულობის ნიშნით აღბეჭდილი მხატვრული წერტილები ესმება. მაგ. „იყავ შენ, ჰამლეტ, დანიაში ჩემს თანასწორად“ — მეფე ბრძანებს გლოვის შეწყვეტას — მუსიკალურად ამ ეპოზოდს ქართული საგალობელი ასრულებს, რომელიც ქვეყნად მშვიდობის,

ჰარმონიის დაბრუნებას გვაუწყებს.

ჰამლეტი-ინგოროვგას მღელვარე, დაბნეულ, გაბოროტებულ, ცინიკურ სცენურ გმირს კიდევ ერთი, შინაგანი გაორებაც ახასიათებს. ის გაორებულია თავისი სამყაროს მსგავსად და თავის ორეულ ის ჰორაციოსთან ერთად განიცდის, ფიქრობს, მსჯელობს. ისინი ერთად ეპრიტიან ბოროტებას, თუმც ერთად არ მარცხდებიან და ამაშია რეჟისორის გამარჯვება. „ჩაქრა ლამპარი დიდებული, მშვიდობით, პრინცი! — ზ. დოლიძის ჰორაციო ემშვიდობება თავის დიდებულ ორეულს და რჩება მისი იდეების უკვდავსაყოფად. სცენაზე ნამოიმართება დიდი ჯვარი. მიუხედავად იმისა, რომ ჰამლეტის მასზე არ აკრავენ, ის მაინც იგივედება იმ ნამებულებთან, რომელთაც ამგვარი გზით დატოვეს სიცოცხლე.

რუსთავის თეატრის სპექტაკლის დიდებულმა, თავისი სამყაროსავით ორად გახლეჩილმა გმირმა მაინც შეძლო ბრძოლა ბოროტებასთან და თავისი გულის მესაიდუმლე მეგობარი დარჩა ამქვეყნად, რომელიც, მისი იდეებით შთაგონებული, განაგრძობს ცხოვრებას ფორტინბრასის ეპოქაში. სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი კი ისეთივე მარადიულია, როგორც თავად სამყარო.

„ჰამლეტი“ ყველა ეპოქის თანამედროვე პიესაა. ამ ნაწარმოების ყოველი ფრაზა, მასში გამოთქმული ყოველი აზრი, გმირთა თუ პერსონაჟთა ყოველი ქმედება გაჯერებულია ფილოსოფიური სილრმით. ის მეტაფორული, სიმბოლური აზროვნების ღრმა მხატვრულ ბლასტებს მოიცავს, მაგრამ მისი მთავარი ღირსება სწორედ მის ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაში დევს, რითაც ის დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჩუბიძიძე. „ჰამლეტი“ და არა მარტო...“ შური. „თეატრი და ცხოვრება“ 2002, 2
2. გურაბანიძე „ჰამლეტ-მამა ჰამლეტისა“ გაზ. „ქართული თეატრის დღე“ 2007გ.
3. უ. შექსპირი თბ., 1985 ტ.2
4. შეკსპირის საბრძოლო კრიტიკა. მ., 1961
5. ვილემ შეკსპირ. ისტორია და მუსიკა. მ., 1964

# უცნობი მასალები მოსკოვის

## „თავისუფალი თეატრის“ ფარდის შესახებ

მერი მაცხარიძე

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია რუსულ ენაზე, მელნით ნაწერი ხელშეკრულების დედანი ვასილი სუხოდოლსკის ავტოგრაფით, დამოწმებული რუსეთის იმპერიის გერბით (ხ-4867, კ.მარჯანიშვილი მემუარები). ხელშეკრულება დაიდო რეჟისორ კოტე მარჯანიშვილსა და კალუგის გუბერნიის თავადა-აზნაურობის წინამდლოლ, მილიონერ ვასილი სუხოდოლსკის შორის.

გთავაზობთ  
ხელშეკრულების ზუსტ თარგმანს.(1)

„ათას ცხრაას ცამეტი წლის აგვისტოს ოცნებამეთერთმეტე დღეს, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი მოქმედი „სტატსკი სოვეტნიკი“<sup>(2)</sup>. ვასილი პეტრეს ძე სუხოდოლსკი და აზნაური კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვი ვდებთ ურთიერთმეტანხმებას შემდეგი პირობით:

1) ჩვენ, გ.პ. სუხოდოლსკი და კ.ა. მარჯანოვი ურთიერთმეტანხმების საფუძველზე, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ერთობლივად ვაყალიბებთ თეატრალურ საწარმოს ოთხი წლით და ექვსი თვით ანუ ათას ცხრაას ცამეტი წლის პირველი იანვრიდან ათას ცხრაას ჩვიდეტი წლის პირველ ივლისამდე სახელწოდებით „თავისუფალი თეატრი“;

2) პირველ პუნქტში აღნიშნული თეატრალური საწარმოს დაფუძნების შეთანხმება უკვე შედგა ქ.მოსკოვში. ამ საქმისთვის გ.პ. სუხოდოლსკიმ დაიქირავა შესკუნის თეატრი „ერმიტაჟი“, სადაც ნარმოება უნდა გაგრძელდეს ათას ცხრაას ჩვიდეტი წლის პირველ ივლისამდე.

3) მე, გ.პ. სუხოდოლსკი ამ საქმეში ვდებ მთელ საჭირო კაპიტალს და ჩემს თავზე ვიღებ ფულად პასუხისმგებლობას, ხოლო მე, კ.ა. მარჯანოვი საქმეში ვდებ გამოცდლებას, ცოდნას და როგორც დირექტორგანმკარგველი, საკუთარ თავზე ვლებულობ საქმის ნარმართვის მთელ სიძმიმეს, როგორც სამხატვრო ნაწილის დამოუკიდებელი ხელმძღვანელი.

4) საწარმოს მთელი ფულადი თანხა და მთელი მისი შემოსავალი გადადის გ.პ. სუხოდოლსკისთან.

5) კ.ა. მარჯანოვი სრულიად დამოუკიდებლად ნარმართავს მთელ სამხატვრო და მასთან დაკავშირებული ნარმოების სამეურნეო ნაწილს, ამასთან გ.პ. სუხოდოლსკი თავის თავზე იღებს ამ ნაწილში კ.ა. მარჯანოვის მიერ ყველა დანახარჯის გადახდას, ოღონდ

იმ პირობით, რომ აღნიშნული ნარმოების ნინმსწრები ხარჯები არ უნდა აჭარბებდნენ ორას ორმოცდაათი ათას (250 000) მანეთს და თითოეულ სასწრაფო დანახარჯები კ.ა. მარჯანოვი აუზყებს მას არა უგვიანეს ხუთი დღისა.

6) კ.ა. მარჯანოვს აქვს უფლება, მაგრამ მხოლოდ გ.სუხოდოლსკის თანხმობით, დადოს კონტრაქტი მსახიობებთან, მხატვრებთან, მოსამსახურეებთან და ა.შ. როგორც საკუთარი, ასევე გ.პ. სუხოდოლსკის სახელით, იმ პირობით, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ პირგასამტებლოს ვალდებულებით, რისთვისაც ვ.პ. სუხოდოლსკი გადასცემს კ.ა. მარჯანოვს შესაბამის მინდობილობას, რომელიც ძალაშია საქმის ნარმოების ბოლომდე, დასტურდება მოსკოველი ხოტარიუსის, პოლონეკის შეირ ათას ცხრაას თორმეტი წლის დეკემბერს.

7) ვ.პ. სუხოდოლსკის აქვს უფლება ნებისმიერ მოქმედში ანარმოოს საქმის ნებისმიერი ნაწილის შემოსავალისა და გასავლის კონტროლი.

8) მე, ვ.პ. სუხოდოლსკი ვიღებ ვალდებულებას, ყოველწლიურად კ.ა. მარჯანოვს, როგორც ნარმომადგენელს, გადაუხადო არა უმეტეს სამი ათასი (3 000) მანეთისა, რომელ თანხასაც კ.ა. მარჯანოვი განკარგავს უანგარიშოდ;

9) ვ.პ. სუხოდოლსკის მიერ დახარჯული თანხიდან იგი საქმიდან იღებს წლიურ ათ (10%) პროცენტს, შემდგომ დანახარჯის დაფარვამდე მთლიანად პირველივე ხელფასიდან უტოვებს მხოლოდ აუცილებელ მიმდინარე ხარჯებზე ნაწილს.


10) დანახარჯი სუფთა მოვება, თუ კი ასეთი რამ იქნება, ხანილდება ვ.პ. სუხოდოლსკისა და კ.ა. მარჯანოვს შორის შემდეგნაირად: ვ.პ. სუხოდოლსკი იღებს სამოცდათხუთმეტ (75%) პროცენტს, ხოლო მარჯანოვი ოცდაუთ (25%) პროცენტს, იმავე პროპორციით ნაწილდება საკუთრების უფლება საწარმოს მთელ ქონებაზე.

11) კ.ა. მარჯანოვი თავის თავზე, ვარდა საქმის ნარმართვის ხელმძღვანელობისა, იღებს აგრეთვე მთავარი რეჟისორის მოვალეობას, რისთვისაც პირველ წელინადს ათას ცხრაას ცამეტი წლის პირველი იანვრიდან იღებს ხელფასს (7 200) შეიდი ათას ორასი მანეთი, მეორე - (8 400 გ) რვა ათას ოთხასი მანეთი, მესამე - (9 600 გ) ცხრა ათას ექვსასი მანეთი, და ბოლო გაანგარიშებით (10

800 ₽) — а то с рюмаси мането. Магарашт тау პირველ ნელინადს არ დაიფარება ყველა სანარმოო დანახარჯი, ზემოაღნიშნული ნელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, ამ დანახარჯების დაფარვამდე, კ.ა. მარჯანოვის ნელფასი რჩება, როგორც აღნიშნულია მე-7 პუნქტში, რეფისორობის პირველი ნოტის ნელფასი იღებობით, დანამატის გარეშე, როგორც არის აღნიშნული იმავე პუნქტში.

(12) ამ ნელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დამხამავე პირგსამტებლოს უხდის მეორეს ოცდახუთიათას მანეთს (25 000 ₽). ამასთან ჩაითვლება ნელშეკრულება ძალადაკარგულად. (13) აღნიშნული ნელშეკრულება აქვს კ. ა. მარჯანოვს, ხოლო მისი ასლი ვ. პ. სუხოდოლსკის. დერბის მოსაკრებლის ხარჯი შეუაზე იყოფა ნელშეკრულების დამდებმხარეებს შორის. სიტყვა „სამზ“ გადახაზულია, ხოლო ნელმონერილია და დანერილია: „ოთხი“ და „მაგრამ მხოლოდ ვ. სუხოდოლსკის თანხმობით“ რაც არის სწორი. მოქმედი სტატესკი სოვეტნიკი ვასილი პეტრეს ძე სუხოდოლსკი. (ა ვტოგრაფში გადაშლილია სიტყვა სამზ ოთხი-თ.) გარიგების შედეგით ორივე მხარე კამაყოფილი იყო. განხორციელდა კოტე მარჯანიშვილის ოცნება, შექმნა „თავისუფალი თეატრი“, სინთეტიური თეატრი, თეატრი დღესასწაული, სადაც მას ექნებოდა შემოქმედებითი დამოუკიდებლობა და უანრული შეზღუდვების თავისუფლება. ხოლო ვასილი სუხოდოლსკის წილად ხვდა თეატრალური მეცენატის (პ) სახელი და დამატებითი შემოსავალის წყარო. სამწუხაოდ, თეატრმა ერთი ნელი იარსება. დაიდგა ხუთი სკექტაკლი და კონტრაქტორთა განხეთქილების შედეგად დაიხურა. მაგრამ მისი არსებობის ერთმანეთი ნელმა ნარუშლელი კვალი დატოვა რუსული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. ხოლო თეატრის ბირთვიდან ალექსანდრე ტაიროვის და ალისა კორნენის კამერული თეატრი დაიბადა. (4)

ნელშეკრულების დადების შემდეგ კოტე მარჯანიშვილი შეუდგა შჩუკინის ერმიტაჟის შენობის ოკუნისტრუქციას. შენობის გადასაკეთებლად და მოსაწყობად დიდი სამუშაოები ჩატარდა. იგი სპეციალურად გაეკეთა ევროპაში, რათა შეესნავლა თანამედროვე თეატრალური ტექნიკოლოგიები. სამწუხაოდ, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არაა აღნიშნული, თუ ვინ იყო ინტერიერის არქიტექტორ-დიზაინერი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტა მოხდა თავად კ. მარჯანიშვილის ნელმდვანელობით. 1913 წლის 8 ოქტომბერს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი რუსული ავანგარდული თეატრი, „თავისუფალი თეატრი“ მუსორგსკის ოპერით „სოროჩინის ბაზრობა“ რეჟი. ი. სანინი. ხალხში აყილტაჟი გამოიწვია პრემიერის დღემ, დარ-



## სალეპერალულების ფოტოასლი

ბაზში ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ იყო. თეატრში მისულ მაყურებელს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა. იქ ყველაფერი უკანასკნელ დეტალამდე გათვლილი და გააზრებული იყო. დახვენილი გემოვნებით შესრულებულ, მყუდრო ინტერიერს აღფრთოვანებაში მოყვავდა მახველი. (5)

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა იტალიური „Commedia de'll arte“ თემაზე კაშკაშა ფერებში გადაწყვეტილმა სცენის მთავარმა ფარდამ. იმდროინდებული თეატრალური კრიტიკოსი გ. კრისიცკი წერდა: „სცენასა და მაყურებელთა დაბაზზს ერთმანეთისაგან გამოყოფდა კ. სომოვის ესკიზის მიხედვით შესრულებული მდიდრული, მხიარული, მასკარადული დღესასწაულის გამომხატველი პალიკაციით მოქარებული ფარდა“.

ფოტო 3 კონსტანტინე სომოვი. თავისუფალი თეატრის „ფარდა“

მხატვარი კონსტანტინე სომოვი წერილში, თავის დას ატყობინებს: „გუშინ თავისუფალ თეატრში პრემიერა იყო. მთელი მოსკოვი იყო. წარმატება... მე ჰაერში მარწევდნენ“. (6) თავისუფალი თეატრის დახურვის შემდეგ ფარდა ვ. სუხოდოლსკის დარჩა, რაც მას 1917 წელს ნაციონალიზაციის წესით ჩამოერთვა. 1930 წელს კი მოსკოვის ქალაქის საბჭოს აღ-

მასკომის დადგენილებით საქართველოს სათეატრო მუზეუმს გადაეცა. გასული საუკუნის დასაწყისის „ვერცხლის საუკუნედ“ წოდებულ ეპოქაში შექმნილი ფარდა მხატვრულისტორიული მნიშვნელობით უნიკალურია. სადღესასწაულო ფერადოვანი გამა, რაც ასოცირდება მუსიკალურ ჰანგებში, დაუკინებარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მისი ხილვა დღესაც იგივე აღფრთოვანებასა და მოწონებას იმსახურებს, როგორც 100 წლის ნინ. მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მიჯნა მსოფლიოში ძირებული ცვლილებების, ელვისებური გარდაქმნებისა და რეაქციების ეპოქა. რუსეთში ხელოვნებასა და ლიტერატურაში ჩაისახა ახალი მოდერნისტული მიმდინარეობა, რომელიც რუსული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც „ვერცხლის საუკუნე“. ახალი ეტაპის დასაწყისი რუსულ ფერწერაში დაკავშირებულია მე-19 საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგში ჩამოყალიბებულ მხატვართა შემოქმედებით გაერთიანება „მირ ისკუსსტვა“ - სთან, რომლის პირველი და მუდმივი წევრი ალექსანდრე ბენუასთან, ლევ ბაქსტთან ერთად იყო კონსტანტინე სომოვა. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ევგენი ლანძსერი, სერგეი დიაგილევი, ალ. გოლოვინი... „მირისკუსნიები“ ქადაგებდნენ „სუფთა და თავისუფალ ხელოვნებას“, „ხელოვნებას ხელოვნებისთვის“. აღტაცებულები იყვნენ ნილებითა და მარიონეტებით, კარნავალითა და თოჯინების თეატრით. ამ პერიოდში ხდება რუსული თეატრისა და თეატრალური მხატვრობის ძლიერი აღმავლობა. ამ დროის თეატრალური ძიებებისთვის დამახასიათებელია კონტრასტული გადაწყვეტები, გამოსახვის მეტაფორული ფორმა, სიმბოლიზმი, ექსცენტრიკული, გროტესკული სული, თავისუფალი თამაშის ატმოსფერო, გასულ საუკუნეთა რეცეფციები. სწორედ ამ გარდატეხებისა და ნოვატორული ძიებების ეპოქაში კოტე მარჯანიშვილი (1910-12 წწ.) მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი იყო. მოსკოვის საზოგადოება კარგად იცნობდა და დიდ ინტერესს ავლენდა მისა დადგმული სპექტაკლებისადმი. მას იცნობდნენ როგორც ინდივიდუალური სტილის ექსპერიმენტატორ რეჟისორს. თავადაც პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედი ვერ დარჩებოდა მოვლენებს მიღმა, ამდენად გასაკვირი არაა მისი სურვილი საკუთარი თეატრის შექმნასთან დაკავშირებით. მარჯანიშვილმა თეატრში მიინვია იმდროინდელი, შეიძლება ასე ითქვას, საუკეთესო კადრები, წიჭიერი მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები, მსახიობები. მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფალი თეატრის“ მთავარი მხატვარი ვიქტორ სიმოვი იყო, მარჯანიშვილმა ფარდის ესკიზი სახელწოდებით „მასკარადი“ დაუკვეთა კონსტანტინე სომოვს, მხატვარ სტილიზატორს, რუსული ვერცხლის საუკუნის“ მხატვრობის ერთ-



გოგი თოთიგაბაძე  
კ. ჩარჯანიშვილის აორთოები

ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს. ამავე პერიოდის გამოჩენილი პოეტი და მხატვრის მეგობარი მიხეილ კუზმინი მოგონებებში წერს: „მიუსედავად თეატრითა და თეატრალურობით გატაცებისა, კ.ა. სომოვმა თითქმის არაფერი შექმნა სცენისთვის, თუ არ ჩავთვლით ფარდას, რომელიც მისი ნახატის მიხედვით შეიკერა მოსკოვის „თავისუფალი თეატრისთვის“. არა მგონია, რომ ამის მიზეზი იყო დეკორაციული ტექნიკისადმი მიდრეკილების არქონა, ვფიქრობ, რომ სომოვს, რომელიც შეჩვეული იყო მთელი სამყარო განეხილა, როგორც თეატრალური, ლამის თოჯინული თამაში, პრატეკიცული თეატრალური სამუშაო მიაჩნდა მეტისმეტად კონკრეტულ და უხეშ, მეტისმეტად მატერიალურ საქმედ. კ. ა. სომოვის სახელი იცის ყველა განათლებულმა ადამიანმა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ის მსოფლიო სიდიდის მოვლენაა და მისი სახელი შორსა ისეთი ოსტატის სახელისგან, რომელმაც ყველაფერი გამოთქვა და დასარულა... (7) ცნობილა, რომ ნებისმიერი თეატრის მშვენება სცენის ფარდაა. მხატვრები ფარდას, როგორც თეატრის სახეს ისე უდგებოდებულ და ცდილობდნენ შექმნათ განსაკუთრებული, უცხო და ერთადერთი. შემორჩენილია მოგონებები, რომ მსაპ ბოვე, მოსკოვის დიდი თეატრის არქიტექტორი, აპოლოეტებდა რა სცენასა და მაყურებელთა დარბაზს ოცნებობდა მათ გაყოფას სარკის ფარდით. (8) კ. მარჯანიშვილის ჩანაფიქრი, ექსპერიმენტული თეატრის არსი, ასახული იყო ფარდაზე. თავისთავად სახელწოდება „მასკარადი“ ნიშნავს დღესასწაულს, სახალხო მსვლელობას. თავად ფარდაზე გამოსახული იყო იტალიური მე-16 საუკუნის

თეატრის Comedi de'll Arte-ს ტრადიციული პერსონაჟები, შევყარებული წყვილი, არღეკინი, პიერო,... Comedi de'll Arte იყო ბალაგანური თეატრი პროფესიონალ მსახიობთა დასით, რომლებიც გამოდიოდნენ ნიღბებში და მართავდნენ წარმოდგენებს ხალხისთვის ღია ცის ქვეშ. ჰერნედათ ტრადიციულ სასიყვარულო სამკუთხედზე დაყრდნობილი თემის მოკლე სიუჟეტური მონახაზი. დადგმებიც და ტექსტიც იყო სრულ იმპროვიზაციაზე. ერთი სპექტაკლის მსვლელობის დროს თამაშდებოდა დრამატული, ტრაგიკული, კომედიური, მუსიკალური, პანტომიმური სცენები. რეალურად ეს იყო „ თავისუფალი თეატრი“, სადაც თეატრი იყო მრავალუანრობრივი, ხოლო მსახიობი უნივერსალი. სწორედ ეს იდეა დაეფო საფუძვლად ქართველი რევისორის კოტე მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებულ პირველ რუსულ ხოვატორულ-ესპერიმენტულ თეატრს. ნათელია, რომ ფარდის გაფორმების იდეა ნაკარნახევი იყო კ.მარჯანიშვილის რემარკით. კომპოზიციის გასახსნელად მხატვარმა მიმართა მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელ ხერხს „თეატრი თეატრში“ (9) და ზედ გამოსახა ბალაგანური თეატრის სპექტაკლის მიზან-სცენა. მიზანსცენა, რომელსაც მხატვარი წარმოგვიდგენს, გაყინული კადრია თეატრალური თამაშისა, მასში მონაწილე მარიონეტული გმირებით, დამახასიათებელი თოჯინური ქესტებითა და სხეულის ტეხილი მოძრაობებით. კომპოზიციის კუთხებში აქეთ-იქით მოათავსა ორი გრძელეკაბანი, ერთი — მხიარული, ხოლო მეორე — ნაღვლიანი სახის ნიღბიანი ქალის - დრამისა და კომედიის მეტაფორული გამოსახულება. ფიგურებს, უჭირავთ სცენის გახსნილი ფარდა. ისინი წარმოადგენენ — ლია ცის ქვეშ, ტყის ფონზე, მწვანე მდელოზე მდგარ მოყვითალო - მოქროსფრო კაბასა და წითელ მოსასხამში შემოსილ შეყვარებულთა მსხვილ ფიგურებს, რომლებსაც ერთმანეთისკენ აქვთ ხელები განვდლი. მათ შუაში, სიღრმეში შადრევნის პირობითი გამოსახულებაა, რაც თავისი ფორმით განაყოფიერების სიძოლოს მოგვაგონებს. შადრევნის გვერდზე, ორივე მხარე სიძეტრიულადაა შევსებული დანარჩენი პერსონაჟების მომცრო, დაწყვილებული ფიგურებით. მარცხნივ ბრიგელა და კოლომბინა, ახალგაზრდა წყვილი ფლეიტითა და მანდობლინით. მარჯვნივ პიერო ეშმაკთან ერთად, ექიმი და არლეკინი . კომპოზიციას ზემოდან ასრულებს ცაში გაფანტულ ვარდისფერ ღრუბლებში ჩამჯდარი ორი პატარა ანგელოზის გამოსახულება. რომელთა მარჯვენა და მარცხენა მხარეს ამურისა და ფსიქეას ღრუბლებზე განვითარებით. თითქოს უტყვია მაყურებლები თვალს ადევნებენ ქვემოთ, მწვანე მდელოზე გათამაშებულ სცენას. ძირს კომპოზიცია

სრულდება მსხვილი დეკორატიული არშიით, რომელზეც ნიღბიანი სახეები და ყვავილთა წნულებია ამოქარებული. ფიგურათა კოსტიუმები, თავისი მკვეთრი, კუთხოვანი ფორმებითა და სიბრტყეების დიდი მასშტაბით განაპირობებულ მეტყველების, მოძრაობის უესტის პათეტიურობას. ფარდის მხიარულ ტრონს განსაზღვრავს საერთო კოლორიტიც. მხატვარი იჩჩევს ქრელ ფერადოვან გამას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნამუშევარი ყველაზე ცხოველხატული და მუსიკალურია სომოვის ნამუშევართა შერის: ოქროსფერ-ყვითელი, ყავისფერი, წითელი, გრადაციული მწვანე, ვარდისფერი, ცისფერ-ვერცხლისფერი ტონები, ერთიან სადღესასწაულო გამას ჰქმდიან. მთლიანად, კომპოზიცია, რომელიც თეატრალურ-პირობით ენაზეა გადაყვანილი მხატვრის მიერ დამკვეთის რემარკის, საკუთარი შემოქმედებითი გადამუშავების შედეგია. ფარდაზე გამოსახული პერსონაჟებითოვინური ტეხილი უესტიკულაციითაა მოცემული, გარდა ამისა, მათ თან ახლავთ ნიღაბი, რაც ძლიერ დამახასიათებელია სომოვის ნამუშევრებისთვის. მათ მიხედვით, განწყობა დრამასა და კომედიიზე მიგვანიშვნებს. კომპოზიცია სიბრტყობივია, რაც ძლიერებს მის დეკორატიულობას. ამავდროულად საოცრად განვითარებულია. მარჯვენა და მარცხენა მხარე ერთმანეთის სიმეტრიულია, ხოლო ცენტრში შადრევნის ფონზე წარმოდგენილი ორი ფიგურა წარმოსახვით სამკუთხედშია ჩანერილი. სამკუთხედის ზედა წერტილი შადრევნის თავია, ქვედა ორი წერტილი — ქალის კაბის შელიფი და მამაკაცის უკან გადადგმული ფეხის წვერი. კომპოზიციის ასეთი აგება აღმოჩენის ეპოქის მხატვრობის დამახასიათებელი ნიშანია. დამეტანებით, რომ ფარდაზე აუდერებული ოქროსფერი, წითელი, მწვანე ფერები დიდი აქცენტების სახით აფექტურად გამოყოფილია საერთო ჭრელი ფონიდან, ასეთი მხატვრული ხერხი ძლიერ გამომსახველია, და რაც მთავარია, სავსებით შეთანხმებული თვით თეატრის სტილთან თანაც „ვერცხლის საუკუნისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანთვისების მატარებელი. კ.მარჯანიშვილის არჩევანი შემთხვევითი არ იყო. მას იზიდავდა სომოვის ნანარმობებში ასახული პირობითი, თეატრალური სატყარო, სევდანარევი მსუბუქი გროტესკი, წამიერად გაყინული თეატრალური კადრი, რომელიც არ კარგავს მოძრაობის განცდას. პერსონაჟების სტილიზებული, ტეხილი თოჯინური ფორმები, დახვეწილი დეკორატიული ფერწერა, ასოცირებული მუსიკალურ ჰანგებში.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმში დაცულია ცნობები „თავისუფალი თეატრის“ შესახებ, ხელშეკრულება, მსახიობთა სია, რეპერტუარი (ხ-4966) და ასევე ფრიად საინტერესო დოკუ-



**კონსტანტინე სომოვი „მასკარადი“. თავისუფალი თეატრის ფარდა. მოსკოვი 1913 წელი.**

მენტაცია „თავისუფალი თეატრის“ ფარდის გადმოცემის შესახებ. 1927 წელს ხელოვნებათმცოდნე დავით არსენიშვილმა თბილისში ჩამოაყალიბა ამიერკავკასიაში პირველი „სათეატრო მუზეუმი“. ენთუზიაზმით სავსე 22 წლის დავითი აგროვებდა ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში თეატრის განვითარების ისტორიასთან. 1930 წელს იგი გაემგზავრა მოსკოვში, რათა შეეგროვებინა და საქართველოში ჩამოეტანა რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის რუსეთში მოლვანეობასთან დაკავშირებული მასალები. მნიშვნელოვანი იყო „თავისუფალი თეატრის“ ფარდის ჩამოტანა, რომელიც გარდა იმისა, რომ იმდროინდებო რუსეთის ავანგარდული მხატვრობის შედევრს წარმოადგენდა, ადასტურებდა ქართველი რეჟისორის შემოქმედებით ტრიუმფს მოსკოვში. დ.არსენიშვილს მრავალი პერიპეტიების დაძლევა მოუხდა, მრავალი ინსტანციების გადაღახვისა და მრავალი შუამდგომლობების ხარჯზე მან მოახერხა ფარდის საქართველოში ჩამოტანა. მუზეუმში ინახება დოკუმენტაცია (ფონდი-95), რომელიც ასახავს იმ თავდაუზიგავ ბრძოლას, რომელიც გასწია მუზეუმის ახალგაზრდა დირექტორმა. (დოკუმენტაციის ასლების თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.)

თარგმანი ჩემია მ.მ.)

ს.ს.ს.რ. საქართველოს სათეატრო მუზეუმი 323 ქ.ტიტოსი, რუსთაველის გამზ. I. სახელმწიფო სამხატვრო მეცნიერებათა აკადემიაში.

გამომდინარე იქედან, რომ რეჟისორ კ. მარჯანიშვილის მიერ 1913-14 წ.წ. მოსკოვში დაარსებული იყო თავისუფალი თეატრი, რომლითაც დაიწყო ახალი ერა თეატრის სფეროში, ამ ეპოქაში თეატრში მოიყვანა მხატვრები: სომოვი, რერიხი, სუდეიკინი, საპუნოვი, რეჟისორი ტაიროვი და ა.შ. ამ თეატრმა მოახდინა თეატრალური ფორმების დიდი ძვრა. სურს რა საქართველოს სათეატრო მუზეუმს განამტკიცოს რეჟისორ მარჯანიშვილის მუშაობის ეს პერიოდ, გთხოვთ შუამდგომლობას ხელოვნების მთავარი სამმართველოსა და მოსკოვის საბჭოს წინაშე, რათა გადაეცეს მუზეუმს თავისუფალი თეატრის ფარდა შესრულებული მხატ. სომოვის მიერ, რომელიც ინახება მოსკოვის წარმოებების სანახაობათა სამმართველოს საწყობებში

საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორი / არსენიშვილი /

ს.ს.ს.რ. გან.სახ.კომ.საქართველოს სათეატრო მუზეუმი N 325; 1930 წ. ქ.ტიტოსი, რუსთაველის გამზ. I.

ს.ს.რ.კ. საკავშირო ცენტრალურ აღმას-რულებელ კომიტეტს

საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი შეუდგა კ.მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში თავისუფალი თეატრის დაარსებასთან დაკავშირებით მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალების შეგროვებასა და შესწავლას. თავისუფალი თეატრის ფარდა შესრულებული იყო მხატვარ სომოვის მიერ რეჟისორ მარჯანიშვილის იდეისა და ჩანაფიქრის მიხედვით. 1920 წ. ფარდა თეატრში ხმარებიდან ამოღებულ იქნა და ამჟამად მოსკოვის საბჭოს განკარგულებაში, მოსკოვის სანახაობათა სამმართველოს საწყობში ინახება. ამჟამად, ფარდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ხოლო ფარდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან (ფერწერულ) დოკუმენტს წარმოადგენს. რეჟისორ მარჯანიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის საწყისების შესასწავლად, სხვა მასალის არ არსებობის შემთხვევაში. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, საქ. ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით, ხოსტის ს.ს.რ. ცენტრალურ აღმას-რულებელ კომიტეტს ყოფილი თავისუფალი თეატრის ფარდა სათეატრო მუზეუმს განკარგვაში გადასცეს.

საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორი / არსენიშვილი / დოკუმენტი 3.

**განათლების სახალხო კომისარიატი  
ასლი მთავრების ხელი 8N2 / XIII**

სახელმწიფო სამხატვრო მოსკოვი, 19  
იანვარი, 1930 წ. მთავრების აკადემია  
არაზოდილი მოივანი მოსკოვი N 8010  
მოსკოვის სანახაობათა ნარმოვაზის  
სამართველოში

**ასლი: მთავრებოვება**

მოსკოვის საბჭო სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია მხარს უჭერს საქ-ოს სათეატრო მუზეუმის შუამდგომლობას, მუზეუმისათვის ექსპონატის სახით მოსკოვის სანახაობათა ნარმოების სამმართველოს საწყობში დაცული თავისუფალი თეატრის ფარდის გადაცემაზე. სომოვის მიერ შესრულებული ფარდა რეჟისორ კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობას ასახავს, რომელიც ამჟამად მუშაობს საქართველოში, რომელმაც 1913-14 წ. იოგანიზება გაუკეთა თავისუფალ თეატრს მოსკოვში. სამხატვრო მეცნიერების სახ-ო აკადემიის სწავლული მდივანი: ამაღლობელი ასლი დამოწმებულია 4966 ფ.ს. საქ. 1814 | საქ. 18 19759

**ასლი რ.ს.ფ.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატი მოსკოვის საბჭოს ასლი:  
მოსკოვის სანახაობათა ნარმოვაზის  
სამართველოს**

ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეთა საბჭო (მთავრებოვნება) უჭერს რა მხარს საქართველოს თეატრალური მუზეუმისა და სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის შუამდგომლობას, მიიჩნევს, რომ ყოფილი თავისუფალი თეატრის ფარდის (მხატვარ სომოვის ნამუშევარი) ადგილი საქართველოს სათეატრო მუზეუმშია, რომელიც ისტორიულად რეჟისორ კ. მარჯანიშვილის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, გთხოვთ, აღნიშნული ფარდა საქართველოს სათეატრო მუზეუმს გადასცეთ განკარგვაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: კოლოსკოვი მდივანი: (ხელმოწერა) ასლი დამოწმებულია

**ასლი 1. საქართველოს სსრ 2.  
მოსკოვის სახალხო განათლების  
გაერთიანება მოსკოვის საოლეო  
ალმასრულებალი კომიტეტი 45. 25  
იანვარი 30 წ. ყოფ. თავისუფალი  
თეატრის ფარდის საქართველოს სსრ  
გადასცემის შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის მხატვარ სომოვის მიერ შესრულებული ფარდის მნიშვნელობის გათვალისწინებით, გადაუცეს აღნიშნული ფარდა საქართველოს სსრ-ს და მოსკოვის სანახაობითი წარმოებების სამმართველოს მისი ტრესტის სანესტობო კაპიტალიდან ამოღება შეეთავაზოს.

ასლი დამოწმებულია (ვ. კარავაივოვა)

**დოკუმენტი მოსკოვის საბჭოს**

**პატივცემულო ამხანაგებო!**

გიგავნით საქართველოს სათეატრო მუზეუმის თხოვნას განსახილველად, რომელსაც მხარს უჭერს რ.ს.ფ.ს.-ის სახალხო კომისარიატი და სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია, მხატვარ სომოვის მიერ შესრულებული ყოფილი თავისუფალი თეატრის ფარდის გადაცემაში ვინაიდან ზემომიშნული ფარდი ინახება მოსკოვის სანახაობათა წარმოებების სამმართველოს საწყობში და გამოყენებაში არის, გთხოვთ შეძლებისამებრ დაკამაყოფილოთ საქართველოს სათეატრო მუზეუმის თხოვნა. 25 იანვარი 1930 წ. 351. 864. 52/41 ასლი სწორეა:

**მოსკოვის საბჭოს**

მე, როგორც 1930 წ. 5 თებერვალს დანიშნული კომისიის წევრი, შექმნილი თავისუფალი თეატრის ფარდის საქართველოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით, ვაცხადებ, რომ კომისიაში, რომელიც 7 ადამიანი უნდა შესულიყო მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ.ი. ნემიროვიჩი-დანჩენკო, სამხატვრო მეცნიერე-

ბათა სახელმწიფო აკადემიდან პ.ს. კოგანი, კამერული თეატრიდან ა.ი. ტაიროვი, საქართველოს თეატრალური მუზეუმიდან დ.ი. არსენიშვილი, მცირე თეატრიდან ვლადიმიროვი, ვახტანგოვის სახ. თეატრიდან გლაზუნოვი და მოსკოვის ოლქის პროფესიონალის კავშირის თეატრიდან ლიუბიმოვ-ლანსკონი. ვლ. ლიუბიმოვ-ლანსკონის განცხადებით შევიდნენ ორნი, ანუ ვლადიმიროვი და გლაზუნოვი, რომლებიც, როგორც ჩანს, კოგანის მსგავსად ლიუბიმოვ-ლანსკონის მიერ არაობიექტურად იყვნენ ინფორმირებულნი. მოვეთათბირე რა ვლ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, პ.ს. კოგანს, ს. ამაღლობელს. ა.ი. ტაიროვს, გატყყობინებთ, რომ ვაპროტესტებ კომისიის გადაწყვეტილებას, რადგან ვთვლი მას არა-ავტორიტეტულად იმისათვის, რომ შეეცვალა მოსკოვის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის და მუშათა, გლეხთა და წილელარმიელ დეპუტატთა მოსკოვის საბჭოს 27 / 1 / 1930 წ. დადგენილება, რომელსაც მხარი დაუჭირა: 1./ სსრკ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამბ. ა. ენუქიძე 2.1/ რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატმა 2./ ფ.ფ. რასკოლნიკოვი 3./ სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიდან პრეზიდენტი კოგანი 4./ მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან რესპუბილისისამხატვრო არტისტი ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო 5. / ა.ა. ბახრუშინის სახ. თეატრალური მუზეუმიდან - ხერსონსკაია გთხოვთ, გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პრეზიდენტი სამუალებით მოსკოვის საბჭომ სსრკ მშრომელთა ფართო წრებს აცნობა ამ ფარდის გადაცემის შესახებ, ხოლო საბჭოთა საქართველომ მადლიერებას გამოხატავს მოსკოვის საბჭოს მიმართ. ( „იზვესტია“ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 30 იანვარი 1930 წ.) საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორი (დ. ი. არსენიშვილი) „5“თებერვალი 1930 წ. ქ. მოსკოვი

### მოსკოვის საბჭოს

თქვენი მეორე 8 / II - 30 წ. განკარგულების პასუხად, რომ შეესრულებინათ მოსკოვის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის და მოსკოვის მუშათა-გლეხთა და წილელარმიელ დეპუტატთა 27 / 1 - 30 წ. დადგენილება მხატვარ სომოვის მიერ შესრულებული ფარდის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ მე მივიღე თფიციალურად უარი მოსკოვის პროფესიონალთა თეატრის დირექტორის ამს. ლიუბიმოვ-ლანსკონისგან, რომელიც დაექვემდებარა მოსკოვის სანახაობითი ნარმოებების სამმართველოს მმართველის ამს. მოროზოვს ფარდის გადაცემის თაობაზე შემდეგი განაცხადით: „მე უარი ვაცხადებ ფარდის გადაცემის განკარგულება შევასრულო და

ბოლომდე შევებრძოლები მოსკოვის საბჭოს დადგენილებას,“ რაზეც მე ვუპასუხე, რომ უკვე ერთი თვეა ველოდები მოსკოვის სანახაობათა ნარმოებების სამმართველოსგან საკითხის გადაწყვეტას, რომ დაუშვებელია მოსკოვის საბჭოს დადგენილების იგნორირება და დროის გაყვანა. მან მიპასუხა, „რა ჩემი საქმეა, იყავით მოსკოვში თუნდაც ორი თვე, მე ჩემსას მანც გავიტან, თუმცა მე მივემზავრები, ამ ბრძოლის გაგრძელებას ვავალებ სერებრიაკოვს.“ მოსკოვის პროფესიონალთა თეატრის დირექტორის დამოკიდებულება მოსკოვის საბჭოს დადგენილების მიმართ არანორმალურად მიმართია, იგივე აზრისაა მუშათა-გლეხთა და წილელარმიელთა მოსკოვის საბჭოს თანამშრომელი ამხ. კნიაზევი. გთხოვთ დააჩიქაროთ აღნიშნული ფარდის საქართველოსათვის გადაცემა. დანართი: მოროზოვის განკარგულება ფარდის გადაცემის თაობაზე. საქართველოს თეატრალური მუშეუმის დირექტორი (არსენიშვილი) 11 / II -30 წ. ქ. მოსკოვი

### აქტი

**ქ. მოსკოვი „.... თეატრალი 1930 წ.**  
ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი, მოსკოვის პროფესიული კავშირის თეატრის თანამშრომელი: ადმინისტრატორი - ვ.ი. ვენინი, სამეცნიერო ნაწილის გამგე - გ. ვ. ფილიპოვი, ბუტაფიორული ნაწილის გამგე ფ.პ. პავლოვი და ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე - ლ.ა. უკილინი საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის სამეცნიერო ნაწილის დირექტორის დ. ა. არსენიშვილის თანდასწრებით, მუზეუმის მართვის 20 / XII - 29 წ. 240 მონმდობის საფუძველზე ჩავატარეთ დათვალიერება და შეფასება ერთი ნაწილისგან შედგენილი წინა თეატრალური ფარდის, რომელიც შეკერილია სხვადასხვა აბრეშუმის მასალით (აბლიუცია) და ასახავს მხატვარ სომოვის მიერ შექმნილ ნახატს „მასკარადს“. ფარდა ირიცხება მოსკოვის პროფესიული თეატრის საინვენტარო აღნერით 116 (ინვენ უმპ 157), ამასთან დათვალიერებით დადგინდა, რომ ფარდა სრულ წესრიგშია და მშვენივრად შენახულია, თუ გამოვრიცხავთ პატარა საკერებელს მწვანე კიდეზე მარჯვენა მხარეს, ქვედა არშიასთან ადგილ-ადგილ გახეხილია. მისი თანამედროვე შეფასება განისაზღვრება 60 000 (სამცი ათასი) მანეთით. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამს. ხლივლიანკინის სამსახურეობრივი ჩანაწერის საფუძველზე, 9 / II - 30 წ. 2963 მოსკოვის საბჭოს დამოკიდებულებით და 12 / II - 30 წლის მოსკოვის სანახაობათა ნარმოებების სამმართველოს მმართველის მოადგილის ამს. მოროზოვის რეზოლუციის თანახმად აღნიშნული ფარდა გადაცემა საქ. სახ. სათეატრო მუშეუმ აღნიშნული ნარმოებების ამს. არსენიშვილის საქართველოს სახელმწიფო

თეატრალური მუზეუმისთვის გადასაცემად. აქტს ერთვის ზემოთ აღნიშნული საბუთები. ბ.ა. მოსკოვის პროფესიული სახ. ხელმოწერები: ვენინი, დარძატული თეატრი ფილიპოვი, ჟილკინი, პავლოვი, დ.არსენიშვილი

ამის მისამართის მუდმივი მოსკოვი... 18 თებერვალი.. 1930 წ. N 44. 20 ნარმობა-ბენეფიცი მოსკოვი-ყაზანის რეინიგზის სადგურის უფროსს

რსფსრ ნარმობადგენლობა გთხოვთ, საქ-ს სათეატრო მუზეუმის დირექტორს ამ. არსენიშვილს დართოთ ნება ვაგონში თან გადაიტანოს ძვირფასი ისტორიული ბარგი, რასაც წარმოადგენს თეატრალური ფარდა, რომელიც საქართველოს აჩუქა მოსკოვის საბჭომ. ადმინისტრაციულ სამეურნეო ნაწილის გამგე: /ტუსკია/ ხელმოწერა ფარდა საბოლოოდ ჩამოვიდა თბილისში და დაბინავდა სათეატრო მუზეუმის ფონდებში. მაგრამ რატომლაც 1933 წელს დ.არსენიშვილის თაოსნობით გამართულ გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნა კ.მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობის 40 წლის საღამოს ფარდა ექსპონირებული არ ყოფილა, რაზეც მიუთითებს დ. არსენიშვილის განცხადება განათლების სახ. კომისარიატის სახელზე.

### განათლების სახ. კომისარიატს

საქართველოს სახ. სათეატრო მუზეუმა მიიღო კოტე მარჯანიშვილისგან 3000 გამოჩენილ მხატვართა რერიხის, ბაქსტის, სიმოვის, საპუნოვის, უშინის, გორდონ კრეგის და მრავალ სხვათა დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზები. მინიმალური შეფასებით ეს კოლექცია ლირს სამოცი ათასი / 60 000 / მანეთა. ამ მასალებს მარჯანიშვილი უსასყიდვოდ უთმობს მუზეუმს. საჭიროა მარჯანიშვილის თეატრში 40 წლის მუშაობის აღსანიშნავად ამ ექსპონატების გამოფენა, რომლისთვისაც საჭიროა გაკეთდეს ჩარჩოები შუშებით, დაგამები, წარწერები, ფოტოები და ჩატარდეს სხვა და სხვა მუშაობა, რათა სრულიად მოუწყობელი თეატრის დარბაზში გაიმართოს გამოფენა. ყველა მიისთვის საჭიროა მინიმალურად სამი ათას-რვაასი (3800) მან. რის მოცემასაც მუზეუმი თქვენს ნინაშე შუამდგომლობს: საქართველოს სახ. სათეატრო მუზეუმის გამგე: / დ. არსენიშვილი /

1936 წელს მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი ალ. ქურციკიძე მიმართავს თხოვნით თეატრალური მუზეუმის დირექტორს გ. ბუხნიკაშვილს და ფარდა პირველად ტოვებს მუზეუმის საცავს.

მ ა რ პ ა 6 ი შ 3 ი ლ ი ს ს ა ხ ლ რ ბ ი ს თ ე ა ტ რ ი შ მ რ ა ს ი ს ე წ ნ 8 ტ ე ლ ე ფ . 3-32-04 N-269 „21“ თებერვალი 1936 წ.

თეატრალურ მუზეუმის დირექტორს. საქასაბჭოების 15 წლის თავზე მარჯანიშვილის სახ. თეატრი ანყობს გამოფენას ამ მიზნისათვის თეატრის დირექტორი გთხოვთ დროებით გვათხოვთ თქვენ განკარგულებაში არსებული თავისუფალი თეატრის ფარდა. დირექტორის მოადგილე: / ალ. ქურციკიძე / მ დ ი ვ ა ნ ი : / ჭ. გელეიშვილი / (სტილი დაცულია მ.მ.)

მიმართვის მეორე მხარეს ალ. ქურციკიძე თავისი ავტოგრაფით ადასტურებს ფარდის ჩაბარების ფაქტს. „თავისუფალი თეატრის ფარდა ჩავიძებარეთ თეატრალური მუზეუმიდან, დროებით, რასაც დაუპრუნებთ თეატრალურ მუზეუმს მოთხოვნისამებრ. 22 / II 1936 წ. ალ. ქურციკიძე“ (სტილი დაცულია მ.მ.)

ფარდის უკან გამოთხოვის დოკუმენტის ასლი მუზეუმში არ ინახება. შესაძლებელია ეს იყო სიტყვიერი მოთხოვნა, რის შედეგადაც ექსპონატი დაუბრუნდა მუზეუმს. ხოლო 1964 წელს იგი კიდევ ერთხელ იყო ექსპონირებული მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ამჯერად დიდი ხნით. იგი ამშვენებდა თეატრის ფონებს კედელს მანამდე, სანამ არ გადაწყდა კედლის მოხატვა. არ ვიცი რა იყო მიზეზი გადაწყვეტილების მიღებისა. შესაძლებელია, მოგველებულად ჩათვალეს, შესაძლებელია მობეზრდათ, ფაქტი ერთია, ეს მოხდა ფარდის სასიკეთოდ, რადგანაც რაც მეტი დრო გადიოდა, იგი მეტად ზიანდებოდა. დაზიანების მთავარი მიზეზი იყო ნებტიანი კედელი. ნაჭერი დატენიანდა, შესაბამისად დამიძიმდა და მარჯანიშვილის თეატრის თანამშრომლებს ესმოდათ „ქსოვილის სკდომის ხმა“ (მარჯანიშვილის თეატრის თანამშრომლის აკაკი კუჭუხიძის ზეპირი გადმოცემის მიხედვით).

თეატრის მუზეუმს შენობის მუდმივი სივიწროვისა და ცუდი პირობების გამო არ შეეძლო ძვირფასი ექსპონატის დაცვის უზრუნველყოფა. ამიტომ დირექტორი თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს თ. სანიკიძეს და მუზეუმის მთავარ მცველს ნ. ჯაფარიძეს:

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი 380005, თბილისი-5, ზელ. 93-26-93 ერებულება მოედ. N11, 99-77-26 N36 „3“ აპრილი 1979 წ.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახ-ელმინისტრო მუზეუმის ლირეატორს თ. სანიკიძეს და კაფარიძეს

გთხოვთ მიიღოთ დასაცავად და სარესტავრაციოდ ცნობილი მხატვრის კ. სიმოვის ესკიზის მიხედვით დამზადებული კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული „თავისუფალი თეატრის“ ფარდა

(მოსკოვი, 1912 წელი), რომელიც ჩვენს განმგებლობაში ითვლება და სათანადო ფართობისა და დაცვის პირობების უქონლობის გამო ინახებოდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. გთხოვთ მიიღოთ აღნიშნული ფარდა მუდმივად თქვენთან დასაცავად და სარესტავრაციოდ. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ფარდა დღევანდლამდე შეფასებული არ არის. მუზეუმის დირექტორი: /გ. ბუხნიკაშვილი/ მუზეუმის მთ. მცველი: /ლ. კაპანაძე/

ფარდა გადაეცა საქართველოს სსრ შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს იმ იმედით, რომ იგი იქნებოდა დაცული და რესტავრირებული. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. 1989 წელს მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე შალუტაშვილი (1986-2009) დაინტერესდა რა ფარდის ბედით, აღმოაჩინა, რომ ყველასაგან მივინყებული ძვირფასი ექსპონატი, დამტკერილი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წყლით სავსე სარდაფში დევს. მან მოახდინა სასწრაფო რეაგირება და კულტურის სამინისტროს ბრძანების საფუძვლზე ექსპონატი უკან გამოითხოვა.

### ბ რ ძ ა 6 ე ბ ა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო 3/2-1 ქ. თბილისი „24“ დეკემბერი 1989 წ.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული „თავისუფალი თეატრის“ სასცენო ფარდა გადაეცეს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმს მუდმივი სარგებლობისათვის. თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ამ. ა. შალუტაშვილმა ჩაიბაროს აღნიშნული ფარდა და უზრუნველყოს არსებული წებების დაცვით მისი აღრიცხვა საინვენტარო

ნივნში. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ამ. თ. სანიკიძემ უზრუნველყოს საინვენტარო წიგნში შესატყვევისი შესწორების შეტანა. საფუძველი: ხელოვნების სახ. მუზეუმის მომართვა და თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის დირექტორის თანხმობა. მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი ბ. ა. ეგზაგონებათ: ხელოვნების მუზეუმს, თეატრის, მუსიკის და კინოსა მუზეუმს, სახვითი ხელოვნების განყოფილებას.

1989 წლის შემდეგ ფარდა ინახება თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში. 2002 წელს ექსპონირებული იყო თბილისის ეროვნულ გალერეაში მუზეუმის დაარსებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებულ გამოფენაზე. ამის შემდეგ დროებითი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იგი კიდევ ერთხელ გადატანილ იქნა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. (2006 წ.) მიზანი იყო თეატრის ადმინისტრაციის ინიციატივით უცხოელი სპონსორების დაინტერესება რესტავრაციის თვალსაზრისით, მაგრამ გამოყენებულ იქნა როგორც სცენის ფარდა. კიდევ ერთი საბედისსწრო შეცდომა. ფარდის დღევანდელი მდგომარეობა ასეთია: საჭიროებს სასწრაფო რესტავრაცია-კონსერვაციას. დაზიანებები გაფანტულია მთელი ფარდის ფართობზე, აბრეშუმის ნაჭრის ფრაგმენტები ჩამოცვენილია. ფარდაზე აღინიშნება დიდი ზომის წყლის ლაქები, ზოგ ადგილას ფერები ერთმანეთზეა გადასული. აბრეშუმი მთელ ფართობზე გაცრცილია. ბევრ ადგილას ნაჭერი დახეტქილია. მარჯვენა ქვედა მხარეს არშიასთან მწვანე ფონზე მცირე ზომის ამოგლეჭილი და დაკერებული ადგილი აღინიშნება. არშია მრავალ ადგილას გაცვეთილი და დაზიანებულია.

1. თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. თარგმანი ჩემია მ. მ.
2. მოქმედი სამოქალაქო მრჩეველი. მე-5 კლასის სამოქალაქო ჩინი ძველ რუსეთში.
3. მე 19-20 სს მიჯნისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა მეცენატობა იყო. პ-მ. ტრეტიაკოვმა რუსული ფერწერის ნაწარმოებების შემგროვებელმა საჩუქრად გადასცა თავისი კოლექცია ქ. მოსკოვს. ს. დ. მამონტოვმა მოსკოვში დაარსა რუსული ოპერა. სამხატვრო თ-რის მეცენატი იყო მენარემე ს-ტ. მოროზოვი. ა. ა. ბახრუშინმა თავისი კოლექციის საფუძვლზე შექმნა ლიტერატურულ-თეატრალური მუზეუმი, ამჟამად ბახრუშინის სახელობის თეატრალური მუზეუმი.
4. 1 გ. ხარატიშვილი, კ. მარჯანიშვილი რუსულ თეატრში. გამომ. „ხელოვნება“, 1971.
5. ნона Елизбарашили, Зинаида Дарчашвили. Занавес „Свободного театра“ декоративное искусство, 1981г. № 4.
6. Г.Крикицкий. К.А.Марджанов и Русский Театр. Москва, 1958.
7. „www.silverage.ru/poets/kuzmin\_somov.html
8. www.m-mos.ru/12/03.htm
9. Нона Елизбарашили, Зинаида Дарчашвили Занавес „Свободного театра“ декоративное искусство, 1981г. № 4.

## დიალოგი

### საპავშვი თეატრში ახალი პერიოდი დაიწყო თამარ ქუთათელაძე

ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბაკშვი თეატრის მმართველად რეჟისორი დიმიტრი ხეთისიაშვილი დაინიშნა. მან უკანასკნელ სეზონებში რამდენიმე საინტერესო დადგმა განახორციელა, ამიტომაც ახალ თანამდებობაზე მისმა დანიშვნამ იმედი აღმრა საბაკშვი თეატრში ახალი და შეარდი შემოქმედებითი პროცესის დაწყების თაობაზე.

პროფესიონალი მსახიობი და რეჟისორი ხეთისიაშვილი (დაბ. 1968) წლების მანძილზე მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად, წარმართავდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მან დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის (ამჟამად შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი) სამსახიობო ფაკულტეტი (პროფ. ლ. ოსელიანის ჯგუფი, 1989) და ამავე უნივერსიტეტის სარეკისორო ფაკულტეტი (პროფ. გ. ლორთქიანიძის ჯგუფი, 2003). 1989 წლიდან დღემდე იგი მუშაობს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პედაგოგად (2003-2005 წლებში მიენიჭა დოცენტის წოდება, 2005-2011 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი). 2011 წლიდან დღემდე იკინა, მარჯანიშვილის თეატრის დამდგმელი რეჟისორია. დიმიტრი ხეთისიაშვილი მუშაობდა აგრეთვე ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის დამდგმელ რეჟისორად (2001-2006), მერაბ კოსტავას სახ. თბილისის მუნიციპალური თეატრის დამდგმელ რეჰისორად (2000-2002), ზუგდიდის შალვა დადიანის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჰისორად (1996-1997) და სამხატვრო ხელმძღვანელი (1997-2000).

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობად მუშაობისას (1989-1996) დიმიტრი ხეთისიაშვილი მონაწილეობდა 20-მდე წარმოლგენაში. მას დადგმული აქვს 43 საქეტაპლი. 2013 წლისათვის მარჯანიშვილის, ახმეტელის, სოხუმის, რუსთავის თეატრების რეპერტუარშია დიმიტრი ხეთისიაშვილის მიერ განხორციელებული ათი დადგმა: „ავიზაჟს აკლია სითბო“ (მარჯ. თეატრი), „მგზავრის წერილები“ (ო. ჩხეიძესთან ერთად, მარჯ. თეატრი), „ეუხენა ბალბოა“ (ლ. წელაძესთან ერთად, მარჯ. თეატრი), „მე დავბრუნდები“ (მარჯ. თეატრი), „კოტე მარჯანიშვილი“ (ლ. წელაძესთან ერთად, მარჯ. თეატრი) „დია შეშაბაძინი“ (ახმეტელის თეატრი), „ანთონონი“ (ახმეტელის თეატრი), „შავი კეტები“ (ახმეტელის თეატრი), „პრემიერა“ (სოხუმის თეატრი) და „ირინეს ბედინიერება“ (რუსთავის თეატრი).

ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბაკშვი თეატრში მისულ ახალ მმართველს უამრავი პრობლემა და 100 000 ლარის ვალი დაუხვდა. თეატრში არსებული საქეტაპლების ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს, რადიკალურად გასაახლებელია თეატრის რეპერტუარი და შესამუშავებელია მეცნიერებულო პოლიტიკა.

მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების ბაზაზე ჩამოყალიბებული ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბაკშვი თეატრის წარმოლგენების მხატვრული დონე და მსახიობთა საშემსრულებლო ხელოვნება მნიშვნელოვნად ჩამორჩება თეატრის ოქროს ხანად ადიარებულ, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების შემოქმედებითი წარმატებებით დირსშესანიშნავ აქონიდა. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც საბაკშვი თეატრში მიმდინარე თეატრალური პროცესები ვალია განიხილება დამატდას ცენტრალური თეატრების შემოქმედებითი ძიებების კონტექსტში. კარგა ხანია საბაკშვი თეატრში აღარ შექმნილა მნიშვნელოვანი მხატვრული დირექტორების წარმოდგენები და სცენური სახეები. თეატრის ახალი მმართველის მიერ გაცხადებული რეფორმირების კურსისა და საინტერესო შემოქმედებითი გეგმების გამო კი, თეატრი კვლავ უკრადდების ცენტრში მოექცა. ამიტომაც გავასუბრე დამიტრი ხეთისიაშვილს, რომ გაცილებით მეტი შემეტყო თეატრის ხვალინდელი დღის თაობაზე.

**თ. ქუთათელაძე – ბატონი დიმიტრი, გილოცავთ თეატრის მმართველად დანიშვნას, რაც დიდ დაფასებასთან ერთად სერიოზული გამოცდაცაა თქვენთვის. ამ თეატრში ყოველი ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა ალვივებს დიდ ინტერესსა და მოლოდინს თეატრის ახალი და საინტერესო ეტაპის დაწყების თაობაზე. უნდა დამეთანხმოთ, რომ ამ თეატრის ყველა გულშემატკიცარი ელის ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც შეძლებს მას ალუდებინოს ის ავტორიტეტი, რაც მას გააჩნდა ყველაზე ნარმატებული შემოქმედებითი ცხოვრების ნლებში. ცნობილი გახდა ისიც, რომ თქვენ, როგორც თეატრის ახალ ხელმძღვანელს, განზრაული გაქვთ განახორციელოთ შერიგების აქტი და თეატრში სამუშაოდ იწვევთ თითქმის ოთხივე თაობის მსახიობთა ჯგუფს. უფრო კონკრეტულად როგორია ამ მხრივ თქვენი გეგმები?**

**დიმიტრი ხეთისიაშვილი –** თეატრის ყოფილი მმართველის, მიხეილ ანთაძის მიერ თეატრიდან დათხოვნილი 42 მსახიობი უკვე აღდგენილია სამსახურში. მათ შორის იყვნენ უსამართლოდ

გაშეებულიცა და პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებიც. უპირობოდ დავაბრუნე ის მსახიობები, რომელებიც ამ თეატრის სახეებს წარმოადგენდნენ: რეზო თავართქილაძე, ლადო მექაბაძევილი, ოთარ ბალათურია, ბერტა ხაფუავა, ნათელა მაჭავარიანი, მაკა გოგიჩაიშვილი, ნათელა პაატაშვილი, პალიკო ნოზაძე, კახა გაბელაია, ნათია კუპატაძე... ეს ის ათი მსახიობია, რომელებმაც გააპროტესტეს თეატრში მიმდინარე პროცესები და სარეპერტუარო პოლიტიკა. სწორედ ამისათვის დაისაჯნენ ისინი, თუმცა მათ წასვლას თან სდევდა ხელოვნურად შექმნილი გარკვეული კამპანიაც. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ საპერსიო ასაკის მსახიობები თეატრში იქნებიან დასის მუდმივი წარმომადგენლები, მაგრამ საშტატო განრიგის წევრები ისინი ვერ გახდებიან. მათ უქნებათ ანაზღაურება მხოლოდ გამოსვლებზე. ამ მხრივ უპირობოდ მსურდა თეატრში დამებრუნებინა ბატონი რეზო თავართქილაძე, მაგრამ თეატრის ამ უპირველესმა მსახიობმა განაცხადა, რომ მისი ასაკის გათვალისწინებით, იგი დაკმაყოფილდება მხოლოდ სპექტაკლებში საპონორარო გამოსვლებით, შტატში კი ჩემს მაგივრად ორი პერსპექტიული ახალგაზრდა მსახიობი მიიღეთ.

- ჩვენს დროში ასეთი განცხადება იშვიათი კეთილშობილებაა, მით უფრო რომ ბატონ რეზოს ეკონომიურად მართლაც არ ულხის. დასაფასებელია ისიც, რომ მისი თაობის მსახიობებისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეთ და კვლავ შესთავაზეთ მათ საყვარელ პროფესიაში მოლვანეობა. მაინტერესებს კიდევ რა სიახლეს შემოგვთავაზებთ უახლოეს მომავალში?

- მიუხედავად ბატონი რეზოს ამ განცხადებისა, მე იგი მაინც უპირობოდ დავგაბრუნე თეატრში, რადგან მისი რანგის არტისტის გამოსვლებზე დატოვება თავად თეატრისთვისვე საზიანოა. ასეთი მასშტაბის აქტიორების ყოველი შემოვლა თეატრში, თუნდაც მაშინ, როცა არც რეპეტიცია აქვთ და არც სპექტაკლი, უმნიშვნელოვანესია... რაც შეეხება მომავალ გეგმებს: გაზაფხულისთვის განზრახული გვაქს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ყოფილი ლიდერის, - შალვა განერელიას გარდაცვალების წლისთავის აღნიშვნა. ამ თარიღისათვის მაყურებელს შევთავაზებთ შ. განერელიას ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლის, - ნოდარ ლუმბაძის „კუკარაჩას“ განახლებულ დადგმას. ალსანიშნავია, რომ დასში ჯერ კიდევ მრავლად არიან შალვა განერელიას ამ სახელოვანი დადგმის მონაწილე მსახიობები, თეატრში მოლვანეობენ აგრეთვე შალვა განერელიას სტუდენტებიცა და მის სპექტაკლებზე აღზრდილებიც. ახალგაზრდები კი, რომელებსაც არასადროს უნახავთ შალვა განერელიას სახელგანთქმული სპექტაკლები, თეატრის ოქროს ხანის შემოქმედებითი კოლექტივის, ლიდერისა და მისი სპექტაკლების თაობაზე ბევრი სმენიათ. ისინი თავადაც ოცნებობენ განიცადონ დიდი თეატრალური პრო-



ცესის შედეგად წარმოქმნილი ბუნებრივი და დაუვიწყარი, გადამდები შემოქმედებითი აღმაფრენა. მათ შევეცდებით შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სკრუპულოზულობით გავაცნოთ ეს ორიგინალური წარმოდგენა და შევაცნობინოთ შალვა განერელიას სათეატრო ესთეტიკის სიბლი.

სპექტაკლის აღსადგენად გერმანიდან უკვე გადმოგზავნილია მხატვარ ნოდარ გაფრინდაშვილის ესკიზები. აღდგება ვოვა ჯულუხიძის ქორეოგრაფია, დავით ტურიაშვილის მუსიკალური პარტიტურა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თეატრში კვლავ მძაფრად შეიგრძნობა შალვა განზრელიასადმი, XX საუკუნის მეორე ნახევრის ამ დიდი რეჟისორისა და პედაგოგისადმი ნოსტალგია. განზრახულია თეატრმა ორიგინალურად აღნიშნოს მასთან განმორების წლისთავი და ოთარ ბალათურიას მიერ აღდგენილ შალვა განერელიას „კუკარაჩას“ 5 აპრილის განახლებულ დადგმაში მონაწილეობის მისალებად ვიწვევთ მის თითქმის ყველა მონაწილე მსახიობს. ბუნებრივია, წარმოდგენაში იქნება სიახლეც. სპექტაკლში მურტალოს როლს შალვა განერელიას ყოფილი სტუდენტი დათო ხახიძე და კოტე თოლორდავა განასახიერებენ. ბატონი შალვას სპექტაკლში ამ როლს შესანიშნავად ასრულებდა ბატონი ოთარ ბალათურია და ის მაყურებელი, რომელსაც ნანახი აქვს ბატონი შალვას წარმოდგენას, საშუალება ექნება ერთმანეთს შეადაროს თეატრის ორი თაობის საინტერესო მსახიობები. განახლებულ სპექტაკლში კუკარაჩას როლს შეასრულებენ - ნიკა კუანტალიანი და შალვა ანთელავა, ინგას - ნინო ლექავა და ლელა მებურაშვილი. ცენტრალურ როლებზე დაიმსულია ორ-ორი შემსრულებელი და გვსურს სპექტაკლი მაქსიმალურად მივუახლოვოთ მის ორიგინალს.

მაყურებელი სცენაზე კვლავ იხილავს შალვა განერელიას სპექტაკლში მონაწილე მსახიობებსაც: რეზო თავართქილაძეს, თამარ მამულაშვილს, ლადო მექაბიშვილს, იოსებ მოლოდინაშვილს, შოთა ქრისტესაშვილს, ბერტა ხაფუავას, მარიკა გოგიჩაიშვილს, მერაბ შარიქაძეს, რაჟდენ კერვალიშვილს, მაკა ბარდაველიძეს,

მაია ჩართოლანს. ამავე დღესთან დაკავშირებით თეატრში გაიხსნება შალვა განერელიას სპექტაკლების ამსახველი ფოტო და მაკეტ-ესკიზების გამოფენა, მომზადდება ალბომი.

— ბატონო დიმიტრი, როგორც თეატრის ხელმძღვანელმა მძიმე მემკვიდრეობა მიიღეთ. ამ თეატრის ბედი ჩვენთვისაც, როგორც შალვა განერელიას სპექტაკლებზე აღზრდილი თაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია და დიდი სურვილი გვაქვს იგი კვლავ ვინისოთ თავისი შემოქმედებითი აქტივობის ხანაში. მაინტერესებს რა სახის რეფორმების გატარებას აპირებთ და როგორი იქნება საბავშვო თეატრის ხვალისდელი დღე?

— მოლაპარაკებები გვინდა ვაწარმოოთ თემურ ჩეხიძესთან, მედეა კუჭუხიძესთან, გიზო უორდანიასთან... ვფიქრობ, მათი შემოქმედებითი გამოცდილება შთამბეჭდავი შედეგის მომტანი იქნება ჩვენი თეატრისათვის. თეატრში უკვე დაიწყო პრემიერები. მაყურებელმა იხილა რეჟისორ ხათუნა მილორავას მიერ განხორციელებული გელმანის „დეუზა ვუ“ (2,3 თებერვალს). სულ მალე შემოგთავაზებთ ანრი პოპესკუს „მზის სხივს“ (14, 15, 16 და 17 თებერვალს, რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი), ვაჟა – ფშაველას „სათაგურს“ (16,17 თებერვალი, რეჟისორი ოთარ ბალათურია), ბარი კიფის „ჩაგავლეს“ (23, 24 თებერვალი, რეჟისორი დავით ბახტაძე). ოთარ ბალათურია დადგამს აგრეთვე „სიბრძნე სიცრუისას“, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში 45 წუთიან ლიტერატურულ ნარმოდგენაზე პქნიდა განხორციელებული. ჩვენი თეატრისთვის კი, იგი შექმნის გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს. გარდა ამისა, ლევან წულაძე სამი არაჩვეულებრივი ნაწარმოებიდან, - ა. დოუმას „სამი მუშკეტიერი“, მ. ტვერის „უფლისნული და მათხოვარი“ და დიკენის „საშობაო ზღაპარი“, დადგამს ერთ-ერთს. დათა თავაძე განახორციელებს შექსპირის „ზამთრის ზღაპარს“. თეატრში აღვადგენთ ლიკა მაცხონაშვილის „ბარონ მიუნკაუზენის თავგადასავალს“, გოგა ქაჩიბაიას „ჭინჭრაქას“, ანატოლი ლობოვის „ალისფერ ყვავილს“... კოტე მირიანაშვილი რუსულ დასთან დადგამს 6. ფუტბაძის ნოველებს... არსებობს სხვა გეგმებიც, თუმცა მხოლოდ მოლაპარაკებათა პროცესშია და ჯერჯერობით მათზე ვერ ვისაუბრებ.

— ილიაუნის უნივერსიტეტში თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტეშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით გაცხადდა, რომ მიხეილ ანთაძის მმართველობისას 2011-2012 წლის თეატრალურ სეზონში ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრში დაიდგა რეკორდული რაოდენობის 17 სპექტაკლი. ამ ციფრით საბავშვო თეატრი ლიდერობს არა მარტო დედაქალაქის თეატრებს შორის.

— 17 სპექტაკლის დადგმა ერთ სეზონში თეატრის კონვენიერული მუშაობის რიტმის მაჩვენებელია. ბატონიმა მიშამ მეც მომახსენა,

რომ გია კიტიას თეატრში მოღვაწეობისას მიმდინარე 7-წლიანი სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, 92 სპექტაკლი დავდგიო. ამ მხრივ მე პირადად, გასულ სეზონში ხუთი სპექტაკლი განვახორციელე, თუმცა უფრო ნაკლები რომ დამედგა, მგონია გაცილებით უკეთესი შედეგი მექნებოდა. რაოდენობა ხარისხის განმსაზღვრული არასოდეს არ ყოფილა.

— რეჟისორებიდან ვინ დასაქმდებიან თეატრის შტატში?

— შტატის დამდგმელ რეჟისორად მხოლოდ ოთარ ბალათურია იმუშავებს. ამით ჩვენ აღვადგენთ შტატის რეჟისორის ტრადიციას, რაც დღემდე გაუქმებული იყო. მათ დიდი ფუნქცია აკისრიათ თეატრში და მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან მსახიობებთან, ხელმძღვანელობებს სპექტაკლების აღდგენას და სხვა. აღსაღენია აგრეთვე მომმარაგებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შტატი. თეატრის მთავარი მხატვარი გვინდონა, რომ კვლავ აივენგო ჭელიძე ყოფილიყო, თუმცა მან ეს ფუნქცია ჩემი თაობის უნიჭირეს მხატვარს, ნინო ჩიტაიშვილს გადააბარა, თავად კი, თეატრთან მჭიდრო შემოქმედებით თანამშრომლობაზე დაგვთანხმდა.

— როგორ განხორციელდება თეატრის შეგვება ახალი კადრებით, მოეწყობა თუ არა აქტიური ქასთინგები ახალგაზრდა მსახიობებისთვის და როგორ მოხდება უფროსი თაობის მსახიობების დასთან ადაპტირება?

— თეატრში მოსვლისას, 88 მსახიობი დამხვდა შტატში, 40 მსახიობი თავად დავაბრუნებთ და მიგიღე 130 მსახიობამდე. დასში არიან საინტერესო მსახიობებიც: ნინო ლეჟავა, ვამეხი ჯანგიძე, დათო როსტომაშვილი, გიორგი ჩიქმავა, მაკა ბარდაველიძე, დათო ხახიძე, მაია ჩართოლაძი, ანი ზამბახიძე, პატარა კიკვაძე, შალვა ანთელავა... თეატრში დავაბრუნებთ ვახო ნოზაძეს, ნიკუშა კვანტალიანს, ანი ხუროშვილს, ნინო გურულიშვილს... მათი პროფესიონალიზმი თეატრში მთელი დატვირთვით უნდა გამოიყენოს და სრულად გამუშავავნოს. ამ ეტაპზე არავის გაშვებას არ ვაპირებ ხელოვნურად, რადგან არ ვიცნობ ამ თეატრში მოღვაწე ყველა მსახიობის შემოქმედებით შესაძლებებებს. დასში არიან ისეთებიც, ვისაც სამსახიობო ფაქულტეტი არ აქვს დამთავრებული, მაგრამ მათი სამსახიობო სტაუ და სპექტაკლებში დაკავებულობა ნდობას იმსახურებს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ხუთთვიანი ხელშეკრულებები გავუფორმეთ ყველას. მათი კვალიფიკაცია სასურველია ახალ რეპერტუარში მოისინჯოს. მომავალ სეზონში 130 მსახიობი შემცირდება 70-მდე. ჩვენი მიზანია დასს სტაბილურ შტატში ჰყავდეს 45 მსახიობი, ხოლო 25 ქასთინგის ნესით იყოს მოწვევული. ისინი იქნებიან როგორც ადგილობრივი, ისე გაძვებული და ქუჩაში მოსიარულე მსახიობები. ყველას აქვს უფლება იყოს დასის წევრი გამოსალებზე, თუმცა ანაზღაურება იქნება დიფერენცირებული.

- თეატრმცოდნებიდან ვინ დასაქმდებიან თეატრის შტატში? დიმიტრი ხეთისიაშვილი
- თეატრმცოდნებიდან თეატრს ეყოლება მანანა გეგეჭკორი და დოდო ხურცილავა. მათ უკვე გაინანილეს ფუნქციები. ამჯერად ქალბატონი მანანა გეგეჭკორი დაკავებულია პოფმანის ზღაპრებიდან თეატრში დასადგმელად განზრახული ოპტიმალური ნაწარმოების შესარჩევად. ქალბატონი დოდო კი გაუძღვება შემცნების სამუშაო პროცესს. იგი სპექტაკლების შემდეგ გაესაუბრება ჩვენს პატარა მაყურებელს და მცირე სალექციო კურსს გამართავს მათთან სპექტაკლების ავტორთა შესახებ, გაეცნობა მათ მოსაზრებებს დადგმისა თუ ცალკეული მსახიობის მიერ განსახიერებული როლების თაობაზე. ამ ტიპის სამუშაო პროცესს დროთა მანძილზე დავხვეწო და განვავითარებთ. ვფიქრობ ასეთი ლია, უმუალო კონტაქტი საინტერესო იქნება ორივე მხარისთვის. ჩვენ ვესწრაფვით ახალ ხარისხში აღვადგინოთ პედაგოგისა და მონაფის ურთიერთობის ტრადიცია. განზრახული გვაქვს თეატრსა და სკოლაში საორატორო ხელოვნების დაფუძნებაც. მას გაუძღვებიან თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეტყველების კათედრის გამოცდილი პედაგოგები: სოფო ებრალიძე, ნათია კუპატაძე, ნანა მირიანაშვილი, მამუკა ბოგვერაძე... ისინი ხელშეკრულების საფუძველზე იმოღვანებენ სკოლებთან მათი მოთხოვნების შესაბამისად.
- თქვენს მიერ რამდენჯერმე გაულერებულმა თეატრის ადრინდელმა სახელწოდებამ „მოზარდმაყურებელთა თეატრის“ თაობაზე გააღვიფა ეჭვი, რომ განზრახული გაქვთ კვლავ განაახლოთ ჯერ კიდევ მოზარდ მაყურებელთა შემოქმედებით პიკის, შალვა განერელიას დროს არსებული სამსაფეხურიანი სარეპერტუარო პოლიტიკის ფორმატი. ხომ არ იგეგმება თეატრის სახელის შეცვლაც?
- თეატრის საფუძვლიანი რეფორმირება დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ როგორ ჩამოყალიბდება თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა და რა შემოქმედებითი პოტენციალი აღმოაჩნდება დასს. ამჯერად თეატრს საბავშვო თეატრი ჰქვია. თუმცა, როდესაც მოსკოვის საბავშვო თეატრმა დადგა „შავი მღვდელი“, იგი სრულებითაც არ წარმოადგენდა საბავშვო სპექტაკლს. საწყის ეტაპზე ვისწრაფი, რომ აღვადგინო რვასაათიანი სპექტაკლების ტრადიცია უფროსკლასელებისა და თინერჯერებისათვის. ეს თეატრი მათთვისაც უნდა გახდეს მისალები. საბავშვო თეატრის გასული წლების თეატრალური სეზონები ჩვენი თეატრის ძირითადი მაყურებლისა და მათი მშობლებისთვის რომ ვერ აღმოჩნდა საინტერესო, ამიტომაც გადაინაცვლეს მათ დიდი თეატრებისკენ და პირიქით, როდესაც დედაქალაქის ცენტრალურმა თეატრებმა დაინახეს აქ არსებული ვაკუუმი, მათაც დაინეს საბავშვო სპექტაკლების დადგმა. ეს ფუნქცია უნდა დავიპრუნოთ,

განვავითაროთ და თეატრს დაუუბრუნოთ ჩვენი მთავარი მაყურებელი.

- ვფიქრობ არც დიდი თეატრებისთვისაა საბავშვო სპექტაკლები უსარგებლო, ამიტომაც საბავშვო თეატრს თანამედროვე ეტაპზე მრავლად ეყოლება კონკურენტებიც. მსახიობები ხომ მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ ფორმაში და აახლებდნენ გამომსახველობითი ხერხების არსენალს.

- მიხეილ თუმანიშვილის „ჭინჭრაქაც“ დადგმული იყო როგორც საბავშვო სპექტაკლი და მიუხედავად იმისა, რომ მასში იყო საბავშვო თეატრის ელემენტებიც, ის სრულებითაც არ იყო საბავშვო. მან რევოლუციური როლი შეასრულა ამ სახელოვანი თეატრის ისტორიაში. ასეთ დადგმებს თამაშის ნაივური ხერხები შემოაქვს დიდ თეატრებშიც. მსახიობებს მუდმივად სჭირდებათ პროფესიული სრულყოფა.

- რა პრინციპით იხელმძღვანელებს თეატრი? ალბათ გაითვალისწინებთ მოზარდთა თეატრის საუკეთესო პერიოდის მიღწევებსაც და ზოგად მიმდინარე თეატრალურ პროცესებსაც?..

- ვაპირებთ შევქმნათ თოჯინური თეატრი უფროსებისთვის. ამ მიზნით მოლაპარაკებებს ვანაარმოებთ თემურ ბადრიაშვილთან და ბესო კუპრეიშვილთან, რომლებიც ჩვენთან განახორციელებენ თითის, თოჯინური თუ ცოცხალი მსახიობის შერეულ სპექტაკლებს. ამუძმად თეატრს სჭირდება მოქნილი პოლიტიკისა გატარება იმისათვის, რომ ეფექტურად მოემდესახუროს თანამედროვე მაყურებელს და ჩვენი თეატრი ერთნაირად საინტერესო გახდეს დიდი თეატრისაკენ მიმავალი ყველა ასაკის მაყურებლისთვის.

- საბავშვო თეატრში მოღვანეობის პარალელურად კვლავ თუ გააგრძელებთ მუშაობას მარჯანიშვილის, ახმეტელისა თუ სხვა თეატრებში?

- მარჯანიშვილის თეატრში უკვე დაწყებული მაქვს ბერტოლდ ბერტისა და ლიონ ფიონეტვანგერის „სიმონა მაშარის სიზმრები“. ეს პიესა ძალზე აქტუალურად იყითხება დღევანდელი პროცესების ფონზე, თუმცა სპექტაკლის გამოშვება ვფიქრობ მცირე ხნით შეყოვნდება ჩემს ახალ თანამდებობაზე დანიშვნისა და თეატრში არსებული ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სულ მალე ჩვენს მშობლიურ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს 90 წელი უსრულდება. განზრახული მაქვს ამ საიუბილეო თარიღისათვის დავასრულო და მას მივუძღვნა ჩემი სადოქტორო შრომა „ქართული თეატრალური პედაგოგიკის ისტორიის მეთოდოლოგიის კვლევა“.

- გისურვებთ წარმატებებს. დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

- მადლობა.

# ისტორია

ლამარა ლონდახე

## ერის უკეთეს ძვილთა ნაცენტარი

2013 წელს საქართველოს მოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 90 წელი უსრულდება.

საქართველოში თეატრალური განათლების პირველი პროფესიული კერა XX საუკუნის დასაწყისში დაარსდა. მანამდე, ქართულ ხალხურ თეატრსა თუ პროფესიულ თეატრში, სხვადასხვა საშუალებით წყვეტდნენ მსახიობის აღზრდის პრობლემას.

ქართულ ხალხურ თეატრში მსახიობთა აღზრდის განსხვავებული ფორმები არსებობდა. იყვნენ თვითნასწავლიც, მსახიობთა ოჯახური აღზრდის ტრადიციის მიმდევრებიც, ოსტატებთანაც იწვრთნებოდნენ და ისინიც „თეატრონსა შინა იზრდებოდა“. უდავოა, ის ფაქტი, რომ საქართველოში მსახიობის აღზრდის მთავარი კერა თეატრი იყო. მსახიობის აღზრდის პრობლემის მოგვარების საკითხი გაცილებით აქტუალური გახდა საქართველოში პირველი პროფესიული თეატრის არსებობის (1791-1795) წლებში.

ერეკლე მეორის სასახლის კარზე პროფესიული თეატრის დაარსებასა და მისთვის კადრების აღზრდის საქმეში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი იმ სასკოლო-საეკლესიო თეატრებს, რომლებიც ჯერ თბილისისა და შემდეგ თელავის სასულიერო სემინარიების ბაზაზე არსებობდნენ.

1791 წელს ერეკლე II სასახლის კარზე შექმნილმა ქართულმა პროფესიულმა თეატრმა 1795 წელს კრნანისის ველზე დაასრულა არსებობა.

მსახიობის აღზრდის პრობლემის მოგვარების მორიგი ეტაპი დიდი ქართველი კომედიოგრაფის, გიორგი ერისთავის სახელთან და მისი თეატრის არსებობასთან არის დაკავშირებული.

თავდაპირველად გიორგი ერისთავის მიერ დადგმულ ორ სპექტაკლში („გაყრა“, „დავა“)

მისივე უახლოესი ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები თამაშობდნენ. შემდგომში, გ-ერისთავმა მომავალი მსახიობები გორსა და მის შემოგარენში შეაგროვა და მათ სწავლებას შეუდგა. „ის ახალგაზრდა მსახიობებს აცნობდა სასცენო ხელოვნების მნიშვნელობას, პარალელურად გადიოდა რეპეტიციებს. ასეთი მუმაობა გაგრძელდა შემოდგომის დამლევამდე, თითქმის 5-6 თვის განმავლობაში. გ. ერისთავმა დასი თბილისში ჩამოიყვანა, დააბინავა და განაგრძო მუშაობა. ამრიგად, პირველი ქართული სათეატრო სტუდია გ. ერისთავმა მოაწყო თავის სოფელ ხიდისთავში“ (ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 76-77). გიორგი ერისთავის თეატრმა 1856 წელს შეწყვიტა არსებობა.

1856-1879 წ.წ. პერიოდი სცენისმოყვარე-თა აქტივობის ხანაა. სცენისმოყვარებმა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით საკუთარ თავზე აიღეს ქართული კულტურის ამ ერთი უმშვენიერესი დარგის მსახურების ტვირთი და ღირსეულადაც ზიდეს იგი. ახალგაზრდებს სცენის სიყვარულს ულვივებდნენ და მათი წვრთნისთვის ზრუნავდნენ იმ პერიოდის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საუკეთესო ნარმომადგენლები: დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო აგალიშვილი, სერგეი მესხი, მიხეილ ბებუთაშვილი, დავით და რაფიელ ერისთავები, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ეფრო კლდიაშვილი და სხვ. ამ ადამიანებთან ურთიერთობა მოყვარულთა სპექტაკლების მზადებისა, მათი რჩევების მოსმენა, მითითული ლიტერატურის შესწავლა და სცენური პრაქტიკა იყო ის სკოლა, რომელიც გაიარეს მუდმივი ქართული თეატრის პირველი თაობის მსახიობებმა.

1879 წელს ქართველ მოღვაწეთა მრავალნლიანი მცდელობა ნარმატებით დაგვირგვინდა — კვლავ აღდგა ქართული თეატრი, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

შსახიობის აღზრდის პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება დაიწყეს და ქართული სამსახიობო სკოლა შექმნეს მუდმივი სცენის პირველი თაობის საუკეთესო ნარმომადგენლებმა: ვასო აბაშიძემ, კოტე ყიფიანმა, კოტე მესხმა, ნატო გაბუნიამ, მაკო საფაროვამ, ლადო მესხიშვილმა, ვალერიან გუნიამ და სხვ. მათ ხელოვნებაზე და მათი უშუალო ხელმძღვანელობით გაიზარდნენ — ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ტასო აბაშიძე, ვიქტორ გამყრელიძე, ნიკო გგარაძე, შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი, სოსო ივანიძე, არეთა ლოლუა, მიხეილ სარაული, კოტე შათირიშვილი, შაშო გომელაური, ელენე ანდრონიკაშვილი და მრავალი სხვ. შეგნებუ-

ლად არის გამოტოვებული იმ მოღვაწეთა სახელები, რომელებმაც გზა ხელოვნებაში მსახიობობით დაინტერეს და შემდგომში პროფესიონალ რეჟისორებად ჩამოყალიბდნენ. აღდგენილი ქართული თეატრის მსახიობთა უმრავლესობა განსწავლული, წიგნიერი, მოაზროვნე, ხშირად რამდენიმე ენის მცოდნე ადამიანები იყვნენ. მათ შეეძლოთ სათეატრო ორგენისაც მრავალ ეხაზე გაცნობდნენ. შეესწავლათ ისიც, რაც უკვე დაწერილი იყო და თვალი მიედევნებინათ იმისათვის, რაც იმუამინდელი მსოფლიოს სათეატრო ხელოვნებაში ხდებოდა. მაგრამ უმთავრესი მიზანი მაინც პროფესიული სათეატრო სკოლის დაარსება იყო. პირველი წერილი თეატრალური სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ 1875 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“. თეატრალური განათლების კერის შექმნის აუცილებლობა პირდაპირ იყო მითითებული 1880 წელს დაარსებული დრამატული საზოგადოების წესდებაში: „გაიმართოს ქალაქ თბილისში თეატრალური კლასები და დროებითი კურსები მოსამზადებლად და გასავარჯიშებლად არტისტებისა“. (ვ.კიკაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების 100 წელი, თბ. 1981, გვ.33). დრამატული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას, იღლია ჭავჭავაძე სწორედ იმაში ხედავდა, რომ მას შეეძლება „გამართოს ქალაქ ტფილისში სათეატრო სკოლაო.“ (ილია თეატრის შესახებ, 1955 გვ. 63). რა იყო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ასეთი თავ-გამოდების მიზეზი? XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწებისათვის უმთავრესი თეატრის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია და ქართული ენის შენახვა-გადარჩენის ის მისია გახლდათ, თეატრს რომ უნდა ეტვირთა. იღლია ჭავჭავაძე — „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს საგარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა... ამისთანა სავალალო და სამარცხინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭერარის ყვავილი-სათვის“... (შინაური მიმოხილვა, „ივერია“, 1879, 2). აკაკი წერეთელი — „მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია, საიდამაც შეგვიძლიათ გავიგონოთ ჩვენი დედა-ენა; ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთაველი, მბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც სიმდაბლით ღმერთს ადიდებდნენ ქეთევნები და მათი მსგავსები. ჩვენ ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი ნარსული, დავინახოთ ანშე და ნარმოვიდგინოთ მომავალი.“ („დროება“, 1880, 208.). ის, რომ თეატრს „ხალხის მწვრთნელის“ მაღალი მი-

სია ეკისრებოდა, ის, რომ ქართული თეატრის არსებობა ასე მჭიდროდ უკავშირდებოდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, ბევრად განაპირობებდა იმდროინდელ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ენთუზიზმსა და თავ-გამოდებას. აღდგენილი ქართული თეატრის მოღვაწეთა მიერ მსახიობის აღზრდის პრობლემის მოგვარების სხვადასხვაგვარი გზა და საშუალება იქნა მოსინჯული: დგამ-დნენ გამოსაცდელ ნარმოდგენებს, წერდნენ მსახიობებისათვის სპეციალურ რეფერატებს, უკითხავდნენ ლექციებს, აარსებდნენ მსახიობთა თვითგანსავითარებელ წრეებს, ქმნიდნენ სახელმძღვანელოებს: 1885 წელს გამოქვეყნდა კოტე ყიფიანის „რამდენიმე სიტყვა სცენიკურ ხელოვნებაზე“, 1886-87 წლებში ვალერიან გუნიას — „დიქცია, მიმიკა, გრიმი, ტანსაცმელი და სამკაულობა“. 1894 წელს ვასო აბაშიძის „მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“. 1885 წ. ვასო აბაშიძის რედაქტორობით გამოვიდა პირველი სახელმძღვანელო გაზეთი „თეატრი“, ცდილობდნენ დრამატული კურსების მოსკოვში დაარსებას, თარგმნიდნენ და აქვეყნებდნენ მასალებს სასცენო ხელოვნების შესახებ, საზოგადოებას აცნობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა გამოჩენილ მსახიობთა ბიოგრაფიებს, საგასტროლოდ იწვევდნენ მათ. ამ მცდელობათა ისტორიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც დრამატული კურსების დაარსება იყო. ამის შესახებ საზოგადოებას ჯერ კიდევ 1910 წელს ეუნია, მაგრამ რეალურად დრამატული კურსების გახსნა მხოლოდ 1912 წელს გახდა შესაძლებელი. კურსების დირექტორად დაინიშნა ვლ. ალექსი-მესხიშვილი (1857-1920). არჩევანი, რასაკვირველია, სრულიად გააზრებული იყო. ლადო მესხიშვილს, როგორც პედაგოგს, მრავალი ახალგაზრდა მსახიობი ჰყავდა აღზრდილი. დრამატულ კურსებზე მისაღები გამოცდები ქართული თეატრის საზაფხულო შენობაში ჩატარდა. საგამოცდო კომისიის გარდა, დარბაზში იყვნენ მწერლები, დრამატურგები, მუსიკისტები და სცენის ცნობილი წარმომადგენლები. მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, გამოცდები ორ კვირას გრძელდებოდა. სწავლების ვადა იყო ორი წელი. მეცადინეობა დაიწყო 1912 წლის 27 ოქტომბერს. მეცადინეობები ტარდებოდა შემდეგ საგნებში: საქართველოს ისტორია — პედაგოგი სერგო გორგაძე, ქართული ენა და მისი ნარმოშობის საფუძვლები — სარგის კაკაბაძე, საქართველოს ლიტერატურა და პოეზია — მიხეილ წულუკიძე, სახვითი ხელოვნების ისტორია და ხატვა — იაკობ ნიკოლაძე, რუსული ლიტერატურა და მისი მოკლე ისტორია — დუბრივისკი. პლასტიკურობასა და ქორეოგრაფიას ასწავლიდა

პოლონეთის ოპერის ყოფილი ბალეტმეისტერი ოვერლო, მსახიობის ოსტატობასა და ოეატრის ისტორიას — ლადო ალექსი-მესხიშვილი, ქართულ ცეკვას — ელისაბედ ჩერქეზიშვილი, საკურსო-სადიპლომო სპექტაკლებზე მუშაობდა ვალერიან გუნია. სასწავლო პროგრამა შედგენილი იყო ვასო აბაშიძისა და ვალერიან გუნიას მიერ. იმ პერიოდის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ქცეულა დრამატული კურსების მოსწავლეთა მიერ გამართული ცეკვის საღამო. მოსწავლეებს წარმოუდგენიათ ქორეოგრაფიული პანტომიმა „კერპათაყვანის მცემელნი“. ქორეოგრაფი — ოვერლო, რეჟისორი — ვ. შალიკაშვილი. სპექტაკლის შემდეგ გამართულ განხილვაში თეატრის მუშაკების გარდა მონაწილეობა მიულიათ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, პრესის წარმომადგენლებს. ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყოლია მათ საკურსო სპექტაკლს — ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და სადიპლომოდ წარმოდგენილ ფრანგულ მელოდრამას „პარიზის ლარიბ-ლატაკნი“. ორივე მათგანის დადგმა ვალერიან გუნიას ეკუთვნოდა. სტუდენტების თამაშს ამონშებდა სპეციალურად მოწვეული უიური, რომლის წევრები იყვნენ — აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ვასილ ბარიოვი, გიორგი ლასხიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ქართველიშვილი, კოტე მაყაშვილი, ია კარგარეთელი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვიქტორ გამყრელიძე, ვალერიან შალიგაშვილი, მიხეილ ქორელი. ჩამონათვალ მოღვაწეთა სახელები თვალნათლივ წარმოაჩნის, თუ რამდენად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იმდროინდელი საზოგადოება ახალი თეატრალური კადრების აღზრდისა საქმეს. ერთადერთი გამოშვების შემდეგ, 1913 წლის ბოლოს დრამატულმა კურსებმა შეწყვიტა არსებობა.

მსახიობის აღზრდის პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის ბრძოლის გზაზე ძალზე მნიშვნელოვანია 1918-1920 წლები — გიორგი ჯაბადარის სტუდიის არსებობის ასევე ხანმოკლე, მაგრამ დიდად ნაყოფიერი პერიოდი. გიორგი ჯაბადარი (1888 - 1938 წ.წ.) — ევროპაში განსწავლული, განათლებული, მაქს რეინჰარდტის თეატრალურ აკადემიაში დაოსტატებული, ანდრე ანტუანის მონაფე და მის თეატრში ნამუშევარი რეჟისორი, სათეატროხელოვნების შესახებორისახელმძღვანელო ნაშრომის ავტორი და ქართული თეატრის დიდი პატრიოტი — ასეთი ნარდგა ქართული საზოგადოების წინაშე. ჯერ კიდევ 1910 წელს შურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა მისი ვრცელი გამოკვლევები: „დიქცია“

და „მიმიკა“. „დიქცია“ თბილისში ცალკე წიგნდაც გამოიცა 1918 წელს. გიორგი ჯაბადარი 1918 წელს პარიზიდან საქართველოში დროებით დაბრუნდა, რათა, როგორც თავადალიშნავს, „იმ კაცთა შლეტის ხანაში “თავის მშობლიურ კახეთში დაესვენა და კვლავ პარიზში დაბრუნებულიყო. მაგრამ დასვენების ნაცვლად აქტიურ საქმიანობაში მოუწია ჩაბმა. კაპიტალისტთა ჯგუფისა და დრამატული საზოგადოების მიერ იგი სტუდიის დასაარსებლად და ხელმძღვანელად იქნა მიწვეული. გიორგი ჯაბადარის სტუდიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ორჯერ მოხდა: პირველად — 1918 წლის აპრილში, მეორედ — 1919 წლის იანვარში. გ. ჯაბადარის გადაწყვეტილებით, პირველი ზაფხული სტუდიელებმა მის მშობლიურ საგარეჯოში, მისსავე სახლში გაატარეს, იქ მეცადინეობდნენ. შემოდგომაზე სტუდია თბილისში დაბრუნდა. 1918 წლის 18 და 22 ნოემბერს თავისი პირველი ნამუშევარი აჩვენა საზოგადოებას. წარმოადგინეს ეუენი ბრიეს „სარწმუნოება“ — სპექტაკლი აღფრთოვანებით მიიღო მაყურებელმა. სტუდიამ გამარჯვებით დაწყყო თავისი არსებობა, მაგრამ თითქმის სტუდიის დაარსებისთანავე შეიკრა პრობლემათა ის წრეც, რომელიც ჯერ დაბრკოლებად, შემდეგ მისი შექმნელების და ხელმძღვანელის მიმართ ბრალდებად, ბოლოს კი გიორგი ჯაბადარის, ჯერ სტუდიიდან, შემდეგ საქართველოდანაც წასვლის და სტუდიის დახურვის მიზეზად იქცა. დახურვის უმთავრესი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ სტუდიის არსებობა 1918-1920 წ.წ. ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა — მსოფლიო ომით, რევოლუციებითა და სამოქალაქო ომით გამოწვეული სიდუხჭირე, თავისუფლებით გამოწვეული აღტეინება და ოკუპაციის მუდმივი საშიშროება, ნგრევა, შიმშილი და სასონარკვეთა... ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, განუსაზღვრელია გიორგი ჯაბადარის მიერ დაარსებული სტუდიის როლი და მნიშვნელობა ქართული სათეატრო განათლების ისტორიისა და მთლიანდებართული თეატრისათვის.

1920 წელს ქართული დრამატული თეატრის მუდმივ დასში გ. ჯაბადარის სტუდიის მთელი შემადგენლობა ჩარიცხეს — ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, მიხეილ გელოვანი, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ ჭავჭავაძე, გიორგი სარჩიმელიძე, დოდო ანთაძე... კოტე მარჯანიშვილმა და ალექსანდრე ახმეტელმა სწორედ ამ მსახიობთა მეშვეობით შეძლეს ქართული, მაგრამ უკვე საბჭოთა პერიოდის თეატრის აღორძინება. 1921 წლიდან საქართველოს ისტორიაში სრულიად ახალი

ერა დაიწყო. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მოდერნიზაციის გზაზე დამფუძნდა რუსეთის იმპერიამ საკმაოდ სწრაფად მოიცალა თავისუფლების გემონაგემები საქართველოს ხელახალი დაპყრობისათვის. პატრიოტ ქართველთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველო ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. საქართველოს ხელახალი დაპყრობა და საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადება ქართველების აქტიური როლის გარეშე არ მომხდარა. წითელი რუსეთის ჯარს ქართველი ბოლშევიკები შემოუძლვნენ საქართველოში. ამით მოგვრილი სიამაყე კარგად ჩანს ფილიპე მახარაძის სიტყვაში, რომლითაც 1921 წლის 13 მარტს მიმართა, ნაძალადევის სახალხო სახლში შეკრებილთ.

ახალი წყობის დამყარებამ, შეიძლება ითქვას, ქართული თეატრის მდგომარეობაც ძირიფსვიანად შეცვალა. თეატრზე ზრუნვა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ფლეს, გვინდა თუ არა ამის ალიარება, ფაქტი ერთია, სწორედ ამ წლებში დაუდგა ქართულ თეატრს ოქროს ხან. ქართულ სათეატრო განათლებაზე ზრუნვაც ასევე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თითქმის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. პირველ ცნობას სახელმწიფო დრამატული სკოლების გახსნის თაობაზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ჭიათურაში რესპუბლიკის სათეატრო განათლების განყოფილების გამგე აკაკი ფალავა

უკვე 1921 წლის სექტემბრის შუა რიცხვებშივე აქცევნებს. 1921 წლის 30 სექტემბერს კი გაზეთი „კომუნისტი“ მეოთხველს აუწყებს, რომ „სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოხდა გამოცდები სახელმწიფო დრამატულ სკოლაში შესავლელ მოსწავლეთა. ქართულ სექციაში ჩაენერა 20 კაცი, გამოცხადდა 5, მიიღეს 4“... ქართულ თეატრს მრავალი თავდადებული და უანგარო ძახური ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა რეჟისორი, თეატრის თეორეტიკოსი, პედაგოგი, სტუდიისა და სათეატრო ინსტიტუტის დამაარსებელი აკაკი ფალავა (1887-1962). აკაკი ფალავას მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. 1909-1915 წლებში რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა სამხატვრო თეატრში. 1915 წლიდან მთელი სიცოცხლე, როგორც რეჟისორმა და პედაგოგმა, ქართული თეატრის მსახურებასა და მისთვის პროფესიული კადრების აღზრდის საქმეს მოახმარა. სწორედ აკაკი ფალავა გახდა მოთავე საბჭოთა პერიოდის პირველივე წლების საქართველოში სათეატრო სტუდიის ხელახლი დარწებისა. აკაკი ფალავას სტუდია გაიხსნა 1922 წელს.

სახელმწიფოსგან ხელშეწყობის გარდა, აკაკი ფალავასთვის სტუდიის შექმნა გაუადვილებია იმ დროს თბილისში არსებულ ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრეს. წრის წევრს გ. მიქელაძეს აკ. ფალავასთვის უთხოვია ხელმძღვანელობა, რაზეც აკ. ფალავა დათანხმებულა და პირველები სწორედ ეს ახალგაზრდები ჩაურიცხავს დრამატულ სტუდიაში. სტუდიის დაარსების შესახებ ოფიციალური ცნობა 1922 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა გაზითში „კომუნისტი“ — „განათლების კომისარის ნებართვით, ქ. თბილისში დაარსდა დრამატული სტუდია აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით. სტუდიის პროგრამაში შედის: 1) მოკლე ანატომია და ფიზიოლოგია, რათა მომავალმა მსახიობმა იცოდეს აგებულება და მთავარი ფუნქციები ადამიანის სხეულისა, 2) ხმის დაყენება, 3) მხატვრული მეტყველება (დიქცია და დეკლამაცია), 4) პლასტიკა და (ცეკვა, 5) გიმნასტიკა, 6) ფარიკაობა, 7) ფიზიოლოგია სასცენო თეორიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული, 8) სასცენო ელემენტების დამუშავება, 9) იმპროვიზაცია და მიმოდრამა, 10) თეატრის, როგორც სასცენო შემოქმედების ისტორია, 11) გრიმი, 12) ტანისამოსის ისტორია, 13) ლიტერატურისა და დრამის ისტორია, 14) ხელოვნების ისტორია, 15) ესთეტიკა, 16) სიმღერა, 17) ნაწყვეტები, სცენებისა და პიესების დამზადება. თანდათან შემოლებული იქნება ყველა საგანთა სწავლება, რაც დამოკიდებულია სტუდენტთა მატერიალურ საშუალე-



აკაკი ჩორავა

ბაზე, რადგან ის მცირე სწავლის ფული (ასი ათასი მანეთი თვეში), რასაც სტუდიელები იხდიან, ყველა ხარჯებს, რასაკვირველია, ვერ დაფარავს.... სტუდიას ხელმძღვანელობს სტუდიელთაგან არჩეული საბჭოს დახმარებით — რეჯის აკაკი ფალავა.“ მისაღები გამოცდების ჩატარებისა და მეცადინეობის დაწყების შესახებაც იგივე გაზეთის მეშვეობით, 1922 წლის 5 ოქტომბერს ეუწყა საზოგადოებას:

„აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში პირველი მისაღები გამოცდები ჩატარდა 1922 წლის 1 ოქტომბერს, კვირას, დღის 10 საათზე რუსთაველის თეატრში. კომისიაში შედიოდნენ რეჟისორები: კოტე მარჯანიშვილი, მიხეილ ქორელი, ალექსანდრე ახმეტელი, აკაკი ფალავა... ესწრებოდნენ ხელოვნებისა და პრესის წარმომადგენლები. სტუდიაში ჩარიცხვის მსურველს გამოცდისათვის ზეპირად უნდა სცოდნიდა იგავარაკი, ლექსი და ნაწყვეტი პროზაული ნაწარმოებიან. ნებადართული იყო მონოლოგის წაკითხვაც. 40 მთხოვნელიდან 18 იქნა მიღებული, 7 თავისუფალ მსმენელად ჩარიცხა. რუსულ სექციაში 45 მსურველიდან 1 კურსზე მიღეს 31, მეორეზე — 7. სტუდიას დაეთმო რუსთაველის თეატრის სარკეებიანი დარბაზი და მისი მიმდებარეობითი თახი. აქ სცენაც იყო და პარტერიც. სტუდია საზეიმოდ გაიხსნა და მეცადინეობა დაიწყო 3 ოქტომბერს. სტუდიის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ კულტურული დაწესებულებებისა და ხელოვნების წარმომადგენელი. აკაკი ფალავამ მოკლე სიტყვით გახსნა ზეიმი, რის შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: კ. მარჯანიშვილმა, მ. ქორელმა, ალ. ახმეტელმა, ტ. ტაბიძემ, კ. გამსახურდიამ და სხვ. სტუდიის საზეიმოდ გახსნის შემდეგ გაიმართა პიკნიკი, რის დროსაც სტუდენტებმა წაკითხეს ლექსები და მონოლოგები... ბოლოს სტუდიელების სახელით დამსწრე საზოგადოებას მიმართა სტუდიელმა აკაკი ხორავამ“. არსებობის პირველ თვეებში სტუდიას მატერიალურად ძალიან უჭირდა. იმდროინდელი ასი ათასი მანეთი, რასაც სტუდიელები სწავლის საფასურად იხდიდნენ, მეტად მცირე იყო ხარჯების დასაფარავად. საარსებო ბიუჯეტის შესახებად აკაკი ფალავა სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა: ლატარიის გათამაშებას, საქველმოქმედო სალამოებს და სხვ. მსგავს ლონისძიებათა შესახებ აკაკი ფალავას ბიოგრაფია გვამცნობს: „საქველმოქმედო სალამოს მხატვრულ ხელმძღვანელებად მოწვეულ იყვნენ კ. მარჯანიშვილი და ა. ახმეტელი. მწერლობა და ინტელიგენცია პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობდა ამ სალამოში: მომსახურეობა, დეკლამაცია ლექსებისა, სცენები, ატრაქციონი... მონაწილეობდნენ ი. გრიშაშვილი,

ტ. ტაბიძე... სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, შემოსავალიც დიდი იყო. მთელი ეს შემოსავალი სტუდიას მოხმარდა. სტუდიის არსებობისათვის აკ. ფალავამ მეორე წყაროც გამონახა. ფინსახეობის წებართვით და კონტროლით მან მოაწყო საჯარო ლატარია. ბილეთები რეკინიგზის სალაროების მეშვეობით ვრცელდებოდა. შეგროვდა საგრძნობი თანხა, რომელიც მთლიანად სტუდიას მოხმარდა.“... (რ. ქორქია, აკაკი ფალავა, 1960, გვ. 82-84). სტუდიის მატერიალური მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა მისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების შემდეგ. რამაც, თავის მხრივ, დააჩქარა და განაპირობა კიდეც სტუდიის ინსტიტუტად გადაკეთება. ამ გარდაქმნაში, მნიშვნელოვანი წვლილი სტუდიელთა საჯარო გამოცდებმაც შეიტანეს. პრესამ შემოგვინახა ცნობა, 1923 წლის 4 ივნისს ჩატარებული ერთი ასეთი საჯარო გამოცდის შესახებ. სტუდიელთა მიერ წაკითხულ ლექსებს, მონოლოგებს, გათამაშებულ სცენებსა და პლასტიკურ ნომრებს იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე და მთავრობის წარმომადგენლებზე, რომ სახალხო კომისართა საბჭოს სტუდიისათვის დამატებით 250 მილიონი მანეთის გადაცემა გადაუწყვეტია. („კომუნისტი“, 1923, 19 ივნისი).

1923 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ: „დაარსებულ იქნას ქ. თბილისში სასცენო ხელოვნების უმაღლესი სკოლა — სათეატრო ინსტიტუტი, შემდეგი განყოფილებებით: 1) დრამატული სტუდია, 2) საოპერო სტუდია, 3) საოპერო გუნდის კლასი, 4) დრამატული სკოლადა 5) პლასტიკის დარითმული გიმნასტიკის კლასი. აღნიშნულ ინსტიტუტში ამთავითვე ჩაირიცხებიან აკაკი ფალავას სტუდიის და სკოლის მსმენელი. ახლად შემოსულთა გამოცდა დაიწყო გუშინ, 20 ოქტომბერს. სათეატრო ინსტიტუტის ხელმძღვანელად მოწვეულია რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, ხოლო დირექტორად — აკაკი ფალავა. სათეატრო ინსტიტუტის მასნავლებლებად მოწვეული არიან: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ალ. ნათიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, აკ. შანიძე, დიმ. უზნაძე, დრამატ. ნ. შიუკაშვილი“. (გ. „ორიონი“, 1923, 21 ოქტომბერი). ამავე თარიღზე მიუთითებს აგრეთვე, იმ დროს უკვე სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის დირექტორი (რექტორი) აკაკი ფალავაც 1923 წლის 9 დეკემბერს უზრნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში — „ჩემს მიერ შექმნილი დრამატიული სტუდია, ამაუამად, თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 10 ოქტომბერის დადგენილებისა, გადაკეთდა სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტად. მთელი შემადგენლობა ჩემი სტუდენტებისა და ე-

დღვა საფუძვლად დღევანდელს ინსტიტუტის შემადგენლობას. წელს მივიღეთ მხოლოდ 16 ახალი მსმენელი ქალი და ვაჟი. მუშაობა ინტენსიურად სწარმოებს, საღამოობით 5-8-მდე მეცადინეობა სასწავლო საგნებში, 8 სთ-დან ოქეტიციები. ვამზადებთ: კ. მარჯანიშვილი პირველ ქართულ პანტომიმას თ. ვახვახიშვილის „მზეთა-მზე“ პლასტიკის მასწავლებელ ვ. უღენტის დახმარებით. მე — ტოლერის პიესას „ადამიანი თუ მასასა?!“ ეს უკანასკნელი თითქმის მზადაა, მხოლოდ უსახსრობა გვიშლის ხელს ეს პიესა საჯაროდ გამოვიტანოთ... მთელს ჩვენს საქმეს დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ყველა: მთავრობის წრეები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, მთელი ქართველი საზოგადოება. ჩვენი მეცნიერნი, რომელნიც ძალზე დატვირთულნი არიან მუშაობით, თავს ძალას ატანენ, მოდიან ჩვენთან და საღამოობით კითხულობენ ლექციებს...“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1923, 1.). პრესის ფურცლებმა შემოგვინახა ცნობა იმის შესახებაც, ვინ ასწავლიდა ამა თუ იმ საგანს სათეატრო ინსტიტუტში: „მასწავლებლად მოწვეული არიან: თავისუფალი ხელვანი კონსტ. დავითაშვილი (მეტყველების ტეხნიკა და სიმღერა), სახელმწიფო აკადემიური თეატრების მმართველი და რეჟისორი ალ. წუწუნავა (პრაქტიკული სასცენო მუშაობა), სახელმწიფო დრამის რეჟისორები: ალ. ახმეტელი (იგივე და იმპროვიზაცია და მიმოდრამა), მიხ. ქორელი (იგივე და თეატრისა და სასცენო შემოქმედებათა ისტორია),



აჩაკი ფალავა

აკაკი ფალავა (იგივე, სასცენო თეორიისა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება), სახელმწ. უნივერსიტეტის პროფ. დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია), სახელმწ. კომიტ. თავმჯ-რე გრიგოლ რობაქიძე (ესთეტიკა), ფილოსოფიის დოქტორი კონსტანტინე გამ-სახურდია — ლიტერატურისა და დრამის ისტორია, თავისუფალი ხელოვ. ვერდეროვიჩი-უდენტისა (პლასტიკა და რიტმული გიმნასტიკა), საბალეტო სკოლის გამგე პერინი (ცეკვა) პროფ. გრინევსკი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივანე ჯავახიშვილი (ქართული ხელოვნებისა და ქართული ტანისამოსის ისტორია), სახელმწ. უნივ. პროფ. ნათიშვილი (ანატომია, ფიზიოლოგია და ყელის ჰიგიენა). ცნობილი ფარიკაობის მცოდნე დიდებულიძე (ფარიკაობა), სამხატვრო აკადემიის რექტორი პროფ. გიორგი ჩუბინიშვილი (ხელოვნებათა ისტორიისათვის), რუსული დრამის მსახიობი კრუჩინინი (გრიმისათვის). სტუდიაში არსებობს ცალკე სარეჟისორო კლასი, რეჟ. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. სახალხო განათლების განყოფილებამ მიიღო 5 მილიარდი მასწავლებლებისადმი დავალიანების დასაფარავად...“ („ლომისი“, 1923, 17 სექტემბერი).

სათეატრო ინსტიტუტში სწავლების ვადა 2 წელი იყო. გარდა სასწავლო პროცესისა, სათეატრო ინსტიტუტში მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოებიც მიმდინარეობდა. აქ მომზადდა და 1926 წელს გამოიცა ნიკოლოზ შიუკაშვილის შესახიშვილი სახელმძღვანელო — „დიკია და მხატვრული მეტყველება“. ინსტიტუტში განხორციელებული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული პირველი ქართული პანტომიმა, თ. ვახვახიშვილის „მზეთა-მზე“. XX საუკუნის 20-იან წლებში შექმნილმა სათეატრო ინსტიტუტმა მრავალი დიდი მსახიობი, რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე აღუზარდა ქართულ თეატრს. ესენი იყვნენ: აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, თამარ წულუკიძე, პიერ კობახიძე, სერგო ზაქარიაძე, ელგუჯალორთქიფანიძე, ემანუელ აფხაძე, გოგუცა კუპრაშვილი, გიორგი საღარაძე, მერი დავითაშვილი, მალიკ მრევლიშვილი, სერგო ჭელიძე, დოდო ანთაძე, ნიკოლოზ შენგელაია, შოთა მანაგაძე, გიორგი მიქელაძე, პოკო მურლულია, თამარ თვალიაშვილი, სტეფანე ჯაფარიძე, ნინო მესხიშვილი, ხათუნა ჭიჭინაძე, კატუშა კედია, ბიძინა წულაძე, მაკა ჯოხაძე, და სხვ. სამწუხაროდ, ძალზე ხანმოქლე აღმოჩნდა მისი არსებობის პერიოდი. 1926 წელს სათეატრო ინსტიტუტი დაიხურა. ქართული თეატრი პროფესიული კადრების მომზადების კვლავ სტუდიური აღზრდის ნაცად გზას

დაუბრუნდა. თუმცა, არა დიდი ხნით...

საქართველოში სათეატრო ინსტიტუტის დაარსების თარიღად დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო 1939 წელი ანუ ის დრო, როდესაც ქართული თეატრის მოღვაწეთა მრავალნლანი ბრძოლისა და აკაკი ხორავას დიდი ავტორიტეტის წყალობით ხელახლა აღდგა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური იხსტიტუტი. პირველი თეატრმცოდნე, რომელმაც ამ საკითხის უმართებულობას მიაქცია ყურადღება და სამართლიანობას აღადგინა, ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარი, პროფესორი ვასილ კიკნაძე გახლდათ. პირველად მის მიერ იქნა გამოქვეყნებული 20-იანი წლების პრესაში უხვად შემონახული დოკუმენტური მასალები საქართველოში 1923-1926 წ.წ. არსებული სათეატრო ინსტიტუტის შესახებ. ცხადია, შეუძლებელია სათეატრო ინსტიტუტის არსებობის ფაქტი არ სცოდნოდათ 1939 წელს აღდგენილ ინსტიტუტის მოღვაწე თეატრალებს. თავად ფალავას რომ თავი დავაზიდოთ, აკაკი ხორავასა და სასცენო მეტყველების გამოჩენილ პედაგოგს, პროფესორ მალიკო მრევლიშვილს პირადად ჰქონდათ დამთავრებული 1923 წელს დაარსებული სათეატრო ინსტიტუტი!.. პროფ. ვასილ კიკნაძე ამ „ეოლექტიურ გულმავიწყობას“ პოლიტიკური კონიუნქტურით ხსნის — „ინსტიტუტის სათავეების მიჩქმალვა შედეგი იყო პოლიტიკური კონიუნქტურისა. საქმე იმაშია, რომ ინსტიტუტი აკაკი ფალავას სტუდიის საფუძველზე შეიქმნა... ისტორიის ფალსიფიკაცია იდეოლოგიური ზენოლის გამო მოხდა. აკ. ფალავა „ფედერალისტი“ გახლდათ და როგორც ანტიპარტიული მუშავი, იზოლირებული რომ არ იყო, იმისიც მადლიერი უნდა ყოფილიყო. მის სახელს ჩრდილოვით თან სდევდა მისი პარტიული ნარსული “... (ვ. კიკნაძე, დიდი გზის სათავე, გაზეთი „თეატრი და კინ“, 1995, 10 ივნისი). ნანილობრივ, შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ 1969 წელს, როცა თეატრალური ინსტიტუტის დაარსებიდან 30 წლის იუბილე იზიდეს, აღარც „ფედერალისტი“ აკაკი ფალავა იყო ცოცხალი და საბჭოთა რეჟიმის წნევიც საქმაოდ შერჩილებული გახლდათ. ქართული თეატრის ისტორიის საკითხებში, დღეს, შეუძლებელია ვინმე ისე ზედმიწევნით ერკვეოდეს, როგორც პროფ. ვასილ კიკნაძე. „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ ავტორმა, ძალიან კარგად იცის, რომ აკაკი ფალავასთვის „ფედერალისტის“ მაშინაც კი არ შეუქმნია დაბრკოლება, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ახლად დამყარებული იყო — 1922 წელს ხელისუფლებამ მას სტუდიის ხელმძღვანელობა, ხოლო 1923 წელს კი ინსტიტუტის დირექტორობა ანდო. საბჭოთა მთავრობის მიერვე იქნა დანიშნული სასწავლო-სამეცნიერო დარგის

პრორექტორად, 1939 წელს აღდგენილ თეატრალურ ინსტიტუტშიც. ბატონი ვასო, არცთუ მაინცდამანც დამაჯერებლად, მაგრამ დიდი ტაქტით ცდილობს გვერდი აუაროს იმ რეალურ მიზეზებს, რის გამოც ამდენი ადამიანი დუღმდა. დუმილით კი ყველა შეგნებულად დუღმდა. უპირველესი მოწმე აკაკი ფალავა ალბათ, იმიტომ რომ მისთვის მთავარი თეატრალური ინსტიტუტის არსებობა იყო და არა საკუთარი პიონერობა. ნიშანდობლივია, რომ ეს დიდი მოღვაწე, უმუალოდ მის მიერ დაარსებული სტუდიიდან შექმნილ სათეატრო ინსტიტუტშიც კი არ ცდილა პირველკაცობას. სათეატრო ინსტიტუტის ხელმძღვანელად იმ დროსაც გამორჩეული ავტორიტეტი კოტე მარჯანიშვილი იქნა სახელდებული, ხოლო თავად დირექტორის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული თანამდებობა დაიკავა. ეტყობა, აკაკი ფალავას მიაჩნდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მეოცე საუკუნის ოცანი წლების დასაწყისში კოტე მარჯანიშვილის დიდ სახელსა და მხერებს შეეძლო ეზიდა სათეატრო განათლების თაობათა ნაოცნებარი კერის ტვირთი. და ამავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ალბათ, მე-20 საუკუნის 30-იან წლების მინურულსაც, როცა აკაკი ხორავას მითოსური დიდება უნდა ქცეულიყო იმ გარანტად, თეატრალური ინსტიტუტის აღდგენასა და არსებობას რომ უზრუნველყოფდა. რაც შეეხება სხვებს — თუ თავად აკაკი ფალავა არ აპროტესტებდა, დანარჩენი მოწმე-მონანილენი რატომდა ამოიღებდენ ხმას?! მით უფრო მაშინ, როცა ზედმეტის კი არა, სულ უბრალო ინიციატივის გამოვლინებაც სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ადამიანებს. გარკვეულ როლს ალბათ, პირველობისკენ ადამიანთა მანკიერი მიდრეებილებაც ასრულებდა. მიდრეებილება იმისაკენ, რომ ყველაფერი სწორედ აქ, დღეს და მისგან ინუბება. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ამაში ყველაზე ნაკლებ ბრალეული თავად აკაკი ხორავა იქნებოდა. ვასილ კიკნაძე, თითქმის 40 წლის მანძილზე თავად გახლდათ თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი თავეკაცი და ძალიან კარგად მოეხსენება, რა ძნელია იმ ადამიანების მოგერიება, რომელთაც მაღლა მდგომის განდიდებით, საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფა განუზრახავთ. აკაკი ხორავას, ყველა ერთად და ცალკელკე, ეტყობა, იმდენს შესძახოდნენ, რომ სათეატრო ინსტიტუტის პირველი დამარსებელი სწორედ ის იყო, მერე ყველასთვის ძნელი გახდა ამ გამონაგონის უარყოფა. ამასაც გულისხმობდა ალბათ, პროფ. ვასილ კიკნაძე თავისი წერილში ინერციულობის ხსენებისას — „ინერციულობასთან ერთად დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ... და შემდეგ სტრუქტურაზე გადადის... აქაც კვლავ ტაქტით და

რიდით უვლის სახითათო რიფებს გვერდა... არ არის გამორიცხული, რომ, გარკვეულ როლს, ქართველთა მამა-პაპური დაუდევორნაც ასრულებდა — დიდი ამბავი, სულ რაღაც სამი წელი?! შეუძახეს თავს და მერე სულაც მიივიწყეს მისი არსებობა. ეს მოსაზრება მით უფრო სარწმუნოდ მეჩვენება, რომ მსგავსი მფლანგველური დამოკიდებულება საკუთარი ისტორიისადმი ჩვენში ლაშის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ქართველები ოდითგანვე ბიბლიის ცნებათა მიმდევარი ხალხია და ეტყობა, არც დაფიქრებულან ისე გადმოიტანეს ყოველდღიურ ყოფაში ფსალმუნისეული „ათასი წელი შენს თვალში, ვითარცა გუმინდელ დღე“ ... და თავადაც დვთის თვალით დაიწყეს ამ წუთისოფლის მოვლენათა ათვლა! მარადისობასთან დამოკიდებულების ამ საწყაოთი კი მართლაც არაფერია ის თექვსმეტი წელი, 1923-სა და 1939 შორის რომ არსებობდა!.. 1993 წელს, პროფ. ვასილ კიკნაძის დამსახურებით აღდგა ისტორიული სამართლიან-

ობა და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა, უფრო ზუსტად, 1992 წლიდან — საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 70 წელი აღნიშნა. 2002 წლის 31 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით: საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ინსტიტუტი ამავე სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა.

2013 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებობის 90 წელი უსრულდება. ვფიქრობ, ამჯერადაც ლირსეულად აღინიშნება ას წელს მიტანებული სათეატრო განათლების უმაღლესი კერის იუბილე — იმ კერისა, რომლის დაარსებისთვის მრავალი წელი იპრძოდნენ ერის საუკეთესო შვილები.

## „მსოფლიო ხალხები – ერთად“

### მარინა ცხომელიძე

1989-90 წლების მუსიკალური ცხოვრების მოვლენად იქცა საქართველოს ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის შექმნა საქართველოს დამსახურებული მოღვაწის, ავთანდილ მამა-ცაშვილის ინიციატივით.

კონსერვატორიის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ, რასაც წინ უძლოდა მუშაობა საგუწიფო კოლექტივთან, პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის ორკესტრებთან, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობისა და ლომის მუსიკალურ თეატრებში, კიევისა და ქუთაისის საოპერო თეატრებში მუშაობა ფირისორად, ხოლო 1984 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის მთავარ დირიჟორად, ავთანდილ მამაცაშვილი ბრუნდება კონსერვატორიაში პედაგოგად, რათა არა მარტო გადასცეს ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა მუსიკოსებს, არამედ განახორციელოს დიდი ხნის ოცნება — შექმნას ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი.

თბილისში იმხანად ფუნქციონირებდა სამი ორკესტრი. ისინი საჭიროებდნენ ახალგაზრდა კვალიფიციური შემსრულებლებით შევსებას და ბატონი ავთანდილის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ მოემზადებინა მუსიკალური კადრები ამ სიმფონიური ორკესტრებისათვის, აემაღლებინა სტუდენტთა საშემსრულებლო ოსტატობა და გამოემუშავებინა მათთვის ის აუცილებელი ჩვევები, რომლებიც საჭიროა „ზრდასრულ“ ორკესტრმა. ეს კი საორკესტრო ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევდა, გამოეცადათ თავიანთი თავი მუშაობაში და კონცერტებზე.

ორკესტრი ჩამოყალიბდა ოთხ თვეში. ბატონი



ცისანა თატიშვილი,  
ავთანდილ გაგაულვილი

ავთოს მიზანი იყო საინტერესო პროგრამის მომზადება როგორც ორკესტრისთვის, ისე მსმენელისთვის. სტუდენტები აღსავსე იყვნენ ენთუზიაზმით, ახალგაზრდული შემართებით და, რაც მთავარია, მათ ჰქონდათ შემოქმედებითი ზრდის დიდი პოტენციალი. ორკესტრმა პირველივე კონცერტზე მოხიბდლა მსმენელი კარგი საშემსრულებლო დონით და სულ მალე დიდი პოპულარობაც მოიხვეჭა. ორკესტრის კონცერტებზე გამოდიოდნენ პიანისტები: ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, მომძერალი მაია თომაძე და სხვ.



დაინტენ გასტროლები მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთში, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი და ლირსშესანიშნავი გასტროლები იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყველაფერი კი დაინტენ იქიდან, რომ უოლტერ ნოვიკმა, („სარი ოპერა კომპანიის“ პრეზიდენტი) „პილ თუ პილ“-ის (ხალხი – ხალხს) ხელმძღვანელმა, ორკესტრის რეპეტიციაზე დასწრების შემდეგ შესთავაზა ბატონ ავთანდილს ერთობლივი ძალებით დაედგათ „აბესალომ და ეთერი“. ლენინგრადში თეთრი დამების ფესტივალს, მოჰყვა ორკესტრის მოწვევა იგივე დადგმით ამერიკაში. გამგზავრებამდე ერთგვარი გენერალური რეპეტიცია გაიარა ორკესტრმა „აბესალომი და ეთერის“ საკონცერტო შესრულებით თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. აქ მონაწილეობდნენ ჩვენი გამოჩენილი მომძერლები მაია თომაძე და ალექსანდრე ხომერიკი.

ამერიკაში გასტროლებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. აღსანიშნავია ის მოულოდნელი ფაქტიც, რომ ამერიკული გუნდის შესრულებით აუდერდა „შენ ხარ ვენახი“. მსმენელი დიდი ოვაციით ხვდებოდა ქართველებს. ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მელოდიები საქართველოს ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის და ამერიკელი მომძერლების შესრულებით უდერდა ქართულ ენაზე, ნიშნად მათი დიდი პატივისცემისა ქართული კულტურისა და ქართული ენისადმი. სადირიჟორო პულტან იდგა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ მამაცაშვილი. „დე, ის დიდი ზარმატება, რომელიც თან ახლდა თქვენს გამოსვლას, იყოს კიდევ ერთი ნაბიჯი პროგრამის „მსოფლიო ხალხები – ერთად“ გაუმჯობესების საქმეში და საწინდარი ჩვენს ხალხებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობისა.“ ეს არის ამერიკული „სარი ოპერას კომპანიის“ პრეზიდენტის, უოლტერ ნოვიკის, გამოგზავნილი სამადლობელო წერილი კულტურის სამინისტროში 1990 წელს.

საქართველოს მუსიკალური ისტორიის განვითარებაში ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა აშშ-ში ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმისა ქართულ ენაზე და სიმფონიური ორკესტრის პირველი გასტროლი ამ ქვეყანაში. ამ ფაქტს, როგორც კულტურულ და პოლიტიკურ მოვლენას, გამოეხმაურნენ სენატორები: ჯორჯ მიტჩელი, უილიამ ს. ქონი და კონგრესმენი ლილმპია ჯ. სნოუ, ხოლო მენის შტატის გუბერნატორმა ჯონ რ. მაკერნანმა ორკესტრის წევრებს მენის შტატის ქ. სარის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა.

აქვე უნდა აღინიშნოს დიდი წვლილი ორკესტრის ჩამოყალიბებასა და ამ ერთობლივი პროექტის განხორციელებაში, რომელიც შეიტანა ორკესტრის დირექტორმა იზოლდა ჯავახიშვილმა თავისი დაუშრეტელი ენერგიით, ადმინისტრაციული ნიჭითა და პროფესიონალიზმით.

ასევე ზარმატებული იყო გასტროლები ფინერში მაია თომაძისა და ელისო ბოლქვაძის მონაწილეობით. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების (1990-99 წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების) გამო კოლექტივმა დაინტენ დაშლა. „მე არ შემძლო ამეკრძალა მათვის ექცნათ უკეთესი პირობები შემდგომი შემოქმედებით განვითარებისთვის.“ ამბობს ბატონი ავთანდილ მამაცაშვილი, მაგრამ გულის სილომეში მაინც აქვს იმედი, რომ ახალგაზრდული ორკესტრი ოდესალაც აღორძინდება. მაესტროს კი, წელს 75 წელი უსრულდება, ისევ აქვს ახალგაზრდული შემართება და ენერგია. „დირიჟორობა, ორკესტრის სუნთქვას, გეჩვენება, რომ ერწყმი მუსიკის ჰანგებს, ისინი შემოდიან შენში და გადადიხარ ჯადოსნურ სამყაროში – თავს ნეტარების მწვევრალზე გრძნობ. სიძხელეები კი მხოლოდ უმნიშვნელო დაბრკოლებებია შემოქმედებით გზაზე, რომელიც უნდა გადალახო მთლიანად, რომ დატკბე მიღწეულით.“

# გამოთხოვება



## გურამ საღარაძე

სრულიად საქართველო გამოემშვიდობა თავის უბადლო, ჭეშმარიტად სახალხო, უსაყვარლეს მსახიობს, გურამ საღარაძეს.

რუსთაველის თეატრში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. დიდი სცენა ვერ იტევდა ჭირისუფლებს, დარბაზი კი იმ წარმოდგენის მნახველებს, რომელიც სცენაზე მიმდინარეობდა — დიდ მონიტორზე უჩვენებდნენ ეპიზოდებს სპექტაკლებიდან თუ კინოფილმებიდან გურამ საღარაძის მონანილეობით, ისმოდა ქართული პოეზის მარგალიტები მისი განუმეორებელი შესრულებით.

სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც რუსთაველის თეატრის მმართველმა **ზაალ ჩიქოჩავაძე** გახსნა, პირველი სიტყვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, **გიორგი ქავთარაძე** წარმოთქვა:

— გლოვობს საქართველო! გლოვობს ქართული თეატრი, ქართული მწერლობა, გლოვობენ გურამ საღარაძის მონაფეები — უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ადამიანს, რომელიც მიდის ჩვენგან, როგორც მაგალითი უბოროტო გულისა! მან თავისი თაობის უკანასკნელი ფურცელი გადაშალა, უკანასკნელ გზაზე გააცილა თავისი მეგობრები და ყველას თავისი გულის ხაზილი გააყოლა თან, ახლა კი თავადაც მათ გზას გაუყვა!..

ბ-ნო გურამ! შეხედეთ ამ ხალხს, ამ მრავალრიცხოვან საზოგადოებას! თქვენ ბედნიერი მიდიხართ ამ ქვეყნიდან. მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მინა!

რუსთაველის თეატრის მმართველმა წარმომადგენერალი გათოლიკოს-პატრიარქის, **ილია II**-ის წერილი.

ღვაწლმოსილ მსახიობს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

**გიმირა ივანიშვილი:** გურამ საღარაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისათვის, ქართული თეატრისათვის. მინდა სამძიმარი ვუთხრა მის ოჯახს, ქართველ მსახიობთა იმ თაობის წარმომადგენებს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ თეატრში.

გურამ საღარაძე 50 წელი იდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე და ქმნიდა დაუვინყარ სცენურ სახეებს. განსაკუთრებული ხიბლი და პარმონია შესძინა ქართულ ლექსს მისმა უბადლო შესრულე-

ბამ.

მინდა მივუსამძიმრო სრულიად საქართველოს!

**ნანა ფაჩუაშვილი:** ამბობენ, თაობა მიდის, თაობა მოდის. ეს ასეა და კანონზომიერია, მაგრამ რთულად შესაგუებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ათეულობით წლების მანძილზე იყვნენ მეგობრები, კოლეგები. ამბობენ, შეუცვლელები არ არსებობენ. ბ-ნი გურამი შეუცვლელია. ის რუსთაველის თეატრის სახეა. ვფიქრობ, იმიტომ დაუავადდა გული, რომ ასეთი ძლიერი ვნებით, შთოთით, მრისხანებით, ტკივილით კითხულობდა ქართულ პოეზიას და კიდევ უფრო მეტად გვაყვარებდა მას.

ბ-ნი გურამის პოეტური წარმოსახვა საუკუნეებს გაუძლებს. ბედნიერია, რადგან ქართველმა ერმა ის კიდევ ერთხელ დააფასა.

**ჰაათა ბურჟუაზია:** მაქს პატივი, გავიხსენო ბ-ნი გურამი, როგორც დიდი ქველმოქმედი. ის „იავნანას“ დაარსების პირველივე დღეებიდან ეხმარებოდა ფონდს, დადიოდა დასავლეთ საქართველოში, სამაჩაბლოში და ყველაგან ისმოდა მისი განუმეორებელი ქართული სიტყვა. ბ-მა გურამმა კაცურად გაიარა თავისი ცხოვრება.

**მარინა კახიანი:** ძალიან რთულია ილაპარაკო ბ-ნ გურამზე წარსულ დროში. ჩვენ ეს უნდა ვისწავლოთ. ის იყო წარსული თაობის ჭეშმარიტი რაინდი. მადლობა ღმერთს, რომ მის გვერდით მომიხდა ჩემი შემოქმედებითი და პირადი ცხოვრების უდიდესი წანილის გავლა. ის იყო ჩემი წამდვილი მეგობარი და უდიდესი ხელოვანი.

ბ-ნი გურამ! გმადლობთ, რომ არსებობდით ჩემს ცხოვრებაში!

**ბურჟან ჯინორი:** ბევრი დიდებული მსახიობი გამოდიოდა ამ სცენაზე და ემოციებიც გადმოფრქვეულა მაყურებლისათვის. ვფიქრობ, ამ სცენიდან გურამ საღარაძესთან ერთად ქართული სცენის რომანტიზმი წავიდა. ის დადებითი ემოციებით მუხტავდა მაყურებელს და სპექტაკლიც პოეზიის საღამოსავით მიმდინარეობდა — ქ-ნი ზინა და მე გამოვდიოდით ამ ადგილზე, სადაც ახლა ასვენია, ხელს გადამხვევდა, მაკოცებდა და იწყებდა კითხვას.

ამბობენ, კაცმა ისე უნდა გაიაროს თავისი ცხოვრება, უკან მოხედვის არ შეეშინდესო. ბ-ნ გურამს არასოდეს შეშინებია და სიყვარულით სავსე გულით წავიდა.

**რეზო ჩხეიძე:** საოცარია გარდაცვალება! ისე შეკრიბავს ადამიანის ფიქრებს, ნახელავს, რაც შეუქმნია მას თავის სიცოცხლეში, რომ გაოცებულს გვტოვებს — გურამი დიდი ხელოვანი იყო, ქართული ლიტერატურისა და პოეზიის დიდი მოყვარული და იშვიათი წამკითხველი. რუსთაველის თეატრს, რომელსაც აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე ჰყავდა, ეს არ უნდა უკვირდეს, მაგრამ გურამი გამორჩეული იყო. როცა ის კითხულობდა, თვალს ვერ ვწყვეტდ მის სახეს, ვუსმენდი მის ინტონაციას, რომელშიც გამოსჭვიოდა უდიდესი ენერგია და უდიდესი სიყვარული.

დღეს მან თავისი უკანასკნელი სიტყვა ისე ჩამოყალიბებულად თქვა, რომ ვფიქრობ, ასე ღირსეულად უნდა წავიდეს ჭეშმარიტი ხელოვანი ამქვეყნიდან!

**ჯანსულ ჩარქვიანი:** ტირის მთელი საქართველო, მაგრამ ქართული ტირილი და ქართული სიმღერა ძალიან გვანან ერთმანეთს. გურამ საღარაძე საოცარი პიროვნება და იშვიათი მამულიშვილი იყო. აჩემებული ჰქონდა ლადოს ლექსი: „ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯვერ გულში...“

საქართველოს სიყვარულში დაღლილი კაცი იყო.

ღმერთი სიყვარულია, გურამ! მან გიბოძა სახელი „შემოქმედ“. გიყვარდა ჩემი საღლეგრძელო, რითაც დაგემშვიდობები: იმ კაცს გაუმარჯოს, ვიზც ჩვენთან იყო, სიცოცხლეს გვიადვილებდა, წავიდა და სიკვდილი გაგვიადვილა!

**ლეილა პაპშიძე:** სიკვდილს გვიადვილებსო. ასეა მით უფრო, თუკი თანაკურსელი მიდის და თვალცრუებლიანს გტოვებს.

ჩემო გურამ! ყველაფერი წარმომედგინა და გამოსათხოვარ სიტყვას თუ მე გეტყოდი, ვერა. უკვდავი მეგობე. მოგთირის სრულიად საქართველო! შენი ხმა დიდხანს გაგვყვება და შენს აღზრდილ თაობებსაც დაამახსოვრდები, როგორც ზნეკეთილი და დიდებული ადამიანი.

მშვიდობით არა, ნახვამდის!

**ჯემალ ლალაშვილი:** მე უფრო მადლობის სათქმელად გამოვედი. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მისი პიონერი ვიყავი — ის ჩემი ხელმძღვანელი იყო. 60 წელი ერთად ვართ ამ კედლებში, სიცოცხლის პოლონ დღესაც ექვსი საათი მის გვერდით გავატარე.

ბ-ნმა გიორგი საღარაძემ მთელი თავისი ცხოვრება ამ თეატრში განვლო. მას რუსთაველის თეატრის წამუსი და სინდისი ერქვა. გურამმა გააგრძელა მამამისის გზა და თავისი პირადი და შემოქმედებითი ცხოვრება. მასავით უმნიკვლოდ განვლო.

მადლობას გიხდით მობრძანებისათვეის!

მაყურებელმა რუსთაველის თეატრის კიდევ ერთი ვარსკვლავი, გურამ საღარაძე უკანასკნელ გზაზე ხანგრძლივი ტაშით გააცილა.

ნინო მაჭავარიანი

„თეატრი და ცხოვრება“

# ნათელა ურუმაძე



## მანანა და გოგი გეგეშკორებს

კიდევ ერთი შესანიშნავი ქალბატონი წავიდა ამქვეყნიდან. ის იყო ქართული თეატრის ნამდვილი მოამაგე, დიდებული გოგი გეგეშკორის თანამეცხედრე და მრავალი ახალგაზრდა ხელოვანის აღმზრდელი და პირადად ჩემი პედაგოგი და მასწავლებელი.

მისი დახვენილი გემოვნება, უტყუარი ალლო და ქართული თეატრისადმი თავდადება სამუდამოდ დარჩება როგორც პროფესიონალიზმის დიდ მაგალითი.

მისი წიგნები და მონოგრაფიები მომავალ თაობას გადაეცემა როგორც ძვირფასი საგანძურო. გემშვიდობებით ქალბატონო ნათელა, ქედს ვიხრი თქვენი პიროვნების წინაშე.

### თქვენი გოგი ეავთარაპე

P.S მაპატიეთ, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გაცილებთ. მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მინა.

## მშვიდობით, ეალბატონო ნათელა!

როცა ვიხსენებ „ძველ“ თეატრალურ ინსტიტუტს, ასე მგონია საუკუნეების სიღრმეში ვიყურები იმ რომანტიკულ და წარმტაც დროს, როცა იქ პირველად შევდგი ფეხი. მას შემდეგ „სულ რაღაც“ სამოცდაოთხი წელი გასულა, მაგრამ დღესაც ნათლად ვხედავ ინტიმით და იდუმალებით სავსე აუდიტორიებს, ვხედავ ვესტიტულში მდგარ დიდ სარკეს, სადაც ირეკლებოდნენ გრიმნასმული თუ უგრიმო სტუდენტები, ჩვენი შესანიშნავი, ვიტყოდა, მართლაც განუმეორებელი ლექტორები, განათლებულნი, მუდამ სანიმუშოდ ჩაკრისტული და კეთილგანხმუბობილი. ამ სარკეს „ახსოვს“ აკაკი ხორავას მონუმენტური ფიგურა და ტანძმორჩილი, მუდამ მოძრავი, უნიტიერესი დოდო ალექსანდრე, სულით ხორცამდე არისტოკრატი რუსუდან მიერლაძე და, ცხადია, ახალი თაობის რჩეული: ნათელა ურუშაძე, ნადია შალუტაშვილი, ტატა შაფათავა.

ეს არის 1949 წელი.

გიორგი გეგეშკორის ტრიუმფის წელი, როცა მან, რუსთაველის თეატრში, ნიკოლოზ ბარათაშვილის როლის შესრულებით დაპყრო არა მარტო ამ სახელოვანი თეატრის სცენა, არამედ თბილისელი ქალიშვილების გულებიც. ცხადია, უნიტიერესი და დახვენილი მსახიობის სიბლს ვერც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და ახალგაზრდა პედაგოგები გადაურჩნენ.

შემთხვევით არ მისენებია აქ გეგეშკორის ტრიუმფი: პირველი კურსის, პირველივე ლექციიდან, რომელსაც ნათელა ურუშაძე გატაცებით წარმართავდა, უკვე ეტყობოდა, რომ იგი ღრმად იყო გამსჭვალული ბატონი გოგის სიყვარულით. მისი სახელის სსენებისთანავე ქალბატონი ნათე-

ლას დახვეწილ პროფილს ცელქი ამურის ამბორით გამოწვეული სინითლე გადაჲკრავდა ხოლმე და თვალები მზაკვრულად უციმიტიმებდა.

ამას იმიტომ ვისხენებ, რომ ქალბატონი ნათელა მახსოვს მისი უბედინიერესი წუთებიდან მოყოლებული იმ დღემდე, ვიდრე იგი, უკანასკნელად მოვიდა, ან უკვე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, ცხადია, ხანძიშესული, მაგრამ ძველებურად რაფინირებული, სახეზე ნათელფენილი, სხივოსანი თვალებით და მუდამ მოწესრიგებული. მან, ბოლოს, დაკარგა ფიზიკური ძალა, მაგრამ დღოის მსახურალი ხელი არ შეხებია მის გონებას. მიუხედავად იმისა, რომ ფანგასტიკური მესიერება ჰქონდა, მანც მუდამ, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, თან ატარებდა თავის სახელგათხემულ წიგნას, სადაც ყოველი დღე, ყოველი საათი ჰქონდა ჰუნტულურად „განერილი“ (როგორც დღევანდელი მენეჯერი ქალები ამბობენ). მართლაც, საარაკო, ქართველთათვის (მით უმეტეს, ქართველი ქალებისათვის) მთლად უცხო სიზუსტე, პასუხისმგებლობა და თავშეკავება ასასიათებდა, თუმცა, სრულებითაც არ აკლდა მძაფრი ტემპერამეტი და, ხანდახან, სიბრაზის ტალღებიც გადაირბენდნენ ხოლმე მის სახეზე.

მისი ლექციები მის პირველულ თვისებებს ამხელდნენ, მისი ყოველი წინადადება იყო ზუსტად ჩამოყალიბებული, მსჯელობა — ნათელი და გასაგები. იგი „დიდი უბრალოებისკენ“ მისწრაფოდა, რადგან ღრმად იცოდა თეატრი და თეატრალური ხელოვნება და ცდილობდა სტუდენტებამდე სრულყოფილად მიეტანა სათქმელი. მისი უპირატესობა იყო ის, რომ მან თეატრი „მიგნიდა“ იცოდა. აქ არ ვგულისხმობ იმას, რომ „შინ“ ჰყავდა ისეთი მეტრი და მოაზროვნე მსახიობი, როგორიც გიორგი გეგეტკორი იყო. არა! მან სამი წელი ისნავლა სამსახიობო ფაკულტეტზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურა მოსკოვს, სადაც თეატრმცოდნების მეცნიერების (და ხელოვნების) შესანიშნავი სკოლა გაიარა. ამიტომაც, მისი რეცენზიები სპექტაკლებზე გამოირჩეოდნენ მსახიობის შემოქმედების ლრმა გაგებითა და წვდომით. ეს კი ძნელი საქმეა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ახერხებენ მომდევნო თაობის კრიტიკოსები. მის სხვა მრავალ ლირსებებთან ერთად, აღვნიშნავ, რომ მან ძალიან კარგად იცოდა სახვითი ხელოვნება, განსაკუთრებით თეატრალურ-დეკორატიული შხატვრობა და ესეც ანიჭებდა უპირატესობას თავის კოლეგათა შორის. აქ, არ შემიძლია არ გავისხენ მისი მეგობრობა ორ დიდ ქალბატონთან: ვერიკო ანჯაფარიძესა და მხატვარ ელენე ახვლედიანთან, რომლებთანაც სიახლოვემ ნათელი კავალი დაატყო მის შემოქმედებას (ორივეს მშენებირი, ორიგინალური გამოკვლევა მიუჟღვნა).

იგი თავისი ბუნებით პედაგოგი-მოძღვარი იყო, მისმა გამოსვლებმა ტელეეკრანზე მრავალს გაუნათა გონება და შეაყვარა თეატრალური ხელოვნება.

პრინციპული იყო, ყველა მოვლენის მიმართ თავისი გამორჩეული, ორიგინალური მიდგომა ჰქონდა, რის გამო არა ერთი უსიამოვნება შემთხვევია, მაგრამ არ მახსოვს არც ერთი ფაქტი იმისა, რომ მას ოდესმე დაეკარგოს წონასწორობა და მოპაქრისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს. ამის საბაზი კი მას, სამწუხაროდ, ხშირად ჰქონდა. ამის მიუხედავად, მან ბევრ ავტორიტეტს ფაქტზად გამოუყვანა წირვა (იხ. მისი წიგნი „მთავარი მოწმის ნამბობი“).

აქ აღარ შევეხები მის დიდად მნიშვნელოვან გამოკვლევებს ქართული თეატრის ისტორიის სივრცეში, მის მშვენიერ მონოგრაფიებს, რადგან ეს ყველაფერი ცნობილია განათლებული საზოგადოებისთვის.

ქალიშვილობაშივე გამოავლინა თავისი მტკიცე ხასიათი და შეუგალობა. იგი რეპრესირებული ოჯახიდან იყო. მოსკოვში სწავლისას, მან შეძლო შეუძლებელი — გაარღვია „გულაგის“ აქამდე გაურღვეველი ჯებირები და თავისი პატიმარი დედის ნახვა შეძლო. ეს, იმ დროს, იყო გაუგონარი სიმამცე, ხოლო იმდროინდელი ჯალათების თქმით, „გაუგონარი თავხედობა“.

რაოდე პარადგენულადც არ უნდა გვეჩვენოს, სწორედ ეს მტკიცე ხასიათი განაპირობებდა მის კომპრომისს, მიტევების ნიჭის. შეძლო პირველს გაენოდებინა შერიგების ხელი უმაღლერთათვის. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთს არ შეუნდო ცოდვა, მაგრამ აქ არ არის ადგილი მისი სახელის ხსენებისათვის.

პირადად მე კი განუზომლად გარ დავალებული მისგან — რომ არა ქალბატონი ნათელა, მე დღეს არ ვიქნებოდი ის, რაც ვარ! სწორედ მისი დაუინებული მოთხოვნით დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და აქ ვაპირებდი კიდევ გაჩერებას. რადგან, გულწრფელად ვამბობ, არ მაინტერესებდა სამეცნიერო ხარისხები თუ წოდებები. მე კი ვაპირებდი გაჩერებას, მაგრამ ქალბატონი ნათელა არჩერდებოდა — ახლა, სადოქტორო დაიცავო. ასე იშვა ჩემი სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ადრე წიგნად გამოკემული მონოგრაფია „რეჟისორი რობერტ სტურუა“.

ძალიან დავმეგობრდით სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებულ კომისიაში ერთობლივი მუშაობისას, მრავალი წლის მანძილზე. მახსოვს რა მკაცრი და მომთხოვნი იყო ჩვენი საკურსო ნამუშევრების განხილვისას. ახლა, კი „სხვა ნათელა“ იყო — უკიდურესად კეთილმოსურნე, კეთილგანწყობილი მომავალი მკვლევარების მიმართ. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ჩასწვდა მისი კეთილშობილების სიღრმეს...

## ერთი სიტყვით, დახვეწილი...

ვფიქრობ, ეს ის ქართული სიტყვაა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება ნათელა ურუშაძეს, ქალბატონ ნათელას დახვეწილი გარეგნობა, დახვეწილი გემოვნება, დახვეწილი მეტყველება, დახვეწილი მანერება... დახვეწილი ურთიერთობაში, საქციელში, აზროვნებაში...

მან მე საკუთარი თავი მაპოვნინა, უფრო სწორად, საკუთარ თავში დამარწმუნა. „უდიდეს“ ადამიანებთან, იმ პერიოდში „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ბრძოლისთვის მომამზადა, მითხრა, რომ სიმართლე ჩემს მხარეს იყო და მე აუცილებლად გავიმარჯვებდი... გავიმარჯვე კიდეც და მეცნიერების გზას შევუდექი...

მისი ცხოვრება არასდროს ყოფილა „აფიშირებული“, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, მისი მოსწავლებისთვის. უურმოკვრით გვსმენია იმის შესახებ, თუ რამდენი ტკივილი გადაიტანა, რამდენი წინააღმდეგობა დაძლია, რამდენჯერ დასჭირდა ბევრი „პატარა ადამიანის“ წინაშე იმის მტკიცება, რომ ის დღი მეცნიერი იყო... მაგრამ გასაოცარია და არადროს არც ერთ ჩვენგანს (ყოველ შემთხვევაში მე) არავისზე ცუდი მისგან არ გვსმენია... არც ერთ მის არაკეთილისმსურველზე არ უთქვამს საძრახი სიტყვა... ამაშიც დახვეწილი ზომიერების ადამიანი იყო. ყოველთვის მეგონა, რომ ყველას ყველაფერი აპატია, უფრო სწორად, ყველას გაუგო, მათი ქმედების ძოტივს მიუხვდა, დარწმუნდა, რომ ამ ადამიანებს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლოთ, რადგან ასეთებად გააჩინა ბუნებამ და გაატარა... არ აჰყვა ინტრიგებს, არ ჩაება შურისმაძიებელთა ქსელში... დახვეწილად აგრძელებდა იმ უდიდეს საქმეს, რომლის მსგავსი ქართულ თეატრალურ მეცნიერებაში ძალიან ცოტას, სულ ერთეულებს თუ გაუკეთებიათ...

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მთელ რიგ თაობებს თეატრი მხოლოდ ნათელა ურუშაძემ შეაყვარა. სანამ თეატრში წავიდოდით, შავ-თეთრი ტელევიზორის ეკრანიდან ნათელა ურუშაძეს შევყავდით იმ მართლაც, ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც თეატრი ჰქვია (ყოველ შემთხვევაში, მაშინ მოზარდებს თეატრი ჯადოსნური სამყარო გვევონა). სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მხოლოდ იმიტომ გავხდი თეატრის კრიტიკოსი და იმიტომ გადავწყვიტე თეატრზე ტელეეკრანიდან საუბარი, რომ მინდოდა ნათელა ურუშაძის გზა გამეგრძელებინა და თეატრი ყველა ოჯახში შემეყვანა... დიდი მაღლობა მას სწორედ იმისთვის, რომ პროფესია შემძინა და საქმიანობის მიზანი განმისაზღვრა...

ასე რომ, დიდ ქალბატონს, ნათელა ურუშაძეს ჩემი მუდმივი მადლობა, ჩემი გულწრფელი სიყვარული და განუზომლად დიდი პატივისცემა...

და კიდევ ერთი... მას ასეთივე დახვეწილი მეუღლე ჰყავდა და ამ ორმა უდახვეწილებმა ადამიანმა გასაოცარად დახვეწილი შთამომავლობა დატოვა...

P.S. არ ესიამოვნებოდა ახლა ქალბატონ ნათელას ჩემგან ასეთი სიტყვები... მეტყოდა: „მოხსენი პათეტიკაშერეული ტონალობა...“ მაგრამ უნდა მაპატიოთ, ქალბატონ ნათელა, რადგან ასე მტკიცებულად, ალბათ, ცოტა ვინჩეს გამოვმშვიდობებივარ...

### გიორგი (ზოგა) ჩართოლანი

\* \* \*

პირველად რუსთაველზე შევხვდით - თეატრალური უნივერსიტეტის წინ. მაშინ მისაღები გამცდისათვის ვემზადებოდით. მივესალმეთ. სალამზე გვიპასუხა და თბილად გაგვილიმა...

ბედმა ნამდვილად გაგვილიმა - მოვხვდით ნათელა ურუშაძესთან. ადამიანთან, რომელმაც არა მარტო გაგვარკვა სათეატრო ხელოვნების რაობაში, არამედ კარგად გვასწავლა, როგორ აერთიანებს თეატრი ადამიანებს, რა ძალა აქვს ხელოვნებას, რომ მას შეუძლია დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე, ალძრას მასში გარკვეული გრძნობები, აზრები, გარკვეულად განაწყოს ამა თუ იმ ზნეობრივი ლირებულებისადმი და როგორი რთულია ცხოვრება, უამრავი პრობლემით საკეთება. ცდილობდა სხვადასხვა კუთხიდან დაგვენახა ეს სირთულები და სადაც და საკამათო საკითხები სწორად გადავგვეწვიტა.

ჩვენი შეხვედრები, ხუთი წლის განმავლობაში, ძალიან თბილ და მყუდრო გარემოში მიმდინარეობდა. დავდიოდით მასთან სახლში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, რომელიც ჩვენთვის აუდიტორიის მაგივრობას წევდა. არასოდეს გვქონდა განსაზღვრული დრო. გვესაუბრებოდა დიდხანს, საინტერესოდ. ბრძნული აზრი და სიტყვა ყოველდღიურად უნდა მოისმინოს ადამიანმა. დღევანდელობა მოკლებულია ამგვარ სიამოვნებებს. მისი ლექციები ძალიან მსუყე ლუკმა იყო ჩვენთვის. გვანებივრებდა. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ჯგუფი იყო უკანასკნელი, ვისაც მან უხელმძღვანელა. უყვარდა სიმართლე. არასოდეს საუბრობდა ხმამაღლა. გვესაუბრებოდა როგორც თეატრის წარსულსა და ანტყოზე, ასევე ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე. უყვარდა ზომიერება ყველაფერ-

შპ. ყოველთვის ხვდებოდა, რა გვაინტერესებდა და იძლეოდა ზუსტ მინიშნებებს, რაც გვაძლევდა საშუალებას გვეპოვა ყველაზე ადვილი გზა რთული სიტუაციიდან თავის დასახსნელად.

საოცრად უხაროდა და სიამოვნებდა, როდესაც ვინმე ჩვენზე საქებარ სიტყვას ეტყოდა. ყოველთვის გვქონდა გააზრებული, ვინ იყო ჩვენი ხელმძღვანელი და თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული სიფრთხილით და მოწინებით ვეპყრობოდით მის სახელს, ვაკეთებდით მაქსიმუმს ჩვენი შესაძლებლობებისა. ის იყო ჩვენთვის ყველაზე დიდი სახელმძღვანელო ხუთი წლის მანძილზე, რომელიც წინ გვიშლიდა XX საუკუნის ქართული თეატრის ისტორიის ისეთ დეტალებს, რომლებიც არც მანამდე და არც მას შემდეგ არც ერთი წიგნიდან არ ამოგვიყითხავს. ამიერიდან ქალბატონი წათელას ზაკვლად მისი დაულალავი შრომით შექმნილი წიგნები გვესაუბრება, რომლებიც, საპედიტოდ, ასე უხვად დაგვიტოვა.

ცხოვრების გზაზე გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც შენდაუნებურად, გაუაზრებლად ტოვებენ შენში ნაკვალევს და გიცვლიან ცხოვრების გზას. ამას მერე, შეიძლება დიდი ხნის მეტვდე, რომ სწორედ იმ კონკრეტული ადამიანის გამოჩენით დაიწყო შენში ახალი ეტაპი, რომელიც მოგწონს, გსიამოვნებს და თანახმა ხარ მთელი ცხოვრება იარო ამ ცვლილებით.

ასეთი იყო ქალბატონი წათელა!

ამ ყველაფრის დაწერა მოგვინია მისი გარდაცვალების შემდეგ და არ გვინდა ნალვლიანი გამოვიდეს ეს გახსენება, რადგან თვითონ არასდროს გაძლევდა უფლებას ყოფილიყავი ამ მდგომარეობაში. გვიხდა მადლობა ვუთხრათ იმ ხუთი წლისთვის, რომელიც მასთან ერთად გავატარეთ, მის საცხოვრებელ სახლში. თუმცა იმ ინტიმურ გარემოში ყოფნა უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო ლექცია. ესეც ბედის გამართლებაა, როცა ამხელა რანგის ადამიანი ყველაზე პირადულ სამყაროში ასე ადვილად გიშვებს და არანაირ დაბრკოლებას არ გიქმის. აქაც თამამდები და ფიქრობ - ასე უნდა ყოფილიყო. ალბათ, სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, რომ უკეთ გაგვეგო ის სამყარო, რასაც თეატრი ჰქვია.

დიდი მადლობა ქალბატონ წათელას იმ დღეებისთვის, როდესაც სულ სხვანარი ფორმით შეგვიყვანა და მოგვატარა ეს ჯადოსნური სამყარო! გმადლობთ, რომ, ჩვენდა უნებურად, გამოჩნდით და დარჩით ჩვენს ცხოვრებაში.

ვამაყობთ, რომ ამ ადამიანთან ერთად განვლეთ გზა, რომელიც არა მარტო პროფესიაში, არამედ ცხოვრებაში ყოველთვის გამოგვადგება.

**ლალი ხოსიტაშვილი  
ლაურა ცხოგილაძე  
ნინო ხუციშვილი  
ნინო მეგრელიძე  
გიორგი ნადირაშვილი**

## ჩვენი მეგობარი და ავტორი

ქალბატონი წათელა ურუშაძე, გარდა იმისა, რომ იყო დიდებული ჰედაგოგი, აღმზრდელი, განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ ქართულ თეატრალურ კრიტიკაში.

იგი ჩვენი უახლოესი ავტორი იყო. ჩვენი უურნალის ფურცლებზე ხშირად იბჭჭდებოდა მისი წერილები. იგი ხშირად თავაზობდა რედაქტორისა არა მხოლოდ საინტერესო მასალებს, არამედ იდეებსაც, რომ უფრო სრულად წარმოჩენილიყო ქართული თეატრის დიდებულ მოღვაწეთა მიერ განვლილი გზა. მისი ღირსებას, პიროვნული კულტურის ერთ-ერთი ნიშანი — პასუხისმგებლობა საკუთარი პროფესიის წინაშე. ჩვენ ვერ გავიხსენებთ შემთხვევას, რომ მას საურნალო მასალა მოეტანოს დაგვიანებით — მოპქონდა ყოველთვის მაშინ, როცა მას წათქვამი ჰქონდა.

იყო დიდებული ანალიტიკოსი, მეგობარი, ჩვენი უურნალის ქომაგი — ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება მისი გამოსვლა უურნალის ასი წლისთავისადმი მიძლვნილ სალამოზე შოთა რუსთაველის სახლობის თეატრში.

გმადლობთ, ქალბატონი წათელა!

**ზურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია**

**გარეულის პირველ გვერდზე:**

დედა — მ. თუმანიშვილის სახ. თეატრის  
სპექტაკლიდან „პალადა ვეფხისა და მოყვისა“

**გარეულის მეოთხე გვერდზე:**

რამაზ ჩხილვაძის პიუსტი, რომელიც დიდი  
მსახიობის დაპატიჟის დღეს — 28 თებერვალს  
გაიხსნა თეატრის, კინოს, მუსიკისა და  
ქორეოგრაფიის მუზეუმი

**„თეატრი და ცხოვრება“**

„THEATRE AND LIFE“

„ТЕАТР И ЖИЗНЬ“

№1, 2013

დამკაბადონებელი  
გიორგი მალხასიანი

კორექტორი  
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი — სახელშეკრულებო  
რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11°.  
ტელ.: 2999096

აინტ და დაკაბადონდა ქურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში



တွေ့ပစိမ်း

၁၃

နှောက်ချုပ်

Nº 1  
2013

ISSN 1987-8974



9771987897006